

# ორგანიზი დაბათების სწავლას დამხმარე სახლმძღვანელო

ნინო ჭირიშვილი



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ლია საზოგადოებრივი საკართველო

სამოქალაქო  
განვითარების  
ინსტიტუტი



CIVIC  
DEVELOPMENT  
INSTITUTE

თბილისი 2016

გამოცემულია ფონდი „ლია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Published with the financial support of the Open Society Georgia Foundation. The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ავტორი: **ნინო ბერიშვილი**

კონსულტანტი: **ქეთევან კობალაძე**

რედაქტორი: **ია ანთაძე**

დიზაინერ-დამკაბადონებელი: **ეკატერინე წიქარიშვილი**

დაიბეჭდა შპს „ბეჭდვის სამყაროში“

თბილისი, 2016

© სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2016

ISBN 978-9941-0-5308-5

## სარჩევი

შესავალი .....	5
პირველი შეხვედრა .....	12
მეორე შეხვედრა .....	14
მესამე შეხვედრა.....	20
ნაწილი I	
კარლ პოპერის დებატების ძირითადი ელემენტები .....	25
მტკიცებითი პოზიციის ფორმირება .....	29
I გაკვეთილი რეზოლუცია – კამათი ღირებულებებზე .....	29
II გაკვეთილი, დეფინიციები, არგუმენტები და კრიტერიუმი .....	31
III გაკვეთილი, დებატი ორ მხარეზე .....	35
IV გაკვეთილი, კრიტერიუმი – მტკიცების მიზანი .....	38
V გაკვეთილი, დამამტკიცებელი მასალები ფორმალურ დებატებში .....	40
VI გაკვეთილი, ქეისი .....	43
VII გაკვეთილი უარყოფა და აღდგენა .....	48
უარყოფილი პოზიციის ფორმირება	
VIII გაკვეთილი, უარყოფა .....	53
IX გაკვეთილი, უარყოფა (არგუმენტის სისუსტეები) .....	58
X გაკვეთილი, უარყოფა (დამამტკიცებელი მასალის უარყოფის მეთოდები) .....	64
XI გაკვეთილი, ჯვარედინი დაკითხვა .....	69
XII გაკვეთილი, არგუმენტაციის აღდგენა .....	74
XIII გაკვეთილი, მომხსენებლების გამოსვლები .....	79
მსაჯობა .....	84
მსაჯის ბიულეტენი.....	87

## ნაწილი II

კარლ პოპერის დებატები პოლიტიკური ელემენტებით.....	92
მტკიცებითი პოზიციის ფორმირება .....	93
I გაკვეთილი, რეზოლუცია და მისი ჩამოყალიბება .....	93
II გაკვეთილი, პრობლემა და მისი არჩევა .....	97
III გაკვეთილი, მტკიცებითი პოზიცია, .....	102
IV გაკვეთილი, მტკიცებითი პოზიცია, პრობლემის განსაზღვრა.....	105
V გაკვეთილი, მტკიცებითი პოზიცია, გამოსავალი და მისი ეტაპები.....	108
VI გაკვეთილი, მტკიცებითი პოზიცია, უპირატესობები და მათი ფორმირება .....	113
VII გაკვეთილი, მტკიცებითი პოზიცია, მეორე სახის გამოსავალი .....	117
VIII გაკვეთილი, უარმყოფელი პოზიცია .....	119
უარმყოფელი პოზიციის ფორმირება	
IX გაკვეთილი, პრობლემის უარყოფა.....	123
X გაკვეთილი, ქეისის dირითადი ნაწილის ალდგენა .....	126
XI გაკვეთილი, უარყოფა და ალდგენა .....	131
XII გაკვეთილი, უარყოფა და ალდგენა, დებატი უპირატესობებზე.....	137
XIII გაკვეთილი, დებატი უპირატესობებზე, როგორ დავუპირისპირდეთ მეორე ტიპის გამოსავალს.....	140
XIV გაკვეთილი, უარყოფა და ალდგენა, ჯვარედინი დაკითხვა, და მომხსენებელთა პასუხისმგებლობები .....	145
საპარლამენტო დებატები .....	149

## შესავალი

საგანმანათლებლო დებატები საქართველოში 1998 წლის გაზაფხულიდან ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ კარლ პოპერის დებატების პროგრამის საშუალებით ხორციელდებოდა და ინერგებოდა. პროგრამის ძირითადი საქმიანობა მიმართული იყო საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სკოლაში დებატ-კლუბების ჩამოყალიბების, სადებატო შეჯიბრებებისა და ღონისძიებების ჩატარების, ზოგადად, თამაშის პოპულარიზაციის კუთხით. პროგრამის შედეგად ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბდა დაახლოებით სამოცამდე კლუბი თბილისში, ბათუმში, თელავში, ქუთაისში, სამტრედიაში, საჩხერეში, ჭიათურაში, ოზურგეთში, რუსთავში, ხაშურსა და ბორჯომში.

კარლ პოპერის დებატების პროგრამის ეგიდით ჩატარდა უამრავი ტურნირი, ბანაკი თუ სხვა საგანმანათლებლო თუ შეჯიბრების ხასიათის ღონისძიება დებატებში, სადაც მონაწილეობის მიღება ყველა იმ მოსწავლეს შეეძლო, ვინც ამა თუ იმ სადებატო კლუბის წევრი იყო. აღნიშნულ ღონისძიებებში ასობით მოსწავლე და მასწავლებელი ერთვებოდა მთელი საქართველოდან.

დებატების პროგრამის საქმიანობა მიმართული იყო, ასევე, „საპარლამენტო დებატების“ განვითარების კუთხით. სტუდენტური საპარლამენტო დებატები ტრეინინგებისა და ეროვნული ტურნირების სახით საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში ხორციელდებოდა.

კარლ პოპერის დებატების პროგრამის საშუალებით ქართულ ენაზე ითარგმნა დებატების სწავლებისათვის საჭირო მასალები, რომლებიც საერთაშორისო დებატების ასოციაცია IDEA -ს მიერ იყო მოწოდებული

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ დაფინანსებით დებატების პროგრამის ფარგლებში ქართველი სპეციალისტების ავტორობით 2000 წელს გამოიცა სახელმძღვანელო „დებატების ხელოვნება“.

2004 წლიდან საგანმანათლებლო დებატების პოპულარიზაციას ფართოდ და წარმატებით ეწეოდა ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ შვილობილი არასამთავრობო ორგანიზაცია „საგანმანათლებლო დებატების ასოციაცია“. ამ ორგანიზაციის მიერ გამოიცა ორი სახელმძღვანელო სკოლის მასწავლებლებისათვის: 2006 წელს – „კონსტრუქციული დებატები“ და 2009 წელს „ახალგაზრდობა ირჩევს“. ორივე სახელმძღვანელომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დებატების სწავლების მიმართულებით.

უკანასკნელ წლებში საქართველოში ფორმალური დებატების პოპულარიზაციას ეწევა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია და საგანმანათლებლო დაწესებულება, რაც თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისად დებატების კულტურის განვითარების ახალ პირობებს ქმნის.

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი ფონდ „ღია საზოგადოება

- საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით 2012 წელს ახორციელებდა პროექტს - „დებატები განათლებისა და ინტეგრაციისათვის“, რომლის ფარგლებში მომზადდა და პირველად გამოიცა „დებატების სწავლების დამხმარე სახელმძღვანელო. 2016 წლის სექტემბრიდან სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი ასევე ფონდ „ლია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს: „სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა საგანმანათლებლო დებატების გზით.“ პროექტის ფარგლებში წინამდებარე სახელმძღვანელო გამოიწემა მეორედ.

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი მხარს უჭერს საგანმანათლებლო, ფორმალური დებატების განვითარებას, სახელმძღვანელო კი ქმედით დახმარებას გაუწევს დებატებით დაინტერესებულ ყველა პირსა და ორგანიზაციას.

## ფორმალური დებატების სწავლების მიზნები

წინამდებარე სახელმძღვანელო მოიცავს „ფორმალური დებატების“ სწავლების მთლიან პროგრამას. სახელმძღვანელო განკუთვნილია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მოზარდებთან მუშაობენ და ავითარებენ მათში ურთიერთობის, თანამშრომლობისა და თვითდამკვიდრების უნარებს. სახელმძღვანელოს სახელწოდება – „ფორმალური დებატები განათლებისა და ინტეგრაციისათვის“ – მიანიშნებს, რომ დებატების სწავლების მეთოდის გამოყენება ერთდროულად ხელს უწყობს მოზარდებში საგანმანათლებლო უნარების დახვენას და ტოლერანტობის იდეაზე დაფუძნებული ცივილური ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

დებატების ხელოვნება ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც პოზიტიური კონფლიქტი, რომლის დროსაც ხდება მოზარდის ინტელექტუალური და პიროვნული ზრდა, მზადება მომავალი ზრდასრული ცხოვრებისათვის. ფორმალური დებატების დროს აზრთა ჭიდილი წარმოქმნის კონსტრუქციულ ძალას, რომელიც გამოდის გარეთ და უბიძგებს ახალგაზრდა პიროვნებას, ზედაპირზე გამოიტანოს კონკრეტული მოვლენებისა თუ ფასეულობების მიმართ გონებაში ღრმად შენახული აზრები და დამოკიდებულებები.

იმ ასაკში, როდესაც ადამიანის პიროვნება ყალიბდება, ძალზე მნიშვნელოვანია ღირებულებებისა და პრობლემატური საკითხების მიმართ საკუთარი, თავისუფალი (თუნდაც, მცდარი) შეხედულებების ქონა და პოზიტიურ გარემოში მათი დაფიქსირება. ფორმალური დებატები არის თამაში, რომელიც სწორედ ასეთი პირობების შექმნას უზრუნველყოფს. დებატი უბიძგებს ახალგაზრდას გამოთქვას თავისი პოზიცია მთელი სიმძაფრით და დამაჯერებლობით. დებატის ძირითადი პრინციპები – ლოგიკური მსჯელობა და არგუმენტაცია – მოითხოვს მისგან სადებატო თემის კვლევას, გაანალიზებას და სწორი დასკვნების გამოტანას.

დებატის პროცესში, დესტრუქციული კონფლიქტისაგან განსხვავებით, წარმოიქმნება შემოქმედებითი საწყისი, რომელიც აიძულებს ტვინს იაზ-როვნოს უფრო აქტიურად, უფრო მოხერხებულად, იპოვოს გამოსავალი და დაასაბუთოს მისი სისწორე. დებატების მონაწილეები, გარდა ზოგადი უნარებისა, რომლებსაც მზადებისა და უშუალოდ თამაშის პროცესში იძენენ, შეიმუშავებენ საკუთარ, ინდივიდუალურ დამხმარე მეთოდებს. დებატების ტექნიკა კი ალჭურვავს მათ მრავალგზის აპრობირებული მექანიზმებისა და ხერხების მთელი არსენალით.

„ფორმალური დებატების“ შესწავლის წინამდებარე კურსი მიზნად ისახავს, მოზარდებთან მომუშავე ადამიანებს დაეხმაროს, განავითარონ მოზარდებში პიროვნებისადმი პატივისცემა; ასწავლონ, რომ ოპონენტის მიერ გამოთქმული მოსაზრება არის მხოლოდ მისი შეხედულება ამა თუ იმ მოვლენასთან მიმართებაში. როგორც ერთი მონეტის ორი მხარე განსხვავდება ერთმანეთისაგან, ასევე შეხედულებებიც ერთსა და იმავე „საგანზე“ შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმიმეორისაგან. დებატების ხელოვნების დაუფლების პროცესში ახალგაზრდები სწავლობენ, რომ განსხვავებული აზრი არ უნდა გახდეს პიროვნებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების მიზეზი.

„ფორმალური დებატების“ სტრუქტურა აგებულია მექანიზმზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსმენისათვის პოზიტიური გარემოს შექმნას. მომხსენებლები (მოდებატები) სრულიად თანაბარ პირობებში არიან. თანაწილოვანებიანობის შეგრძნება მთელი თამაშის განმავლობაში არ ტოვებს მათ. მომხსენებლი გამოსვლის დრო ხელშეუხებელია, მას სიტყვას არავინ აწყვეტინებს. ოპონენტები კი მთელი ყურადრებით უსმენენ, რათა შემდგომ გამოსვლებში გააძლიერონ საკუთარი პოზიცია, ღირსეული ოპონირება გაუწიონ. „სხვისი“ აზრი ხდება ღირებული, პატივსაცემი. დაპირისპირებულ მხარეებს შორის თანდათანობით ძლიერდება ურთიერთნდობა, ვითარდება გულწრფელობა და შემწყნარებლობა. მსაჯის სამართლიანი კომენტარი კი აღვივებს შეგრძნებას, რომ ზრდასრულმა ადამიანმა მოისმინა და გააანალიზა მისი მოსაზრებები. მოზარდს უჩნდება პოზიტიური განცდა, რომ მას მოუსმინეს, მის პიროვნებას პატივი სცეს, მისი აზრი მისალები და ღირებულია. შეჯიბრის ფაქტორი, გულწრფელი სიხარულისა თუ თამაშის წაგებით გამოწვეული გულისწყვეტისა, კველა შემთხვევაში კმაყოფილების და სამართლიანობის შეგრძნებებს იწვევს. დებატი მომავალი მეგობრობისა და თანამშრომლობის მყარი საფუძველი ხდება.

ურთიერთობა და თანამშრომლობა წარმოადგენს სახელმძღვანელოს ძირითად კონცეფციას. სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული „ფორმალური დებატები“ ცხოვრებაშიც სწორი ღირებულებების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მოზარდ ასაკში უსამართლობის შეგრძნება მომავალში ავტოკრატიულობისა და ძალადობის საფუძველი ხდება. დებატის პროცესში ურთიერთპატივისცემის სულისკვეთება ხელს უწყობს დემოკრა-

ტიული ღირებულებების აღზრდას. პიროვნება, რომელიც მიზნად დაისახავს, ასწავლოს „ფორმალური დებატები“, ჯგუფის წევრებთან მეცადინეობის დროსაც ამ პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდეს.

სკოლის დებატკულუბის მასწავლებელი იქნება ეს, ლექტორი, რომელიმე ორგანიზაციასთან არსებული კლუბის ხელმძღვანელი თუ სოციალური მუშაკი, კარგად უნდა გრძნობდეს, რომ შემოთავაზებული დებატების სწავლების კონცეფცია ხელმძღვანელს და ჯგუფს ერთ შემოქმედებით გუნდად მოიაზრებს. მოდებატეთა ჯგუფის (კლუბის) ლიდერი უნდა იყოს დებატების ტექნიკის მცოდნე, საგანმანათლებლო უნარების მქონე ადამიანი და შეეძლოს შექმნას თანამშრომლობაზე დაფუძნებული, პოზიტიური გარემო. ყველა შეხვედრა უნდა იყოს თეორიულად წინასწარ მომზადებული, დაგეგმილი, დროში გათვლილი და მიზანმიმართული. უკუკავშირის მექანიზმების დახმარებით ჯგუფი თანდათანობით მიხვდება, რომ მას შეუძლია სიტუაციის მართვა, მიმდინარე სამუშაო პროცესის განკარგვა. ეს ჯგუფს მისცემს გარკვეულ მიმართულებას და სტილს, ხოლო რეგულარული კონსულტაციები ხელმძღვანელის მხრიდან დახმარება მონაწილეებს, კარგად გაიაზრონ შესრულებული სამუშაო და იგრძნონ თავისუფლება, როდესაც ღირებულ მოსაზრებებს მიაგნებენ.

წინამდებარე კურსის ფილოსოფია გამყარებულია რწმენით, რომ თითოეულ ინდივიდს აქვს მნიშვნელოვანი შინაგანი პოტენციალი. ადამიანი დაბადებულია შემოქმედების, კვლევის, ექსპერიმენტების ჩატარების, თამაშის და თამაშით სწავლის სურვილით; პაექრობის, შეჯიბრის მოთხოვნილებით. ჩვენი აღზრდა და განათლება ან ავითარებს და ამყარებს ამ სურვილებს, ან ახშობს მათ. ჩახშობის შემთხვევაში, მოზარდის ენერგია გამოვლინდება აპათიაში, ცინიზმა და სხვა ალტერნატიულ მიდრეკილებებში. ჯგუფის მართვის დამოკრატიული სტილი კეთილგანწყობის ნიადაგს შექმნის, ხოლო დებატების სწავლების სპეციფიკა ხელს შეუწყობს მოზარდებში ჩაბუდებული შემოქმედებითი ძალების პროვოცირებას და ცივილური კამათის საფუძვლების შესწავლას.

**ვის სახელს ატარებს საგანმანათლებლო ფორმალური დებატები და რა ტიპის დებატებს სწავლობენ მოზარდები?**

წარმოდგენილი კურსი საშუალებას იძლევა, მოზარდებმა საფუძლიანად შეისწავლონ „ფორმალური დებატების“ ორი ფორმატი. ჯგუფის ხელმძღვანელი თვითონ ირჩევს, თუ რომელი ფორმატით ასწავლოს თავის ჯგუფს. ფორმატის არჩევანი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა მიმართულებით სურთ მონაწილეებს დებატების ხელოვნების შესწავლა. შესაძლებელია დებატების მასწავლებელმა გადაწყვიტოს, რომ ორივე ფორმატის თანმიმდევრულად შესწავლა მეტ შედეგს გამოილებს და ჯგუფთან

შეხვედრები დაგეგმოს ორივე ფორმატის ათვისების მიმართულებით.

პირველი, „ლირებულებითი“ ფორმატი, გულისხმობს კამათს ლირებულებებზე. ამ ფორმატში საკამათო საკითხს აქვს დებულების სახე, რომელსაც შესაძლებელია ორი მხრიდან შევხედოთ.. დებულებას „ცხოველთა გამოყენება სამედიცინო ცდებისათვის არაჰუმანურია!“ აქვს ორი მხარე; რაც გულისხმობს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, რომ ნამდვილად არაჰუმანურია ცოცხალი არსებების წვალება, თუნდაც, ადამიანის ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ. მაგრამ ჩვენ ასევე შეგვიძლია შევეკამათოთ ამ აზრს და შევიმუშავოთ არგუმენტები, რომლებიც ადამიანის სიცოცხლეს უფრო ლირებულად ჩათვლის და სხვადასხვა სენით დაავადებული ადამიანების მოსარჩენად მეცნიერული ცდებისათვის ცხოველების გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევს. მსგავს რეზოლუციაზე დებატი არამარტო ლირებულებებზე კამათის ტექნიკას ასწავლის მოზარდებს, არამედ სპეციფიკური სამეცნიერო საკითხებისადმი ინტერესის გაჩენას და კვლევის უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

მეორე ფორმატი, „პოლიტიკური დებატები“, გულისხმობს საკამათო რეზოლუციას, სადაც არ ხდება იმის დასაბუთება, თუ რა არის ლირებული და რა – არა. ამ ფორმატში განხილვის საგანი იმთავითვე დადებით ლირებულებას მოიაზრებს. მაგალითად, ამგვარი საკამათო თემა: „მსოფლიომ უნდა აიცილოს ეკოლოგიური კატასტროფა“. აქ არ არის საკამათო რომ მსოფლიომ, გლობალურმა საზოგადოებამ, ყველა ქვეყანამ, ცალ-ცალკე ნამდვილად უნდა მოაგვაროს ეკოლოგიური საკითხები. აქ ჩნდება კითხვა – როგორ? რა გზით, რა ხერხით, რა გეგმით, რა პროექტით და რა სახსრებით. ასევე, ამ ფორმატში უმნიშვნელოვანესია ის, თუ როგორ არის გააზრებული პრობლემა. საიდან წარმოიშვა ის? რატომ არ იჭრება დღემდე? არსებობს თუ არა პრობლემის გადაჭრის სხვა პროექტები და თუ არსებობს, რა წინააღმდეგობებს ხვდება? „პოლიტიკური დებატების“ სახელწოდება გამომდინარეობს თამაშის სტრატეგიულად დაგეგმვის საჭიროებიდან. „ლირებულებითი დებატების“ ფორმატის წესები და სტრუქტურა მოწინააღმდეგებ გუნდებისათვის მხოლოდ ერთი დადგენილი სტრატეგიით თამაშს გულისხმობს, „პოლიტიკური დებატების“ წესები კი უფრო თავისუფალია. დაპირისპირებული გუნდები უშუალოდ თამაშის პროცესში, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ქმნიან თამაშის სტრატეგიას და ტაქტიკას, რაც ერთობლიობაში გუნდის თამაშის პოლიტიკას განსაზღვრავს.

გამოცდილებიდნ გამომდინარე, შესაძლებელია ამ ორი ფორმატის დამოუკიდებლად შესწავლა. თუმცა, ბევრი ექსპერტი ამჯობინებს, ჯერ „ლირებულებითი“ ფორმატი ასწავლის თავის მოსწავლეებს, შემდგომ კი „პოლიტიკური“. არსებობს მოსაზრება, რომ „ლირებულებითი“ დებატი უფრო მოსარგებია 12-დან 14 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის ჯგუფისათვის, ხოლო 14-დან 18 წლამდე მოზარდებთან უფრო საინტერესოა მუშაობა

„პოლიტიკურ“ ფორმატზე. ყველა გზა დასაშვებია და დამოკიდებულია დებატების კლუბის ხელმძღვანელის ინდივიდუალურ მოსაზრებებზე.

ეს ორი ფორმატი წარმოადგენს „ფორმალური დებატების“ საერთაშორისო სტანდარტს, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს დებატების ტურნირები მთელ მსოფლიოში. სწავლების მეთოდოლოგია კი მრავალწლიანი თეორიული კვლევის, დაკვირვების და მოზარდებთან პრაქტიკული მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა. ჩვენს წიგნში წარმოდგენილი სავარჯიშოები და თეორიული მასალა სრულიად ახალი და ორიგინალურია და ფორმალური დებატების ყველა ელემენტის თანაბრად შესწავლისათვის არის გამიზნული.

„ფორმალურ დებატებში“ პოზიციის დასაბუთების მთავარი იარაღი არგუმენტია, ხოლო მისი დაცვის ყველაზე ძლიერი მეთოდი – საკუთარი არგუმენტისათვის კონტრარგუმენტის მოძებნა. ამ დროს, ნათლად ჩანს არგუმენტის სუსტი მხარეები, ლოგიკურ მსჯელობაში დაშვებული შეცდომები და ფაქტების შეუსაბამობები. თქვენ წინაშე წარმოდგენილი „ფორმალური დებატების“ ორივე ფორმატი მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე, კრიტიკული რაციონალიზმის ბრწყინვალე წარმომადგენლის, ავსტრიელი ფილოსოფოსის **კარლ პოპერის (1902-1994)** სახელს ატარებს. მისი კვლევები მეცნიერული თეორიის ჭეშმარიტების ხარისხის დადგენის მიმართულებით მოიაზრებს არა თეორიის ჭეშმარიტების დადგენს, არამედ მისი მცდარობის აღმოჩენას. „ფორმალური დებატების“ ფილოსოფია ეპასუხება კარლ პოპერის მიერ შექმნილი სოციოლოგიური მეცნიერების მონაპოვრას, „ღია საზოგადოების“ ფილოსოფიას.

კარლ პოპერის სახელობის დებატების გარდა, საქართველოში განვითარებულია საპარლამენტო და საჯარო დებატები. სახელმძღვანელოს მიზანია, მკითხველი ამ ორ ფორმატსაც გაეცნოს. წიგნის ბოლო ორი თავი სწორედ მათ ეძღვნება. მართალია ამ ნაწილს არ ექნება საგაკვეთილო სახე, მაგრამ მოწოდებული მასალები და სტილი დაეხმარება სწავლებაში და ამ სწავლების საფუძველზე ჩატარდება, როგორც „პრიტანული პარლამენტის“ ფორმატის დებატები, ასევე „საჯარო“ ფორმატის დებატებიც.

დასასრულისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ კურსი ითვალისწინებს გუნდური მუშაობის პრინციპებს, სადაც აუდიტორიის იდეალური რაოდენობა არის 15. თუმცა პრაქტიკაში აპრობირებულია 12 - 20 წევრიანი ჯგუფები.

## სახელმძღვანელოს სტრუქტურა

არსებული კურსის თეორია გამოყვანილია პრაქტიკიდან. თითოეულ მეცადინეობას ექნება თავისი მიზანი. ყოველი გაკვეთილი თანმიმდევრულად ეძღვნება „ფორმალური დებატების“ შესწავლის გარკვეულ ეტაპს,

საფეხურს. ყველა საფეხური ერთობლიობაში კი აღჭურვავს მოსწავლეებს იმ კონკრეტული უნარებით, რაც აუცილებელია წარმატებული მოდებატი-სათვის.

დებატების შესწავლის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია აუდიტორიამ გაიგოს:

- რატომ სწავლობს დებატების თამაშს;
- რა უნარების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს დებატების სწავლა;
- როგორია თამაშის სტრუქტურა;
- რა სამი ძირითადი პრინციპი ახასიათებს დებატებს;
- რატომ ქვია ფორმალურ დებატებს „საგანმანათლებლო“;
- რა არის დებატების ძირითადი იარაღი.

ამ საკითხებს დაეთმობა პირველი სამი შეხვედრა.

მოსამზადებელი შეხვედრების შემდეგ, როდესაც ჯგუფი უკვე ჩამოყალიბებული იქნება, თქვენ შეძლებთ დაიწყოთ უშუალოდ დებატების ტექნიკის შესწავლა. აუდიტორიას უკვე ექნება მზაობა ნაბიჯ-ნაბიჯ აითვისოს თქვენ მიერ შემოთავაზებული ყველა ხერხი და მეთოდი.

სახელმძღვანელოში დებატების ორივე ფორმატის შესწავლას დაეთმობა 26 გაკვეთილი.

ყველა გაკვეთილი წარიმართება დროში გათვლილი მკაფიო გეგმით. გაკვეთილის სტრუქტურა ითვალისწინებს:

1. თეორიულ ნაწილს მასწავლებლისათვის;
2. ინტერაქტიული სავარჯიშოს მსვლელობის მეთოდურ მითითებას;
3. მოსწავლეთათვის საგანგებოდ შერჩეულ საკვლევ მასალებს;
4. სავარჯიშოს განხილვისათვის საჭირო თეორიულ მითითებას.

ძირითადი თემების გარდა, სახელმძღვანელოში განხილულია მსაჯობის კრიტერიუმები, მსაჯის ეთიკა, თამაშის შეფასების ტექნიკა და რეკომენდაციები, რომლებიც დამწყებ მსაჯებს თამაშის განხილვის, შეფასების და კომენტარების გაკეთების დროს გამოადგებათ.

სახელმძღვანელოს პირველი სამი თავი წარმოადგენს ფორმალური დებატების სწავლების შესავალს. პირველ სამ შეხვედრაზე მწვრთნელი აუდიტორიას აუხსნის, თუ რატომ უნდა ისწავლოს დებატები; რა არის ფორმალური დებატების ძირითადი პრინციპები და შემადგენელი ელემენტები. ჩატარდება რამდენიმე სავარჯიშო.

## პირველი შეხვედრა

ხანგრძლივობა – 60 წუთი

### რატომ უნდა ისწავლონ მოზარდებმა დებატების თამაში?

კამათი ადამიანების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სიტყვა „დებატიც“ ხომ საკითხის გარჩევასა და მოსაზრებების გაცვლას ნიშნავს. სამსახურში, ოჯახში, მეგობრების წრეში ჩვენ მუდმივად გამოვთქვამთ საკუთარ მოსაზრებებს ჩვენ ირგვლივ მყოფ ადამიანებთან. აზრის გამოთქმას მოსდევს კითხვები, დაზუსტებები, ინფორმაციის გაცვლა, ფაქტების მოშველიება და ლოგიკური დასაბუთება. ჩვენი მოსაზრებები ირგვლივ მყოფთათვის შეიძლება იყოს სავსებით მისაღები, გაღვივდეს ინტერესი მათ მიმართ. მაგრამ შეიძლება ჩვენ ირგვლივ მყოფთ ჰქონდეთ განსხვავებული აზრიც და მათ ოპონირება გაგვიწიონ. არაფორმალურ დებატებში წინასწარ ვერასადროს განვჭვრეტთ, როგორ მოხდება პოზიციების განაწილება, ან რამდენად მყარი იქნება ეს პოზიციები. არაფორმალურ დებატებში ხშირად ხდება, რომ „მოწინააღმდეგები“ თავიდან ვერც კი ხვდებიან, რომ ერთსა და იმავე იდეას ემსრობიან. არაფორმალური მსჯელობა შეიძლება საინტერესოდ განვითარდეს და საინტერესო დასკვნებამდეც მივიდეს. ამავე დროს, ეს გაცხარებული დაპირისპირება შესაძლებელია მოულოდნელად ჩაცხრეს. დაიკარგოს ინტერესი საკითხის მიმართ, მოხდეს თემიდან გადახვევა და სპონტანურად წამოიჭრას სრულიად სხვა, არანაკლებ საინტერესო თემები. არაფორმალური დებატებისათვის დამახასიათებელია ძალთა არათანაბარი გადანაწილება, როდესაც ერთ „მხარეს“ აღმოჩნდება ორი, სამი ან მეტი „მოთამაშე“, მეორე „მხარეს“ კი – მხოლოდ ერთი. არაფორმალური კამათისას, ხშირად მოდებატებებს უერთდებიან ახალი მონაწილეები, რომლებმაც არც კი იციან დეტალურად, თუ რა საკითხის განხილვა მიმდინარეობს და კამათმა შეიცვალოს მიმართულება, დინამიკა. შესაძლებელია, ასეთი კამათი გაგრძელდეს დროში, თუკი შემომატებული „მონაწილე“ აღმოჩნდება საკითხის ექსპერტი და დებატი ლექციურ სახეს მიიღებს. არაფორმალური კამათის დროს ადამიანები უკეთ იცნობენ ერთმანეთს, ატარებენ დროს, აკეთებენ გარკვეულ დასკვნებს საკუთარი თავისითვის, ინტერესდებიან თემით. ინტერესი მომავალში საკითხის უფრო ღრმად შესწავლას ჩაუყარის საფუძველს, მაგრამ სადებატო უნარების შესაძენად და დასახვენად იგი ნამდვილად ნაკლებად გამოსადევია.

„ფორმალური დებატები“ კი – ხელშესახები ინსტრუმენტია, რომელიც ტექნიკურად და ოსტატურად აყალიბებს ახალგაზრდა ადამიანის ინტელექტუალურ და პიროვნულ უნარებს.

ამ საკითხებზე საუბარი მიზანშეწონილია კურსის დასაწყისში, პირველივე შეხვედრაზე, როდესაც სამუშაო ჯგუფი ჩამოყალიბების პროცესშია

და მონაწილეებმა ნათლად უნდა შეიგრძნონ დებატების ხელოვნების დაუფლების უპირატესობები. კურსის წამყვანს შეუძლია განიხილოს ჯგუფთან არაფორმალური კამათი, შემდგომ კი მოუყვეს ჯგუფის წევრებს ფორმალური დებატების პრინციპები. მოკლედ აუხსნას თამაშის წესები და შეჯიბრისათვის მზადების ეტაპები. მას შეუძლია, ჩაატაროს პირველი სავარჯიშო – „გონებრივი იერიში“, რომლის დროსაც დაფაზე დაწერს კითხვას: „რას ვისნავლით, რა უნარებს შევიძენთ ფორმალური დებატების შესწავლის დროს?“ 5 წუთის განმავლობაში ჯგუფის მონაწილეები თითო სიტყვით ასახელებენ იმ უნარებს, რაც, მათი აზრით, დებატების შესწავლის პროცესში მუშავდება. საკვირველია, ეს უმარტივესი საგარჯიშო როგორ ეფექტურად განსაზღვრავს ფორმალური დებატების სწავლების ყველა მიზანს და უპირატესობებს. ჯგუფის მონაწილეები თვითონვე ამბობენ ხელმძღვანელის სათქმელს, თვითონვე მიდიან სწორ დასკვნებამდე. დაფაზე ქაოტურად ჩნდება ცალკეული სიტყვები – „კრიტიკული აზროვნების უნარი“, „არგუმენტების ჩამოყალიბების უნარი“, „კვლევის უნარ-ჩვევები“, „ლოგიკური მსჯელობის უნარების დახვენა“, „სწრაფი აზროვნების უნარი“, „შემოქმედებითობის განვითარება“, „განათლების მიღების სურვილი“, „გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი“, „ორატორული უნარები“, „თავდაჯერებულობა“, „საზოგადოების წინაშე წარდგომის უნარი“, „საკუთარი აზრების გამოთქმის სითამამე“, „ოპონირების უნარი“, „დროის მენეჯმენტი“, „მოსმენის უნარი“, „კითხვის დასმის ტექნიკა“, „გუნდური მუშაობა“, „ორგანიზებულობა“, „ლიდერობა“ . . . ჩამონათვალი სხვადასხვა ჯგუფში, ასაკის, პროფესიის მიუხედავად, თითქმის იდენტურია. სავარჯიშო ახალისებს მონაწილეებს. 5 წუთის შემდეგ, ყველამ უკვე თითქმის ზუსტად იცის ჯგუფში მისი მეცადინეობის მიზანი. წამყვანი მადლობას გადაუხდის მონაწილეებს და დაადასტურებს, რომ ფორმალური დებატების შესწავლა და შემდგომ უშუალოდ დებატების პროცესი ნამდვილად ყველა ზემოთ აღნიშნული უნარის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

წამყვანს შეუძლია წინასწარ დიდი ზომის ფურცელზე ჩამოწეროს ის ძირითადი უნარ-ჩვევები, რომელებსაც ავითარებს დებატები. სავარჯიშოს შესრულების შემდეგ კი ეს ჩამონათვალი აჩვენოს აუდიტორიას.

**დებატები ავითარებს:**

- ლოგიკურ და კრიტიკულ აზროვნებას;
- იდეების ორგანიზებული სახით ჩამოყალიბებას;
- ზეპირი მეტყველების უნარს;
- ემპათიას და შემწყნარებლობას სხვადასხვა შეხედულების მიმართ;
- საკუთარი თავის რწმენას;
- გუნდური მუშაობის უნარს;
- პრობლემის არსზე კონცენტრირების უნარს;
- საჯარო გამოსვლის სტილის შემუშავების უნარ-ჩვევას;

დასკვნის სახით, დებატების ტრენერი იტყვის, რომ ყველა ეს უნარი, რომელიც მან წარმოადგინა აუდიტორიის წინაშე და თვით აუდიტორიის მიერ დაფიქსირებული უნარები ერთობლიობაში ეფექტური ურთიერთობისთვის არის აუცილებელი.

ჯგუფთან პირველ შეხვედრაზე დადებითი ეფექტი აქვს საუბარს თემაზე: „რა პროფესიის ადამიანებს სჭირდებათ დებატების ხელოვნებაში განაფულობა?“. აქაც ეფექტურია 3 წუთიანი გონებრივი იერიშის ჩატარება. დაფაზე გაჩნდება ჩამონათვალი – „ადვოკატი“, „პროკურორი“, „პოლიტიკოსი“, „პარლამენტარი“, „მეცნიერი“, „ფსიქოლოგი“, „სკოლის მასწავლებელი“, „ლექტორი“, „ურნალისტი“, „ტელეშოუს წამყვანი“, „პიზნესმენი“, „ექიმი“, „მაღაზიის კონსულტანტი“ . . . ეს სიაც დიდი იქნება, როგორც პირველი სავარჯიშოს შესრულებისას მიღებული ჩამონათვალი. წამყვანმა უნდა მისცეს საშუალება ჯგუფის წევრებს, გააკეთონ მოკლე კომენტარი ორივე სავარჯიშოსთან მიმართებაში. საბოლოოდ, წამყვანი აჯამებს შეხვედრას და აღნიშნავს, რომ ორივე სავარჯიშოს შედეგად და მონაწილეების კომენტარებზე დაყრდნობით, მივდივართ დასკვნამდე, რომ დებატების ხელოვნება თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნაა და პროფესიული წარმატების მიღწევაში მას მნიშვნელოვანი როლი აკისრია.

მომავალი მოდებატების ჯგუფთან პირველი შეხვედრისათვის ეს ორი სავარჯიშო სრულიად საქმარისი იქნება. მათ ზუსტად ეცოდინებათ, რას შეისწავლიან მომავალ შეხვედრებზე, რა მიზანი ექნება მათ მეცადინეობებს, თქვენ კი გეცოდინებათ მათი მოლოდინები.

## მეორე შეხვედრა

### ხანგრძლივობა – 60 წუთი

#### დებატების სამი ძირითადი პრინციპი

მეორე შეხვედრაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, ახლად ჩამოყალიბებული ჯგუფის წევრებმა გაიგონ, რომ დებატების თამაში, გარდა საგანმანათლებლო მნიშვნელობისა, ღირსეული მოქალაქის აღზრდასაც ემსახურება. დებატების ტრენერმა უნდა აუხსნას მომავალ მოდებატებს, რომ კარგი დებატი არის არა მოგებაზე ორიენტირებული, არამედ სამართლიანი და კორექტული თამაში. დებატების სწავლება და, შესაბამისად, შედეგების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ დებატების სამი ძირითადი პრინციპის დაცვით.

1. **ურთიერთპატივისცემა** – დებატების მიმდინარებისას ჩვენ ვახდენთ თავდასხმას მხოლოდ ოპონენტების არგუმენტებზე და არა თვით ოპონენტებზე. დებატები არ ეხება მონაწილეთა პიროვნებებს, ეხება მათ იდეებს. იდეების შეჯახებაში მთავარი იარაღი არის დასაბუთებული არგუმენტები. ამიტომ კამათის დროს ნუ დავივინებთ ურთიერთ-

პატივისცემას. ჩვენი ოპონენტები მხოლოდ ერთი საათით არიან ჩვენი მოწინააღმდეგები. დებატების ტრენერმა უნდა აუხსნას თავის მსმენელებს, რომ „ფორმალური დებატების“ ერთ-ერთი მიზანი ადამიანთა შორის კეთილგანწყობილი და მეგობრული ურთიერთობის წახალისებაა. ავუხსნათ მოზარდებს, რომ დებატის დროს ძალიან სასიამოვნოა, როდესაც მოწინააღმდეგები ერთმანეთისადმი პატივისცემას გამოხატავენ, დებატები არ წარიმართება პიროვნებების გარშემო. აქ მთავარია ის, თუ როგორ უპირისპირდებიან ერთმანეთს იდეები. ამიტომ ჩვენ არასდროს უნდა დავამციროთ, უხეშად არ უნდა მოვექცეთ ოპონენტებს. შეტევა იმ პიროვნებაზე, რომელიც საპირისპირო იდეებს წამოაყენებს, ულამაზო და უსარგებლოა, ეს მხოლოდ ყურადღების გაფანტვას გამოიწვევს. მსაჯები ასეთ გამოსვლებს უარყოფითად აფასებენ. მოთამაშემ კი მთელი ყურადღება მსაჯის დარწმუნებაზე უნდა გადაიტანოს და არა მოწინააღმდეგის გადარწმუნებაზე.

2. **პატიოსნება** – თუ მივიღებთ პირველ პრინციპს, მეორის მიღება არ გაგვიჭირდება. თუ დავარწმუნებთ ჩვენს მოსწავლეებს, რომ დებატებში განათლების მიღება და უნარების დახვენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოგება, მათ არ ექნებათ მოტივი, მოიტყუონ არგუმენტების შექმნის პროცესში. დებატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია ოპონენტების ურთიერთნდობა. ნამდვილი მოდებატე ყოველთვის პატიოსანია, ვინაიდან მისთვის ცოდნის შეძენა და უნარ-ჩვევების გამომუშავება გამარჯვებაზე მნიშვნელოვანია. პატიოსნება დებატების დერძია. როდესაც დებატის დროს ამა თუ იმ საჭიროოროტო თემაზე ვსაუბრობთ, ჩვენ ხომ, უპირველეს ყოვლისა, სიმართლის პოვნა გვსურს?!

მოდებატები პატიოსნები უნდა იყვნენ დამამტკიცებელი მასალების გამოყენებაში, მაგალითების, სტატისტიკური მონაცემების წარდგენასა თუ ჯვარედინი დაკითხვის დროს. მოდებატემ უმჯობესია უმთავრეს კითხვაზე უპასუხოს „არ ვიცი“, ამის გამო თამაში წააგოს, შემდგომ კი თემის კვლევას უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს, ვიდრე უპატიოსნოდ გამოვიდეს მისთვის არასასურველი მდგომარეობიდან.

## 1. დებატები სწავლისთვის

მესამე პრინციპი „საგანმანათლებლო დებატების“ საფუძველს წარმოადგენს. გავახსენოთ ჩვენს მომავალ მოდებატეებს, რომ სიტყვის ძალას ჩვენს საზოგადოებაში ხანდახან არასათანადო მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენი უნარი, კარგად ჩამოვაყალიბოთ აზრი, აღიქმება, როგორც თავისთავადი. ითვლება, რომ თუ ადამიანს აქვს სიტყვების მდიდარი მარაგი და გრამატიკის ცოდნა, მას ავტომატურად შეუძლია თქვას კარგი გამოსასვლელი სიტყვა.

სკოლის პროგრამები, როგორც წესი, არ ითვალისწინებს ზეპირი მეტყველების შეგნებულ სწავლებას. ამიტომ მოზარდებისათვის საჯარო გამოსვლები, განსაკუთრებით კი – საჯარო დისკუსიები, სტრესს უზოლდება. ზოგი მათგანი არ იცავს საკუთარ აზრს და გაჩუმებას ამჯობინებს, ზოგი კი, პირიქით, ოპონენტის მოსაზრებების მიმართ უპატივცემულობას გამოხატავს.

დებატების საგანმანათლებლო ტექნოლოგიის გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს უწყობს სწავლის მდგრად მოტივაციას, ვინაიდან სასწავლო მასალები იძენს განსაკუთრებულ შინაარსს. შეჯიბრის ფაქტორი კი ამ მასალების შემოქმედებითი კვლევის და სიღრმისეული შესწავლის მასტიმულირებელია. „დებატები“ სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების მთელი კომპლექსის ეფექტურად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

დებატების სამ ძირითად პრინციპზე საუბარი დაახლოვებით 10 წუთს უნდა გაგრძელდეს, თუმცა, ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილება დებატების მწვრთნელს შესაძლებელია ხშირად დასჭირდეს, სანამ მოდებატები არ გაითავისებენ მათ.

**მეორე შეხვედრა** ხალისიანი და საინტერესო რომ გამოვიდეს, გავააქტიუროთ აუდიტორია, შევთავაზოთ სავარჯიშო, რომელიც დებატების ელემენტებსაც შეიცავს და, ამავე დროს, პატიოსნებისა და ურთიერთპატივის-ცემის პრინციპებზე იქნება ორიენტირებული.

დებატების მწვრთნელმა სასურველია, მოამზადოს მოკლე ტექსტი, პატ-არა ისტორია, რომელსაც წაუკითხავს აუდიტორიას. კითხვის პარალელურად აუცილებელია დაფაზე ისტორიის სქემატური ჩანახატის შესრულება. ისტორიაში უნდა იყოს 5-6 პერსონაჟი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან დადებული ხელშეკრულებით, ფიცით. ისტორიის სიუჟეტში უნდა განვითარდეს კონფლიქტი, რომლის დროსაც ირღვევა პირობები, იყვეთება პერსონაჟების ინტერესები, ჩნდება დილემა, იწყება მოლაპარაკებები. პერსონაჟებს კი აუცილებლად უწევთ ორი არასასურველი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევა. ისტორიის ბოლოს მონაწილეებს უნდა გაუჩნდეთ სურვილი, შეაფასონ პერსონაჟების ქმედებები, დაიცვან ან ამხილონ ისტორიის გმირები. დაფაზე ჩახატული ისტორია, მოკლე წარწერებისა და კონტურული გამოსახულებების დახმარებით, სიუჟეტის და პერსონაჟების მკაფიოდ აღქმას შეუწყობს ხელს.

მაგალითისათვის, შემოგთავაზებთ ერთ-ერთ ასეთ ისტორიას და სავარჯიშოს მსვლელობას.

### **სავარჯიშოს ხანგრძლივობა: 40 წუთი**

**სავარჯიშოს მიზნები:** გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვა, არგუმენტის ჩამოყალიბება, კონტრარგუმენტების შემუშავება, პოზიციის დაცვა.

სავარჯიშოს მიმდინარეობა 5 ეტაპად იყოფა

პირველი ეტაპი – წამყვანი კითხულობს მოკლე ისტორიას და დაფაზე სქემატურად ხატავს მას (5 წუთი).

## ერთი ლედის ისტორია

კუნძულზე, დიდებულ ციხე-კოშკში ცხოვრობდა ერთი ლედი. მისი მეუღლე ხშირად ტოვებდა კუნძულს და წასვლისას ყოველ ჯერზე უბარებდა თავის ცოლს: „ციხე-კოშკი დამელოდე, არსად წახვიდე! იცოდე, თუ გავიგებ, რომ კუნძული დატოვე, მკაცრად დაგსჯი!“ ასე გადიოდა წლები. ერთ დღეს, როდესაც ქმარი სახლში არ იყო, ლედის მობეზრდა ციხე-კოშკში ყოფნა, დაიქირავა ნავი და ქალაქში წავიდა თავის მეგობრებთან გასართობად. სალამოს კი უკან დასაბრუნებლად ისევ მენავეს მიაკითხა. მენავემ ლედის ორჯერ მეტი გასამრჯელო მოსთხოვა. ლედის არ ჰქონდა ეს თანხა. იგი მეგობრებთან წავიდა ფულის სათხოვნელად, მეგობრებმა უარი უთხრეს „ჩვენ შენთან მხოლოდ ვერთობოდით, ფულის გადახდას კი შენი პრობლემების მოსაგვარებლად არ ვაპირებთ.“ ლედი ისევ მენავესთან წავიდა და ხვენა დაუწყო: „ქმარი მკაცრად დამსჯის, თუ ახლავე არ დავბრუნდები სახლში.“ „მაშინ შენ თვითონ გაცურე. კუნძული ახლოსაა, არ გაგიჭირდება“, – უპასუხა მენავემ. ლედიმ იცოდა, რომ წყალში საშინელი ურჩეული ცხოვრობდა, მაგრამ სასოწარკვეთილი იყო და წყალში გადაეშვა. ურჩეულმა მალე იპოვა ლედი და გადაყლაპა.

მეორე ეტაპზე წამყვანი ჩამონერს დაფაზე ამ ფანტასტიკური ისტორიის პერსონაჟებს: 1. ლედი; 2. ლედის ქმარი; 3. მენავე; 4. მეგობრები; 5 ურჩეული. ასევე, დაწერს დაფაზე კითხვას – ვინ არის დამნაშავე ლედის სიკვდილში?

აუდიტორია იყოფა 5 ჯგუფად. ყოველ ჯგუფს დაევალება, ერთობლივ შეიმუშავონ რამდენიმე არგუმენტი თავისი პერსონაჟის დასაცავად. პერსონაჟები ჯგუფებს კენჭისყრის პრინციპით შეხვდება (მოსაფიქრებელი დრო 5 წუთი).

მესამე ეტაპზე, 7 წუთის განმავლობაში, სიტყვით გამოვა იმ გუნდის წარმომადგენელი, რომელიც იცავს ლედის პოზიციას. დანარჩენ ოთხ გუნდს ევალება, ზედმიწევნით ჩაინერონ გამომსვლელის არგუმენტები. (ჩანაწერის გაკეთება ძალიან მნიშვნელოვანია).

მეოთხე ეტაპზე გუნდებს, რომლებიც იცავენ ქმრის, მენავის, მეგობრების და ურჩეულის პოზიციას, მიეცემათ მოსაფიქრებლად 3 წუთი, რათა მათ შეძლონ განიხილონ ჩანაწერის მიხედვით ლედის არგუმენტები და საკუთარი პოზიციის გასამყარებლად შიმუშავონ დამატებითი კონტრარგუმენტები.

მესუთე ეტაპზე, ლედის მონინააღმდეგე გუნდებიდან თითოეული წარმომადგენელი 5 წუთიანი მოხსენებით წარადგენს თავისი პოზიციის დამცველ რამდენიმე არგუმენტს და გააბათილებს კონტრარგუმენტით ლედის პოზიციას.

მექანიზმების გადატების მნიშვნელოვანია რამდენიმე კომენტარებს თითოეულ გამოსვლასთან დაკავშირებით და შეაჯამებს თამაშს. მნიშვნელოვანი სავარჯიშოს მსვლელობის განმავლობაში დაფაზე აკეთებს ჩანაწერებს, რომლებსაც თვალსაჩინოდ გამოიყენებს კომენტარების დროს (სქემა 1).

ამ თამაშის მსვლელობისას მნიშვნელოვანია რამდენიმე საკითხი. უმთავრესია, რომ მონაწილეები იყვნენ ორგანიზებულები. მნიშვნელოვანია მკაცრად უნდა გააკონტროლოს მოსაფიქრებელი დროის და სიტყვით გამოსვლის რეგლამენტი. ეს არის მომავალი მოდებატეებისათვის პირველი სავარჯიშო. ამ სავარჯიშოს შესრულებისას გამომუშავებული სტილი საფუძველს უყრის მომდევნო მეცადინეობების სტილს. მოდებატეებმა უნდა გაითავისონ, რომ გაკვეთილი მკაცრი გეგმით და დროის რაციონალური გამოიყენებით უნდა მიმდინარეობდეს. არ შეიძლება თემიდან გადახვევა, სავარჯიშოს მსვლელობაში საკუთარი წესების შემოღება და ა.შ.

ამ პირველი სავარჯიშოს შესრულებისას, მნიშვნელოვანია იმ სიმძაფრის შეგრძნების გაჩენა, რომელიც თან სდევს კარგ დებატს. მნიშვნელოვანია სულ უნდა შეახსენოს მოდებატეებს დებატების ძირითადი პრინციპები – პატიოსნება და ურთიერთპატივისცემა. სავარჯიშო დინამიკურად და, ამავე დროს, მკაფიოდ უნდა შესრულდეს. მნიშვნელოვანია არ უნდა გაუშვას მართვის „სადავეები“. მოდებატეებმა თავი უნდა იგრძნონ თავისუფლად და ემორჩილებოდნენ მნიშვნელოვანი მითითებებს.

მნიშვნელოვანია ამ სავარჯიშოს კომენტარებში უნდა აღნიშნოს, მკაფიოდ იყო თუ არა გამოყოფილი არგუმენტები ერთმანეთისაგან. სხვადასხვა არგუმენტში ხომ არ მეორდებოდა აზრი. ლოგიკურად იყო არგუმენტები დასაბუთებული, პასუხობდა თუ არა კონტრარგუმენტი არგუმენტს, დარჩათ თუ არა გაუბათილებელი მოწინააღმდეგებებს ერთმანეთის არგუმენტები, შეესაბამებოდა თუ არა მოყვანილი მაგალითები არგუმენტებს. ამ საკითხების განსახილველად დებატების მნიშვნელოვანია 10 წუთის გამოყოფა დასჭირდება.

კომენტირებისას აუცილებელია აღნიშნოს მოთამაშეების დადებითი მხარეები. მნიშვნელოვანი ნახალისება და შექება სტიმულს მისცემს მოდებატეებს და მომავალი შეხვედრები უფრო სასიამოვნო ატმოსფერიში ჩაივლის. დებატების მნიშვნელო მუდამ პოზიტიურ შეფასებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. თუ ახალბედა მოდებატეს უჭირს აზრის ჩამოყალიბება, ბრკოლდება სიტყვით გამოსვლის დროს, მნიშვნელოვანია უნდა აუხსნას, რომ ეს არის პირველი ნაბიჯები, რამოდენიმე შეხვედრის შემდეგ თანდათანობით საჭირო უნარები აუცილებლად გამომუშავდება. სწორი და თანმიმდევრული მუშაობა გამოიღებს შედეგს და მოზარდები გაიწაფებიან დებატების ტექნიკაში (დებატების მნიშვნელოს შეუძლია მოუყვეს მოზარდებს რამდენიმე რეალური ისტორია თავისი ყოფილი მოსწავლეების შესახებ, თუ როგორ დაძლიერ მათ ეს პრობლემები და როგორ გახდნენ წარმატებული მოდებატეები).

სქემა 1.

უარმყოფელი პოზიცია

მტკიცებითი პოზიცია	2. გუნდი	3. გუნდი	4. გუნდი	5. გუნდი
ქმარი	მენავე	მეგობრები	ურჩხული	
ლედი 7 წუთი	რატომ არ თვლის ლედი თავს დამნაშავედ თავისივე სიკვდილში? ვის და რატომ ადანაშაულებს ლედი?	5 წუთი	5 წუთი	5 წუთი
ლედი ადანაშაულებს ქმარს	1..არგუმენტი	ქმარი თავის დასაცავად წარადგენს		
	2.არგუმენტი	არგუმენტებს და უპირისპირდება ლედის პოზიციას.		
	3.არგუმენტი			
ლედი ადანაშაულებს მენავეს	1.არგუმენტი		მენავე თავის დასაცავად წარადგენს	
	2.არგუმენტი		არგუმენტებს და უპირისპირდება ლედის პოზიციას.	
	3.არგუმენტი			
ლედი ადანაშაულებს მეგობრებს	1.არგუმენტი			მეგობრები თავის დასაცავად წარადგენენ არგუმენტებს და უპირისპირდებიან ლედის პოზიციას.
	2.არგუმენტი			
	3.არგუმენტი			
ლედი ადანაშაულებს ურჩხულს	1.არგუმენტი			ურჩხული თავის დასაცავად წარადგენს არგუმენტებს და უპირისპირდება ლედის პოზიციას.
	2.არგუმენტი			
	3.არგუმენტი			

მოცემულ სქემაზე მკაფიოდ ჩანს სავარჯიშოს სტრუქტურა, გამოსვ-ლების თანმიმდევრობა და ხანგრძლივობა. მსგავსი სქემები გვეხმარება, ნათლად დავინახოთ მონინააღმდეგეთა არგუმენტების ძლიერი და სუსტი მხარეები და გავაკეთოთ თვალსაჩინო და სწორი კომენტარი.

## **მესამე შეხვედრა**

ხანგრძლივობა 90 წუთი

### **დებატების თამაშის წესები და სტრუქტურა**

მესამე შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია მთელი მომდევნო სასწავლო პროცესისათვის. სამი შეხვედრის განმავლობაში ძირითადად ყალიბდება ის სამუშაო ჯგუფი, რომელიც სტაბილურად მიიღებს მონაწილეობას მომდევნო შეხვედრებში, თუ დებატების სწავლებას მოზარდთა მხრიდან ნებაყოფლობითი ხასიათი აქვს და ისინი თვითონ წყვეტენ, გახდნენ თუ არა დებატების კლუბის წევრები. მესამე შეხვედრაზე დეტალურად უნდა გავაცნოთ მათ „ფორმალური დებატების“ თამაშის წესები და სტრუქტურა. თამაშის წესების ათვისება მოზარდთა მხრიდან უფრო მძაფრსა და საინტერესოს გახდის მათ დამოკიდებულებას დებატების მიმართ. ისინი მკაფიოდ შეიგრძნობენ შეჯიბრის ელემენტებს და თამაშის დინამიკას.

დებატების მწვრთნელმა წინასწარ უნდა მოამზადოს ცალკეულ ფურცლებზე თამაშის განრიგი და დაურიგოს ჯგუფის ყველა მონაწილეს. მწვრთნელი ხატავს განრიგს დაფაზე. წესების ახსნა უნდა მოხდეს მოკლედ. ყველა კითხვას მონაწილეების მხრიდან უნდა გაეცეს მკაფიო პასუხი. ფორმალური დებატების თამაშის განრიგი ერთნაირია, როგორც „ლირებულებითი დებატების“, ასევე „პოლიტიკური დებატების“ ფორმატისათვის.

**თამაშში მონაწილეობს ორი გუნდი – მტკიცებითი და უარმყოფელი.**

მტკიცებითი გუნდი ამტკიცებს საკამათო თემას, უარმყოფელი კი უპირისპირდება მტკიცებითი გუნდის პოზიციას, ეჭვი შეაქვს მის სისწორეში, აბათილებს არგუმენტებს და მოჰყავს საკუთარი მოსაზრებები. თითოეულ გუნდში სამ-სამი მონაწილეა. ისინი რიგრიგობით გამოდიან მოხსენებებით. გამოსვლების თანმიმდევრობა და დროის რეგლამენტი მკაცრად არის განსაზღვრული. გუნდებს თამაშის მსვლელობისას საშუალება აქვთ, დაუსვან ერთმანეთს კითხვები. ორივე გუნდს მოხსენებებს შორის შეუძლია აიღოს მოსაფიქრებელი დრო. თამაშს განსჯის დებატების მსაჯი, რომელიც მკაფიოდ ჩამოყალიბებული კრიტიკიუმებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ქულობრივი შეფასებით ხელმძღვანელობს.

**პირველი ეტაპი** – თამაშს იწყებს მტკიცებითი მხარე (N1). პირველი მომხსენებელი თავის წარდგენისა და მისალმების შემდეგ, აუდიტორიას შეახსენებს საკამათო თემას – რეზოლუციას და წარადგენს მტკიცებით პოზიციას. მას სასაუბროდ ეძლევა 6 წუთი. ამ დროის ამონურვის შემდეგ იწყება ჯვარედინი დაკითხვა. უარმყოფელი გუნდის მესამე მოთამაშე კითხვებს უსვამს მტკიცებითი გუნდის პირველ მომხსენებელს. კითხვა-პასუხი-

სათვის გამოყოფილია 3 ნუთი (N2). ჯვარედინი დაკითხვის შემდეგ, თამაშში შემოდის უარმყოფელი გუნდის პირველი მომხსენებელი. თავის 6 ნუთიან გამოსვლაში იგი უპირისპირდება მტკიცებითი გუნდის პოზიციას და წარადგენს თავის პოზიციას (N3). ამ გამოსვლას კვლავ მოჰყვება ჯვარედინი დაკითხვა – მტკიცებითი გუნდის მესამე მოთამაშე კითხვებს უსვამს პირველ უარმყოფელს (N4).

**მეორე ეტაპი** – გამოსვლების მეორე ეტაპს, იწყებს მტკიცებითი გუნდის მეორე მომხსენებელი (N5). 5 ნუთის განმავლობაში იგი აღადგენს თავის პოზიციას და, ამავე დროს, უარმყოს მონინააღმდეგის არგუმენტებს. ამისთვის მან უნდა მოიშველიოს დამამტკიცებელი მასალები და სტატისტიკური მონაცემები. ამ გამოსვლის შემდეგ 3 – ნუთიანი ჯვარედინი დაკითხვის დროს უარმყოფელი გუნდის პირველი მოთამაშე მეორე მტკიცებითს უსვამს კითხვებს (N6). ამას მოჰყვება მეორე უარმყოფელი მომხსენებლის 5 ნუთიანი გამოსვლა (N7). იგი კვლავ უარმყოს მონინააღმდეგის პოზიციას და აღადგენს თავისას. მისი მოვალეობაა, უფრო ზედმინევნით განიხილოს მეორე მტკიცებითი მომხსენებლის გამოსვლა და კონკრეტულად მის მოსაზრებებსა და ფაქტებზე ააგოს თავისი კონტრარგუმენტები. რასაც მოჰყვება მტკიცებითი გუნდის მესამე მომხსენებლის მიერ დასმული კითხვები(N8).

**მესამე ეტაპი** – მესამე, დამამთავრებელი ეტაპი შედგება ორი გამოსვლისაგან (N9,10). ორივე გუნდის მესამე მომხსენებლის მოვალეობაა 5 ნუთიანი გამოსასვლელი სიტყვა მიუძღვნას მთელი თამაშის შეჯამებას. ამ მოდებატებებმა უნდა დაანახონ მსაჯს თამაშის მსვლელობისას, რომელ არგუმენტსა და მოსაზრებაზე გამახვილდა ყურადღება, რა აზრები დაეჯახა ერთმანეთს და ვის მხარეს იყო უპირატესობა. მესამე მომხსენებლები განიხილავენ ჯვარედინ დაკითხვებსა და მათ შედეგებს. ცხადია, რომ მომხსენებლები ცდილობენ დაასაბუთონ თავიანთი გუნდის გამარჯვება.

**გადაწყვეტილება** – მსაჯობა „ფორმალურ დებატებში“ საპასუხისმგებლოა. მსაჯმა უნდა შეძლოს მთელი თამაშის ჩანაწერის გაკეთება. წარმოუდგენელია სწორი გადაწყვეტილების მიღება მსაჯებისათვის საგანგებოდ შემუშავებული ჩანაწერის ფორმის გარეშე. ერთ ფურცელზე უნდა ჩანდეს მთელი თამაშის სტრუქტურა და გამომსვლელთა მოხსენებები ერთმანეთთან მიმართებაში.

მოსაფიქრებელი დრო მსაჯსაც ეძლევა. 5 – 10 ნუთის შემდეგ, მსაჯი აკეთებს კომენტარებს, აჯამებს თამაშს, მიუთითებს შეჯახების არეებს დაშვებულ შეცდომებს. საბოლოოდ მსაჯი აცხადებს თავის გადაწყვეტილებას რომელიმე გუნდის სასარგებლოდ.

თამაში ზუსტად ერთ საათს გრძელდება. თამაშის მსვლელობისას კარგია გამოიყოს ნეიტრალური პიროვნება, რომელიც დაეხმარება მოთამა-

შეებსა და მსაჯს, აკონტროლონ დრო. თუ ასეთი პიროვნება არ მოიძებნა, მსაჯი თავად დანიშნავს დროს და ამცნობს რეგლამენტის ამონტურვას მოთამაშებს. დასაშვებია, რომ მომხსენებელმა აზრის დასამთავრებლად დამატებით ითხოვოს 15 წამი.

კარლ პოპერის სახელობის დებატების თამაშის განრიგი:

N	მომხსენებელი	დრო, წთ	გამოსვლათა კლასიფიცირება
1	1 მტკიცებითი	6	სპიკერის სიტყვით გამოსვლა
2	3 უარმყოფელი → 1 მტკიცებითი	3	ჯვარედინი დაკითხვა
3	1 ურმყოფელი	6	სპიკერის სიტყვით გამოსვლა
4	3 მტკიცებითი → 1 უარმყოფელი	3	ჯვარედინი დაკითხვა
5	2 მტკიცებითი	5	სპიკერის სიტყვით გამოსვლა
6	1 უარმყოფელი → 2 მტკიცებითი	3	ჯვარედინი დაკითხვა
7	2 უარმყოფელი	5	სპიკერის სიტყვით გამოსვლა
8	1 მტკიცებითი → 2 უარმყოფელი	3	ჯვარედინი დაკითხვა
9	3 მტკიცებითი	5	სპიკერის სიტყვით გამოსვლა
10	3 უარმყოფელი	5	სპიკერის სიტყვით გამოსვლა

გამოსვლებს შორის მოსაფიქრებელი დრო – 8-8 წუთი. დებატების მწვრთნელმა კარგად უნდა აუხსნას მოსწავლეებს თითოეული გრაფის მნიშვნელობა და თითოეული გუნდის წევრის მოვალეობა, რასაც ფორმალურ დებატებში სპიკერთა პასუხისმგებლობა ეწოდება.

იმისათვის, რომ მოდებატებმა გადადგან პირველი ნაბიჯი წესების ათვისებისა და თამაშის განრიგის დამახსოვრების მიმართულებით, ჩაატარეთ პირველი თამაში. სურვილის მიხედვით აარჩიეთ ექვსი მოთამაშე. სამუშაო ჯგუფის დანარჩენ მონაწილეებს მიანდეთ მსაჯობა. ჩაატარეთ კენჭისყრა და გამოავლინეთ 3 მოთამაშე მტკიცებითი პოზიციის დასაცავად და 3 – უარმყოფელი პოზიციის.

გამოაცხადეთ ღირებულებითი დებატის მარტივი თემა – **რეზოლუცია**, რომელზეც მოზარდებს არ გაუჭირდებათ არგუმენტებისა და მაგალითების სწრაფად მოფიქრება და მიეცით მათ პოზიციის ჩამოსაყალიბებლად 10 წუთი.

წარმოგიდგენთ რეზოლუციის მაგალითს:

საშუალო სკოლებში ფორმების ტარება გამართლებულია.

აუხსენით ახალბედა მოდებატეებს, რომ მტკიცებითმა მხარემ უნდა მოიფიქროს 3 ან 4 არგუმენტი, რომელიც უპასუხებს კითხვას: „რატომ შეიძლება იყოს გამართლებული საშუალო სკოლაში ფორმის ტარება“? შემდეგ კი შეძლებისდაგვარად მოიყვანონ თუნდაც ერთი მაგალითი თითოეული არგუმენტის შესაბამისად.

უარმყოფელი გუნდის მოთამაშეებს სხვაგვარი დავალება ექნებათ. მათ 10 წუთის განმავლობაში უნდა მოიფიქრონ რაც შეიძლება უფრო მეტი არგუმენტი, რომელსაც სავარაუდოდ წამოაყენებს მტკიცებითი მხარე. აუხსენით მათ, რომ ამ გზით უარმყოფელი მხარე წინასწარ ჭვრეტს მოწინააღმდეგის პოზიციას და ემზადება უარყოფისათვის. დაავალეთ უარმყოფელ მხარეს, შეიმუშავოს ერთი ან ორი არგუმენტი თავისი პოზიციის დასაცავად. ეს არგუმენტი უნდა პასუხობდეს კითხვას: „რატომ არ არის გამართლებული საჯარო სკოლებში ფორმების ტარება“?

მოსაფიქრებელი დროის ამონურვის შემდეგ, სათანადოდ მოაწყვეთ ოთახი. კარლ პოპერის დებატების წესების მიხედვით, მოდებატე გუნდები ისე უნდა განლაგდნენ ცალ-ცალკე მაგიდებთან, რომ მათი ვიზუალური კონტაქტი არა იმდენად ერთმანეთთან, რამდენადაც მსაჯებთან უნდა მოხდეს.

წარმოგიდგენთ მსაჯებისა და მონაწილე გუნდების განლაგების სქემას დებატების დროს:

3 მტკიცებითი	2 მტკიცებითი	1 მტკიცებითი	1 უარმყოფელი	2 უარმყოფელი	3 უარმყოფელი
მსაჯი		დროის აღმრიცხველი			

კარგია, თუ მოდებატეები და მსაჯები მაგიდებთან განთავსდებიან. ასე უფრო ადვილად გააკეთებენ ჩანაწერებს. მაგიდებზე ყოველი მონაწილის წინ დადებული ხელით ნაკეთი ბარათი მოთამაშის დასახელებით (1 მტკიცებით) გაამარტივებს თამაშის ორგანიზებას.

თამაშის დაწყებამდე აუხსენით მოდებატეებს დროის დანიშვნის წესები. თამაშის ძირითადი პრინციპები:

- ყურადღებით ვუსმენთ ოპონენტებს;
- ყურადღებით ვუსმენთ თანაგუნდელებს;
- ვაკეთებთ თამაშის სრულ ჩანაწერს;
- ვსაუბრობთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი გამოსვლის დროა;
- ოპონენტებს ვექცევით პატივისცემით;
- პატივისცემით ვექცევით თანაგუნდელებს და მსაჯებს;
- დებატებს წარვმართავთ მშვიდ ვითარებაში;

- თამაში მიგვყავს ბოლომდე;
- მზად ვართ, მოვისმინოთ მსაჯებისაგან კრიტიკული შენიშვნები;
- ვემორჩილებით დროის რეგლამენტს.

ეს მითითებები დებატების მწვრთნელმა მხოლოდ პოზიტიური დამოკიდებულებით უნდა მისცეს.

დაუშვებელია, უთხრათ მოთამაშეებს:

- არ შეაწყვეტინოთ ერთმანეთს სიტყვა;
- არ წამოიყვიროთ უადგილო ადგილას;
- არ გამოვხატოთ პრეტენზიები თანაგუნდელების მიმართ;
- არ გადასცდეთ დროს;
- არ შეწყვიტოთ თამაში და ა.შ.

გავითვალისწინოთ, რომ ეს არის მოზარდებისათვის პირველი თამაში. ისინი ღელავენ, არ არიან დარწმუნებულები საკუთარ თავში. ზოგს ამ დროს გადამეტებით უხარია და ვერ იმორჩილებს ემოციებს. მოზარდები პირველი თამაშისას ძალიან მგრძნობიარენი არიან. მნიშვნელოვანია, რომ დებატების მწვრთნელმა მათ მხოლოდ პოზიტიური დამოკიდებულება ჩამოუყალიბოს და აუხსნას, რომ ამ პირველი დებატის მიზანი თამაშის წესების და სტრუქტურის კარგად გაგებაა.

### დებატები:

დებატის დაწყებისთანავე, ყურადღება მიაქციეთ მოზარდების გამოსვლებსა და ქცევებში ყველა დადებით და უარყოფით ნიუანსს. დააფიქსირეთ ისინი ფურცელზე, რათა შემდგომ გააკეთოთ თამაშის დეტალური ანალიზი და ნაყოფიერი რჩევა-დარიგებები მისცეთ თქვენს მოსწავლეებს. ჩაინიშნეთ, რამდენად კარგად ასრულებენ მოდებატეები თქვენ მიერ მიცემულ მითითებებს.

მწვრთნელი თამაშის დასრულებამდე არ უნდა ჩაერიოს დებატში. მოდებატების მხრიდან დაშვებული შეცდომები მხოლოდ დებატების დასრულებისას აღნიშნეთ. მწვრთნელი აკონტროლებს, რომ სხვა მსაჯები არ ჩაერიონ და უკომენტაროდ დატოვონ მოდებატეთა გამონათქვამები და ქცევები.

### თამაშის განხილვა:

თამაშის დასრულების შემდეგ, ათი-თხუთმეტი წუთის განმავლობაში მოუსმინეთ ყველა მოსწავლე-მსაჯის გადაწყვეტილებას და მათ მოსაზრებას თამაშის შესახებ. შემდგომ, დაახლოებით ხუთი-ათი წუთის განმავლობაში მწვრთნელმა უნდა გააკეთოს თამაშის დეტალური ანალიზი, რომლის დროსაც განიხილავს თითოეული მომხსენებლის გამოსვლას და მისცემს მათ რჩევა-დარიგებებს. მწვრთნელის კომენტარის დროს ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს მოდებატეთა მიერ დაშვებული შეცდომებისა და უზუსტობების დაფიქსირებაზე, თუმცა, არ დაგვავინყდეს, რომ ყველა კომენტარი პოზიტიური განხილებით კეთდება.

## ნაწილი I

### კარლ პოპერის დებატების ძირითადი ელემენტები

#### რეზოლუცია და დეფინიციები

ნებისმიერი სახის კამათისათვის აუცილებელია საკამათო თემის არსებობა, რათა შედგეს აზრთა რეალური დაპირისპირება. აქედან გამომდინარე, კარლ პოპერის დებატებსაც, როგორც კამათის ერთ-ერთ სახეს, რა თემა უნდა, აქვს საკამათო თემა, რომელსაც დებატებში რეზოლუცია ეწოდება. თამაში რეზოლუციის გარშემო მიმდინარეობს. მტკიცებითი გუნდი იცავს და ამტკიცებს რეზოლუციას, ხოლო უარმყოფელი გუნდი უპირისპირდება და უარყოფს მას. რეზოლუცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- აქტუალური;
- საინტერესო;
- პრობლემატური;
- ფართო შინაარსის;
- მის შესახებ შესაძლებელი უნდა იყოს ინფორმაციის მოძიება;
- მტკიცებითი შინაარსის მატარებელი წინადადება;
- ბინალური/ორმხრივი (რეზოლუციის იმავე წარმატებით დამტკიცება უნდა შეიძლებოდეს, რა წარმატებითაც უარყოფა; ანუ იგი უნდა იძლეოდეს ორივე მხარისათვის თანაბარი რაოდენობის არგუმენტების შექმნის საშუალებას).

დებატების მთავარი პრინციპი ისაა, რომ მოხდეს ოპონენტთა მოსაზრებების რეალური დაპირისპირება. აქედან გამომდინარე, მოდებატე გუნდებს თამაშის დროს მოეთხოვებათ რეზოლუციის ძირითადი ტერმინებისა და გაუგებარი ტერმინების სრულფასოვანი და ლექსიკონისეული განმარტება, რათა დაპირისპირებული მხარეები ერთი და იმავე სიტყვას სხვადასხვანაირად არ იგებდნენ, რაც გამოიწვევს დებატების ზემოთ აღნიშნული პრინციპების დარღვევას.

#### მტკიცებითი და უარმყოფელი ქეისი

მოსაზრების გასამყარებლად მტკიცებითი და უარმყოფელი გუნდების პირველი სპიკერები გამოსვლების დროს ახდენენ პოზიციის/ქეისების ჩამოყალიბებას, რაც წარმოადგენს ამა თუ იმ გუნდის მხარდამჭერი დეფინიციების, კრიტერიუმის, არგუმენტებისა და დამამტკიცებელი მასალის ერთობლიობას. ქეისი თამაშის ის ნაწილია, რომელსაც მოდებატეები თამაშის ამზადებენ რეზოლუციის გამოცხადებიდან ტურნირის ან კონკრეტული თამაშის ჩატარებამდე.

არგუმენტი, როგორც ქეისის ძირითადი ნაწილი, წარმოადგენს ზოგადი

შინაარსისა და გარკვეული მტკიცების მატარებელ წინადადებას, რომელიც პასუხობს კითხვას „რატომ“, რომელიც დაესმის რეზოლუციას. მაგალითად, რატომ არის გამართლებული სიკვდილით დასჯა ან, პირიქით, გაუმართლებელი. ამასთან ერთად, არგუმენტში გარკვეული მოსაზრება ისეთი ფორმით უნდა იყოს ჩადებული, რომ თავის თავში მოიცავდეს მის გარშემო მოსაზრებების გავრცობის შესაძლებლობას. ანუ არგუმენტი ისეთი სახის წინადადებაა, რომელიც შეიძლება გარკვეული თეზისების ერთობლიობის საერთო სათაურად ჩაითვალოს. კარლ პოპერის დებატების ფორმატიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მტკიცებით გუნდს ჰქონდეს ორი-ოთხი არგუმენტი, ხოლო უარმყოფელს – ერთი-ორი. თუმცა, ეს წესი არ არის და ნებისმიერ გუნდს ნებისმიერი რაოდენობის არგუმენტის გამოყენება შეუძლია.

არგუმენტი დამამტკიცებელ მასალებსა და დასაბუთებებზე აგებული დასკვნაა. აქედან გამომდინარე, ფაქტებით მის გამყარებას თამაშის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. კარლ პოპერის დებატებში დამამტკიცებელი მასალა ენოდება ფაქტებს, სტატისტიკურ მონაცემებს, ციტატებს, ცნობილ ადამიანთა გამონათქვამებს, მაგალითებს და სხვა სახის დამასაბუთებელ ინფორმაციას, რომელთა მეშვეობითაც ხდება საკუთარ არგუმენტებში ჩამოყალიბებული ლოგიკური მსჯელობის გამყარება და ოპონენტთა მოსაზრებების გაბათილება.

ქეისის ფორმირებისა და მისი სიმტკიცისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კრიტერიუმის არსებობას. კრიტერიუმი გახლავთ ორი-სამი სიტყვისაგან შემდგარი საყოველთაოდ აღიარებული დადებითი ღირებულება (საზოგადოების კეთილდღეობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, ჯანსაღი მომავალი თაობა და სხვ.), რომელიც წარმოადგენს რეზოლუციის მტკიცების ან უარყოფის შედეგად მიღწეულ მიზანს და, ამავე დროს, არგუმენტების ერთგვარ გამაერთიანებელ დებულებასაც. ანუ, ჩვენი არგუმენტების მეშვეობით, ნებისმიერი საკითხის მხარდაჭერით ან მისი გაბათილებით, რა მიზანს მივაღწევთ, რა სახის სიკეთეს შევიძენთ ჩვენ? სწორედ ამ კითხვებზე პასუხია კრიტერიუმი დებატებში.

## უარყოფა და აღდგენა

უარყოფა და აღდგენა არის ის ძირითადი ქვაკუთხედი, რასაც ეყრდნობა დებატების მთელი პროცესი. აქედან გამომდინარე, ის ძირითადი და პირველადი ფუნქცია და მოვალეობა, რაც მოდებატე გუნდებს გააჩნიათ, შეიძლება ორი სიტყვით გამოიხატოს: უარყოფა და აღდგენა, რის წარმატებულად შესრულებასაც მსაჯები უმთავრეს ყურადღებას აქცევენ.

უარყოფა, ანუ ოპონენტის მოსაზრებებთან დაპირისპირება, დებატების დროს შეიძლება სხვადასხვაგვარად მოხდეს – პირდაპირი უარყოფის (არგუმენტის სამართლებრივი, მორალური და ისტორიული თვალსაზრისით გაბათილება და მისი გაუმართლებლობის დამტკიცება), ოპონენტის ქეისის

კომპონენტებს შორის არსებული შეუსაბამობების, ფაქტებისა და დამამტკიცებელი მასალების გამოყენების, მოწინააღმდეგის მოსაზრებების და ჯვარედინი დაკითხვის შედეგების გამოყენების გზით.

უარყოფის სამიზნეს, ანუ იმას, რასაც უნდა დაუპირისპირდე, ოპონენტთა მთელი ქეისი წარმოადგენს. მოწინააღმდეგის პოზიციის შემადგენელი ნაწილების მიმართ დაპირისპირებაში განსხვავება მხოლოდ უარყოფის მეთოდებში მდგომარეობს. დეფინიციას ვუპირისპირდებით იმ შემთხვევაში, თუ შემოტანილი განმარტება სიცრუეა და არ შეესაბამება სიმართლეს; ან ვახდენთ მათ შევსებას ჩვენებული დეფინიციებით საჭიროების შემთხვევაში. კრიტერიუმს უარყოფით მაშინ, თუ იგი არ წარმოადგენს დადებით ღირებულებას და არ გამომდინარეობს რეზოლუციიდან; ან ვუპირისპირებთ საკუთარ კრიტერიუმს და ვამტკიცებთ, რომ იგი უფრო მნიშვნელოვანი ღირებულებაა; ანდა ვეთანხმებით მას და ჩვენს არგუმენტებსაც ოპონენტის კრიტერიუმს ვუკავშირებთ. რაც შეეხება მოწინააღმდეგე გუნდის არგუმენტებსა და დამამტკიცებელ მასალას, მათ გაბათილებას ყველა ზემოთ აღნიშნული მეთოდით ვცდილობთ.

იქიდან გამომდინარე, რომ აღდგენა ოპონენტის მიერ ჩვენი მოასაზრებების გაბათილებაზე რეაგირებაა და დაპირისპირებას (უარყოფის უარყოფა) წარმოადგენს, მასაც უარყოფის მსგავსი სამიზნები და მეთოდები აქვს.

უარყოფისა და აღდგენის დროს, აუცილებელია უთხრათ მსაჯს და ნათლად დააფიქსიროთ, რომ თქვენ ახლა უტევთ ოპონენტის ამა თუ იმ არგუმენტს ან მათ მიერ მოხდენილ გაბათილებას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უარყოფა არ წარმოადგენს მხოლოდ უარმყოფელი გუნდის მოვალეობას და აღდგენა – მხოლოდ მტკიცებითის.

ტერმინი, რომელიც ხშირად გვხვდება დებატებში უარყოფასა და აღდგენასთან მიმართებაში, არის შეჯახება. იგი აღნიშნავს პირდაპირ დაპირისპირებას და წარმოადგენს დებატების ძირითად ასპექტს. არსებობს ისეთი ტერმინიც, როგორიცაა შეჯახების ძირითადი არეები, რაც აღნიშნავს თამაშის დროს წარმოთქმულ არგუმენტებს, დამამტკიცებელ მასალასა თუ მოსაზრებებს, რომელთა გარშემოც უარყოფა და აღდგენა მთელი დებატების განმავლობაში მიმდინარეობდა და რისი ანალიზიც, საკუთარი გუნდის მიერ მოპოვებული უპირატესობების წარმოსაჩენად, მესამე სპიკერების ძირითად მოვალეობას შეადგენს.

## ჯვარედინი დაკითხვა

ჯვარედინი დაკითხვა გრძელდება სამი წუთის მანძილზე და იმართება ყოველი გამოსვლის შემდეგ, გარდა მესამე მომხსენებელთა სიტყვისა. აღსანიშნავია, რომ მისი ფორმა მხოლოდ კითხვა-პასუხისაგან შედგება. გარდა ამისა, თამაშის განრიგის მიხედვით, წინასაზღვრული ის მოდებატები, რომლებიც მონაწილეობენ თითოეულ ჯვარედინ დაკითხ-

ვაში, როგორც კითხვების დამსმელნი, ასევე მოპასუხენი. ჯვარედინი დაკითხვის შედეგად მიღებულ სასურველ პასუხს აუცილებლად იყენებს შემდეგივე გამოსვლელი.

ჯვარედინი დაკითხვის ძირითადი პრინციპები მდგომარეობს შემდეგში: თავიდან ავიცილოთ შეკამათება, ნუ გავაკეთებთ დასკვნებს, ნუ ვიჩეუბებთ და შევინარჩუნოთ სიმშვიდე. მისი ჩატარების ძირითად მიზანს ოპონენტების მიერ დასმული საკითხების გარკვევა და მათი საბოლოო დადგენა, აგრეთვე, ჯვარედინი დაკითხვის დროს მიღებული სასურველი პასუხების უარყოფაში, აღდგენასა და ანალიზში გამოყენება წარმოადგენს. დასმული შეკითხვების ფორმის მიხედვით ჯვარედინი დაკითხვის კითხვები იყოფა დახურულ (მხოლოდ კონკრეტული პასუხის მქონე) და ღია კითხვებად; ხოლო მომზადების მხრივ – წინასწარ მომზადებულ და სპონტანურად წარმოქმნილ კითხვებად. დებატების დროს, ხშირად გამოიყენება ე.წ. შეკითხვების სერია, როდესაც ნაპიჯ-ნაპიჯ, რამდენიმე შინაარსობრივად გადამული შეკითვის დასმის შედეგად ვიღებთ ჩვენთვის სასურველ პასუხს.

## სპიკერთა პასუხისმგებლობანი

დებატებში გამარჯვებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს არამარტო იმას, თუ რამდენად კარგი ქეისი აქვს მომზადებული გუნდს, არამედ იმასაც, თუ როგორ შეძლო მან ამ პოზიციის ჩამოყალიბება და დაცვა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დებატები გუნდური თამაშია. ამიტომ გუნდის თითოეულ წევრს გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი მკაცრად განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებს. ფუნქციების შეუსრულებლობას ან არევას კი, როგორც წესი, გუნდი დამარცხებამდე მიჰყავს. აქვე შემოგთავაზებთ თითოეული სპიკერის მოვალეობის მოკლე აღნერას.

წარმოგიდგენთ მომხსენებელთა გამოსვლების თანმიმდევრობისა და მათი პასუხისმგებლობების სქემას:

### სქემა: 2

1მტკიცებითი	1უარმყოფელი	2მტკიცებითი	2უარმყოფელი	3მტკიცებითი	3უარმყოფელი
1. მისალმება 2. ქეისის ჩამოყალიბება 3. დასკვნა	1.მისალმება 2.მტკიცებითის ქეისიზე რეაგირება და უარყოფა 3.საკუთარი ქეისის ჩამოყალიბება 4.დასკვნა	1.მისალმება 2.საკუთარი ქეისის აღდგენა და გავრცობა 3.ოპონენტის ქეისის უარყოფა 4.დასკვნა	1.მისალმება 2.აღდგენილი ქეისის უარყოფა 3.გაბათილებული ქეისის აღდგენა 4.დასკვნა	1.მისალმება 2.შეჯახებების ანალიზი 3.ოპონენტთა შეცდომების დაფიქსირება 4.დასკვნა	1.მისალმება 2.მტკიცებითის ანალიზზე რეაგირება 3.შეჯახებების ანალიზი 4.ოპონენტთა შეცდომების დაფიქსირება 5.დასკვნა

## მტკიცებითი პოზიციის ფორმირება

### I გაკვეთილი

#### რეზოლუცია – კამათი ლირებულებებზე

- დებატების საკამათო თემა – რეზოლუცია – 25 წთ.
- სავარჯიშო „რეზოლუციების მოგონება“ – 35 წთ.

#### რეზოლუცია

იმისათვის, რომ იკამათო, უნდა არსებობდეს კამათის საგანი და ობიექტი. კარლ პოპერის დებატებში მოკამათე გუნდების დაპირისპირების ძირითად საგანს, ანუ საკამათო თემას, რეზოლუცია წარმოადგენს. ნებისმიერი სახის ფორმალური დებატების და, მათ შორის, პოპერის დებატების სრულფასოვნად წარმართვისათვის რეზოლუციის ფორმასა და შინაარსს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რასაც ჩვენც სათანადო ყურადღება უნდა დავუთმოთ, რადგან რეზოლუციას განსაზღვრული მახასიათებლები გააჩნია.

რეზოლუციის ძირითადი პარამეტრების ცოდნა მნიშვნელოვანია, როგორც მოდებატების, ასევე დებატების მწვრთნელთათვისაც, რადგან არასწორად ფორმულირებული საკამათო დებულება, დებატების მთელი პროცესის საფუძვლად მოგვევლინება.

იმისათვის, რომ მოდებატებმა კარგად გაიგონ რეზოლუცია, მწვრთნელს შეუძლია, ჩაატაროს სავარჯიშო, რომლის მსვლელობისას მოდებატეები თვითონ შექმნიან რეზოლუციას და სწორი ფორმულირებით ჩამოაყალიბებენ მას.

#### სავარჯიშო №1 „რეზოლუციების მოგონება“

სავარჯიშოს მსვლელობა:

1. ეტაპი – 10 წუთი

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე მწვრთნელი ჩაატარებს „გონებრივ იერიშს“.

მწვრთნელი აუდიტორიას გააცნობს გონებრივი იერიშის პრინციპებს. ესაუბრება იმაზე, რომ სამუშაო ჯგუფის წევრებმა თავისუფლად გამოთქვან ნებისმიერი აზრი, რომელიც კი მოუვათ თავში, არ გააკრიტიკონ ერთმანეთი. გონებრივი იერიშის დროს ნებისმიერი, თუნდაც, სუსტი იდეა მისალებია. თვითკრიტიკის გამო არ უნდა დავუშვათ რამე, თუნდაც, უმნიშვნელო აზრის დაკარგვა. გონებრივი იერიშის შემდგომ კი მოხდება აზრების დალაგება და გადაჯგუფება.

დაფაზე დაიწერება კითხვა – რაზე შეიძლება ვიკამათოთ?

ჯგუფის წევრები თითო სიტყვით წარმოთქვამენ იმ ზოგად თემებს, რაც მათი აზრით შეიძლება იყოს საკამათო, საინტერესო, აქტუალური, გამოკვლევადი, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი, პრობლემური და ეხებოდეს ადამიანთა დიდ რაოდენობას. დაფაზე გაჩნდება დაახლოებით ასეთი ჩამონთვალი:

- ეკოლოგია;
- განთლება;
- მასმედია;
- ჯანმრთელობა;
- ადამიანთა უფლებები;
- დასაქმება;
- ეკონომიკა;
- პოლიტიკა.

## 2. ეტაპი – 5 წუთი

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე მწვრთნელი აუხსნის აუდიტორიას, თუ რა ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს სადებატო რეზოლუცია.

მწვრთნელი ჩამოწერს დაფაზე რეზოლუციის ფორმისა და შინაარსის შემდეგ ძირითად თვისებებს:

- მარტივი, თხრობითი წინადაღების ფორმის;
- ბინარული ანუ ორმხრივი, როდესაც როგორც მტკიცებით, ასევე უარმყოფელ გუნდს შეუძლია თანაბარი რაოდენობის არგუმენტების შემუშავება;
- აქტუალური;
- ეხება მნიშვნელოვანი მოცულობის პრობლემას;
- ალვივებს ინტერესს სადებატო თემის მიმართ;
- მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული;
- გამოკვლევადია, ანუ მასზე უნდა მოიპოვებოდეს საკმარისი ფაქტობრივი მასალა.

## 3. ეტაპი – 5 მწვრთნელი

სავარჯიშოს მესამე ეტაპზე მწვრთნელი დაყოფს აუდიტორიას მცირე ჯგუფებად და დაავალებს, 10 წუთის განმავლობაში ბრეინშტორმინგის დროს მათ მიერ მოფიქრებული ზოგადი თემებიდან ამოირჩიონ ერთი და ჩამოყალიბონ რეზოლუცია. ჩამოყალიბებულ რეზოლუციას რიგრიგობით ყველა ჯგუფი დაწერს დაფაზე.

## 4. ეტაპი – 10 ეტაპი

მეოთხე ეტაპზე მწვრთნელმა დეტალურად უნდა აუხსნას მოსწავლეებს, თუ რატომ არის მათ მიერ მოფიქრებული რეზოლუციები კარგად ან არას-

წორად ფორმულირებული. მწვრთნელი აუდიტორის მაქსიმალური ჩართულობით შეასწორებს რეზოლუციების ფორმულირებას და მისცემს მათ საბოლოო სახეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მომავალში დებატების ჩატარება მოსწავლეთა მიერ მოფიქრებულ რეზოლუციებზე ეფექტური იქნება. ამავე დროს, მწვრთნელს შეუძლია დაურიგოს მოდებატეებს იმ რეზოლუციების ჩამონათვალი, რომლებზეც დებატობდნენ საქართველოსა და სხვა ქვეყნებში მათი თანატოლები:

- ტელევიზია მავნებელია;
- სამოქალაქო დამორჩილებლობა გამართლებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში;
- საერთაშორისო ტერორიზმი გაუმართლებელია;
- 14 წლამდე ასაკის ბავშვები არ უნდა აგებდნენ პასუხს არანაირი დანაშაულისათვის;
- სამხედრო ძალის გამოყენება საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ დაუშვებელია;
- სიკვდილით დასჯა უნდა აიკრძალოს;
- მასმედიის ცენზურა გაუმართლებელია;
- დიდ ქალაქში ცხოვრება უკეთესია, ვიდრე პატარა სოფელში;
- გენეტიკური კლონირება უნდა აიკრძალოს;
- ინგლისური ყველაზე მნიშვნელოვანი ენაა მსოფლიოში;
- ფემინიზმი მავნე იდეოლოგიაა;
- ევთანაზია უნდა აიკრძალოს;
- ჭეშმარიტია, რომ რეკლამა პროდუქციის გაყიდვას ზრდის;
- მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაცია დაუშვებელია.

## II გაკვეთილი

### დეფინიციები, არგუმენტები და კრიტერიუმი

- რა არის დეფინიციები და რას სჭირდება განმარტებები? – 15ნთ.
- არგუმენტები და მათი მნიშვნელობა – 15ნთ.
- სავარჯიშო – „არგუმენტის შემუშავება“ – 25ნთ.

### რა არის დეფინიციები და რას სჭირდება განმარტებები?

დებატების მთავარი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს ოპონენტთა მოსაზრებების რეალური დაპირისპირება. აქედან გამომდინარე, მოდებატე გუნდებს თამაშის დროს მოეთხოვებათ რეზოლუციის ძირითადი ტერმინებისა და გაუგებარი ტერმინების სრულფასოვანი და ლექსიკონისეული განმარტება, რათა დაპირისპირებული მხარეები ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვანაირად არ იგებდნენ, რაც გამოიწვევს დებატების ზე-

მოთ აღნიშნული პრინციპების დარღვევას.

კარლ პოპერის დებატებში დეფინიციები თამაშისათვის მნიშვნელოვან და საკვანძო ტერმინოლოგიის სწორ, ლექსიკონისეულ განმარტებას ნიშნავს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რომელიმე სიტყვის განმარტება, რომელსაც ესა თუ ის გუნდი წარმოადგენს დეფინიციების წარმოჩენის დროს, ცალსახად არ უნდა ემხრობოდეს რომელიმე გუნდის პოზიციას და უნდა წარმოადგენდეს ზოგად განსაზღვრებებს, რომელთა ფუნქცია თამაშში სიცხადის შეტანაა.

დებატებში აუცილებელ განმარტებას რეზოლუციის შემადგენელი ტერმინები მოითხოვს, რადგან მათზეა დამოკიდებული მთელი თამაშის და, იშვიათ შემთხვევაში, რომელიმე მხარის მიერ ნახსენები უცნობი ტერმინი. დეფინიციების შემოტანა ხდება პირველი სპიკერების მიერ მათი გამოსვლების დასაწყისში, რაც გამხსნელი გამოსვლების გარკვეულ დებიუტს წარმოადგენს.

დეფინიცია უნდა იყოს:

- ნათელი (ყველასათვის გასაგები, ერთი პრობლემური ტერმინი არ უნდა იყოს მეორით შეცვლილი);
- ამომწურავი (აღარ უნდა ბადებდეს შემდეგ კითხვებს);
- სამართლიანი (უნდა იყოს განმარტება, რომელიც არც ერთი გუნდის პოზიციას არ ემხრობა).

## არგუმენტები და მათი მნიშვნელობა

არგუმენტი, როგორც ქეისის ძირითადი ნაწილი, წარმოადგენს ზოგადი შინაარსისა და გარკვეული მტკიცების მატარებელ თხრობით, მარტივ წინადადებას. არგუმენტი პასუხობს კითხვას „რატომ“, რომელიც დაესმის რეზოლუციას. მაგალითად: „რატომ არის გამართლებული თორმეტწლიანი სწავლება საქართველოში?“ ან პირიქით – „რატომ არის გაუმართლებელი?“

ამასთან ერთად, არგუმენტს უნდა გააჩნდეს გარკვეული საერთო განაცხადის, გარკვეული სათაურის ფორმაცი, ანუ მასში რაიმე იდეა ისეთი ფორმით უნდა იყოს ჩადებული, რომ თავის თავში მოიცავდეს მის გარშემო მოსაზრებების გავრცობის შესაძლებლობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არგუმენტი ისეთი სახის წინადადებაა, რომელიც შეიძლება გარკვეული თეზისების ერთობლიობის საერთო სათაურად ჩაითვალის. მაგალითად, მასმედიის ცენზურის გამამართლებელი არგუმენტი: „მასმედიის კანონით დაშვებული ცენზურა ხელს უშლის მედიის საშუალებების მიერ საზოგადოებაზე მავნე ზეგავლენის მოხდენას“, შემდეგი ლოგიკური აზრების გამაერთიანებელ იდეას წარმოადგენს:

- ცენზურა კრძალავს პორნოგრაფიულ ფილმებსა და უურნალებს;
- ცენზურა ებრძვის მასმედიის საშუალებით გავრცელებულ ძალადობას;

- ცენზურა ხელს უშლის მედიის მიერ მოსახლეობისათვის საკუთარი აზრის თავის მოხვევას.

ამ მოსახრებების თაობაზე კი საკმაოდ ვრცელი გავრცობის წარმოდგენაა შესაძლებელი.

სრულფასოვანი არგუმენტის გავრცობის ჩამოყალიბებისას უნდა გავითვალისწინოთ მისი სამი ძირითადი კომპონენტი, რომელთა არსებობა მნიშვნელოვანია:

- განაცხადის ახსნა, დაკონკრეტება;
- განაცხადის მხარდაჭერა დამამტკიცებელი მასალით;
- განაცხადზე დამყარებული დასკვნა.

მოდით, აღნიშნული კონსტრუქცია ერთ-ერთი რეზოლუციის არგუმენტის მაგალითზე განვიხილოთ. რეზოლუცია შემდეგია: „სიკვდილით დასჯა გამართლებულია“

არგუმენტი: „სიკვდილით დასჯა ხელს უწყობს დანაშაულის შემცირებას“.

ახსნა: დამნაშავეებს შეეშინდებათ, რომ დაჭერის შემთხვევაში მათ სიკვდილით დასჯიან.

მხარდაჭერა: გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა არსებობს, დამნაშავეობა შემცირდა.

დასკვნა: უნდა დავაკანონოთ დანაშაულის შემცირება, ანუ სიკვდილით დასჯა.

კარლ პოპერის დებატების ფორმატიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მტკიცებით გუნდს ჰქონდეს ორი-ოთხი არგუმენტი, ხოლო უარმყოფელს – ერთი-ორი. თუმცა, ეს წესი არ არის და ნებისმიერ გუნდს ნებისმიერი რაოდენობის არგუმენტის გამოყენება შეუძლია.

## სავარჯიშო №2 – „არგუმენტის შემუშავება“

სავარჯიშოს მსვლელობა:

1 ეტაპი – 5 წუთი

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე, დებატების მწვრთნელი დაყოფს აუდიტორიას 6 ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს მისცემს წინასწარ მომზადებულ ბარათს, სადაც წერია „თეზისი“, ერთი წინადადების სახით. (ორ ჯგუფს ექნება ერთი და იმავე შინაარსის ბარათი).

ნარმოგიდენთ თეზისის რამდენიმე მაგალითს:

- კვირას აუცილებლად უნდა წავიდე ჩემს მეგობართან (შვილი უსაბუთებს მშობლებს);
- ხუთშაბათს გიორგი ვერ მოვა სკოლაში (მშობელი უსაბუთებს კლასის დამრიგებელს);
- ექსკურსია ქალაქებით უნდა გადავდოთ ერთი კვირით (კლასის დამრიგებელი უსაბუთებს ბავშვებს).

ბარათის დარიგების შემდეგ 1 წუთის განმავლობაში გუნდები გაეცნობიან თეზისს.

## 2. ეტაპი – 10 წუთი

მეორე ეტაპზე, დებატების მწვრთნელი აუხსნის აუდიტორიას, როგორ უნდა დაასაბუთონ მოცემული თეზისები. წარმოგიდგენთ მაგალითს:


თეზისი – „დღეს საღამოს მე უნდა წავიდე ბიბლიოთეკაში“ (შვილი უსაბუთებს მშობელს)

1. „ჩვენ ვინყებთ ახალი თემის შესწავლას ფიზიკაში და მე უნდა მოვემზადო დასკვნითი პრეზენტაციისათვის“;
2. „ახლა ჩვენ ვსწავლობთ ძალიან მნიშვნელოვან თავს ფიზიკაში, მაღლი ნიშანი ამ პრეზენტაციაში სემესტრის ბოლოსათვის ძალიან მნიშვნელოვანია“;
3. „აი, რატომ არის ჩემი წასვლა ბიბლიოთეკაში აუცილებელი დღეს საღამოს“.

## 3. ეტაპი – 10 წუთი

მესამე ეტაპზე, 5 წუთის განმავლობაში თითოეული გუნდი მოიფიქრებს 3 წინადადებას, რომლითაც დაასაბუთებს ბარათზე დაწერილ თეზისებს. ამის შემდეგ, თითოეული გუნდი 1 წუთის განმავლობაში წარადგენს დასაბუთებას. მწვრთნელი თითოეული გუნდის გამოსვლის შემდეგ აკეთებს მოკლე კომენტარს.

ამ სავარჯიშოს მიზანია ავხსნათ, რომ **არგუმენტი** არის საფუძველი, ბაზა, რომელზეც შენდება თეზისის დასაბუთება. არგუმენტი პასუხობს კითხვაზე – რით მტკიცდება თეზისი? არგუმენტის შესაქმნელად საჭიროა სამი ეტაპი: თეზისის წარდგენა, ახსნა-დამტკიცება და დასკვნის გაკეთება. ეს ლოგიკური ჯაჭვი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით – ძირითადი იდეა (თეზისი, ამ იდეის გაშლა – ახსნა და იდეის დამტკიცება – დასაბუთება, მტკიცებულებები, ლოგიკური მსჯელობა).



### III გაკვეთილი

#### დებატი ორ მხარეზე

- რას ნიშნავს დებატი ორ მხარეზე? – 10 წთ.
- სავარჯიშო – „არგუმენტები ორ მხარეზე“ – 70 წთ.

#### რას ნიშნავს, როდესაც გუნდები ორ მხარეზე დებატობენ?

დებატების პროგრამის საგანმანათლებლო მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება დებატების შეჯიბრის პირობებში. დებატების ტურნირებში მონაწილეობის მიღება კლუბური მუშაობის მიზანიცაა და შესანიშნავი საშუალება მოზარდებისათვის, ამაღლონ დებატების ტექნიკა, შეიძინონ ახალი გამოცდილება, ექსტრემალურ პირობებში ისწავლონ სწრაფად აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება. დებატების ტურნირზე გუნდებს ერთი დღის განმავლობაში ერთსა და იმავე საკამათო თემაზე ოთხჯერ უწევთ დებატი. ორჯერ გუნდები იცავენ საკამათო რეზოლუციას – ორჯერ კი უარყოფებ მას. ეს სისტემა უპირველეს ყოვლისა შექმნილია დებატების, როგორც საგანმანათლებლო ინსტრუმენტის მხარდასაჭერად. ისევე, როგორც მონეტას აქვს ორი მხარე, კარლ პოპერის სახელობის დებატებში საკამათო რეზოლუცია შემუშავდება ორი მხარის პრინციპით. მტკიცებით და უარმყოფელ პოზიციებს თანაბარი რაოდენობის და სიძლიერის არგუმენტების შემუშავების საშუალება ეძლევათ. საკამათო თემის სიღრმისეული შესწავლაც სწორედ ორ მხარეზე დებატის საშუალებით ხდება. დებატი ორ მხარეზე აიძულებს მოზარდებს, სადებატო საკითხი ჯერ ერთი მხრიდან შეისწავლონ, შემდგომ კი თავისივე პოზიცია კრიტიკულად განიხილონ, მოუქებნონ მას კონტრარგუმენტები და შემდგომ საპირისპირო პოზიციის არგუმენტებზე იმუშაონ. დებატის მონაწილეები თანდათანობით სწავლობენ საკამათო თემის მთლიანობაში განხილვას, მთელი თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. გამოცდილმა მოდებატებმ იცის, რომ ურყევი პოზიცია არ არსებობს. ნებისმიერ არგუმენტს აუცილებლად მოექებნება კონტრარგუმენტი, ნებისმიერ ფაქტს – კონტრაქტი, ლოგიკური მსჯელობის საპირისპიროდ არსებობს განსხვავებული ლოგიკური ჯაჭვი. ასეთი მიდგომა ეხმარება მოდებატებს, წინასწარ განჭვრიტოს მოწინააღმდეგის პოზიცია, წინასწარ გათვალის მისი სავარაუდო არგუმენტები და უკეთ მოემზადოს „შერკინებისათვის“. კარლ პოპერის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ჩვენ უნდა ვეცადოთ, დავაფასოთ ოპონენტის ძლიერება, თუ მასთან წარმატებით დაპირისპირება გვსურს“.

შემოგთავაზებთ სავარჯიშოს, რომლის მიზანია დაევენიროთ მოდებატებს, სასწავლო კურსის დასაწყისშივე გაიაზრონ სადებატო თემის დამუშავების პროცესში მტკიცებით და უარმყოფელი პოზიციების ერთ-

დროულად შემუშავების აუცილებლობა. სავარჯიშოს დასრულებისას მოდებატები მიხვდებიან, რომ ყოველი საკითხი ყველა შესაძლო მხრიდან უნდა განიხილონ და მხოლოდ ამის შემდეგ ექნებათ უფრო სრული წარმოდგენა საკამათო თემაზე.

### **სავარჯიშო №3 – „არგუმენტები ორ მხარეზე“**

ამ სავარჯიშოს შესრულებისას მნიშვნელოვანია, რომ სადებატო თემა იყოს ძალიან მარტივი და ყველა მონაწილისათვის გასაგები. მთავარია შევქმნათ ისეთი სამუშაო პირობები, სადაც სადებატო რეზოლუციას ექნება სამართლიანი ფორმულირება, როგორც მტკიცებითი, ასევე უარმყოფელი მხარისათვის. რეზოლუცია უნდა იძლეოდეს საშუალებას, რომ მოდებატებმა შევქმნან თანაბარი რაოდენობის და სიძლიერის არგუმენტები, როგორც მის დასაცავად, ასევე მის უარსაყოფად.

წარმოგიდგენთ ამ სავარჯიშოსათვის მოსარგებ რამდენიმე საკამათო რეზოლუციას:

- მატარებლით მგზავრობას თვითმფრინავით მგზავრობა სჯობს;
- ვაშლი სჯობს ბანანს;
- როლიკები ველოსიპედს სჯობს.

#### **1. ეტაპი – 10 წუთი**

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე, დებატების მწვრთნელი წერს დაფაზე სადებატო რეზოლუციას, აუდიტორიას ყოფს 5 ჯგუფად და ავალებს თითოეულ ჯგუფს, მოიფიქროს 5 არგუმენტი მტკიცებითი პოზიციისათვის 5 წუთის განმავლობაში. მოსაფიქრებელი დროის ამონურვის შემდეგ, მწვრთნელი კვლავ ავალებს გუნდებს, მოიფიქრონ იმავე რეზოლუციისათვის 5 უარმყოფელი არგუმენტი.

#### **2. ეტაპი – 15 წუთი**

მეორე ეტაპზე, მწვრთნელი გუნდებს მიანიჭებს ნომერს, №1; №2; №3; №4; №5 – გუნდები რიგ რიგობით წარადგენენ რეზოლუციის დამამტკიცებელ არგუმენტებს 2-2 წუთის განმავლობაში.

სავარჯიშოს მსვლელობისას მწვრთნელი გააკონტროლებს, რომ გუნდებმა ყურადღებით მოუსმინონ ერთმანეთს და გააკეთონ ოპონენტი გუნდების მიერ წარდგენილი არგუმენტების ჩანაწერები. მონაწილეებს კვლავ ეძლევათ მოსაფიქრებელი დრო – 5 წუთი, რათა შეიმუშავონ კონტრარგუმენტები.

#### **3. ეტაპი – 10 წუთი**

მესამე ეტაპზე განისაზღვრება, სავარჯიშოს მსვლელობაში რომელი გუნდები გაუწევენ ერთმანეთს ოპონირებას. მწვრთნელი კარგად აუხსნის

მონაწილეებს თამაშის სქემას. დახაზავს ამ სქემას დაფაზე. სამუშაო ოთახში გუნდები უნდა განლაგდნენ იმავე თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მოუწევთ მათ გამოსვლა. საკუთარი არგუმენტების წარსადგენად გუნდებს ეძლევათ 2-2 წუთი, ხოლო დაპირისპირებისათვის 3-3 წუთი. ამ სავარჯიშოს მსვლელობაში დასაშვებია, რომ არგუმენტები გუნდის ერთმანევრმა წარადგინოს, დაპირისპირება კი – მეორემ.

#### 4. ეტაპი – 25 წუთი

სავარჯიშოს მეოთხე ეტაპი არის უშუალოდ თამაშის მსვლელობა. თამაშის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანია დროის მყაცრად აღრიცხვა და რეგლამენტის დაცვა. მწვრთნელმა უნდა შექმნას პოზიტიური გარემო და უზრუნველყოს დებატების ძირითადი პრინციპების დაცვა. ოპონენტები ერთმანეთს პატივისცემით და სამართლიანად უნდა ექცეოდნენ. სავარჯიშოს მსვლელობაში მწვრთნელი არ ერევა, არ აკეთებს კომენტარებს. ის მხოლოდ წესრიგს იცავს და მომხსენებლებს ეხმარება, დაიცვან გამოსვლების თანმიმდევრობა.

#### 5. ეტაპი – 10 წუთი

თამაშის განხილვა არის სავარჯიშოს დამასრულებელი მეხუთე ეტაპი. თამაშის მსვლელობისას მწვრთნელი დაფაზე წინასწარ დახაზულ სქემაში თვალსაჩინოდ აკეთებს მთელი თამაშის ჩანაწერს. ეს მეთოდი ეხმარება თამაშის მონაწილეებს, უფრო კარგად გაიგონ მწვრთნელის კომენტარები.

სქემა: 3

№1 გუნდი	№2 გუნდი	№3 გუნდი	№4 გუნდი	№5 გუნდი	№1 გუნდი
არგუმენტი არგუმენტი არგუმენტი	კონტრარგუმენტი კონტრარგუმენტი კონტრარგუმენტი				
	არგუმენტი არგუმენტი არგუმენტი	კონტრარგუმენტი კონტრარგუმენტი კონტრარგუმენტი			
		არგუმენტი არგუმენტი არგუმენტი	კონტრარგუმენტი კონტრარგუმენტი კონტრარგუმენტი		
			არგუმენტი არგუმენტი არგუმენტი	კონტრარგუმენტი კონტრარგუმენტი კონტრარგუმენტი	
				არგუმენტი არგუმენტი არგუმენტი	კონტრარგუმენტი კონტრარგუმენტი კონტრარგუმენტი

## IV გაკვეთილი

### კრიტერიუმი – მტკიცების მიზანი

- რა არის კრიტერიუმი? – 20 წთ.
- სავარჯიშო – „შევიმუშაოთ კრიტერიუმი“ – 60 წთ.

### რა არის კრიტერიუმი?

მტკიცებითი პოზიციის ფორმირების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს დამამტკიცებელი არგუმენტების ერთ, ზოგად დადებით ღირებულებაში გაერთიანებას. ფორმალურ დებატებში ასეთ ღირებულებას კრიტერიუმს ვუწოდებთ. ორი-სამი სიტყვისაგან შემდგარი საყოველთაოდ აღიარებული დადებითი ღირებულება, მაგალითად: საზოგადოების კეთილდღეობა, ადამიანის უფლებათა დაცვა, ჯანსაღი მომავალი თაობა და სხვ. წარმოადგენს რეზოლუციის მტკიცების ან უარყოფის შედეგად მიღწეულ მიზანს და არგუმენტების ერთგვარ გამაერთიანებელ დებულებასაც. კრიტერიუმის საშუალებით მოდებატეები ნათლად აჩვენებენ ოპონენტებს, მსაჯებსა და დამსწრე საზოგადოებას, რა მიზანს მივაღწევთ, რა სახის სიკეთეს შევიძენთ, როდესაც დავიცავთ ან უარყოფთ საკამათო რეზოლუციას.

დებატების მწვრთნელმა კარგად უნდა აუხსნას ახალბედა მოდებატეებს, რომ კრიტერიუმი, ერთი მხრივ, მხოლოდ დადებითი ღირებულების მატარებელი უნდა იყოს და, ამავე დროს, მისი მიღწევა არ უნდა იქცეს აუხდენელ ან განუხორციელებელ ოცნებად. კრიტერიუმი უნდა იყოს მკაფიოდ გამოხატული და მიღწევადი.

კრიტერიუმის შემუშავება მხოლოდ არგუმენტების შემუშავების შემდეგ არის შესაძლებელი. დებატების მწვრთნელი უკეთ აუხსნის მოდებატეებს კრიტერიუმის შემუშავების ტექნიკას, თუ თვალსაჩინოდ, ერთი რეზოლუციის მაგალითზე მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს კრიტერიუმს.

### სავარჯიშო № 4 „შევიმუშაოთ კრიტერიუმი“

#### 1. ეტაპი – გონიერივი იერიში 15 წთ

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე, მწვრთნელი დაფაზე წერს სადებატო რეზოლუციას, მაგ: **სიკვდილით დასჯა უნდა აიკრძალოს**, და ატარებს გონიერივი იერიშს 5 წუთის განმავლობაში თემაზე: „რატომ უნდა აიკრძალოს სიკვდილით დასჯა?“ მწვრთნელი ყველა პასუხს წერს დაფაზე. დროის ამონურვის შემდეგ, ის სთხოვს აუდიტორიას, გააერთიანოს ყველა მოფიქრებული არგუმენტი სამ არგუმენტში.

ჩვენ მივიღებთ დაახლოებით ასეთ არგუმენტებს:

1. სკვდილით დასჯა არღვევს სიცოცხლის უფლებას;
2. სიკვდილით დასჯა შეიძლება იყოს არასწორი სასამართლო გადაწყვეტილების შედეგი;
3. სიკვდილით დასჯა არ ამცირებს დანაშაულს.

## 2 ეტაპი – 15 წუთი

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე, აუდიტორია უნდა დავყოთ ჯგუფებად და დავავალოთ, რომ გონიერივი იერიშის დროს შემუშავებული არგუმენტების საფუძველზე თითოეულმა ჯგუფმა 10 წუთის განმავლობაში შეიმუშაოს ერთი წინადადება, რომელიც ლოგიკურად იქნება დაკავშირებული სამივე არგუმენტის არსთან და, ამავე დროს, იქნება დადებითი ღირებულების მატარებელი ზოგადი დებულება.

## 3 ეტაპი – 15 წუთი.

სავარჯიშოს მესამე ეტაპზე, თითოეული ჯგუფი წარადგენს თავის შემუშავებულ კრიტერიუმს, როგორც პოზიციის მიზანს და არგუმენტებით დაასაბუთებს მის დადებით ღირებულებას.

## 4 ეტაპი – 15 წუთი

ყველა გუნდის კრიტერიუმებს მწვრთნელი თვალსაჩინოდ წერს დაფაზე და გამოსვლების შემდეგ განიხილავს, რამდენად არსებობდა ლოგიკური კავშირი ჯგუფების მიერ შემოთავაზებულ არგუმენტებსა და კრიტერიუმს შორის.

დავუშვათ, რომელიმე გუნდის კრიტერიუმი იყო – **სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა უსაფრთხოება.** ასეთი კრიტერიუმი ნამდვილად დადებითი ღირებულების მატარებელია, მაგრამ ის საერთოდ არ არის ლოგიკურ კავშირში მოცემულ არგუმენტებთან. მწვრთნელმა უნდა აუხსნას მოდებატებებს, რომ მათ მიერ სავარჯიშოს დასაწყისში შემუშავებული არგუმენტები ადამიანთა ძირითად თავისუფლებებს უფრო უკავშირდება, ვიდრე უსაფრთხოებას. მაგალითისათვის, მწვრთნელს შეუძლია შესთავაზოს, რომ კრიტერიუმი – **სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბება, უფრო შეეფერება მოცემულ არგუმენტებს.**

## V გაკვეთილი

### დამამტკიცებელი მასალები ფორმალურ დებატებში

- როგორ მოვიძიოთ დამამტკიცებელი მასალები – 10 წთ.
- როგორ გამოვიყენოთ დამამტკიცებელი მასალები – 10 წთ.
- სავარჯიშო „მრგვალი მაგიდა“ – 25 წთ
- სავარჯიშო „გავიხსენოთ ფაქტები“ – 30 წთ.

### როგორ მოვიძიოთ დამამტკიცებელი მასალები

ფორმალურ დებატებში დამამტკიცებელი მასალის არსებობასა და გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ნებისმიერი სახის მტკიცებისა და დაპირისპირების საფუძველი სწორედ ფაქტები და მაგალითებია. ორატორის მკაფიო, გამართული და ლოგიკური გამოსვლა მხოლოდ იმის შემდგომ იძენს დამაჯერებლობას, როდესაც პოზიციის დამამტკიცებელი არგუმენტი ფაქტებითა და სტატისტიკური მონაცემებით არის გამაგრებული. სადებატო საკითხის ცოდნა ჩანს არა ლამაზად დაწყობილ და ეფექტურად წარდგენილ არგუმენტებში, არამედ ამ არგუმენტის გავრცობაში, რაც შეუძლებელია თემის კვლევისა და ჩვენი იდეების შესაბამისი მონაცემებით მხარდაჭერის გარეშე.

კარლ პოპერის დებატებში დამამტკიცებელი მასალა ეწოდება:

- ფაქტებს;
- სტატისტიკურ მონაცემებს;
- ციტატებს;
- ცნობილ ადამიანთა გამონათქვამებს;
- მაგალითებს;
- მსგავს შემთხვევებს.

ამგვარი, დამასაბუთებელი ინფორმაციის მეშვეობით ხდება საკუთარ არგუმენტებში ჩამოყალიბებული ლოგიკური მსჯელობის გამყარება და ოპონენტთა მოსაზრებების გაბათილება.

თუ მტკიცებითი პოზიციის ფორმირების დროს გუნდები არ მოიპოვებენ კარგ დამამტკიცებელ მასალებს, ოპონენტ გუნდთან წინააღმდეგობის გაწევა და მსაჯის დარწმუნება საკუთარი პოზიციის უპირატესობაში შეუძლებელი იქნება.

## **როგორ მოვიძიოთ და გამოვიყენოთ დამამტკიცებელი მასალები სავარჯიშო №5 „მრგვალი მაგიდა“**

### **1 ეტაპი – 5 წუთი.**

სავარჯიშოს დაწყებისთანავე მწვრთნელი დაფაზე დაწერს კითხვას: „სად უნდა მოვიპოვოთ დამამტკიცებელი მასალა?“

5 წუთის განმავლობაში ჩავატაროთ გონებრივი იერიში და შევეცადოთ, დაფაზე დავაფიქსიროთ ყველა მოსაზრება. დროის ამონურვის შემდეგ, დაფაზე დაახლოებით ასეთი ჩამონათვალი გაჩნდება:

- ურნალ-გაზეთები;
- ტელევიზია და რადიო;
- ინტერნეტი;
- სახელმძღვანელოები;
- მასწავლებლები;
- ექსპერტები;
- მშობლები;
- მეგობრები.

### **2 ეტაპი – 5 წუთი**

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე, აუდიტორია დავყოთ მცირე ჯგუფებად და დავავალოთ, 10 წუთის განმავლობაში განიხილონ ზემოთ ჩამოთვლილი წყაროები და განსაზღვრონ მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

### **3 ეტაპი – 15 წუთი**

სავარჯიშოს მესამე ეტაპზე ჯგუფები წარადგენენ თავიანთ მოსაზრებებს, მწვრთნელი კი ხელს შეუწყობს ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით დისკუსიის წარმართვას. დისკუსიის დროს მოდებატებს შეუძლიათ თქვან, რომ, ერთი მხრივ, გაზეთები კარგი წყაროა, ვინაიდან მათში ახალი ინფორმაცია, ამავე დროს, არ უნდა დავივინუოთ „ყვითელი პრესა“. სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით გამოითქმის მოსაზრებები, რომ მონაცემები შეიძლება მოძველებული იყოს. ექსპერტების მოსაზრებები კი ყოველთვის არ არის კომპეტენტური, ტელევიზიაში და რადიოში ადამიანები ზეპირ განცხადებებს აკეთებენ, რაც ნაკლებად საპასუხისმგებლოა და მათზე დაყრდნობა მომგებიანი არ არის დებატების დროს.

ასეთი დისკუსია უნდა წარიმართოს მრგვალი მაგიდის ირგვლივ (წრიულად განლაგებული სკამების პრინციპით). მწვრთნელი ამ სავარჯიშოს დროს ფლობს გასაღებს (ნებისმიერი ნივთი – მარკერი, კალამი, სახაზავი...), რომელსაც მოთხოვნის შესაბამისად გადასცემს აუდიტორიის წევრს.

მხოლოდ გასაღების მფლობელს აქვს უფლება, ისაუბროს. დანარჩენი მონაწილეები უსმენენ და ელოდებიან გასაღების მფლობელის საუბრის დამთავრე-

ბას.

მსგავსი დისკუსიები ძალიან სასარგებლოა. მოდებატეები ეჩვევიან საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმას და მოთმინებით მოსმენას.

## დამამტკიცებელი მასალის გამოყენება

კარლ პოპერის დებატებში დამამტკიცებელი მასალის გამოყენება სამი ძირითადი მიზნით ხდება:

- საკუთარი პოზიციის განმტკიცების დროს არგუმენტების გამყარება ფაქტებით და სტატისტიკური მონაცემებით;
- ოპონენტთა ქეისის გაპათილების დროს კონტრაფაქტების და ალტერნატიული მაგალითების მოყვანა;
- ავტორიტეტული ექსპერტებისა და მეცნიერების ნაშრომებიდან ამონარიდები ხელს უწყობს არგუმენტების ანალიზს;
- ცნობილი საზოგადოებრივი მოღვაწეებისა და ლიტერატორების გამონათქვამები და ციტატები ამძაფრებენ გამოსვლას და უფრო ეფექტურს ხდიან პრეზენტაციას;
- თამაშის გაანალიზებისას, გუნდის მესამე მომხსენებლები – როგორც მტკიცებით, ასევე უარმყოფელ მხარეზე – განიხილავენ შეჯახებების არეებს. ამ დროს ფაქტების მოშველიება ყველაზე ეფექტური ხერხია.

## სავარჯიშო № 6 „მოვიგონოთ ფაქტები“

### 1 ეტაპი – 10 წუთი

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე დავყოთ აუდიტორია სამ თანაბარ ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს მივცეთ ბარათებზე წინასწარ დაწერილი რამდენიმე არგუმენტი. 10 წუთის განმავლობაში მოდებატებმა უნდა მოიფიქრონ რაც შეიძლება მეტი სხვადასხვა სახის დამამტკიცებელი მასალა მოცემული არგუმენტების დასამტკიცებლად.

#### 1 ბარათი

- ტელევიზია დეზინფორმაციის წყაროა;
- ტელევიზია აზარმაცებს მოზარდებს;
- ტელევიზია მავნედ მოქმედებს ჯანმრთელობაზე.

#### 2 ბარათი

- რეკლამა ადუნებს მომხმარებლის ყურადღებას;
- რეკლამა იტყუება;
- რეკლამა ხშირად არაესთეტიკურია.

#### 3 ბარათი

- ქუჩის აქციები შედეგის სწრაფად მიღების საშუალებას იძლევა;

- ქუჩის აქციები ხელისუფლებაზე ზეგავლენის საუკეთესო საშუალებაა;
- ქუჩის აქციები დემოკრატიის განვითარებას უწყობს ხელს.

### 2 ეტაპი – 10 წუთი

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე გუნდებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ფაქტები და, ამავე დროს, აღნიშნონ, სად და როგორ მოიძიებდნენ ფაქტებს, უფრო მეტი დრო და პირობები რომ ჰქონდეთ.

### 3 ეტაპი – 10 წუთი

სავარჯიშოს მესამე ეტაპზე დებატების მწვრთნელი მისცემს დავალებას გუნდებს, რომ შემდეგი გაკვეთილისათვის გუნდებმა მოიძიონ უფრო მეტი დამამტკიცებელი მასალა იმ წყაროებიდან, რომლებზეც გაკვეთილის დასაწყისში ვისაუბრეთ.

საშინაო დავალების მიცემა მთელი კურსის მსვლელობისას ძალიან მნიშვნელოვანია. საშინაო დავალებები უნდა იყოს საინტერესო, ითვალისწინებდეს გუნდური მუშაობის პრინციპებს (გუნდის წევრებს შეუძლიათ მოპოვონ სხვადასხვა მასალა და ბოლოს შეაჯერონ ეს მასალები) და თავიდან არ უნდა იყოს ძალიან რთული. საგანმანათლებლო დებატების პრინციპები მოდებატებისაგან ხანგრძლივ და თანმიმდევრულ მუშაობას მოითხოვს. ამიტომ მოზარდებს სჭირდებათ მოტივაცია იმისათვის, რომ სრულყოფილად შეასრულონ დავალება. შეჯიბრის პრინციპი ამ შემთხვევაში ყველაზე კარგ მოტივაციად წარმოგვიდგება.

საშინაო დავალების მიცემისას დაგეგმეთ შემდეგი შეხვედრა, ისე, რომ შედგეს თამაშები. სამი ჯგუფი წარადგენს თავის არგუმენტებს და ფაქტებს. თითოეულ ჯგუფს ეყოლება ოპონენტები, რომლებიც ასევე აღჭურვილები იქნებიან კონტრარგუმენტებითა და ფაქტებით.

## VI გაკვეთილი

### ქეისი

- ქეისი – მოდებატე მხარის პოზიცია – 15წთ.
- მტკიცებითი გუნდის პოზიცია – 10 წთ.
- სავარჯიშო „შევიმუშაოთ მტკიცებითი ქეისი“ – 35 წთ.

### ქეისი – მოდებატე მხარის პოზიცია

საგანმანათლებლო ფორმალურ დებატებში კამათი გუნდებს შორის წინასწარ მომზადებული პოზიციებით ე.წ. ქეისებით მიმდინარეობს. ქეისი არის საქმე, რომელიც იქმნება რამდენიმე კვირის განმავლობაში. მოდება-

ტექნიკის სამკაციანი გუნდი ეცნობა საკამათო რეზოლუციას, იკვლევს მა-სალებს მის ირგვლივ, აყალიბებს არგუმენტებს, ქმნის დამამტკიცებელი მასალების მარაგს და ბოლოს წერს პირველი მომხსენებლისათვის გამოსას-ვლელ სიტყვას.

დებატების ტურნირებზე გუნდებს როგორც მტკიცებით, ასევე უარმყ-ოფელ პოზიციაზე უწევთ თამაში. პოზიციების არჩევა კი კენჭისყრაზეა და-მოკიდებული. აქედან გამომდინარე, დებატებისათვის მზადების პროცესში მოსწავლეებმა ორივე მხარის პოზიცია (ქეისი) უნდა შეადგინონ. აღნიშ-ნული პროცესი ძალზე შრომატევადი, მაგრამ, ამავე დროს, საინტერესოა.

### ქეისის პირამიდა

თითოეული გუნდის პოზიცია შედგება რეზოლუციის, დეფინიციების, კრიტერიუმის, არგუმენტებისა და დამამტკიცებელი მასალისაგან. აღნიშ-ნული კომპონენტები საგანგებო სტრუქტურით უნდა იყოს წარმოდგენილი მტკიცებითი გუნდის პირველი გამომსვლელის მოხსენებაში. ე.ნ. ქეისის პი-რამიდა ნათელ წარმოდგენას იძლევა მთელი ქეისის აგებულებაზე.



### მტკიცებითი გუნდის პოზიცია

პირველი, რაც მტკიცებით გუნდს აუდიტორიისაგან სჭირდება, ყურადღებაა. ამ შემთხვევაში, მომხსენებლის კარგმა შესავალმა აუდი-ტორიის ყურადღება უნდა მიიპყროს და მას სადებატო რეზოლუცია ეფექ-ტურად გააცნოს. ყურადღების მიპყრობა შეიძლება შთამბეჭდავი ციტატით, განსაცვიფრებელი სტატისტიკის გამოყენებით, ან დრამატული მაგალითისა და ანალოგის მეშვეობით. მას შემდეგ, რაც მომხსენებელი განსაზღვრავს დეფინიციებს და დაადგენს კრიტერიუმს. გუნდი საკუთარი კრიტერიუმის დასაცავად გამოიყენებს სხვადასხვა დარგის თეორეტიკოსების მოსაზრე-

ბებს; ამავე დროს, წარმოადგენს საკუთარ დასაბუთებებს, შედარებებსა და ანალოგიებს. ქეისის კარგი შესავალი მოქმედებს მთელი შემდგომი თამაშის განწყობაზე. შესავალს – რეზოლუცია, დეფინიციები და კრიტერიუმი – პირველმა მომხსენებელმა დაახლოებით ნახევარი წუთი უნდა დაუთმოს.

მტკიცებითმა გუნდმა კრიტერიუმის დადგენისა და დაცვის შემდეგ უნდა განავითაროს ისეთი არგუმენტები, რომელიც მისი კრიტერიუმის შესაბამისი იქნება. არგუმენტები შეიძლება აღვიქვათ, როგორც ხიდი – რომელიც კრიტერიუმთან მისასვლელად არის აუცილებელი. მტკიცებითი პოზიცია უნდა იყოს დამაჯერებელი, ადვილად გასაგები, ერთი საკითხიდან მეორეზე აზრები ლოგიკურად უნდა გადადიოდეს. ქეისის სტრუქტურა კარგად უნდა იყოს განერილი დროში. თითოეული არგუმენტი ამომწურავად უნდა იყოს ნარდგენილი. დაუშვებელია მეორე არგუმენტის დასრულების შემდეგ მომხსენებელი წინა არგუმენტის დასაბუთებას დაუბრუნდეს. მსაჯმა თავის ჩანაწერში ნათლად უნდა დაინახოს, სად მთავრდება ერთი არგუმენტი და სად იწყება მეორე.

იმისათვის, რომ გაუადვილოთ მოდებატეებს ქეისის სტრუქტურის აღქმა, შემოგთავაზებთ სავარჯიშოს:

## სავარჯიშო № 7 „შევიმუშავოთ მტკიცებითი ქეისი“

1 ეტაპი – 5 წუთი

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე დაფაზე დავწეროთ სადებატო რეზოლუცია. მაგალითად:

## „დიდ ქალაქში ცხოვრებას პატარა სოფელში ცხოვრება სჯობს“

დავყოთ აუდიტორია მცირე ჯგუფებად და დავავალოთ, შეიმუშაონ მტკიცებითი პოზიცია, რომელიც სამი არგუმენტისაგან შედგება. ამ სავარჯიშოს შესრულებისას მწვრთნელი აუხსნის მოდებატეებს, რომ სამი არგუმენტი მტკიცებით ქეისში არ არის საყოველთაო წესი, რომელსაც მოდებატეები ემორჩილებიან. არგუმენტების რაოდენობა არ არის შეზღუდული. მთავარია გუნდმა მოახერხოს, ექვს წუთში ისე წარადგინოს არგუმენტები, რომ არც ფაქტები და სტატისტიკური მონაცემები დააკლოს, არც გადატვირთოს ზედმეტი ძნელდად აღსაქმელი მონაცემებით. ლოგიკური მსჯელობაც კარგი აღსაქმელია, როდესაც აზრი ათი-თხუთმეტი წინადადებით არის გადმოცემული. დებატის დროს, როგორც ოპონენტებისათვის ასევე, მსაჯებისათვის ხანგრძლივი, დროში განელილი არგუმენტების დასაბუთებები მთავარზე ყურადღების გამახვილებას უმლის ხელს. ამრიგად, არგუმენტების დასაბუთებისას „ოქროს შუალედი“ უნდა დავიცვათ. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ექვს წუთში სრულფასოვნად 3 არგუმენტის წარდგენა არის აუცილებელი. თუმცა, დებატების ტურნირებზე გვქონდა შემთხვევები,

როდესაც სადებატო თემა იმდენად მრავალმხრივი იყო, რომ გუნდები მეოთხე არგუმენტის შემოტანას და მის ეფექტურად წარდგენას ახერხებდნენ.

უარმყოფელი გუნდისათვის ოპონირების განევა გაცილებით ადვილია, როდესაც მტკიცებითი მხარე ბევრ – 4,5,6 არგუმენტს წარადგენს, ვინაიდან დროის შეზღუდვის გამო ვერ ესწრება ამ არგუმენტების სრულყოფილად გაშლა და ოპონენტი გუნდი ზედაპირულ დასაბუთებას ადვილად უმკლავდება ძლიერი კონტრარგუმენტებით. გაცილებით რთულია 2-3 ძლიერი არგუმენტის და მათი სიღრმისეულად გაანალიზებული მხარდაჭერის გაბათილება.

## 2 ეტაპი – 15 წუთი

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე მწვრთნელი თითოეულ გუნდს მისცემს წინასწარ ამობეჭდილ სქემას, სადაც კრიტერიუმის და არგუმენტების უჯრები ცარიელია. 15 წუთის განმავლობაში გუნდებმა უნდა მოიფიქრონ კრიტერიუმი და სამი არგუმენტი – თავისი ლოგიკური მსჯელობით, დამამტკიცებელი მასალებითა და დასკვნებით და მოკლედ ჩაწერონ ცარიელ გრაფებში.

### სქემა 4 – „მტკიცებითი ქეისი“

სადებატო რეზოლუცია	დიდ ქალაქში ცხოვრებას პატარა სოფელში ცხოვრება სჯობს
დეფინიციები	დეფინიციებს (განმარტებებს) გუნდები საკუთარი პოზიციის შესაბამისად წარადგენენ, რაც თამაშს განსაზღვრულ კალაპოტში აქცევს. უარმყოფელი მხარე იძულებულია თამაშის ამ კალაპოტს გაჰყვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თამაში სხვადასხვა მიმართულებით წარიმართება და, შესაბამისად, არ მოხდება აზრთა დაპირისპირება.
დეფინიცია	დიდი ქალაქი – ინდუსტრიული, განვითარებული ქალაქი მილიონზე მეტი მოსახლეობით
დეფინიცია	პატარა სოფელი – სასოფლო-სამეურნეო დარგში წარმატებული სოფელი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემით, განვითარებული ინფრასტრუქტურით, სოფელში არის სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სპორტული მოედნები, ბიბლიოთეკა, კლუბი, სადაც იმართება კონცერტები და სპექტაკლები. სოფლის მოსახლეობა არ აღემატება 1000 კაცს.
დეფინიცია	ცხოვრება – ოჯახური ცხოვრება, შრომითი მოლვაწეობა, დასვენება, კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეობა. განათლების მიღება.

<b>კრიტიკული (პოზიციის მიზანი)</b>	
<b>1. არგუმენტი</b> არგუმენტის ახსნა	1. არგუმენტის დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით 1. არგუმენტის დასაბუთება დამამტკიცებელი მონაცემებით 1. არგუმენტის დასკვნა და დაკავშირება კრიტიკულთან
<b>2. არგუმენტი</b> არგუმენტის ახსნა	2. არგუმენტის დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით 2. არგუმენტის დასაბუთება დამამტკიცებელი მონაცემებით 2. არგუმენტის დასკვნა და დაკავშირება კრიტიკულთან
<b>3. არგუმენტი</b> არგუმენტის ახსნა	3. არგუმენტის დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით 3. არგუმენტის დასაბუთება დამამტკიცებელი მონაცემებით 3. არგუმენტის დასკვნა და დაკავშირება კრიტიკულთან  სამივე არგუმენტის დასკვნა და კავშირი კრიტიკულთან

### 3 ეტაპი – 15 წუთი

სავარჯიშოს მესამე ეტაპზე თითოეული გუნდი სამ-სამი წუთის გან-მავლობაში წარადგენს ქეისს. მწვრთნელი თვალსაჩინოდ დაფაზე აკეთ-ებს ქეისების ჩანაწერს. წარდგენების შემდგომ, მწვრთნელის მიერ გაკეთ-ებულ ჩანაწერებზე ნათლად გამოჩნდება გუნდების მიერ შემუშავებული სტრუქტურა. ამ სავარჯიშოში მნიშვნელოვანია, რომ მწვრთნელმა კომენ-ტარების დროს ყურადღება გაამახვილოს ქეისის სტრუქტურაზე და სი-ზუსტეზე. მომხსენებლებს არ უნდა გამორჩეთ ქეისის არც ერთი პუნ-

ქტი. კომენტარების დასრულებისას მწვრთნელი დაავალებს მოდებატებს, მოიპოვონ ინფორმაცია ამ თემის ირგვლივ და მოცემული სტრუქტურის მიხედვით შეიმუშაონ უფრო სრულყოფილი ქეთის, რომელიც 6 წუთიანი მოხსენების სახით წარდგენილი იქნება მომდევნო გაკვეთილზე.

მწვრთნელი აუხსნის მოდებატებს, რომ შემდეგი გაკვეთილი დაეთმობა უარმყოფელი პოზიციის შემუშავებას და მათ მიერ სახლში მომზადებული მასალები გამოყენებულ იქნება უარყოფის სტრატეგიის ასახსნელად.

## უარყოფელი პოზიციის ფორმირება

### VII გაკვეთილი

#### უარყოფა და აღდგენა

- უარყოფა და აღდგენა, როგორც დებატების საფუძველი – 10 წთ
- როგორ მოვერზადოთ უარმყოფელი პოზიციისათვის? – 15 წთ.
- სავარჯიშო „რატომ არ ვეთანხმები რეზოლუციას“ – 35 წთ

#### უარყოფა და აღდგენა, როგორც დებატების საფუძველი

კარლ პოპერის სახელობის ფორმალურ დებატებში მტკიცებითი და უარმყოფელი გუნდების დაპირისპირება შეიძლება ორი სიტყვით გამოვხატოთ: უარყოფა და აღდგენა. დებატების მწვრთნელმა კარგად უნდა აუხსნას მოდებატებს, რომ უარმყოფელი გუნდი არაფერს ამტკიცებს, იგი მხოლოდ უპირისპირდება მტკიცებით პოზიციას. ამ ორი პონენტი გუნდის ფუნქციები უფრო თვალსაჩინო რომ გახდეს, ნარმოვიდგინოთ სასამართლო დარბაზი, სადაც ერთმანეთის პირისპირ არიან ბრალმდებელი და დამტკიცელი. ადვოკატს არ სჭირდება განსასჯელის უდანაშაულობის მტკიცება. იგი ასაბუთებს, რომ ბრალმდებლის მტკიცება არასწორი, არასამართლიანი, ან განსასჯელის დამნაშავედ ცნობისათვის არ არის საკმარისი.

უდანაშაულობის პრეზუმიციის მიხედვით, პირი უდანაშაულოა მანამ, სანამ სასამართლოს მიერ დამნაშავედ არ არის ცნობილი. თუ ბრალმდებელმა თავისი არგუმენტაცია ვერ დაამტკიცა, ის აგებს სასამართლო პროცესს.

ასევეა ფორმალურ დებატებშიც. უარყოფელი მხარე ასაბუთებს, რომ მტკიცებითი გუნდის პოზიცია არასწორია, არგუმენტები ვერ ასაბუთებს საკამათო რეზოლუციას, ლოგიკური მსჯელობა მცდარია, ფაქტები არასანდო, ხოლო კავშირები ფაქტებსა და არგუმენტებს შორის არამყარი და ა.შ.

უარყოფისა და აღდგენის პროცედურის წარმატებულად შესრულებას მსაჯები უმთავრეს ყურადღებას აქცევენ. ოპონენტთა მოსაზრებების უარყოფა, იგივე გაბათილება, მონინააღმდეგეთა პოზიციისადმი დაპირისპირებას ნიშნავს, ხოლო აღდგენა – დაპირისპირებას აღნიშნული დაპირისპირებას

ბისადმი.

## როგორ მოვემზადოთ უარმყოფელი პოზიციისათვის?

სადებატო რეზოლუციის გამოცხადების შემდეგ, მტკიცებითი და უარმყოფელი პოზიციების თანაბრად მომზადება წარმატებისათვის მებრძოლი გუნდის სტრატეგია უნდა გახდეს.

### სავარჯიშო №8 „რატომ არ ვეთანხმები რეზოლუციას?“

1 ეტაპი – 10 ნუთი

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე მწვრთნელი 10 ნუთის განმავლობაში ატარებს „გონებრივ იერიშს“: დაფაზე დაწერს რეზოლუციას, რომელიც უკვე განხილული იყო წინა გაკვეთილებზე მტკიცებითი პოზიციის მხრიდან.

მაგალითად – „დიდ ქალაქში ცხოვრებას პატარა სოფელში ცხოვრება სჯობს“ და წერს ასევე კითხვას – რატომ არ ვეთანხმებით რეზოლუციას?

ამის შემდეგ მწვრთნელი შეახსენებს აუდიტორიას „გონებრივი იერიშის“ რამდენიმე წესს.:

- არასდროს გავაკრიტიკოთ იდეა ჩამოყალიბებისთანავე, რადგან ძალიან ხშირად იდეა, რომელიც ყველაზე ნაკლებად გამოსადეგი გვეჩვენება, შეიძლება სხვა იდეის წარმოშობის მიზეზი გახდეს;
- არც ერთი წინადადება არ შეიძლება იყოს ყოვლად მიუღებელი. სანამ კარგ იდეამდე მივიდოდეთ, მრავალი მიუღებელი იდეა უნდა განვიხილოთ;
- არასოდეს შეჩერდეთ სამ ან ოთხ იდეაზე. რაც მეტი იდეაა წარმოდგენილი, მით უკეთესი;
- აუცილებელია აზრთა გაზიარება, კომბინირება და თავიდან დალაგება-ჩამოყალიბება.

კარგი „გონებრივი იერიში“ შეიძლება ხმაურიანი იყოს. მწვრთნელმა არ უნდა დაუშალოს მონაწილეებს, უწესრიგოდ წამოისროლონ წინადადებები. არ შეზღუდოთ ის მონაწილეები, ვისაც ლაპარაკის სურვილი გაუჩნდება. კარგად ჩატარებული გონებრივი იერიში წარმოშობს ბევრ და საჭირო იდეას.

2 ეტაპი – 5 ნუთი

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე დავყოთ აუდიტორია მცირე ჯგუფებად და დავავალოთ, მოახდინონ დაფაზე ჩამოწერილი იდეების კლასიფიცირება.

### **3 ეტაპი – 10 წუთი**

სავარჯიშოს მესამე ეტაპზე დავურიგოთ გუნდის წევრებს წინა გაკვეთილზე მათ მიერ შემუშავებული მტკიცებითი ქეისი და დავავალოთ, კლასიფიცირებული იდეები შეუსაბამონ მტკიცებით არგუმენტებს და კონტრარგუმენტის სახით ჩამოაყალიბონ იდეები.

### **4 ეტაპი – 15 წუთი**

სავარჯიშოს მეოთხე ეტაპზე გუნდები წარადგენენ თავიანთ კონტრარგუმენტებს მოცემულ არგუმენტებთან მიმართებაში. მწვრთნელი დაფაზე აკეთებს ჩანაწერებს და განმარტავს, რომელი კონტრარგუმენტები რეალურად უპირისპირდება არგუმენტებს.

ნარმოგიდგნთ უარმყოფელი გუნდის მიერ კონტრარგუმენტების შემუშავების სქემის მაგალითს:

#### **სქემა 5**

**1 არგუმენტი – დიდ ქალაქში ვიღებთ უფრო კარგ განათლებას.**

	<p>1. კონტრარგუმენტი – პატარა სოფლის სკოლებში უფრო მცირერიცხოვანი კლასებია. ამიტომ, მასწავლებელს აქვს საშუალება. ინდივიდუალურად მიუდგეს მოსწავლეებს.</p> <p>2. კონტრარგუმენტი – სოფელში საბუნები-სმეტყველო საგნების სწავლება გაადვი-ლებულია, ვინაიდან სოფელში მცხოვრებ მოსწავლეებს უშუალო შეხება აქვს ბუნებასთან.</p> <p>3. სოფლებში საჯარო სკოლებში სწავლის ხარისხი მაღალია, რაზეც მეტყველებს მოსწავლეთა შედეგები კონკურსებსა და მისაღებ გამოცდებზე.</p> <p>4. სოფლის მაცხოვრებლის განათლების მი-ლება ხდება მიზანმიმართულად სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარული მიმარ-თულებით და პარმონიაშია მის ცხოვრებასთან.</p> <p>5. სოფლის მაცხოვრებელს შეუძლია უმაღლესი განათლება მიიღოს ქალაქში, ხოლო იცხოვროს სოფელში. თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა დისტანციური გა-ნათლების საშუალებას.</p>
--	--

2 არგუმენტი – დიდ ქალაქში ადამიანის ჯანმრთელობა უფრო დაცულია, ვინაიდან, სამედიცინო მომსახურება უფრო კვალიფიციურია.

	<p>1. კონტრარგუმენტი – პატარა სოფელში უფრო ჯანსაღია ეკოლოგიური გარემო. მოსახლეობა სუფთა ჰაერს სუნთქვაზე და ნატურალური პრო-დუქტით იკვებება. ამიტომაც ადმიანთა ჯანმრთელობა უფრო მეტად არის დაცული, ვიდრე დიდი ქალაქების მოსახლეობის ჯანმრთელობა. დიდი ქალაქების მაცხოვრებლები უფრო მეტად არიან ეპიდემიების გავრცელების დარტყმის ქვეშ.</p>
	<p>2. კონტრარგუმენტი – სოფელში ადამიანი ახლოსაა ბუნებასთან და ნაკლებია სტრესული სიტუაციები, ამიტომაც ადამიანთა ჯანმრთელობა უფრო დაცულია.</p>
	<p>3. სოფლებში არის ამბულატორიები, სადაც კვალიფიციურ ექიმებს შეუძლიათ გაუწიონ ავადმყოფებს საჭირო პირველადი სამედიცინო დახმარება.</p>
	<p>4. სოფლის მაცხოვრებლებმა ქალაქების მაცხოვრებლებთან შედარებით მეტად იციან არატრადიციული მკურნალობის მეთოდების გამოყენება. ბალახეულობით და ნატურალური პრო-დუქტებით მკურნალობის მეთოდებს ტრადიციული მედიცინაც აქტიურად იყენებს.</p>
	<p>5. სოფლის მაცხოვრებელს შეუძლია ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში გაემგზავროს ქალაქში სამკურნალოდ.</p>

3 არგუმენტი – დიდი ქალაქები ტექნიკური, ასევე, კულტურული განვითარების ცენტრებია. ადამიანებს მეტი საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ კულტურულ და საზოგადოებრივ ღონისძიებებში.

	1. კონტრარგუმენტი – პატარა სოფლებში განვითარებულია გამოყენებითი ხელოვნების დარგები: რენვა, ქსოვა, გობელენი, თექა, რაც კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.
	2. კონტრარგუმენტი – ქართული ლიტერატურის შედევრები უმთავრესად პატარა სოფლებში არის შექმნილი.
	3. სოფელში განვითარდა და შენარჩუნდა ხალხური ზეპირსიტყვიერება და პოეზია, ასევე, ხალხური ფოლკლორი.
	4. სოფელში ტარდება ცნობილი თეატრალური დასების გასტროლები, ასევე კონცერტები და ფესტივალები. ასე რომ, სოფლის მოსახლეობა-საც აქვს საშუალება, მონაწილეობა მიიღოს კულტურულ და საზოგადოებრივ ღონისძიებებში, თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებიდან კი სოფლის მოსახლეობას შეუძლია თვალყური ადევნოს მსოფლიო კულტურულ მიღწევებს.
	5. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, სოფელს მეტი საშუალებები აქვს, ვითრე ქალაქს. ამიტომ კუთხისითვის დამახასიათებელი კოლორიტული ხელობები არამარტო მიმზიდველს ხდის სოფელს, არამედ ეროვნული კულტურის განვითარების პირობასაც წარმოადგენს.

სქემის განხილვისას მივაქციოთ ყურადღება, რომ ცხრილის პირველ გრაფაში სიცარიელეებია. ამ ცხრილს შემდეგ გაკვეთილზე კვლავ განიხილავს დებატების მწვრთნელი, როდესაც მტკიცებითი პოზიციის აღდგენაზე ისაუბრებს.

## VIII გაკვეთილი

### უარყოფა

- როგორ ვახდენთ რეაგირებას დეფინიციებსა და კრიტერიუმზე? – 20 წთ.
- მტკიცებითი ქეისის უარყოფის ძირითადი მეთოდები – 20 წთ.
- არგუმენტის უარყოფა – 20 წთ.
- სავარჯიშო „დავუპირისპირდეთ არგუმენტს“ – 20 წთ

### როგორ ვახდენთ რეაგირებას დეფინიციებსა და კრიტერიუმზე?

კარლ პოპერის დებატებში უარმყოფელი პოზიცია მტკიცებითი პოზიციის ყველა კომპონენტს უპირისპირდება. დებატების მწვრთნელმა უნდა აუხსნას მოდებატეებს, რომ უარყოფის სამიზნე, მართალია, მთელი მტკიცებითი ქეისი, მაგრამ უარყოფის სტრატეგია დეფინიციებთან და კრიტერიუმთან მიმართებაში სხვა ხასიათს ატარებს, ხოლო არგუმენტებთან და დამამტკიცებელ მასალებთან მიმართებაში სრულიად განსხვავებული მეთოდები გამოიყენება.

დებატების პროცესში ხშირად მძაფრი კამათი იმართება თამაშში წარმოდგენილი დეფინიციების გარშემო. აქ იბადება კითხვა: რამდენად სჭირდება უარმყოფელ მხარეს განმარტებების გაბათილება? რა უპირატესობის მოპოვება ან დაკარგვა შეიძლება დეფინიციების უარყოფითა და აღდგენით? თავისთავად, დებატების კარლ პოპერის ფორმატის სპეციფიკიდან გამომდინარე, ანუ იმ ძირითადი მომენტის გათვალისწინებით, რომ ამ თამაშში მთავარია მოწინააღმდეგე გუნდების მოსაზრებების უშუალო დაპირისპირება და შეჯახება მათ პოზიციებს შორის, უნდა ვალიაროთ ის ფაქტი, რომ დეფინიციების უარყოფა უფრო პროვოკაციულ მომენტს შეიცავს, ვიდრე აუცილებლობას. იმ შემთხვევაში, როდესაც უარმყოფელი გუნდი უპირისპირდება მტკიცებითის მიერ შემოტანილ განსაზღვრებებს, დებატები (გუნდების მსჯელობა და მტკიცებულებები) რადიკალურად სხვადასხვა მიმართულებით წარიმართება. ეს კი ენინააღმდეგება დებატების ძირითად პრიციპს თამაშში შეჯახებების არსებობის შესახებ.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, კარლ პოპერის დებატებში არსებობს შემთხვევები, როდესაც უარმყოფელი გუნდი მტკიცებითის დეფინიციებს უბრალოდ არ ეთანხმება. არსებობს მხოლოდ ორი შემთხვევა, როდესაც ხდება ტერმინების განმარტებების გაბათილება:

- ოპონენტების მიერ შემოთავაზებული დეფინიციები ტყუილია;
- ისინი ძალზედ მწირია და ინფორმაციის ნაკლებობით გამოირჩევა;
- პირველ შემთხვევაში, უარმყოფელ გუნდს დეფინიციებისადმი უშუა-

ლო დაპირისპირება, მათი გაბათილება და აღტერნატიული განმარტებების შემოტანა უწევს; დეფინიციების არსებობის დროს მოდებატეები, თუ საჭიროდ თვლიან, ახდენენ შემოტანილი განსაზღვრებების გავრცობას და ინფორმაციულად გამდიდრებას.

დებატებში საკუთარ კრიტერიუმად, ანუ მიზნად, რომლის მიღწევა საკუთარი პოზიციით სურს, როგორც წესი, თითოეულ გუნდს რაიმე დადებითი ლირებულება აქვს არჩეული. ამის გამო, საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება კრიტერიუმის უარყოფა.

უშუალოდ დებატების დროს კრიტერიუმი მხარეების პოზიციის ის ნაწილია, რომელზეც დავა იშვიათად მიმდინარეობს. იმ შემთხვევაში, როდესაც უარმყოფელი გუნდი ეთანხმება მოწინააღმდეგის კრიტერიუმს, მან იგივე კრიტერიუმი საკუთარი პოზიციის მიზნადაც უნდა დაისახოს. შესაბამისად, საკუთარი არგუმენტებიც მას უნდა დაუკავშიროს.

დებატების მწვრთნელმა თავის მოსწავლეებს უნდა აუხსნას, რომ კრიტერიუმის უარყოფა არ არის უარმყოფელი მხარის შეცდომა. დებატების წესები არ უარყოფს კრიტერიუმზე დაპირისპირებას. პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც უარმყოფელი გუნდი ახდენს დაპირისპირებას კრიტერიუმზე. ეს ხდება, როდესაც:

- მტკიცებითი გუნდის მიერ მოწოდებული კრიტერიუმი არ წარმოადგენს დადებით ლირებულებას;
- კრიტერიუმი შინაარსობრივად არ უკავშირდება რეზოლუციას;
- უარმყოფელი გუნდი კრიტერიუმზე დაპირისპირებას ახდენს საკუთარი, აღტერნატიული კრიტერიუმით.

პირველი ორი შემთხვევისას, უარმყოფელი გუნდი უბრალოდ უარყოფს მტკიცებითის კრიტერიუმს და შემოაქვს საკუთარი. ამ დროს, მოდებატე უბრალოდ ამტკიცებს, რომ მისი გუნდის მიზანი უფრო აუცილებელი და საჭიროა და რომ მისი მიღწევა უფრო მეტად სასურველია, ვიდრე ოპონენტის კრიტერიუმის.

## მტკიცებითი ქეისის უარყოფის ძირითადი მეთოდები

მიუხედავად იმისა, რომ გაბათილების პროცესში უარმყოფელი გუნდის მოვალეობა მოწინააღმდეგის მთელი ქეისის პირამიდის დაშლაში მდგომარეობს, მთავარი მაინც არგუმენტების და მათი ლოგიკური გავრცობის უარყოფაა, რადგან გუნდის პოზიციის მათავარი შინაარსი სწორედ არგუმენტებში გამოიხატება. არგუმენტებისადმი დაპირისპირების ასეთი დიდი მნიშვნელობის გამო მათ უარყოფის ყველა არსებული მეთოდით უპირისპირდებიან.

არგუმენტებისა და მათში ჩამოყალიბებული ლოგიკური მსჯელობის გაბათილების დროს, ხდება უარყოფის ძირითადი მეთოდების გამოყენება. კერძოდ:

- პირდაპირი უარყოფა;
- კავშირების მოძრვა;
- ფაქტებისა და დამამტკიცებელი მასალის გამოყენება;

- ოპონენტთა მსჯელობის გამოყენება;
- ჯვარედინი დაკითხვის გამოყენება.

## არგუმენტების უარყოფა

უარყოფის მეთოდებს შორის ყველაზე გავრცელებული და ხშირად გამოყენებადი პირდაპირი გაბათილებაა, რომლის დროსაც მოდებატეები უბრალოდ ცდილობენ ოპონენტთა არგუმენტებისადმი სამართლებრივი, ისტორიული, მორალური და სხვა თვალსაზრისით დაპირისპირებას. ამით მოთამაშეები აწარმოებენ არგუმენტებისათვის ლოგიკური საფუძვლის „გამოცდას“, აზრობრივი ჯაჭვის დარღვევას და ამ გზით ახდენენ საბოლოო გაბათილებას. თუმცა, პირდაპირ უარყოფას, ყველა თავის დადებით თვისებასთან ერთად, მეორე მხარეც გააჩინია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მისი გამოყენების შემთხვევაში, „საქმე ბოლომდე უნდა მივიდეს“. გაბათილების ამ მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, აუცილებლად ბოლომდე უნდა დამტკიცდეს ის, რომ მაგალითად, ოპონენტთა არგუმენტები ან მორალურად ან სამართლებრივად არ არის გამართლებული. ამასთან ერთად, პირდაპირი უარყოფის გამოყენებისას, უნდა იყოს უარყოფის ერთიანი სტრატეგია, რაც იმას ნიშნავს, რომ გუნდის თითოეული წევრი მსგავსი მოსაზრებებით უნდა სარგებლობდეს დაპირისპირების დროს.

კავშირების მეთოდი გამოიხატება ოპონენტის ქეისის კომპონენტებს შორის წინააღმდეგობების დანახვის გამოყენებაში. ამ პროცესში უნდა დადგინდეს ქეისის რგოლებს შორის შემდეგი სახის დამოკიდებულებები:

- რამდენად შეესაბამება კრიტერიუმი რეზოლუციის შინაარსს;
- რამდენად უკავშირდება თითოეული არგუმენტი კრიტერიუმს;
- რამდენადაა მიბმული თითოეული ქვეარგუმენტი ძირითად არგუმენტს;
- რამდენად ეთანხმება დამამტკიცებელი მასალა არგუმენტის შინაარსს;
- რამდენად მოდის გუნდის მსჯელობა შესაბამისობაში მათ მიერ წამოყენებულ დეფინიციებთან.

თამაშისათვის მომზადებისას, გუნდები თანაბარი ძალით ახდენენ მტკიცებითი და უარყოფელი ქეისების შემუშავებას. აქედან გამომდინარე, მოდებატეებს წინასწარ მომზადებული დამამტკიცებელი მასალა „დახარისხებული“ უნდა ჰქონდეთ, რათა ეფექტურად მოახდინონ მათი გამოყენება უარყოფის დროს. მნიშვნელოვანია დამამტკიცებელი მასალით, არამარტო ოპონენტის ფაქტებისა და სტატისტიკის გაბათილება, არამედ არგუმენტების უარყოფაც, რადგან ლოგიკური მსჯელობა, რომელიც არ არის დამამტკიცებელ მასალაზე დამყარებული და რომლის სიმცდარესაც ცნობილი ფაქტებითა და საინტერესო სტატისტიკით უპირისპირდები, დებატებში სარწმუნოდ არ მიიჩნევა.

ოპონენტის მოსაზრებათა და ჯვარედინი დაკითხვის გამოყენება უარყოფის

ძალზედ მსგავსი მეთოდებია, რადგან ამ დროს ხდება ოპონენტთა ნათქვამების მათ საწინააღმდეგოდ გამოყენება, რაც მსაჯისათვის ძალზედ დიდ დამამტკიცებელ არგუმენტს წარმოადგენს. განსხვავება ისაა, რომ ჯვარედინი დაკითხვის დროს, მოდებატების მთელი ძალისხმევა მიმართულია იმ კუთხით, რომ ოპონენტს ათქმევინონ მათთვის სასურველი პასუხი, ხოლო მოწინააღმდეგეთა გამოსვლის დროს ხელსაყრელი მოსაზრების დაჭრა და მისი გამოყენება დებატების ხელოვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახსიათებლად ითვლება.

გარდა ამისა, გაბათილება აუცილებლად უნდა მოიცავდეს გარკვეულ სტრუქტურას. იგი არ უნდა იყოს ქაოტური. ქეისის პირამიდაზე დაპირისპირებისას უნდა მოხდეს მის შემადგენელ ნაწილებზე თანმიმდევრული დაპირისპირება. ეს უადვილებს მსაჯს ჩანაწერის გაკეთებას, რაც დებატების შედეგის დასადგენად ძალზე მნიშვნელოვანია.

**წარმოგიდგენთ პირდაპირი უარყოფის მაგალითს:**  
სქემა 6.

**თემა:** სიკვდილით დასჯა გაუმართლებელია!

არგუმენტი	კონტრარგუმენტი
<p>სიკვდილით დასჯა არ ამცირებს დანაშაულის რაოდენობას.</p> <p>ყოველი დასჯის საბოლოო მიზანი არის დანაშაულის რაოდენობრივი მაჩვენებლის შემცირება. სიკვდილით დასჯის არსებობა ქვეყანაში არანაირად არ მოქმედებს დანაშაულების რიცხვზე. პირიქით, კვლევები გვიჩვენებს, რომ აშშ-ს იმ შტატებში, სადაც სიკვდილით დასჯა დაკანონებულია, დანაშაულებათა რიცხვი 30% – ით მეტია, ვიდრე დანარჩენ შტატებში (დავასეხელებთ წყაროს). ჩვენი დამამტკიცებელი მასალის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიკვდილით დასჯის არსებობა არ ამცირებს დანაშაულებათა რიცხვს. ამგვარად, სიკვდილით დასჯა არ არის გამართლებული.</p>	<p>მტკიცებით მხარე აცხადებს, რომ სიკვდილით დასჯა არ ამცირებს დანაშაულის რაოდენობას. ჩვენ, უარმყოფელი მხარე ვამბობთ საპირისპიროს – სიკვდილით დასჯა ამცირებს დანაშაულის რაოდენობას. ვეთანხმებით მტკიცებით მხარეს, რომ ყოველი დასჯის საბოლოო მიზანი არის დანაშაულის რაოდენობრივი მაჩვენებლის შემცირება. სიკვდილით დასჯა კი მთელ რიგ ქვეყნებში შემაშინებელი ფაქტორია და ხელს უწყობს დანაშაულის შემცირებას. არაბეთის ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა გამოიყენება ისეთი დანაშაულების მიმართ, როგორიც არის ნარკოტიკებით ვაჭრობა, არამც თუ განზრას მკვლელობა დამამტკიცებელი გარემოებებით, დანაშაულებათა რიცხვი საგრძნობლად ნაკლებია იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც სიკვდილით დასჯა არ არსებობს. ამიტომ არგუმენტი – სიკვდილით დასჯა არ ამცირებს დანაშაულის რაოდენობას, მცდარია, ვერ ასაბუთებს რეზოლუციას – სიკვდილით დასჯა გაუმართლებელია.</p>

## სავარჯიშო № 9 „დავუპირისპირდეთ არგუმენტს“

1 ეტაპი – 10 წუთი

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე დებატების მწვრთნელი ყოფს აუდიტორიას მცირე ჯგუფებად და ურიგებს მათ ბარათებზე დაბეჭდილ ერთ არგუმენტს და მოკლედ ფორმულირებულ დასაბუთებას – ლოგიკური მსჯელობით, დამამტკიცებელი მონაცემებით და დასკვნებით. შემდეგ, სთხოვს, რომ ათი წუთის განმავლობაში: а) მოიფიქრონ და დაასახელონ ის მეთოდი, რომლითაც აპირებენ მოცუმული არგუმენტის უარყოფას, ბ) მოცემულ სქემაში ჩაწერონ უარყოფის შესაბამისი პუნქტები.

წარმოგიდგენთ ასეთი არგუმენტის ერთ ნიმუშს:

სქემა 7.

<p><b>თემა:</b> ატომური ენერგიის გამოყენება ძირითადი სითბური ენერგიის რესურსის სახით არ არის გამართლებული.</p> <p><b>თეზისი:</b> ატომური ენერგიის გამოყენება სახითოა.</p> <p><b>ლოგიკური გავრცობა:</b> ძალიან ხშირად ხდება ავარიები ატომურ ელექტროსადგურებზე.</p> <p><b>დამამტკიცებელი მასალა:</b> 1990 წლის 14 ივნისს ურნალ „ატომურ ენერგიაში“ დაიბეჭდა სტატია: „ავარიები ამერიკის შეერთებული შტატების ატომურ ელექტროსადგურებზე ყოველდღე ხდება. ეს ავარიები უმნიშვნელოა, მაგრამ კატასტროფის პოტენციური საფრთხე ყოველთვის არსებობს.“ გავიხსენოთ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის გამანადგურებელი შედეგები. არ უნდა დავივინწყოთ, რომ მიწისძვრები და სხვა სტიქიური მოვლენები ატომური ელექტროსადგურების მწყობრიდან გამოსვლას უწყობს ხელს. იაპონიის 2011 წლის მოვლენები ამის ნათელი მაგალითია.</p> <p><b>დასკვნა:</b> ასე რომ, ეკოლოგიური კატასტროფის პოტენციური საფრთხე არსებობს. ჩვენ საშიში და საბედისწერო არჩევნის წინაშე ვდგავართ. გამოვიყენოთ თუ არა ატომური ენერგია? ჩვენს მსჯელობასა და მოცემულ ფაქტებზე დაყრდნობით უნდა განვაცხადოთ, რომ ახალი ატომური სადგურების მშენებლობა ატომური ენერგიის გამოყენების მიზნით უნდა შეჩერდეს.</p>
--

### **ეტაპი – 10 წუთი**

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე, თითოეული გუნდიდან ერთი წარმომადგენელი ორი წუთის განმავლოვაში წარადგენს არგუმენტის უარყოფის ვერსიას. დებატების მწვრთნელმა პარალელურად უნდა ჩაიწეროს დაფაზე ყველა მოხსენება.

### **ეტაპი – 10 წუთი**

სავარჯიშოს მესამე ეტაპზე, დებატების მწვრთნელი გააკეთებს მოკლე კომენტარებს და განიხილავს თითოეული გუნდის უარყოფის სტრატეგიას და ლოგიკური მსჯელობის სიზუსტეს.

## **IX გაკვეთილი**

### **უარყოფა**

- არგუმენტის სისუსტეები – 30 წთ.
- სავარჯიშო „ვიპოვოთ არგუმენტის სუსტი მხარეები“ 60 – წთ

### **არგუმენტის სისუსტეები**

დებატებში გამარჯვება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია არგუმენტის სწორად ჩამოყალიბებაზე. ოპონენტი გუნდი თამაშის დროს ყველაზე მეტად არგუმენტის სისუსტეების აღმოჩენასა და ამ სისუსტეებზე დარტყმას ახორციელებს.

დებატების პროცესში ოპონენტი გუნდები მოსაფიქრებელი დროის განმავლობაში უნდა ეკითხებოდნენ თავის თავს:

- სანდოა თუ არა მოწინააღმდეგე გუნდის მიერ წარმოდგენილი არგუმენტის ლოგიკური მსჯელობა;
- დამოუკიდებელია თუ არა დასაბუთება თეზისზე, თუ გამომდინარეობს თეზისისგან;
- მსჯელობის სანდოობის საკითხი ჩნდება მაშინ, როდესაც არგუმენტის დასასაბუთებლად ვიღებთ არა ჭეშმარიტ, არამედ მცდარ წარმოდგენებს, რომელებსაც ვაწვდით ისე, თითქოს ეს ჭეშმარიტება იყოს.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელიც გაუადვილებს მწვრთნელს, აუხსნას აუდიტორიას დებატების ეს საკმაოდ რთული ელემენტი.

წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი დებატების თემაა სამყაროს მოწყობა. ჩვენ შეგვიძლია ძალიან დამაჯერებლად, ძველ ისტორიულ წყაროებზე და ფილოსოფიურ თხზულებებზე დაყრდნობით, დამამტკიცებელი მასალების წარდგენით ავხსნათ, რომ დედამინა არის არა სფერო, არამედ დისკო, რომელიც ყველა მხრიდან გარშემორტყმულია დიდი მდინარით, რომელსაც

„ოკეანე“ ჰქვია და რომ ეს დისკო ეფუძნება ექვს სპილოს. დედამიწა მრგვალი რომ იყოს, წყლები ქვევით ჩამოედინებოდა, ადამიანები წყურვილით დაიხოცებოდნენ, ხოლო მცენარეები გახმებოდნენ. ადამიანები ჩამოვარდებოდნენ და შეუძლებელი გახდებოდა დედამიწაზე ცხოვრება. აი, ამიტომ, დედამიწა ვერ იქნება სფერო.

- დებატების პროცესში მსჯელობის სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დავაყენოთ, როდესაც თავისთავად არგუმენტი არ არის მცდარი, მაგრამ, ამავე დროს, ის თავად საჭიროებს დასაბუთებას.

მოზარდებისათვის ამ პუნქტის ახსნას გაგვიადვილებს ყველასათვის საყვარელი ნაწარმოების „ვინი პუხი და ყველა-ყველა-ყველა“ – ს გმირების დიალოგის გააზრება.

- „- რას აკეთებ? – იკითხა პუპტა.

მე ვთესავ რკოს, პუპტა, მისგან გაიზრდება მუხის ხე, სახლთან ახლოს იქნება ბევრი-ბევრი რკო. თორემ, ღმერთმა უწყის, სად მიწევს სიარული. გესმის?

რომ არ გაიზარდოს? – იკითხა პუპტა.

გაიზრდება, იმიტომ რომ კრისტოფერ რობინმა ასე თქვა – აუცილებლად გაიზრდება. იმიტომაც ვთესავ.“

- არგუმენტის სისუსტეების გააზრებისას, ყურადღება უნდა მივაქციოთ ისეთი კატეგორიის ლოგიკურ შეცდომას, სადაც წარმოიქმნება ე.წ. „ჩაკეტილი წრე“, სადაც თეზისს ვასაბუთებთ არგუმენტით, ხოლო არგუმენტს ვასაბუთებთ იმავე თეზისით.

მაგალითისათვის მოვიყვანთ დიალოგს პატარა უფლისწულსა და ლოთს შორის ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის ნაწარმოებიდან. ლოთი ეუბნება პატარა უფლისწულს, რომ იგი სვამს იმიტომ, რომ რცხვენია, თუმცა, რცხვენია იმიტომ, რომ სვამს.

- მოდებატეები ხშირად იყენებენ არგუმენტებს, სადაც გამოიყენება ანალოგიები. ანალოგიების ლოგიკა მარტივია. თუმცა ოპონენტებმა ძალიან დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ანალოგიებზე დაფუძნებულ დასკვნებს.

მაგალითად, ფეხბურთი და რაგბი სპორტია, ორივე პოპულარულია საქართველოში, ორივე გუნდური თამაშია. თამაში ბალახის დიდ მოედანზე, ლია ცის ქვეშ მიმდინარეობს, ორივე სახეობაში მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავები გვყავს, და ორივე სახეობაში ბურთი არის გუნდის წევრების ფლობის მიზანი. მაშასადამე, შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ თუ რაგბში ჩვენი ქვეყანა წარმატებულია, მაშასადამე, ფეხბურთშიც ის წარმატებული იქნება რამდენიმე წელიწადში? რა თქმა უნდა, არა. ჩვენ მიერ მოყვანილი ანალოგიები არ ასაბუთებს მოსაზრებას, რომ საქართველოს ნაკრები ფეხბურთში მომავალში წარმატებას მიაღწევს. ამ განაცხადის დასაბუთებას სრულიად სხვა წარმომავლობის ლოგიკაზე დაფუძნებული არგუმენტები სჭირდება.

- ყველაზე რთულად დასაძლევი ამოცანა მოდებატეებისათვის არის არგუმენტში მიზეზშედეგობრივი სისუსტეების აღმოჩენა, ვინაიდან ყველაზე ძლიერი არგუმენტი სწორედ მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების საფუძველზე იგება და მოდებატეები ასეთი ლოგიკური ჯაჭვის აგებას დიდი ყურადღებით ეკიდებიან.

დავუშვათ, ქვეყანაში კვალიფიციური სამედიცინო კადრების ნაკლებობას ვასაბუთებთ იმ მოსაზრებით, რომ სამედიცინო სასწავლო დაწესებულებებში სტუდენტების კვლევებში ჩართვას, ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადი-ნეობებს ნაკლები ყურადღება ეთმობა, ვიდრე თეორიულ მომზადებას. დასაბუ-თების უარსაყოფად შესაძლებელია არ იყოს საკმარისი იმის მტკიცება, რომ ეს არ არის მართალი, რომ პრაქტიკულ მეცადინეობებს დიდი ყურადღება ექცე-ვა. ასეთი კამათი შესაძლებელია ჩიხში შევიდეს. უკეთესი იქნება, თუკი ასეთ არგუმენტს კიდევ სხვა სუსტ მხარეს მოვუძებნით. ხშირად, ერთი ტიპის არგუ-მენტი შეიძლება სხვა ტიპის არგუმენტად ვაქციოთ და მსჯელობას ჩვენთვის სასურველი მიმართულება მივცეთ. შემოვიტანოთ სხვა ლოგიკა. მაგალითად: კვალიფიციური სამედიცინო კადრების ნაკლებობა კადრების საზღვარგარეთ გადინებით არის გამოწვეული, ვინაიდან ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური ვითა-რებაა, დასაქმების საკითხი კი – პრობლემური. ამას შეიძლება დავუმატოთ, ის რომ სამედიცინო ფაკულტეტზე სტუდენტების რიცხვი მცირდება, ვინაიდან სწავლა ხანგრძლივია, საბანკო სისტემაში კი სტუდენტობიდანვე შეიძლება მუ-შაობის დაწყება, თანაც, ეს სფერო მეტად ანაზღაურებადია.

ჩვენ მიერ განხილული არგუმენტების სისუსტეების გაანალიზება დაეხმა-რება მოდებატეებს, გაითავისონ ის იდეა, რომ ურყევი პოზიცია არ არსებობს. ნებისმიერ ძლიერ არგუმენტს შეიძლება მოვუძებნოთ სუსტი მხარე და თამაში ჩვენს სასარგებლოდ შემოვატრიალოთ. ლოგიკური შეცდომების გააზრება გვეხმარება, უფრო მეტად დავფიქრდეთ არგუმენტაციაზე, დავი-ნახოთ არამარტო პონენტების სისუსტეები, არამედ, გავიაზროთ საკუთა-რი პოზიცია, აღმოვასწოროთ და გამოვასწოროთ შეცდომები.

## **სავარჯიშო №10 „ვიპოვოთ არგუმენტის სუსტი მხარეები“**

### **1 ეტაპი – 10 წუთი**

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე გავყოთ აუდიტორია სამ ჯგუფად. თითო-ეულ ჯგუფს მივცეთ წინასწარ გამზადებული ბარათები, სადაც წარმოდგე-ნილი იქნება რეზოლუცია, კრიტერიუმი და რეზოლუციის დამამტკიცებელი სამი თეზისი (სქემა 8). დავავალოთ ჯგუფებს, ათი წუთის განმავლობაში დაასაბუთონ სამივე არგუმენტი და ჩაწერონ ბარათის ცარიელ გრაფებში.

### **2 ეტაპი – 10 წუთი**

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე გუნდები გაცვლიან ბარათებს და დაუპირისპირდებიან ერთმანეთის არგუმენტებს (სქემა 9).

წარმოგიდგენთ სავარჯიშოს შესრულებისთვის საჭირო მასალების მაგალითს:

### სქემა 8

მტკიცებითი პოზიცია

მტკიცებითი პოზიციის გავრცობა

<b>რეზოლუცია:</b> ტერორიზმი გამართლებულია	<b>დეფინიციები:</b>
<b>კრიტერიუმი:</b> მსოფლიოში სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრება	
<b>არგუმენტები</b>	
ტერორისტები იბრძვიან თავიანთი უფლებებისათვის	(დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)
ტერორისტებს არ აქვთ სხვა ალტერნატივა	(დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)
ტერორი მიზნის მიღწევის ეფექტური გზაა	(დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)

მტკიცებითი პოზიცია

მტკიცებითი პოზიციის გავრცობა

<b>რეზოლუცია:</b> ინგლისური ყველაზე მნიშვნელოვანი ენაა მსოფლიოში	<b>დეფინიციები:</b>
<b>კრიტერიუმი:</b> კომუნიკაბელური საზოგადოების ჩამოყალიბება	
<b>არგუმენტები</b>	
ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა რაოდენობა ძალიან დიდია	(დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)
ამერიკანიზაციის პროცესი გარდაუვალია განვითარებადი ერების კულტურაში	(დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)
ინგლისურ ენაზე თარგმნილია მსოფლიო ლიტერატურის 80%	(დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)

მტკიცებითი პოზიცია

მტკიცებითი პოზიციის გავრცობა

<b>რეზოლუცია:</b> გენეტიკური კლონირება უნდა აიკრძალოს	<b>დეფინიციები:</b>
<b>კრიტერიუმი:</b> ჯანსაღი საზოგადოება	
<b>არგუმენტები</b>	
გენეტიკური კლონირება გამოიწვევს მსოფლიოში არსებული წესებისა და მორალის რღვევას	(დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)
კლონირება მუტაციის მიზეზი გახდება	(დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)
ადამიანის კლონირება აგრესიული სახელმწიფოების ძლიერი იარაღი გახდება	(დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)

## სქემა 9.

მტკიცებითი პოზიცია	მტკიცებითი პოზიციის უარყოფა
<b>რეზოლუცია:</b> ტერორიზმი გამართლებულია <b>დეფინიციები:</b>	<b>რეზოლუციის უარყოფა:</b>
<b>კრიტერიუმი:</b> მსოფლიოში სამართლი-ანობის პრინციპების დამკვიდრება	კომენტარები კრიტერიუმთან დაკავშირებით:
<b>არგუმენტები</b>	
ტერორისტები იბრძვიან თავიანთი უფლებებისათვის (დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)	არგუმენტის უარყოფა
ტერორისტებს არ აქვთ სხვა ალტერნატივა (დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)	არგუმენტის უარყოფა
ტერორი მიზნის მიღწევის ეფექტური გზაა (დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)	არგუმენტის უარყოფა

მტკიცებითი პოზიცია

მტკიცებითი პოზიციის უარყოფა

<b>რეზოლუცია:</b> ინგლისური ყველაზე მნიშვნელოვანი ენაა მსოფლიოში <b>დეფინიციები:</b>	<b>რეზოლუციის უარყოფა:</b>
<b>კრიტიკუმი:</b> კომუნიკაციური საზოგადოების ჩამოყალიბება	კომენტარები კრიტიკუმთან დაკავშირებით:
<b>არგუმენტები</b>	
ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა რაოდენობა ძალიან დიდია (დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)	არგუმენტის უარყოფა
ამერიკანიზაციის პროცესი გარდაუვალია განვითარებადი ერების კულტურაში (დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)	არგუმენტის უარყოფა
ინგლისურ ენაზე თარგმნილია მსოფლიო ლიტერატურის 80% (დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)	არგუმენტის უარყოფა

მტკიცებითი პოზიცია

მტკიცებითი პოზიციის უარყოფა

<b>რეზოლუცია:</b> გენეტიკური კლონირება უნდა აიკრძალოს <b>დეფინიციები:</b>	<b>რეზოლუციის უარყოფა:</b>
<b>კრიტიკუმი:</b> ჯანსაღი საზოგადოება	კომენტარები კრიტიკუმთან დაკავშირებით:
<b>არგუმენტები</b>	
გენეტიკური კლონირება გამოიწვევს მსოფლიოში არსებული წესებისა და მორალის რღვევას (დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)	არგუმენტის უარყოფა
კლონირება მუტაციის მიზეზი გახდება (დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)	არგუმენტის უარყოფა
ადამიანის კლონირება აგრესიული სახელმწიფოების ძლიერი იარაღი გახდება (დასაბუთება ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით)	არგუმენტის უარყოფა

## 2 ეტაპი – 20 წუთი

სავარჯიშოს შესრულების მესამე ეტაპზე, დებატების მწვრთნელი გაჭრის ბარათებს და დაუბრუნებს გუნდებს ბარათის იმ ნაწილს, სადაც მტკიცებითი პოზიციის არგუმენტები არის გავრცობილი. ამის შემდეგ იწყება თამაშის 3 რაუნდი.

პირველი რაუნდი – პირველი გუნდის გამოსვლა (მტკიცებითი არგუმენტების ნარდგენა) – 3 წუთი

– მეორე გუნდის გამოსვლა (დაპირისპირება პირველ გუნდთან) – 3 წუთი  
მეორე რაუნდი – მეორე გუნდს გამოსვლა (მტკიცებითი არგუმენტების ნარდგენა) – 3 წუთი

– მესამე გუნდის გამოსვლა (დაპირისპირება მეორე გუნდთან) – 3 წუთი  
მესამე რაუნდი – მესამე გუნდს გამოსვლა (მტკიცებითი არგუმენტების ნარდგენა) – 3 წუთი

– პირველი გუნდის გამოსვლა (დაპირისპირება მესამე გუნდთან) – 3 წუთი

## 3 ეტაპი – 20 წუთი

სავარჯიშოს დამასრულებელ ეტაპზე, დებატების მწვრთნელი შეაჯამებს სამივე რაუნდს და განიხილავს თითოეული არგუმენტის ლოგიკურ მსჯელობაში დაშვებულ შეცდომებს. ასევე, არგუმენტის გაბათილების ხერხებს, რომლებსაც მიმართეს მოდებატეებმა.

ამ სავარჯიშოს დეტალური განხილვა დებატებსა და მწვრთნელს შორის დისკუსიის სახეს უნდა ატარებდეს და ურთიერთთანამშრომლობის ატმოსფეროში უნდა მიმდინარეობდეს. ეს სავარჯიშო დებატების ტექნიკის შესწავლის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. დებატების მწვრთნელს, თავისი ინდივიდუალური მიღებიდან გამომდინარე, შეუძლია ეს სავარჯიშო შემდგომ გაკვეთილებზეც გაიმეოროს სხვა რეზოლუციებთან მიმართებაში.

## X გაკვეთილი

### უარყოფა

- დამამტკიცებელი მასალის უარყოფის მეთოდები – 20 წთ.
- სავარჯიშო „დავუპირისპირდეთ დამამტკიცებელ მასალებს“ 60 – წთ

### დამამტკიცებელი მასალის უარყოფის მეთოდები

არგუმენტი დამამტკიცებელ მასალებსა და დასაბუთებებზე აგებული დასკვნაა. აქედან გამომდინარე, ფაქტებით მის გამყარებას თამაშის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. კარლ პოპერის დებატებში დამამტკიცებელი მასალა ენოდება ფაქტებს, სტატისტიკურ მონაცემებს, ცი-

ტატებს, ცნობილ ადამიანთა გამონათქვამებს, მაგალითებს და სხვა სახის დამასაბუთებელ ინფორმაციას, რომელთა მეშვეობითაც ხდება საკუთარ არგუმენტებში ჩამოყალიბებული ლოგიკური მსჯელობის გამყარება და ოპონენტთა მოსაზრებების გაბათილება. ფორმალურ დებატებში დამამტკიცებელი მასალის არსებობასა და გამოყენებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნებისმიერი სახის მტკიცებისა და დაპირისპირების საფუძველს სწორედ ფაქტები და მაგალითები წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, უარყოფისა და აღდგენის პროცესის დროს აუცილებელია არგუმენტების გამამყარებელი ფაქტების სრულფასოვანი გაბათილება და აღდგენა. კარლ პირის დებატებში ხშირია შემთხვევები, როდესაც თამაშის განმავლობაში ძირითადი კამათი სწორედ დამამტკიცებელი მასალის გარშემო მიმდინარეობს.

### **მეთოდები:**

- ოპონენტის ფაქტებსა და ლოგიკურ მსჯელობას შორის არარსებული კავშირის დამტკიცება;
- დამამტკიცებელი მასალის „უკეთესი“ დამამტკიცებელი მასალით უარყოფა;
- მოწინააღმდეგეთა ფაქტების მნიშვნელობის დაკინიება;
- დამამტკიცებელი მასალის არარსებობის დამტკიცება;
- ფაქტების წყაროების გამოყენება გაბათილებაში.

დამამტკიცებელი მასალის გაბათილება, ყველაზე ეფექტურად ლოგიკური მსჯელობით მათი არგუმენტების შინაარსის შეუსაბამობის დამტკიცებაში მდგომარეობს. ამ შემთხვევაში, მოდებატეები ამტკიცებენ, რომ ოპონენტთა მიერ მოტანილი ფაქტები სრულებითაც არ ასაბუთებენ, ან პირიქით, ეწინააღმდეგებიან არგუმენტებში წარმოდგენილ მოსაზრებებს. ასეთი უარყოფის შესრულებას ძალიან კარგად ორგანიზებული ლოგიკური ჯაჭვის შექმნა და მისი სისწორის დამტკიცება დასჭირდება, რომლის დროსაც მიზანშეწონილია ჯვარედინი დაკითხვის გამოყენება.

ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დამამტკიცებელი მასალის დამამტკიცებელი მასალითვე გაბათილება. ის პოზიცია, სადაც გარკვეული მოსაზრების დამამტკიცებელ რაიმე ფაქტს იმავე აზრის მატარებელი უფრო მასშტაბური ფაქტი უპირისპირდება, სადაც ოპონენტთა სტატისტიკას უფრო მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემები დახვდება წინ, სადაც მოწინააღმდეგეთა მიერ ნათქვამ ცნობილ ადამიანთა გამონათქვამებს უფრო ცნობილი პიროვნების აზრი გაუწევს ოპონირებას, მსაჯისათვის უპირატესი იქნება.

პირველი ორი მეთოდის ერთგვარ გაგრძელებას ოპონენტთა დამამტკიცებლის მასალის დაკინიება წარმოადგენს. ამ დროს, მოდებატეები

უბრალოდ ამტკიცებენ, რომ ოპონენტთა ფაქტები, სტატისტიკა და სხვა არ არის მნიშვნელოვანი მასალა რაიმეს დასამტკიცებლად, რაც გამოიხატება მათ ნაკლებ მასშტაბურობაში, დრომოქმულობასა თუ სხვა სახის მიზე-ზებში. ამ მეთოდით, ჩვენ მსაჯს ვუმტკიცებთ, რომ ოპონენტები ცდილო-ბენ არამართებული და უმნიშვნელო ფაქტებით დაგვიმტკიცონ საკუთარი მოსაზრებები.

ოპონენტთა მიერ შემოტანილი დამამტკიცებელი მასალის რეალობის უპირობო ნდობა კარლ პოპერის დებატების ერთიერთ დაუწერელ კანონს წარმოადგენს, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ბავშვებს ვასწავლით სამართლიან თამაშს, არსებობს შემთხვევები, როდესაც მოდებატების მიერ მოტანილი ფაქტები არ შეესაბამება სიმართლეს, რაც ხშირ შემთხ-ვევაში არ წარმოადგენს წინასწარ გამიზნულ ტყუილს. მოწინააღმდეგეთა მსგავსი ნაკლის დაფიქსირების დროს, გამომდინარე იქიდან, რომ მოდება-ტები გულმოდგინედ ემზადებიან თამაშისათვის და იციან რეზოლუცია-სთან დაკავშირებული საკმარის ბევრი დამამტკიცებელი მასალა, მათ შეი-ძლება დააფიქსირონ არასწორი ფაქტის არსებობაც. ამისათვის, ბავშვებს შეუძლიათ გამოიყენონ ფაქტების, წყაროების (ლიტერატურის მითითების ჩათვლით) მოთხოვნა და ლოგიკური მსჯელობით ოპონენტთა მიერ წარ-მოდგენილი დამამტკიცებელი მასალის აბსურდულობა.

## სავარჯიშო №11 „დავუპირისპირდეთ დამამტკიცებელ მასალებს“

1 ეტაპი – 30 წუთი

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე აუდიტორია უნდა დაიყოს ექვს ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს ეძლევა სამი საგაზეთო სტატია, რომელიც ერთსა და იმავე თემაზე არის დაწერილი. ექვსივე გუნდს 3 ერთნაირი სტატია ექნება. გუნდებს ეძლევათ მოსაფიქრებელი დრო 30 წუთი, რათა საგაზეთო სტა-ტიებზე დაყრდნობით მათ შეძლონ ჩამოაყალიბონ:

1. სადებატო რეზოლუცია;
2. ლოგიკურად დასაბუთებული სამი არგუმენტი;
3. საგაზეთო სტატიების გამოყენებით წარადგინონ სამივე არგუმენტის შესაბამისი დამამტკიცებელი მასალა.

საგაზეთო სტატიები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ სა-ვარჯიშოს შერულებისას:

1 სტატია – „რას ვჭამთ“ – უხარისხო სამამულო პროდუქცია და მოწამ-ლული იმპორტული საკვები.

ქართველ მომხმარებელს ქართული ბაზარი ძირითადად არაქართულ პროდუქციას სთავაზობს. თუმცა, არის ბოლო დროს ფეხმოკიდებული სამამულო წარმოების პროდუქტებიც. როგორც ირკვევა, არც ერთის და არც მეორის ბოლომდე ნდობა არ შეიძლება, რადგან კაცმა არ იცის, ეს პროდუქტი აკრძალული ემულგატორის შემცველია, გენმოდიფირებული,

თუ სულაც ანტისანიტარულ საოჯახო პირობებში დამზადებული.

კავშირი „21-ე საუკუნე“ გაფრთხილებთ:

„საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი გაჯერებულია დაბალხარისხიანი, საკვებად უვარგისი, ჯანმრთელობისა და, ხმირ შემთხვევაში, სიცოცხლისათვის საშიში საკვები პროდუქციით“, – ამ გაფრთხილების საფუძველს კავშირი „21-ე საუკუნის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი, პაატა გაჩერილაძე განმარტავს: „კვლევამ გამოავლინა ისეთი პროდუქცია, რომელსაც არ ჰქონდა ქართულენოვანი ეტიკეტი (რაც კანონით არის დადგენილი), არ გააჩნდა შესაბამისობის სერტიფიკატი (დასტური, რომ პროდუქცია ლაბორატორიულად შემოწმებულია), რომლის შენახვის პირობები იყო დარღვეული და, რაც მთავარია, იყო ვადაგასული.

ქალაქის სამი ბაზრის – ვაგზლის, დიდუბისა და ნავთლულის ტერიტორიაზე დაახლოებით 30-ზე მეტი პროდუქტი შემოწმდა, რომელთაგან მხოლოდ 13 პროცენტს ჰქონდა შესაბამისობის სერტიფიკატი. გამყიდველების პასუხი მარტივი იყო – „არა გვაქვს“. ზოგმა კი საერთოდ არაფერი იცოდა ამგვარი დოკუმენტის აუცილებლობის შესახებ. პროდუქციის 13 პროცენტი დადგენილი ნორმების დარღვევით იყიდებოდა – ღია ცის ქვეშ, ანტისანიტარულ პირობებში. მაგალითად: ქათმის ბარკლები, ლობიო, ხატები და საბურავები ერთსა და იმავე დახლზე ეწყო. ქართულენოვანი ეტიკეტი ჰქონდა პროდუქციის მხოლოდ 20 პროცენტს. დანარჩენებზე კი ქართულენოვანი პატარა „სტიკერი“ იყო მიკრული. პროდუქციის 27 პროცენტი ან ვადაგასული იყო, ან საერთოდ არ ჰქონდა მითითებული მსგავსი ინფორმაცია. თუმცა, ღია ცისქვეშ დალაგებული პროდუქტი მაინც წარმატებულად იყიდებოდა.

**2 სტატია** – ქართული წარმოება ძირითადად უხარისხო იმპორტულ ნედლეულს იყენებს.

ქართულ ბაზარზე, ასევე, ნახავთ შაქარს, რომელსაც ასეთი მისამართი ამშვენებს – „დიდუბის მიმდებარე ტერიტორია“, ანუ ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდება იმას, ვინც ამ საწარმოს მოძებნას შეეცდება.

თუმცა, ეს უკანასკნელი პატარა ლაფსუსია იმასთან შედარებით, თუ პროდუქტში, თან კარგად რეკლამირებულში, უცხო სხეულს აღმოაჩენენ. მაგალითად „21-ე საუკუნის“ ოფისში დღესაც დევს ცქრიალა ღვინო „სამეფო“ (შესაძოა, ფალისფიცირებული), რომელშიც ფერფლისმაგვარი შავი ნაწილაკები დაცურავს. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ეს, საუკეთესო შემთხვევაში, შესაძლოა ბოთლის გაურეცხაობის, ან არასაკერძოდ გარეცხვის შედეგი იყოს.

ბოლო დროს, ადგილობრივი პროდუქციისადმი ხალხში გაჩენილი ნდობაც, თუ აღნიშნული კვლევის ავტორებს მოვუსმენთ, ეჭვის ქვეშ დგება. მათი თქმით, ბევრი ქართველი მეწარმე, მოგების მიზნით, ადგილობრივ ნედლეულს საერთოდ არ იყენებს და მაგალითად, ძეხვის წარმოებაში

გაყინულ, ინდოეთიდან ან ბრაზილიიდან შემოსულ ხორცს იყენებს. იაფ-თასიან ნედლეულზე დამზადებული პროდუქტია ხარისხსაც შესაბამისად კარგავს. „ანუ სამამულო პროდუქტის მთავარი ნაკლი არის ის, რომ მისი ეტიკეტი არ შეესაბამება მისივე შიგთავსის შინაარსს. არც ის არის სწორი, ეკოლოგიურად სუფთა რომ აწერია პროდუქტს, რადგან ეკ. სუფთა ნიშნავს იმას, რომ მიწა, სადაც მოდის ესა თუ ის ნედლეული, დასვენებულია, თავად პროდუქტია კი დანამატებს არ შეიცავს“, – ამბობს ამ სფეროში უკვე გარკვეული პაატა გაჩერჩილაძე.

პაატა გაჩერჩილაძე: „შოკოლადი „ლუნა“, მაგალითად, თითქოს კარგია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას არ გააჩნია არც ვადა, არც ეტიკეტი და ბევრ ადგილას მისი შენახვის პირობებიც დარღვეულია. აქ ერთი საინტერესო მომენტია – ქართულმა პროდუქტმა შეიძლება მაშინვე მოგწამლოს, რაც იმ წუთში გამომჟღავნდება, უცხოურმა კი არაფერი დაგიზიანოს იმ მომენტში, მაგრამ საკმაოდ უარყოფითი გავლენა მოახდინოს ორგანიზმზე. არის დაუ-დასტურებელი ინფორმაცია, რომ ბავშვთა კვება „მალიშის“ გარკვეულ პარტიაში აღმოჩნდა სოკოს ფორები, რამდენიმე სახის ექსპერტიზა ჩატარდა და, რამდენადაც ვიცი, ახლა საბოლოო პასუხს ელოდებიან.

მაგალითად, კარაქზე შემიძლია ვთქვა, რომ ნორმალური კარაქი რასაც ჰქვია, საქართველოში არ იყიდება. წესით, მასში 70%-ზე მეტი ცხოველური ცხიმი უნდა შედიოდეს, როცა ჩვენთან, პრაქტიკულად, მარგარინი იყიდება. საინტერესო დეტალი – მარგარინ „ვიტამს“ თუ დახედავთ, ზედ წაიკითხავთ აბსოლუტურად აბსურდულ წარწერას, რომ ის „დამზადებულია თურქეთის სოფლის მეურნეობისა და მიწათმოქმედების სამინისტროს მიერ 1997 წლის 28 ოქტომბერს გაცემული 24465 ნებართვის შესაბამისად!“ რა გამოსცა თურქეთის რაღაც სამინისტრომ? რატომ უნდა იყოს ეს ჩემთვის სანდო ინფორმაცია?“

### 3 სტატია – იმპორტული საჭმელი – ნაგავი

პაატა გაჩერჩილაძე იმეორებს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თურქეთში ჩამოფასებულ და ვადაგასულ პროდუქტიას სხვადასხვა გზით ქართველები დღემდე ყიდულობენ, ხელახალ დაფისოებას უკეთებენ და საქართველოში ყიდიან. თურქეთის გარდა, საქართველოს ისეთი ქვეყნები ამარაგებენ, როგორიცაა რუსეთი, ირანი, ბულგარეთი. მათ შორის, საქართველოში შედარებით სანდო რუსულ პროდუქტიასაც, როგორც აღმოჩნდა, არაერთი ნაკლი აქვს. მაგალითად, არაუანი „ალპისკოე“, რომელშიც არცთუ დიდი ხნის წინ ჩხირები აღმოაჩინეს, სწორედ ჩრდილოეთ კავკასიაშია წარმოებული და ის დღეს მაინც იყიდება ქართულ ბაზარზე.

იმ პროდუქტების მცირე ჩამონათვალი კი, რომელთა შემონბების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მათი სავაჭრო ქსელში არსებობა, რამდენიმე მიზეზის გამო, შეუმონმებლად არ შეიძლება, ასე გამოიყურება: ყავა „ელდორადო“, რომელიც წარმატებულად იყიდებოდა ნავთლულის ბაზრის ტერი-

ტორიაზე; მწარმოებელი – საქართველო; შესაბამისობის სერთიფიკატი არ გააჩნია; ვადა მითითებულია, ქართულენოვანი ეტიკეტი აქვს, მაგრამ დარღვეულია რეალიზაციის პირობები და იყიდება ანტისანიტარიაში.

ასევე, ორცხობილა „ტვიქსი“, კრეკერი „ესკაპე“, შოკოლადი „ლუბიმკა“, წვენი „სანტალი“, შოკოლადი „ნუსი“, ყველი „ვესიოლაია ბურიონკა“, საქართველოში წარმოებული ნინიბურა და დაფასოებული ბრინჯი, შოკოლადი „როსიისკაია პელკა“, ჩაი „ფინალი“ (მწარმოებელი აზერბაიჯანი), ბისკვიტი „კრემალი“ . . .

არადა, ამის გამაკონტროლებელი სამსახურები საქართველოში მრავალად არსებობს. თუ მათ საკუთარი ინიციატივით ამავე საკითხზე მომუშავე არასამთავროებოებსაც მივუმატებთ, პრობლემის გადამწყვეტ თუ არა, მათ შემსწავლელ საკმაოდ გრძელ ჯაჭვს მივიღებთ. თუმცა, როგორც ჩანს, სადღაც ეს ჯაჭვი ან გაწყვეტილია, ან ძალიან შეთხელებული, რადგან ქვეყანა დღემდე იკვებება, რბილად რომ ვთქვათ, ჩამოწერილი პროდუქციით. პარადოქსია, მაგრამ ქართული კუჭი ამას ჯერჯერობით უძლებს. . . ერთი შეხედვით.

## 2 ეტაპი – 30 წუთი

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე თითოეული გუნდი, ხუთი წუთის განმავლობაში წარადგენს თავის პოზიციას. თვითონვე აკეთებს კომენტარებს, საკუთარი არგუმენტების დამამტკიცებელ მასალებთან მიმართებაში. ამ კომენტარებში, მომხსენებლებმა თავად უნდა აღნიშნონ, რა სავარაუდო ხერხს მიმართავს ოპონენტი გუნდი, მათ მიერ მოყვანილი დამამტკიცებელი მასალების უარსაყოფად.

## XI გაკვეთილი

### ჯვარედინი დაკითხვა

- ჯვარედინი დაკითხვის მიზნები – 20 წთ.
- ჯვარედინი დაკითხვის ფორმები – 15წთ.
- სავარჯიშო „როგორ გამოვიყენოთ ჯვარედინი დაკითხვა“? – 30წთ.

### ჯვარედინი დაკითხვის მიზნები

თამაშის სტრუქტურის გაცნობისას, დებატების მწვრთნელი აუდიტორის ყურადღებას ამახვილებს ისეთი სპეციფიკური პროცედურის არსებობაზე, როგორიცაა ჯვარედინი დაკითხვა. გუნდების მიერ კითხვების დასმა მომხსენებლის ყოველი გამოსვლის შემდეგ იწყება და სამი წუთის განმავლობაში გრძელდება. მესამე მომხსენებლები კარლ პოპერის სახელობის დე-

ბატებში თამაშის შეჯამებას ახდენენ და, შესაბამისად, მათ მიმართ კითხვების დასმა თამაშის მსვლელობაზე აღარ მოქმედებს. ამიტომ, ჯვარედინი დაკითხვა მხოლოდ პირველი ოთხი მოხსენების შემდგომ ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ ჯვარედინი დაკითხვის ფორმა მხოლოდ კითხვაპასუხისაგან შედგება. თამაშის განრიგი წინასწარ განსაზღვრავს იმ მოდებატებებს, რომლებიც მონაწილეობენ თითოეულ ჯვარედინ დაკითხვაში. ჯვარედინი დაკითხვის შედეგად მიღებულ სასურველ პასუხს აუცილებლად იყენებს ყოველი შემდეგი გამომსვლელი.

ჯვარედინი დაკითხვის ძირითადი პრინციპები მდგომარეობს შემდეგში:

- თავიდან ავიცილოთ შეკამათება;
- ნუ გავაკეთებთ დასკვნებს;
- ნუ ვიჩეუბებთ და შევინარჩუნოთ სიმშვიდე.

ჯვარედინი დაკითხვა კითხვები დასმის დროა და არა შეკამათების. თქვენ ცდილობთ, მოიპოვოთ თქვნი გამოსვლისათვის საჭირო ინფორმაცია. ამიტომ ნუ შეეცდებით ეს დრო რაიმე აზრის დასამტკიცებლად გამოიყენოთ. ეს, უბრალოდ დროის ფუჭი ხარჯვაა. ამასთანავე, ჯვარედინი დაკითხვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ მისი შედეგების გამოყენება აუცილებლად შემდეგ გამოსვლაში უნდა იქნას გამოყენებული, რისი არშესრულებაც დიდ ხარვეზად ითვლება. ამიტომ, როდესაც რესპონდენტისაგან სასურველ პასუხს მიიღებთ, ნუ გაუსვამთ მას ხაზს და ნუ გააკეთებთ დასკვნას მსაჯისათვის. მთლიანად დებატები, როგორც გუნდური თამაში, გამოირჩევა მოდებატების მხრიდან უაღრესად ზრდილობიანი, ტაქტიანი და მშვიდი ქცევით, რაც მოთამაშეთა თვითდარწმუნებულობასა და ორგანიზებულობაზე მეტყველებს. ამ მხრივ, გამონაკლისს არც ჯვარედინი დაკითხვა წარმოადგენს. თქვენ გჭირდებათ პასუხები და ამ პროცესისათვის განკუთვნილი დროის მაქსიმალურად გამოყენებას ცდილობთ, ამიტომ ნუ მიიტანთ „იერიშს“ ოპონენტზე და, თუ სასურველ პასუხს ვერ მიიღებთ, ნუ გამართავთ ჩხუბს. ეს დროს დაგაკარგვინებთ და, გარდა ამისა, უარყოფითად იმოქმედებს თქვენს პერსონალურ ქულებზე.

თუ საჭიროა, ჯვარედინი დაკითხვის გარკვეული პერიოდი უნდა მოხმარდეს ოპონენტთა არგუმენტებისა და პოზიციის დადგენას. ხშირად ხდება ისე, რომ მოდებატები მთლიანად ვერ ადევნებენ თვალს ერთმანეთის გამოსვლებს და ვერ ახერხებენ ყველაფრის ჩანერას. ამის გამოსწორება შეიძლება მარტივი კითხვებით: „თუ შეიძლება გაგვიმეორეთ თქვენი || არგუმენტი“, ან „დაგვიზუსტეთ, თუ შეიძლება, როდის და სად მოხდა | არგუმენტში დასახელებული ფაქტი“?

ჯვარედინ დაკითხვას, როგორც დებატების შემადგენელ ერთ-ერთ ძირითად ნაწილს, უარყოფის საქმეში დიდი ადგილი უჭირავს. უარყოფის მთელი ტაქტიკა და მისი შემდგომი განვითარება სწორედ ჯვარედინ დაკითხვას ემყარება, რადგანაც ის წინ უძღვის თითოეულ გამოსვლას. გუნდმა

წინასწარ იცის, თუ რომელ მხარეს წარიმართება და რა სახის იქნება უარყოფა. აქედან გამომდინარე, სწორედ ჯვარედინი დაკითხვის დროს შეიძლება იმის გაგება, დაახლოებით მაინც, თუ როგორი სახის ჯვარედინი დაკითხვა მოახდენს უფრო კარგ ეფექტს, გამომდინარე იქიდან, თუ რისთვის არ არიან ოპონენტები მზად. ამ დროს შეგვიძლია ჩვენ მიერ არჩეული უარყოფის ტაქტიკის სუსტი მხარეების დანახვა. ამასთან ერთად, კითხვების გამოყენება ძალზედ ეფექტურია იმისათვის, რომ სუსტი წერტილები მოვუნახოთ ოპონენტების, ერთი შეხედვით, გაუბათილებელ არგუმენტებს. ანალოგიური კუთხით შეიძლება ჯვარედინი დაკითხვის გამოყენება აღდგენის დროს.

ჯვარედინი დაკითხვის დროს მიღებული სასურველი პასუხების გამოყენება ძალზედ ეფექტურია თამაშის ანალიზის დროს, რადგან ოპონენტთა გამონათქვამებით შეჯახებებში საკუთარი გუნდის უპირატესობების დამტკიცება დამატებით დამარწმუნებლობას სძენს მოსაზრებებს.

## ჯვარედინი დაკითხვის ფორმები

საინტერესო განხილვის საგანია ჯვარედინი დაკითხვის სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს სასურველი პასუხის მიღებაში. ამიტომ, შეკითხვების დასმის სტრატეგიის კარგად ცოდნას მოდებატებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

იმის გამო, რომ მოდებატე გუნდებმა წინასწარ იციან რეზოლუცია და დაახლოებით მოწინააღმდეგეთა არგუმენტებიც, შესაძლებელი ხდება ზოგიერთი კითხვის თამაშამდე შემუშავება. წინასწარ მომზადებული კითხვები შეიძლება ორ ჯგუფად დაყყოთ: საკუთარი პოზიციის გასამყარებელი და ოპონენტთა ქეისის გასაბათილებელი. აქედან დიდი ნაწილი სწორედ საკუთარი პოზიციის განსამტკიცებელ კითხვებზე მოდის, რადგან თამაშამდე მაინც ძნელია მოწინააღმდეგეთა არგუმენტების გამოცნობა. თუმცა, საკუთარი ქეისი ხშირად კონტრარგუმენტების სახითაც მოიხმარება და ამიტომ ჯვარედინი დაკითხვის პასუხებით მათი გამყარება ოპონენტთა პოზიციაზე შეტევასაც ნიშნავს.

მოწინააღმდეგის არგუმენტების წინასწარ არცოდნის გამო, ჯვარედინი დაკითხვის მონაწილე მოდებატეებს, უწევთ დაუგეგმავი კითხვების დასმა, რომელთა შემუშავება უშუალოდ თამაშის დროს, მოსამზადებელი დროის განმავლობაში ხდება. სწორედ, სპონტანური კითხვებით არის შესაძლებელი მოწინააღმდეგე გუნდის ძნელად გასაბათილებელი მოსაზრებების დასუსტება შემდეგი უარყოფის მიზნით.

ჯვარედინი დაკითხვის დროს, გაცილებით უფრო ეფექტურია სასურველი შედეგის არა ერთი, არამედ, რამდენიმე კითხვით მიღწევა. ეს სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული. ჯერ ერთი, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ შედეგის მიღწევა მსაჯზე დიდ გავლენას ახდენს, რადგან უჩვენებს მას გუნდის მომზადების ხარისხს. ამის გარდა, ასი შემთხვევიდან ასვერ არასასურველი პასუხი მიიღება, თუ შეკითხვა

პირდაპირ დაისმება. ხოლო თუ მიზნის მიღწევა იწყება თითქოსდა უბრალო, აბ-სოლუტურად უმნიშვნელო კითხვებით, ოპონენტი ვერც კი გაიგებს, უცბად ისე აღმოჩნდება ჩიხში და წინააღმდეგობაში საკუთარ პოზიციასთან.

ფორმალურ დებატებში გვხვდება ორი სახის კითხვა: ღია, რომელიც ოპონენტისაგან რაიმეს ახსნას და აღწერას მოითხოვს; მიზნობრივი (დახურული) ანუ ფაქტობრივი, რომელიც მხოლოდ კონკრეტული პასუხის (დიას ან არა) გაცემას გულისხმობს. თუ ღია კითხვა დაისმის, ყოველთვის იგულისხმება, რომ გამოცდილი მოდებატე ამას დროის გასაყვანად გამოიყენებს. ხოლო დახურული კითხვების გამოყენება შეკითხვების დამსმელ სპიკერს სიტუაციის კონტროლის კარგ საშუალებას აძლევს.

## სავარჯიშო №12 „როგორ გამოვიყენოთ ჯვარედინი დაკითხვა“

1 ეტაპი – 10 წუთი

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე დავყოთ აუდიტორია მცირე ჯგუფებად და დავავალოთ 10 წუთის განმავლობაში ჩვენ მიერ წინასწარ მომზადებულ რეზოლუციასთან და არგუმენტებთან მიმართებაში შეიმუშაონ 5-5 კითხვა.

ნარმოგიდენთ რამდენიმე ნიმუშს:

მტკიცებითი პოზიცია

ჯვარედინი დაკითხვის მომზადება

რეზოლუცია: დიდ ქალაქში ცხოვრებას პატარა სოფელში ცხოვრება სჯობს	
კრიტერიუმი: ჯანსაღი საზოგადოება	
- დიდი ქალაქი ეპიდემიების ბუდეა	1. კითხვა 2. კითხვა 3. კითხვა 4. კითხვა 5. კითხვა
- სოფელში უფრო კარგი ეკოლოგიური მდგომარეობაა	6. კითხვა 7. კითხვა 8. კითხვა 9. კითხვა 10. კითხვა
- სოფლის მოსახლეობას შორის ნაკლებია დეპრესიონულთა რიცხვი	11. კითხვა 12. კითხვა 13. კითხვა 14. კითხვა 15. კითხვა

2 მტკიცებითი პოზიცია

ჯვარედინი დაკითხვის მომზადება

რეზოლუცია: ტელევიზია ზიანის მომზანია	
კრიტერიუმი: ჯანმრთელი მომავალი თაობა	
- ტელევიზიონი ჯანმრთელობისათვის მავნებელია	1. კითხვა 2. კითხვა 3. კითხვა 4. კითხვა 5. კითხვა
- ტელევიზია ხეს უწყობს მოზარდებში ძალადობის გაღვივებას	6. კითხვა 7. კითხვა 8. კითხვა 9. კითხვა 10. კითხვა
- ტელევიზია მომავალ თაობას პასიურ ცხოვრებას აჩვევს	11. კითხვა 12. კითხვა 13. კითხვა 14. კითხვა 15. კითხვა

მტკიცებითი პოზიცია

ჯვარედინი დაკითხვის მომზადება

რეზოლუცია: საქართველოში თორმეტწლიანი სწავლება გამართლებულია	
კრიტერიუმი: სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბება	
- თორმეტწლიანი სწავლება ხელს უწყობს ცოდნის განმტკიცებას	1. კითხვა 2. კითხვა 3. კითხვა 4. კითხვა 5. კითხვა
- თორმეტწლიანი სწავლება დასაგლური სტანდარტია	6. კითხვა 7. კითხვა 8. კითხვა 9. კითხვა 10. კითხვა
- თორმეტწლიანი სწავლება ხელს უწყობს პროფორიენტაციას	11. კითხვა 12. კითხვა 13. კითხვა 14. კითხვა 15. კითხვა

## 2 ეტაპი – 15 წუთი

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე, თითოეული გუნდი წარადგენს არგუმენტებს და იმ 5 კითხვას, რომლებიც თითოეულ არგუმენტთან დაკავშირებით მოიფიქრა. დანარჩენი გუნდების წევრები კი ჩაიწერენ ამ კითხვებს.

ამის შემდეგ, გუნდებს კვლავ მიეცემათ მოსაფიქრებელი დრო 10 წუთი, რათა მათ შეაფასონ დასმული კითხვები.

## 3 ეტაპი – 20 წუთი

სავარჯიშოს მესამე ეტაპზე, თითოეული გუნდი გააკეთებს კომენტარს და დასასაბუთებს, რამდენად ღირებული და ადეკვატური იყო მოწინააღმდეგებების მიერ მოფიქრებული კითხვები რეზოლუციასთან და არგუმენტებთან მიმართებაში. თითოეული გუნდის გამოსვლის შემდეგ დებატების მწვრთნელი გააკეთებს მცირე კომენტარებს.

## XII გაკვეთილი

### არგუმენტაციის აღდგენა

- პოზიციის აღდგენა – 20 წთ.
- პირდაპირი აღდგენა – 15 წთ.
- სავარჯიშო „პირდაპირი აღდგენა“ – 70 წთ.

### პოზიციის აღდგენა

კარლ პოპერის დებატებში უარყოფასთან ერთად მოდებატე გუნდების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს პოზიციის აღდგენა. ჩვენს სახელმძღვანელოში გაბათილების შემთხვევებს ძირითადად უარყოფელი გუნდის მაგალითებზე განვიხილავთ. ახლა აღდგენასთან დაკავშირებით, ძირითადად, მტკიცებით პოზიციაზე გვექნება საუბარი.

მას შემდეგ, რაც დაწვრილებით განვიხილეთ უარყოფის მეთოდები და სამიზნები, უფრო გაგვიადვილდება აღდგენის დამახასიათებელ ნიშნებზე საუბარი. აღდგენა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ, როგორც ახალი არგუმენტის შემოტანა. აღდგენა უნდა მოვახდინოთ მხოლოდ და მხოლოდ პირველი მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებთან მიმართებაში. აღდგენა არის საწყისი არგუმენტების გაღრმავება ლოგიკური მსჯელობით და ახალი, კიდევ უფრო ძლიერი და დამაჯერებელი ფაქტების შემოტანით. აღდგენის დროს მტკიცებითი გუნდი თავიდან აყალიბებს საწყის არგუმენტს და აღრმავებს მას უარყოფასთან მიმართებაში. აღდგენის სტრატეგია დამოკიდებულია უარყოფელი გუნდის მიერ წამოყენებულ კონტრარგუმენტებზე, ლოგიკურ მსჯელობასა და კონტრფაქტებზე. მტკიცებითი გუნდი ყურადღებით უნდა უსმენდეს და ჩანაწერის სახით აფიქ-სირებდეს ყველა იმ არეს, სადაც მოხდა დაპირისპირება. შემდეგ კი აღდგენითი გამოსვლის დროს განიხილოს ყველა ის პუნქტი და არე, რაზეც

მოხდა დაპირისპირება, ე.წ. შეჯახება. ტერმინი შეჯახება ხშირად გვხვდება დებატებში უარყოფასა და აღდგენასთან მიმართებაში. შეჯახება დებატების ძირითადი ასპექტია. გუნდების თამაშიც უარყოფისა და აღდგენის დროს სწორედ აზრთა უშუალო დაპირისპირებების წარმოქმნას ანუ შეჯახების არების შექმნას ემსახურება. რაც უფრო მეტია და მძაფრია შეჯახების არე თამაშის დროს, მით უფრო საინტერესოა დებატი.

ახალბედა მოდებატები აღდგენის მიზანს ხშირად არასწორად იგებენ და წარმოუდგენიათ, რომ მტკიცებითი გუნდის წარმომადგენელმა მხოლოდ და მხოლოდ უნდა განავრცოს და გაამდიდროს ახალი ფაქტებით უკვე წარმოთქმული პოზიცია. ასეთი მიდგომა მცდარია და მსაჯი მას მაღალ შეფასებას არ მისცემს. წარმატებულია მხოლოდ ის არგუმენტები, რომლებიც თავიდან არის ჩამოყალიბებული, უკვე მომხდარი გაბათილების შინაარსიდან გამომდინარე. აღდგენის ფორმულა შემდეგი სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

- უარყოფის უარყოფა
- გაბათილების გაბათილება

აქედან გამომდინარე, აღდგენა არც ისე რთული პროცესია. დებატების მწვრთნელმა კარგად უნდა აუხსნას თავის მოსწავლეებს, რომ თამაშის დროს მოდებატებებმა უნდა დაამტკიცონ ყოველივე იმის მცდარობა, რაც ითქვა მათი არგუმენტის გაბათილების დროს.

## პირდაპირი აღდგენა

პირდაპირი აღდგენა პირდაპირი უარყოფის ანალოგიურია და როგორც წესი, ამ სახის გაბათილების საწინააღმდეგოდ გამოიყენება. თუმცა, აქ ერთი განსხვავება მაინც არის. მტკიცებით მხარეს უწევს არამარტო თავისი არგუმენტების აღდგენა, არამედ, უარყოფელი გუნდის მიერ წამოყენებული არგუმენტების უარყოფაც. მტკიცებითი მხარის თამაშის სტრატეგია მიმართულია როგორც საკუთარი პოზიციის სრული აღდგენისაკენ, ასევე უარყოფელი გუნდის არგუმენტების სრული გაბათილებისაკენ.

მტკიცებითი მხარის გუნდის გამოსვლა ხშირად იწყება სიტყვებით – „ჩვენმა ოპონენტებმა ვერ გაიგეს ჩვენი არგუმენტის არსი“, ან „ოპონენტებმა ჩვენი არგუმენტის სრულიად სხვა ინტერპრეტაცია წარმოადგინეს, რაც არ შეეფერება სიმართლეს“, ან „ოპონენტებმა კარგად ვერ მოისმინეს ჩვენი არგუმენტის ძირითადი ხაზი და არასწორად გაიგეს ის“. ეს ფრაზები სწორედ პირდაპირი აღდგენის დროს გამოიყენება.

იმისათვის, რომ ავითვისოთ პირდაპირი აღდგენის ტექნიკა, წარმოგიდგენთ სავარჯიშოს:

## სავარჯიშო № 13 „პირდაპირი აღდგენა“

1 ეტაპი – 30 წუთი

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე დავყოთ აუდიტორია 6 ჯგუფად და დაურიგოთ სქემა 5-ის განვითარებული ვარიანტი, სადაც წარმოდგენილია

სადებატო რეზოლუციის დამამტკიცებელი 3 არგუმენტი და მათი შესაბამისი 5-5 კონტრარგუმენტი. დავავალოთ გუნდებს, 30 წუთის განმავლობაში აღადგინონ სამივე არგუმენტი, სქემაზე მოცემული უარმყოფელი კონტრარგუმენტებიდან გამომდინარე.

## სქემა 11.

1 არგუმენტი – დიდ ქალაქში ვიღებთ უფრო კარგ განათლებას.

### კონტრარგუმენტები

### არგუმენტის აღდგენა

კონტრარგუმენტი – პატარა სოფლის სკოლებში უფრო მცირერიცხოვანი კლასებია, ამიტომ მასწავლებელს აქვს საშუალება, ინდივიდუალურად მიუდგეს მოსწავლეებს.	1.
კონტრარგუმენტი – სოფელში საბუნებისამეტყველო საგნების სწავლება გაადვილებულია, ვინაიდან სოფელში მცხოვრებ მოსწავლეებს უშუალო შეხება აქვს ბუნებასთან.	2.
სოფლებში სშუალო სკოლებში სწავლის ხარისხი მაღალია, რაზეც მეტყველებს მოსწავლეთა შედეგები კონკურსებსა და მისაღებ გამოცდებზე.	3.
სოფლის მაცხოვრებლის განათლების მიღება ხდება მიზანმიმართულად სოფლის მეურნეობისა და ვეტერინარული მიმართულებით და ჰარმონიაშია მის ცხოვრებასთან.	4.
სოფლის მაცხოვრებელს შეუძლია უმაღლესი განათლება მიიღოს ქალაქში, ხოლო იცხოვროს სოფელში. თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა დისტანციური განათლების საშუალებას.	5.

2 არგუმენტი – დიდ ქალაქში ადამიანის ჯანმრთელობა უფრო დაცულია, ვინაიდან სამედიცინო მომსახურება უფრო კვალიფიციურია.

### კონტრარგუმენტები

### არგუმენტის აღდგენა

კონტრარგუმენტი – პატარა სოფელში უფრო ჯანსაღია ეკოლოგიური გარემო. მოსახლეობა სუფთა ჰაერს სუნთქვას და ნატურალური პროდუქტით იკვებება. ამიტომაც ადამიანთა ჯანმრთელობა უფრო მეტად არის დაცული, ვიდრე დიდი ქალაქების მოსახლეობის მაცხოვრებლები უფრო მეტად არიან ეპიდემიების გავრცელების საფრთხის ქვეშ.	
კონტრარგუმენტი – სოფელში ადამიანი ახლოსაა ბუნებასთან და ნაკლებია სტრესული სიტუაციები, ამიტომაც ადამიანთა ჯანმრთელობა უფრო დაცულია.	
სოფლებში არის ამბულატორიები, სადაც კვალიფიციურ ექიმებს შეუძლიათ გაუწიონ ავადმყოფებს საჭირო პირველადი სამედიცინო დახმარება.	
სოფლის მაცხოვრებლებმა ქალაქების მაცხოვრებლებთან შედარებით მეტად იციან არატრადიციული მკურნალობის მეთოდების გამოყენება. ბალაზეულობით და ნატურალური პროდუქტებით მკურნალობის მეთოდებს ტრადიციული მედიცინაც აქტიურად იყენებს.	
სოფლის მაცხოვრებელს შეუძლია ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში გაემგზავროს ქალაქში სამკურნალოდ.	

3 არგუმენტი – დიდი ქალაქები როგორც ტექნიკური, ასევე, კულტურული განვითარების ცენტრებია. ადამიანებს მეტი საშუალება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ კულტურულ და საზოგადოებრივ ღონისძიებებში.

### კონტრარგუმენტები

### არგუმენტის აღდგენა

კონტრარგუმენტი – პატარა სოფლებში განვითარებულია გამოყენებითი ხელოვნების დარგები: რეწვა, ქსოვა, გობელენი თექა, რაც კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.	
კონტრარგუმენტი – ქართული ლიტერატურის შედევრები უმთავრესად პატარა სოფლებში არის შექმნილი.	
სოფელში განვითარდა და შენარჩუნდა ხალხური ზეპირსიტყვიერება და პოეზია, ასევე ხალხური ფოლკლორი.	
სოფელში ტარდება ცნობილი თეატრალური დასების გასტროლები, ასევე კონცერტები და ფესტივალები. ასე რომ, სოფლის მოსახლეობასაც აქვს საშუალება მონაწილეობა მიიღოს კულტურულ და საზოგადოებრივ ღონისძიებებში, თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებიდან კი სოფლის მოსახლეობას შეუძლია თვალყური ადევნოს მსოფლიო კულტურულ მიღწევებს.	
ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით – სოფელს მეტი საშუალებები აქვს ვიდრე ქალაქს. ამიტომ კუთხისთვის დამახასიათებელი კოლორიტული ხელობები არამარტო მიმზიდველს ხდის სოფელს, არამედ ეროვნული კულტურის განვითარების პირობასაც წარმოადგენს.	

### 2 ეტაპი – 20 წუთი

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე, ყველა გუნდის ერთი წარმომადგენელი გამოვა 5 წუთიანი მოხსენებით, სადაც წარადგენს გუნდის მიერ მოფიქრებულ პოზიციას და აღადგენს მოცემულ არგუმენტებს.

### 3 ეტაპი 20 – წუთი

სავარჯიშოს მესამე ეტაპზე დებატების მწვრთნელი საკუთარი ჩანაწერების საფუძველზე გააკეთებს კომენტარებს. მწვრთნელი შეაფასებს ორ პუნქტს: 1. აღადგინეს თუ არა გუნდებმა სამივე არგუმენტი? ( შეეხენენ თუ არა ხუთივე კონტრარგუმენტს) 2. რამდენად ლოგიკური იყო აღდგენა და შინაარსობრივად ეხმიანებოდა თუ არა კონტრარგუმენტებს.

## მომხსენებელთა პასუხისმგებლობები

### XIII გაკვეთილი

- I მტკიცებითი, I უარმყოფელი და II მტკიცებითი მომხსენებლების გამოსვლები – 20 წთ.
- II უარმყოფელი, III მტკიცებითი და III უამრყოფელი მომხსენებლების გამოსვლა – 20 წთ.

### I მტკიცებითი, I უარმყოფელი და II მტკიცებითი მომხსენებლების გამოსვლები

კარლ პოპერის დებატებში გამარჯვებისათვის მნიშვნელობა აქვს არა-მარტო იმას, თუ რამდენად კარგი პოზიცია მოამზადა ამა თუ იმ გუნდმა, არამედ იმასაც, თუ როგორ შეძლო მან ამ პოზიციის ჩამოყალიბება და დაცვა მოწინააღმდეგის ქეისის უარყოფის ფონზე. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დებატები გუნდური თამაშია. ამიტომ გუნდის თითოეულ წევრს გარკვეული პასუხისმგებლობა აკისრია, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი მკაცრად განსაზღვრულ ფუნქციებს ასრულებს, რომელთა შეუსრულებლობას ან არეგას, როგორც წესი, გუნდი დამარცხებისაკენ მიჰყავს.

I მტკიცებითი მომხსენებლის გამოსვლა მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს უნდა მოხდეს მტკიცებითი გუნდის მიერ მომზადებული პოზიციის სათანადო დონეზე წარდგენა. I უარმყოფელი მომხსენებელი პირველი წარმოადგენს უარმყოფელი გუნდის გაბათილებას და, აგრეთვე, საკუთარ არგუმენტაციას. II მტკიცებითი მომხსენებლის გამოსვლაში ძირითადი დატვირთვა საკუთარი ქეისის დაცვასა და გამრავალფეროვნებაზე მოდის, მაგრამ მან, ასევე, არ უნდა დაივიწყოს უარმყოფელი გუნდის პოზიციის გაბათილება.

## ჩანაწერის ფურცლის ნიმუში:

1 მტკიცებითი (6 წთ)	1 უარმყოფელი (6 წთ)	2 მტკიცებითი (5 წთ)
რეზოლუციაზე თანხ-მობა;	უარყოფა	თანხმობა, პოზიციის თა-ვიდან დადასტურება,
რეზოლუციის ტერ-მინების განსაზღვრა (დეფინიციები);	დასტური ან ალტერნა-ტიულის შეთავაზება	ალტერნეტიულის უა-რყოფა, საკუთარის დადასტურება
მიზნის დასახვა (კრიტ-ერიუმი);	თანხმობა ან უარყოფა	ალდგენა, თავიდან დამტკიცება
მტკიცებითი პოზიციის ჩამოყალიბება:	მტკიცებით პოზიციასთან დაპირისპირება:	მტკიცებითი პოზიციის ალდგენა, გამყარება:
I არგუმენტი: (გავრცობა)	უარყოფა	ალდგენა, გავრცობა, უა-რყოფილის უარყოფა, დამამტკიცებელი მასა-ლა.
II არგუმენტი: (გავრცობა)	უარყოფა	ალდგენა, გავრცობა, უა-რყოფილის უარყოფა, დამამტკიცებელი მასა-ლა.
III არგუმენტი: (გავრცობა)	უარმყოფელი პოზიციის ჩამოყალიბება: ალტერნატიული მიზ-ნის დასახვა (უარყოფის შემთხვევაში);	ალდგენა, გავრცობა, უარყოფილის უარყოფა, დამამტკიცებელი მასა-ლა.
დასკვნა.	I არგუმენტი: (გავრცობა)  II არგუმენტი: (გავრცობა) ჯვარედინი დაკითხვის გამოყენება დასკვნა	უარმყოფილის უარყოფა კონკრეტული დაკითხვის გამოყენება. პოზიციის უარყოფა უარყოფა, გაბათილება უარყოფა
		უარყოფა

## II უარმყოფელი, III მტკიცებითი და III უარმყოფელი მომხსენებლების გამოსვლა

II უარმყოფელი მომხსენებლის გამოსვლა ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ამ დროს მთავრდება კამათი კარლ პოპერის დებატებში, სადაც უნდა გამოჩნდეს უარმყოფელი გუნდის უპირატესობა. III მტკიცებითი გამომსვლელის მოხსენება თამაშში პირველი ანალიზითაა გამორჩეული, რომელშიც, რა თქმა უნდა, მტკიცებითი გუნდის გამარჯვება უნდა იქნას დასაბუთებული შეჯახებების წარმოდგენისა და მათი დეტალური განხილვის გზით. III უარმყოფელი მომხსენებელი უნდა დაუპირისპირდეს წინამორბედი გამომსვლელის ანალიზს და უნდა დაამტკიცოს საკუთარი გუნდის უდავო უპირატესობა.

ჩანაწერის ფურცლის ნიმუში:

2 უარმყოფელი (5წთ)	3 მტკიცებითი (5წთ)	3 უარმყოფელი (5წთ)
<p>დაპირისპირება</p> <p>ალტერნატიული დეფინიციების საბოლოოდ გარკვევა</p> <p>დაპირისპირება ან თანხმობა</p> <p>მტკიცებითი პოზიციის თავიდან გაბათილება:</p> <p>უარყოფა, ფაქტების უარყოფა, ალტერნატიულის მოყვანა უარყოფა, ფაქტების უარყოფა, ალტერნატიულის მოყვანა უარყოფა, ფაქტების უარყოფა, ალტერნატიულის მოყვანა ჯვარედინი დაკითხვის გამოყენება პოზიციის აღდგენა</p> <p>მიზნის თავიდან დამტკიცება, აღდგენა</p> <p>აღდგენა, გავრცობა, დამამტკიცებელი მასალა</p> <p>აღდგენა, გავრცობა, დამამტკიცებელი მასალა</p>	<p>რეზოლუციაზე თანხმობა;</p> <p>მტკიცებითი კრიტერიუმის ღირებულების დამტკიცება</p> <p>შეჯახებების წარმოდგენა და განხილვა</p> <p>მტკიცებითი პოზიციის უპირატესობის ჩვენება:</p> <p>არგუმენტების აწონ-დაწონვა</p> <p>დამამტკიცებელი ფაქტების აწონ-დაწონვა და მათი შედარტბა უარმყოფელის ფაქტებთან</p> <p>თითოეული არგუმენტის უპირატესობის ახსნა ჯვარედინი დაკითხვის განხილვა, მისი ეფექტურად გამოყენების ჩვენება</p> <p>თითოეული არგუმენტის გაბათილების დამტკიცება</p> <p>ჯვარედინი დაკითხვის განხილვა, მისი ეფექტურად გამოყენების ჩვენება</p> <p>თითოეული არგუმენტის უპირატესობის ახსნა</p> <p>პოზიციის დამადასტურებელი ფაქტების მოყვანა</p> <p>საბოლოო დასკვნა</p>	<p>რეზოლუციის უარყოფა</p> <p>უარმყოფელი კრიტერიუმის ღირებულების დამტკიცება.</p> <p>დაპირისპირება, დამტკიცებითი შეჯახებების წარმოდგენა და განხილვა</p> <p>უარმყოფელი პოზიციის უპირატესობის ჩვენება</p> <p>არგუმენტების აწონ-დაწონვა</p> <p>დამამტკიცებელი ფაქტების აწონ-დაწონვა და მათი შედარტბა მტკიცებითის ფაქტებთან</p> <p>თითოეული არგუმენტის გაბათილების დამტკიცება</p> <p>ჯვარედინი დაკითხვის განხილვა, მისი ეფექტურად გამოყენების ჩვენება</p> <p>თითოეული არგუმენტის უპირატესობის ახსნა</p> <p>პოზიციის დამადასტურებელი ფაქტების მოყვანა</p> <p>საბოლოო დასკვნა</p>



ჩვენ მიერ წარმოდგენილი სქემები ნათლად გვიჩვენებს მომხსენებლებს მიზნებსა და ფუნქციებს დებატების პროცესში. ამ სქემებზე დაყრდნობით ჩავატაროთ დებატების თამაში ნებისმიერ რეზოლუციაზე, რომელიც ჩვენი მოსწავლეებისათვის იქნება საინტერესო.

დებატის დროს ყველა მონაწილეს და მოსწავლე მსაჯებს დებატების მწვრთნელი დაურიგებს ჩანაწერების ცარიელი ფურცელს ( ექვს ნაწილად, სვეტად გაყოფილი გრაფა) და დაავალებს მონაწილეებს და მოსწავლე-მსაჯებს ზედმინევნით ჩაიწერონ ყველა გამომსვლელის სიტყვა სათანადო გრაფაში. თამაშის დასრულებისას მწვრთნელი გამოართმევს ჩანაწერების ფურცლებს მოსწავლეებს და განიხილავს თამაშს საკუთარი და მოსწავლეების ჩანაწერების საფუძველზე.

დებატების მწვრთნელმა უნდა აუხსნას მონაწილეებს, რომ ჩანაწერის გარეშე შეუძლებელია წარმატებულად თამაში. უბადლო ნიჭისა და მეხ-სიერების მქონე ადამიანსაც ძალიან გაუჭირდება ერთსაათიანი დებატის მსვლელობისას დაიმახსოვროს ყველა არგუმენტი, ყველა ძირითადი აზრი, ლოგიკური მსჯელობის ჯაჭვის კომპონენტები, კითხვა-პასუხები, ფაქტები და ციტატები. დებატებში კი მოგება შეუძლებელია ოპონენტის ქეისზე ზუსტი რეაგირების გარეშე. გარდა ამისა, ყოველთვის შეიძლება დაეჭვებულ ოპონენტს მისივე წარმოთქმული უზუსტობისა თუ შეცდომის სიტყვა-სიტყვით ციტირება. ასეთი გამოსვლა მსაჯზე უთუოდ ეფექტს მოახდენს.

## მსაჯობა

კარლ პოპერის დებატები თამაშია, რომელსაც ჰყავს გამარჯვებული და დამარცხებული მხარე. ამ თამაშის ბედს კი მსაჯი წყვეტს. ნებისმიერი სახის ფორმალური კამათისას მსაჯს კონკრეტული ფუნქციები აკისრია და, აქედან გამომდინარე, მისი „ქცევაც“ თამაშის მსვლელობის დროს და მისი დასრულების შემდეგ, წინასწარ განსაზღვრულია.

მსაჯის ფუნქციები:

დებატების მსაჯს შემდეგი მოვალეობები ეკისრება:

- გამარჯვებულის გამოვლენა
- ბიულეტენის შევსება
- ჩანაწერის გაკეთება
- თამაშის განხილვა და ინდივიდუალური კომენტარები გაკეთება
- თამაშის წაყვანა და დროის დანიშვნა

კარლ პოპერის დებატებში გადაწყვეტილებას მსაჯები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და შეუთანხმებლად იღებენ. იმის გამო, რომ აღნიშნულ თამაშში ფრე გამორიცხულია, დებატებს ყოველთვის კენტი რაოდენობის მსაჯი სჯის.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ დებატების თამაშის გარშემო გადაწყვეტილების მისაღებად არ არსებობს ერთადერთი და სწორი გზა. აქედან გამომდინარე, თითოეული მსაჯი, როგორც წესი, შეიმუშავებს რაუნდის შეფასებისა და გამარჯვებულის გამოვლენის საკუთარ მეთოდებს. მიუხედავად ამისა, გადაწყვეტილების მიღებისას მსაჯმა შემდეგი კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს:

- ლოგიკური მსჯელობა
- არგუმენტაცია
- ანალიზები
- ეფექტური პრეზენტაცია
- უარყოფა და აღდგენა
- ორგანიზებულობა
- დამამტკიცებელი მასალა
- გუნდური თამაში
- სპიკერთა მოვალეობების შესრულება
- იუმორი
- წესების დაცვა

მნიშვნელოვანია, რომ თამაშის ბედის გადაწყვეტისას ნებისმიერმა მსაჯმა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები მთლიანობაში და კომპლექსურად გამოიყენოს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილებაზე ყველაფერი მოქმედებს, მაგალითად მომზადებული არგუმენტების დონე, ძლიერი ფაქტები, სპიკერთა მიერ ორატორული უნარების გამოყენება, გუნდური თამაში, დროის სწორი ორგანიზაცია, გამოსვლების ნათელი

სტრუქტურება, დაპირისპირება ოპონენტთა მოსაზრებებზე, – ლოგიკურ მსჯელობასა და წესების დაცვას კარლ პოპერის დებატების თამაშში გა-მარჯვებულის გამოვლენისას მთავარი ადგილი უკავია. რადგან სწორედ ეს ორი კომპონენტი გვევლინება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმის გარკვეულ გამაერთიანებლად. უნდა გვახსოვდეს, რომ რაც არ უნდა ძნელი იყოს მსაჯისათვის გადაწყვეტილების მიღება ამა თუ იმ თამაშის შესახებ, იგი აუცილებლად დარწმუნებული უნდა იყოს თავის არჩევანში.

გამარჯვებულის გამოვლენასთან ერთად, დებატების მსაჯს თამაშის ბიულეტენის შევსებაც მოეთხოვება. დებატებში მონაწილეებისა და მათი მწვრთნელებისათვის აღნიშნული ბიულეტენი მნიშვნელოვან, დოკუმენტია. სწორად შევსებული ბიულეტენი უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილების მიღე-ბის მთავარ მიზეზებსა და, ამასთანავე, კონსტრუქციულ კრიტიკას. გამომ-დინარე იქიდან, რომ ეს ოფიციალური დოკუმენტია, ბიულეტენის შევს-ებისას აუცილებელია შესაბამის გრაფებში მიეთითოს რაუნდის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი, რაუნდის ნომერი, მონაწილე გუნდების კოდები, შესაბამისად, მარცხნივ მტკიცებითი და მარჯვნივ – უარმყოფელი გუნ-დების მოთამაშეთა სახელები და გვარები.

თითოეული მოდებატის თამაშის განხილვისას მხედველობაში უნდა მი-ვიღოთ შეფასების ოთხი მთავარი კატეგორია და შესაბამისი აღნიშვნები გავაკეთოთ ბიულეტენში:

- ორგანიზაცია: აქ მნიშვნელობა ენიჭება გმომსვლელის მიერ წარმოდგნე-ლი პოზიციის სტრუქტურას, თუ რამდენად ორგანიზებული, დალაგებუ-ლი, დროში გათვლილი და ადვილად გასაგებია მისი გამოსვლა.
- არგუმენტაცია: აქ განმსაზღვრელია მოდებატის უნარი – გააბათი-ლოს მოწინააღდეგის არგუმენტები და გაამყაროს საკუთარი პოზი-ცია; ყოველივე ეს გააკეთოს მკაფიოდ და გვიჩვენოს, რომ დასმული საკითხი მას კარგად ესმის.
- დამამტკიცებელი მასალა – აქ მთავარია, მოცემული სპიკერის ფუნ-ქციის გათვალისწინებით, მოთამაშის მიერ რამდენად სრულად იქნა წარ-მოდგენილი დამამტკიცებელი მასალის საბუთები და განმარტებები და რამდენად ასაბუთებენ ისინი არგუმენტებს.
- პრეზენტაცია: აქ მნიშვნელოვანია სპიკერის ორატორული უნარები, ანუ მის მიერ სიტყვის წარმოთქმის ტექნიკა, სტილი, გამოსვლის ეფექტურო-ბა, დინამიურობა და დამაჯერებლობა.

ამასთან ერთად, ბიულეტენში იწერება მოდებატების ინდივიდუალური ქულები და რანგები, რაც შეფასების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ეს შეფასებები აბსოლუტურად პირადულია, რადგან შეიძლება გარკვეულმა გუნდმა ძალზედ ცუდად ითამაშოს მთლიანობაში, მაგრამ ამავე გუნდის ერთ-ერთი მომხსნებელი კარგად გამოვიდეს და შეასრულოს თავისი ფუნქციები. კარლ პოპერის დებატებში თითოეულ მოდებატეს ენიჭება კონკრეტული რანგი

კონკრეტულ თამაშში, რაც ნიშნავს ამა თუ იმ რაუნდში მათ ადგილს თამაშის მონაწილე სხვა ხუთ სპიკერთან შედარებით. ამა თუ იმ დებატებში საუკეთესო მომხსენებელს ეწერება პირველი რანგი, ხოლო უარესს – მეექვსე. რანგების დამთხვევა, ქულებისაგან განსხვავებით, არ შეიძლება. ქულები, რომელთა დი-აპაზონი ერთიდან ათამდეა, იწერება შემდეგი პრინციპით:

**1 ქულა** – საშინელი გამოსვლა. ასეთი შეფასება ეკუთვნის მას, ვინც საუბრობს გაუგებრად და განზრახ უხეშად ან შეურაცხმყოფელად.

**2 ქულა** – ძალიან სუსტი გამოსვლა. გამომსვლელს უძნელდება დაცვა და აზრის გამოხატვა. გამოსვლა განკუთვნილ დროზე ადრე დამთავრდა.

**3 ქულა** – სუსტი გამოსვლა, არადამაჯერებელი მსჯელობა. მომხსენებელი დაბნეულია და საუბრობს არაორგანიზებულად. გამოსვლა განკუთვნილ დროზე ადრე დამთავრდა. ვერ უპირისპირდება მონინაალმდეგის პოზიციას.

**4 ქულა** – საშუალოზე სუსტი გამოსვლა. მომხსენებელი სრულყოფილად ვერ უპირისპირდება მონინაალმდეგის პოზიციას, გაუგებრად აყალიბებს თავის პოზიციას, ვერ აჩვენებს კავშირებს რგოლებს შორის.

**5 ქულა** – საშუალო გამოსვლა. ნორმალური პრეზენტაცია. არგუმენტაცია არადამაკმაყოფილებელი. მომხსენებელი მასზე დაკისრებულ მოვალეობას ართმევს თავს. უპირისპირდება მონინაალმდეგის პოზიციას, მაგრამ ზედაპირულად და აკეთებს არაორგანიზებულ ანალიზს.

**6 ქულა** – საშუალოზე კარგი გამოსვლა. ნორმალური ანალიზი. მომხსენებელი კარგად ერკვევა დებატების ტექნიკაში, მაგრამ არგუმენტაცია არ არის დამაჯერებელი.

**7 ქულა** – კარგი გამოსვლა. არგუმენტაცია დამაკმაყოფილებელი. მომხსენებელი სრულად იყენებს დროს, აკლია დამაჯერებლობა.

**8 ქულა** – ძალიან კარგი გამოსვლა. დამაჯერებელი არგუმენტაცია. ანალიზი, პრეზენტაცია და უარყოფა კარგი.

**9 ქულა** – შესანიშნავი გამოსვლა. ეფექტური პრეზენტაცია.

**10 ქულა** – ბრწყინვალე გამოსვლა. მომხსენებელი ყველა სფეროში შესანიშნავია. უნაკლო პრეზენტაცია. ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო გამოსვლა.

ბიულეტენის ცარიელ გრაფებში უნდა მიეთითოს იმ მიზეზთა განმარტება, რაც მოგების ან წაგების საბაზი გახდა. ასევე აუცილებელია რაუნდის შესახებ კრიტიკული შენიშვნების ჩანერა, შეჯახებების მათავარი მომენტების გამოყოფა, იმ არეების მითითება, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას. სრული ბიულეტენისათვის აუცილებელია ამომწურავი შენიშვნები გუნდების მიერ სამუშაოს შესრულებაზე და ასევე ინდივიდუალური კომენტარები თითოეული მონაწილის გამოსვლის თაობაზე.

გამარჯვებული გუნდის სახელსა და კოდს მსაჯი ბიულეტენის ბოლოში მიუთითებს და დოკუმენტის სინამდვილეს ადასტურებს საკუთარი ხელმოწერითა და კოდით.

## მსაჯის პიულეტენი

რაუნდის № ---

თარიღი ---

დრო ---

ოთახი ---

გთხოვთ, სრულყოფილად შეავსოთ პიულეტენი: სპიკერის ქულები, რანჟირები, ინდივიდუალური შენიშვნები, გადაწყვეტილებები, მონაცემები. გთხოვთ, ჩაბაროთ პიულეტენი შემდეგი რაუნდის დაწყებამდე. კატეგორიები არ ფასდება ქულებით, ხოლო სპიკერის მაქსიმალური ქულა არის 10.

1გ	2გ	3გ	სახელი და გვარი	1უ	2უ	3უ																		
შ	ფ	კ	ჭ	უ	კ	დ	ც	შ	ფ	კ	ჭ	უ	კ	დ	ც	შ	ფ	კ	ჭ	უ	კ	დ	ც	
			კოდი																					
			ორგანიზაცია																					
			არგუმენტაცია																					
			მონაცემები																					
			წარდგენა																					
-----	-----	-----	-----	სულ	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----

----- რანგი -----  
 სპიკერს მიანიჭეთ ქულები არგუმენტაციის, დაცვის და წარდგენის უნარის მიხედვით:  
 კოდი: შ = შესანიშნავი ფ = ფრიადი კ = კარგი დ = დამაკმაყოფილებელი ც = ცუდი  
 რანგი: 1-6, 1 = უმაღლესი  
 თანაბარი რანგი და გადაწყვეტილება მიუღებელია

მტკიცებითი: ინდივიდუალური შენიშვნები	უარყოფითი: ინდივიდუალური შენიშვნები
დაახასიათეთ შეჯახების ძირითადი არეები და წარმოადგინეთ თქვენი გადაწყვეტილების საფუძველი	

საუკეთესოდ მდგრადი გაუძლვა ————— მხარე, კოდი ————— .  
 (მტკიცებითი ან უარყოფითი)

მსაჯის ხელმოწერა და კოდი: ————— .

იმისათვის, რომ მსაჯმა გადაწყვეტილება ობიექტური შეფასების საფუძველზე მიიღოს, მან თამაშის მიმდინარეობა დეტალურად უნდა დააფიქსიროს, რის საშუალებასაც იძლევა დებატების სპეციალური ჩანაწერის ფორმა (6 სვეტად დაყოფილი ფურცელი, სადაც თითოეული სვეტი თითოეული სპიკერის გამოსვლას ეთმობა), რომლის შევსებაც ხდება რაუნდის მიმდინარეობისას. კარგად გაკეთებული ჩანაწერი მსაჯს ეხმარება თვალი მიადევნოს მთელი თამაშის მსვლელობას, გაჰყვეს არგუმენტაციის ხაზს ბოლომდე, შეაფასოს ყველა გამოტოვებული ფაქტი, მაგალითი თუ არგუმენტი, ერთი სიტყვით, დახატოს დებატების ამსახველი სურათი. როგორც წესი, იმ დროს, როდესაც გუნდები ერთმანეთს ეკამათებიან, მსაჯი თავდახრილი წერს ყველაფერს, რასაც გაიგებს.

დებატების მსაჯი არამარტო კარგი არბიტრი და შემფასებელი, არამედ კარგი მასწავლებელიც უნდა იყოს, რადგან მისი ფუნქცია გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად, მოდებატეების განათლებაცაა. თამაშის დამთავრების შემდეგ მსაჯი აკეთებს სიტყვიერ კომენტარს, რომლის დროსაც მან უნდა მოახდინოს პირველ რიგში მომხსენებლთა გამოსვლების შესახებ ინდივიდუალური განხილვა და შემდეგ მთელი თამაშის ანალიზი, სადაც წარმოადგენს საკუთარი გადაწყვეტილების საფუძვლებსაც. კომენტარი არ არის თავის გამართლება მსაჯის მხრიდან. აქ ხდება უბრალო მიმოხილვა.

გაითვალისწინეთ, რომ კომენტარები უმჯობესია გააკეთოთ პოზიტიურ მომენტებზე ხაზგასმით. მოერიდეთ მხოლოდ შენიშვნებისა და კრიტიკის გამოყენებას. მსაჯობა ადვილი არაა, მაგრამ იგი შესაძლებლობას გაძლევთ, დადებითი ზეგავლენა მოახდინოთ მოზარდების ცხოვრებაზე. კარგად არგუმენტირებული ანალიზი ეხმარება მათ შეცდომების გამოსწორებაში და იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მოგინიათ ერთი და იმავე გუნდის მსაჯობა ზედიზედ რამდენჯერმე, აუცილებლად გაამახვილეთ ყურადღება თქვენი კომენტარის შედეგად მომხდარ პოზიტიურ ძვრებზე.

მსაჯის მოვალეობაა დებატების თამაშის სწორად წარმართვა. იგი უნდა მიესალმოს მოთამაშეებს, შეუქმნას მათ კომფორტი, შეჯიბრის დაწყებამდე შემოწმოს დებატებისათვის განკუთვნილი ოთახი; შეამოწმოს, აქვს თუ არა მას ბიულეტენი, ჩანაწერის ფურცელი და წამზომი დროის დასანიშნად. რაუნდის დამთავრებისთანავე მსაჯმა მოდებატეებს უნდა მოსთხოვოს ოთახის დატოვება, ხოლო ბიულეტენის შევსებისა და გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მოდებატეებთან ერთად უნდა განიხილოს თამაშის მსვლელობა და ბოლოს, გულმოდგინედ და დეტალურად შევსებული ბიულეტენი ჩააბაროს ტურნირის ორგანიზორებს.

იმის გამო, რომ კარლ პოპერის დებტების შემადგენელ ნაწილებს (მომხსნებელთა გამოსვლები, ჯვარედინი დაკითხვები, მოსამზადებელი დრო) განსაზღვრული დრო აქვს, თამაშში საჭიროა, რომ ვინმერ დრო დაინიშნო, რისი გაკეთებაც შეიძლება მსაჯსაც მოუწიოს. ამ დროს მან ყოველი გამოს-

ვლის, ჯვარედინი დაკითხვის თუ მოსამზადებელი დროის გამოყენება უნდა დააფიქსიროს და, აგრეთვე, დარჩენილი დრო უნდა აჩვენოს მოდებატეებს. ეს დამატებით კონცენტრაციას მოითხოვოს, თუმცა, გამოცდილ მსაჯებს დროის აღმრიცხველის ფუნქციის შესრულება არ უჭირთ.

როგორი უნდა იყოს მსაჯი?

მასზე დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, დებატების მსაჯი შემდეგ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- მიუკერძოებელი
- წესების მცოდნე
- კარგი მსმენელი
- კარგი მასწავლებელი

დებატების მსაჯმა თამაშის დაწყების წინ უნდა დაივიწყოს საკამათო თემასთან მიმართებაში საკუთარი პოზიცის შესახებ. იგი უნდა იყოს ე.ნ. ცარიელი ფურცელი, გათავისუფლებული ყოველგვარი სუბიექტური მოსაზრებისაგან. მან ამა თუ იმ გუნდისათვის ხმის მიცემის პროცედურა არ უნდა გამოიყენოს საკუთარი შეხედულების სადემონსტრაციოდ. ამასთანავე, მსაჯმა ზედმინევნით სრულყოფილად უნდა იცოდეს თითოეული გუნდისა და სპიკერის მოვალეობები. კარგი მოსმენა ნიშნავს კარგი ჩანაწერის გაკეთებას, რაც მნიშვნელოვანია ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. მსაჯის მიერ კი თამაშის ბოლოს გაკეთებული კომენტარები უნდა იყოს მოწოდებული მოდებატე ბავშვების განათლებისაკენ.

## მსაჯის ბიულეტენი

რაუნდის № -2-

თარიღი -12.10.2003--

დრო -13.20--

ოთახი -17--

გთხოვთ, სრულყოფილად შეავსოთ ბიულეტენი: სპიკერის ქულები, რანჟირება, ინდივიდუალური შენიშვნები, გადაწყვეტილებები, მონაცემები.

გთხოვთ, ჩააბაროთ ბიულეტენი შემდეგი რაუნდის დაწყებამდე.

კატეგორიები არ ფასდება ქულებით, ხოლო სპიკერის მაქსიმალური ქულა არის 10.

1მ

2მ

3მ

1უ

2უ

3უ

გიორგი გაფრინ-დაშვილი		რეზო მაისურაძე		თამარ წერეთელი		სახელი და გვარი		გვანცა ჭანტურია		თემო ლხაკაძე		თეა ძნელაძე		
შ	ფ	კ	დ	ც	შ	ფ	კ	დ	ც	შ	ფ	კ	დ	ც
X					X					X				
	X					X				X				
		X					X			X				
		X						X						
			X						X					

---6---

---7---

---8---

სულ

---7---

---7---

---5---

---5---

---3---

---1--

რანგი

---4---

---2----

---6----

სპიკერს მიანიჭეთ ქულები არგუმენტაციის, დაცვის და წარდგენის უნარის მიხედვით:

კოდი: შ = შესანიშნავი ფ = ფრიადი კ = კარგი დ = დამაკმაყოფილებელი  
ც = ცუდი

რანგი: 1-6, 1 = უმაღლესი თანაბარი რანგი და გადაწყვეტილება მიუღებელია

<p><b>მტკიცებითი:</b> ინდივიდუალური შენიშვნები</p> <p>I სპიკერი მწირი დამამტკიცებელი მასალა. პრეზენტაცია არ ჰქონდა კარგი. ხშირი პაუზები საუბარში</p> <p>II სპიკერი მწირი დამამტკიცებელი მასალები. ძალზედ ზოგადი მსჯელობა</p> <p>III სპიკერი კარგი ანალიზი, თუმცა, ნაკლებად ახდენდა აპელირებას საკუთარ გუნდელებზე</p>	<p><b>უარყოფითი:</b> ინდივიდუალური შენიშვნები</p> <p>I სპიკერი არასწორი ორგანიზაცია. უარყოფას ნაკლები დრო დაუთმო, ვიდრე ქეისის წარმოდგენას</p> <p>II სპიკერი კარგი, მაგრამ არასრული უარყოფა. ცუდი პრეზენტაცია. ძალზედ ხმადაბალი საუბარი</p> <p>III სპიკერი არასრული ანალიზი. ახალი მოსაზრებები გამოიყენა უარყოფისას</p>
<p>დაახასიათეთ შეჯახების ძირითადი არები და წარმოადგინეთ თქვენი გადაწყვეტილებების საფუძველი</p> <p>თამაშიძალზედ დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. თითოეული გუნდის წევრი თავის ფუნქციას სათანადოდ ასრულებდა. მესამე სპიკერების გამოსვლებამდე არც ერთი გუნდის უპირატესობა არ გამოვლენილა. შეჯახებები კი შემდეგი საკითხების გარშემო მოხდა:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სენსაციები ტელევიზიში</li> <li>- ძალადობა მასმედიაში და მისი გავლენა საზოგადოებაზე</li> <li>- სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა მთავრობის მიერ</li> </ul> <p>შეჯახებებში უპირატესობა მოიპოვა მტკიცებითმა გუნდმა, რადგან მესამე მტკიცებითმა სპიკერმა შეძლო ყველა შეჯახების სათანადოდ წარმოჩენა და საკუთარი გუნდის უპირატესობების ხაზგასმა. მესამე უარყოფელმა სპიკერმა კი შეჯახებების ანალიზის დროს ბოლომდე ვერ შეასრულა საკუთარი მოვალეობები ეფექტურად. მეორე შეჯახების განხილვის დროს, მან ანალიზი საკუთარი გუნდელების მოსაზრებების გამოყენებით კი არ მოახდინა, არამედ საერთოდ ახალი შეხედულება დაუპირისპირა ოპონენტის მსჯელობას, რაც თამაშის წესებს ეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე, გაიმარჯვა მტკიცებითმა გუნდმა.</p>	

საუკეთესოდ მდებარებული გაუძლვა – მტკიცებითი – მხარე, კოდი -17-. (მტკიცებითი ან უარყოფელი)

მსაჯის ხელმოწერა და კოდი: — ს. პავლიაშვილი 02 -----

## ნაწილი II

### კარლ პოპერის დებატები პოლიტიკური ელემენტებით შესავალი

სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი მთლიანად დაეთმო კარლ პოპერის დებატებს. წიგნის მეორე ნაწილი ეთმობა პოლიტიკურ დებატებს. ეს ფორმატი თავისი სტრუქტურით პოპერის დებატების იდენტურია. ერთმანეთს კვლავ ეჯიბრება სამი მოთამაშისაგან შემდგარი ორი გუნდი – მტკიცებითი და უარმყოფელი. მომხსენებელთა გამოსვლების თანმიმდევრობა და დროის რეგლამენტი, ჯვარედინი დაკითხვა და მოსაფიქრებელი დრო პოლიტიკურ ფორმატში არ იცვლება. „პოლიტიკური“ ამ ფორმატს ეწოდება თამაშის სტილის გამო. ძირითადი განსხვავება ამ ორ ფორმატს შორის ის არის, რომ მოდებატები აღარ კამათობენ თვით რეზოლუციაზე. მტკიცებით გუნდს პოლიტიკურ ფორმატში ევალება რეზოლუციაში დასმული საკითხის შესწავლა, მისი დავიწროება, კონკრეტული პრობლემის წარმოდგენა, ამ პრობლემის გადასაჭრელი გზების (გამოსავალი) მოფიქრება, შემდეგ კი იმის დასაბუთება, რომ გამოსავალი ნამდვილად გადაჭრის დასმულ პრობლემას.

პოპერის სახელობის დებატები არსობრივად ფასეულობათა დებატებია. ერთი გუნდი აყალიბებს არგუმენტებს მოცემული რეზოლუციის დასამტკიცებლად, ანუ იგი ასაბუთებს რეზოლუციის დადებითი მხარეების ლირბულებებს. უარმყოფელი მხარე უპირისპირდება რეზოლუციას და უარყოფს იმ არგუმენტებს და იმ ლირებულებებს, რომლებიც წარმოადგინეს ოპონენტებმა. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უარმყოფელ მხარეს არ გამორჩეს მტკიცებითი გუნდის არც ერთი არგუმენტი, არც ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება თუ ფაქტი. ასევე, გუნდმა უნდა მიმოიხილოს ოპონენტის დეფინიციები და კრიტერიუმი. ეს არის უარმყოფელი გუნდის ერთადერთი პოლიტიკა, რომელიც ამ ფორმატში გაამართლებს და გუნდს წარმატებას მოუტანს. მტკიცებითმა გუნდმა თავისი მოხსენების ეფექტურად წარდგენის შემდეგ, ერთადერთ სტრატეგიას უნდა მიმართოს, მან უნდა აღადგინოს და გაამყაროს ყველა ის პუნქტი, რასაც შეეხო ოპონენტი გუნდი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, დებატების ამ ფორმატში, გარდა ლოგიკური და კრიტიკული აზროვნებისა, მოცემული რეზოლუციის ირგვლივ მასალების მოძიებისა და მათი ეფექტური გამოყენებისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება წესების ცოდნას და მათ ზედმინევნით შესრულებას.

პოლიტიკურ დებატებში, თამაშის სტილიდან გამომდინარე, გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლოგიკას, ვიდრე წესების დაცვას. მთავარია, რომ ოპონენტებმა ერთმანეთის პოზიციაში დაინახონ ამა თუ

იმ პუნქტში არალოგიკური, შეუსაბამო მსჯელობა, შემდგომ კი აირჩიონ გარკვეული პოლიტიკა, სტრატეგია და ტაქტიკა, რათა დაანახონ მსაჯს ხარვეზები ოპონენტის პოზიციაში.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად გამოჩინდეს განსხვავება პოპერის დებატებსა და პოლიტიკურ დებატებს შორის, საჭიროა მოკლედ განვიხილოთ ის ძირითადი ელემენტები, რომლებისგანაც შედგება ორივე ფორმატის მტკუცებით პოზიციები.

<b>პოპერის ფორმატი</b>	<b>პოლიტიკური ფორმატი</b>
<b>რეზოლუცია</b>	<b>რეზოლუცია</b>
<b>დეფინიციები პრობლემა</b>	
<b>კრიტერიუმი</b>	<b>გამოსავალი</b>
<b>არგუმენტები</b>	<b>უპირატესობები</b>

პოლიტიკურ დებატებში, განსხვავებით პოპერის დებატებისაგან უარმყოფელმა გუნდმა საკმარისია მოიგოს ოპონენტის პოზიციის თუნდაც ერთი პუნქტი. მთავარია, რომ დაინგრეს მოწინააღმდეგის მსჯელობის ლოგიკური ჯაჭვი.

2. ჩვენი წიგნის პირველ ნაწილში, კერძოდ, – 1, 2, 3 და 4 პარაგრაფებში ზედმინევნით იყო განხილული ფორმალური დებატების არსი, თამაშის განრიგი, თამაშის წესები, კლუბური მუშაობის სტილი. მოცემული იყო რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ აჯობებს პირველი რამდენიმე შეხვედრის ჩატარება კლუბში. ამიტომაც, წიგნის მეორე ნაწილში პირდაპირ პოლიტიკური დებატების ტექნიკის შესწავლაზე იქნება საუბარი.

## მტკიცებითი პოზიციის ფორმირება

### I გაკვეთილი

- მტკიცებითი ქეისი
- რეზოლუცია და მისი ჩამოყალიბება – 30 წთ.
- სავარჯიშო „რეზოლუციის მოგონება“ – 45 წთ.

### რეზოლუცია და მისი ჩამოყალიბება

პოლიტიკურ დებატებში, როგორც პოპერის სახელობის დებატებში, იმისათვის, რომ შედგეს დებატი, უნდა არსებობდეს საკამათო საგანი, გან-

სახილველად წარმოდგენილი ერთი წინადადება. იგი უნდა იყოს ლაკონური, მკაფიო და გასაგები. დებატების ტექნიკაში ასეთი ფორმით ჩამოყალიბებულ საკამათო თემას რეზოლუცია ეწოდება. რეზოლუცია განაცხადის სახე უნდა ატარებდეს.

სადებატო რეზოლუცია უნდა იყოს აქტუალური, ეხებოდეს მნიშვნელოვანი მოცულობის პრობლემას და აღვივებდეს ინტერესს სადებატო თემის მიმართ.

პოლიტიკური ფორმატის დებატებში მოთამაშებს ევალებათ მოცემული საკამათო თემის ირგვლივ პრობლემების მოძებნა ამ პრობლემის ახსნა და, რაც მთავარია, მათი გადასაჭრელი გზების ძიება. პოლიტიკური დებატების რეზოლუცია ისეთი კრიტერიუმებით უნდა იყოს შერჩეული და ფორმირებული, რომ მოდებატებმა შეძლონ, რეზოლუციაში დასმული საკითხები დააკონკრეტონ და დაიყვანონ უფრო ვიწრო და ხელშესახებ პრობლემებამდე.

პოლიტიკური დებატების ფორმატში საკამათო თემის შერჩევისას უნდა ვეცადოთ, შევეხოთ მნიშვნელოვანი მოცულობის და სირთულის თემებს, მაგრამ საკითხებზე მსჯელობამ უტოპიამდე არ უნდა მიგვიყვანოს. უნდა ავიღოთ ისეთი საქმიანი სფერო, სადაც კონკრეტული საკითხები დაისმება და საქმიანი წინადადებებით იქნება წარმოდგენილი.

დავუშვათ, რომ პოლიტიკური დებატებისათვის შერჩეულია თემა: „კორუფცია“. უმჯობესია, ამ თემასთან დაკავშირებული რეზოლუცია ეხებოდეს ერთ ქვეყანას და არ ისახავდეს მიზნად მთელ მსოფლიოში კორუფციის აღმოფხვრას. ასევე, თუ სადებატო თემად გამოცხადდება „კონფლიქტები“, აჯობებს რეზოლუცია რელიგიურ, ეთნიკურ ან ტერიტორიულ კონფლიქტებთან მიმართებაში შემუშავდეს და არა ზოგადად ყველანაირი კონფლიქტების მოგვარებაზე. მოკლედ, რეზოლუცია უნდა იყოს საკმარისად ფართო, რათა მოდებატებს მიეცეთ მისი დავიწროების საშუალება, მაგრამ არ უნდა იყოს იმდენად გლობალური, რომ საერთოდ ვერ შეძლონ გამოსავლის პოვნა.

რა თემა უნდა, როდესაც საუბარია გლობალურ პრობლემათა ერთი ქვეყნის მაგალითამდე დაკონკრეტებაზე, არ იგულისხმება ის, რომ ფორმალურ დებატებში მსოფლიო მაშტაბის საკითხები არ განიხილება. პირიქით, ასეთი საკითხები საკმაოდ პრიორიტეტულია. საუბარია მხოლოდ რეზოლუციის ფორმის შერჩევაზე, ანუ მის სიზუსტეზე. მაგალითად, მსოფლიო ომი ან საერთაშორისო კრიმინალური სასამართლო გლობალურ თემათა ჯგუფს მიეკუთვნება და ამავე დროს რეზოლუციები – „მსოფლიომ უნდა აიცილოს მესამე მსოფლიო ომი“ და „მსოფლიოს ერებმა მხარი უნდა დაუჭირონ საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს შექმნას“, საკმაოდ კონკრეტულ საკითხებამდე არის დაყვანილი.

ზემოთ მოყვანილი რეზოლუციების ფორმულირებაზე დაკვირვება

გვაჩვენებს, რომ ასეთი ფორმით ჩამოყალიბებული რეზოლუციები მისაღებია როგორც მტკიცებითი, ასევე, უარმყოფელი მხარისათვის. უარმყოფელი მხარე ვერ შეეწინააღმდეგება იმთავითვე დადებითი ღირებულებების მატარებელ რეზოლუციას. პოლიტიკურ დებატებში თვით რეზოლუციაზე კამათი არასდროს მიმდინარეობს. რეზოლუციას ორივე მხარე ეთანხმება. დავის საგანი კი ხდება მტკიცებითი გუნდის მიერ შემოთავაზებული ან, უფრო ზუსტად, განსაზღვრული პრობლემა, რომელიც რეზოლუციასთან არის დაკავშირებული.

დავაკირდეთ ნებისმიერი პოლიტიკური რეზოლუციის ფორმულირებას. აქ ყოველთვის ფიგურირებს სიტყვა „უნდა“. ანუ რაღაც ცვლილებები უნდა გატარდეს, რაღაცა უნდა შეიცვალოს, რაღაცა უნდა შეიზღუდოს, რაღაცა უნდა დავიცვათ. სადებატო რეზოლუცია იმდენად დადებითი ღირებულებების მატარებელია, რომ ეჭვი აღარ ჩნდება მისი განხორციელების საჭიროებაში და სადაცო ორ გუნდს შორის მხოლოდ განხორციელების გზები ხდება.

## **სავარჯიშო №1 „რეზოლუციის მოგონება“**

### **1 ეტაპი – 5 წუთი**

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე დებატების მწვრთნელი ატარებს „გონებრივ იერიშს“, სთხოვს მონაწილეებს, შესთავაზონ მას ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებული ერთი სიტყვით გამოთქმული ძალიან ზოგადი, ფართო თემები. მწვრთნელი შემოთავაზებულ თემებს წერს დაფაზე. სასურველია, რომ შეიქმნას მრავალფეროვან თემათა დიდი ნუსხა. უნდა მოხერხდეს მონაწილეთა პროვოცირება, რათა მათ თავისუფლად, ყოველგვარი ურთიერთკრიტიკის გარეშე შესთავაზონ წამყვანს რაც შეიძლება უფრო მეტი თემა. წამყვანს შეუძლია მაგალითის სახით თვითონ დაასახელოს რამდენიმე თემა.

5 წუთის განმავლობაში დაფაზე გაჩნდება დაახლოებით ასეთი ჩამონათვალი:

- განათლება;
- მშვიდობა;
- ადამიანთა უფლებები;
- ეკონომიკა;
- საგარეო ურთიერთობები;
- სოფლის მეურნეობა;
- ჯანმრთელობის დაცვა;
- კულტურა;
- დასაქმება;
- დემოკრატია;
- არჩევნები;

- თვითმმართველობა;
- ენერგორესურსები;
- სპორტი;
- ნარკომანია;
- ტერორიზმი;
- ომი;
- გლობალიზაცია;
- ინტეგრაცია; და ა.შ

## **2 ეტაპი – 10 წუთი**

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე დებატების მწვრთნელი სთავაზობს აუდიტორიას ხანმოკლე განხლვას, რომლის საფუძველზე დაფაზე ჩამონერილი მრავალი თემიდან გამოკვეთება ის 5 თემა, რომელიც ყველაზე მეტად საინტერესო, პრობლემური და აქტუალურია.

## **3 ეტაპი – 10 წუთი**

სავარჯიშოს მესამე ეტაპზე მონაწილეები იყოფიან 4-5 ჯგუფად. ჯგუფებმა ათი წუთის განმავლობაში უნდა შეიმუშაონ თითოეულ თემასთან დაკავშირებული ერთი რეზოლუცია.

## **4 ეტაპი – 10 წუთი**

სავარჯიშოს მეოთხე ეტაპზე, ყოველი ჯგუფიდან ერთმა მონაწილემ ორ-ორი წუთის განმავლობაში უნდა წარადგინოს მისი გუნდის მიერ ჩამოყალიბებული 5 რეზოლუცია. წამყვანი 10 წუთის განმარვლობაში განიხილავს თითოეულ შეთავაზებულ რეზოლუციას, გააკეთებს კომენტარებს, მიუთითებს შეცდომებზე და გასცემს რეკომენდაციებს.

პოლიტიკური დებატების რეზოლუციების ნიმუშები:

- საქართველოში განათლების რეფორმა უნდა ჩატარდეს;
- მთავრობის საგარეო პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებას;
- უნდა მოხდეს მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაცია;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა პრიორიტეტი უნდა გახდეს;
- არჩევნები სამართლიანად და თავისუფლად უნდა ჩატარდეს;
- სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს სპორტის განვითარებას;
- სოფლის მეურნეობა საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი დარგი უნდა გახდეს;
- მოსახლეობის ჯანმრთელობა უნდა იყოს დაცული და სხვა.

## მტკიცებითი პოზიციის ფორმირება

### II გაკვეთილი

- მტკიცებითი პოზიცია
- პრობლემა და მისი არჩევა – 25 წთ.
- სავარჯიშო „შევიმუშავოთ პრობლემა“ – 40 წთ.

### პრობლემა და მისი არჩევა

სადებატო თემის შერჩევისა და რეზოლუციის ჩამოყალიბების შემდეგ, შესაძლებელია დავიწყოთ დებატებისთვის მომზადება. პოლიტიკური დებატების ფორმატი ძალიან საინტერესოა. მისი უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ფაქტორებია: არგუმენტაცია და ლოგიკური მსჯელობა. პოლიტიკური დებატების ფორმატს, ისევე, როგორც ყველა თამაშს, აქვს თავისი წესები. მოდებატებებმა უნდა დაიცვან გარკვეული სტრუქტურა და გაითვალისწინონ მთელი რიგი რეკომენდაციები. უშუალოდ თამაშის მსვლელობაში კი გუნდებმა უნდა აირჩიონ საგანგებო, მხოლოდ ერთი კონკრეტული თამაშისათვის მოსარგები სტრატეგია და ტაქტიკა. მაგრამ, ამავე დროს, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ის წესი, რომელსაც გავეცნობით, დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ ლოგიკაზე და მოდებატების ლოგიკური აზროვნება ყოველთვის ნებისმიერ წესსა და ფორმატზე წინუნდა დავაყენოთ.

დებატებისთვის მზადებისას აუცილებელია, რომ გუნდებმა კარგად გაითავისონ თავისი ძირითადი ფუნქციები. მტკიცებითმა გუნდმა პირველ რიგში უნდა აჩვენოს, რომ მოცემულ სადებატო რეზოლუციასთან კავშირში არსებობს გამორჩეული პრობლემა, რომელიც იწვევს მნიშვნელოვან ზიანს და, აქედან გამომდინარე, საჭიროა არსებულ მდგომარეობაში ცვლილებების შეტანა. აღსანიშნავია, რომ სწორედ მტკიცებითი გუნდის მიერ განსაზღვრული ეს კონკრეტული პრობლემა თამაშში ხდება რეზოლუციის შემცვლელი და უარმყოფელმა გუნდმა არა რეზოლუციაზე, არამედ ამ განსაზღვრულ ვიწრო პრობლემაზე უნდა მიიტანოს იერიში.

მაგალითად: როდესაც მოცემულია „მთავრობამ უნდა აღმოფხვრას ელიტარული კორუფცია“, თავდაპირველად გუნდმა, რომელიც მტკიცებით პოზიციას ამზადებს, უნდა შეძლოს გამოიძიოს ყველა ის სფერო და სამსახური, რომელსაც კორუფციაში ედება ბრალი. ადვილია ვივარაუდოთ, რა შედეგებს მიიღებენ მოდებატებები, თუ აქცენტს საქართველოს თანამედროვე პრობლემებზე გააკეთებენ. აღმოჩნდება, რომ არ არის სფერო, სადაც ელიტარული კორუფცია არ მძვინვარებს და რეზოლუციასთან დაკავშირებით არსებობს ათობით პრობლემა.

ვინაიდან პოლიტიკურ დებატში პრობლემებზე ყურადღების გამახვილება საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რათა შემდგომ ეს პრობლემა გადაიჭრას, ამიტომ მისი საფუძვლიანი შესწავლა და დებატების პროცესში ეფექტური წარდგენა აუცილებელია. წარმოვიდგინოთ, რა მოხდება თუ მტკიცებითმა გუნდმა ზემოთ აღნიშნულ რეზოლუციასთან დაკავშირებით მიმოიხილა ყველა ის სფერო და შეეხო ყველა საკითხს, რაც კი არის კორუფციასთან კავშირში. მტკიცებითი გუნდის პირველ წარმომადგენელს, რომელიც იწყებს თამაშს, არ ეყოფა არამარტო 6 წუთი, არამედ არც საათი და არც დღე.

თუ გუნდმა არ მოახდინა პრობლემის დავიწროება და ფართო პრობლემის რომელიმე კონკრეტულ პრობლემამდე დაყვანა, მას შეიძლება მთელი რიგი პრობლემები შეექმნას თამაშის დროს. გლობალური პრობლემის მოგვარებას გრანდიოზული გეგმების განხორციელება სჭირდება. ყოვლისმომცველი გამოსავლის პოვნა ძალიან ძნელია, მისი დასაბუთება დროის სიმცირის გამო კითითქმის შეუძლებელი. უარმყოფელი გუნდი ადვილად შეიტანს ეჭვს ასეთი ფართო გეგმების რეალურობაში და ადვილად იპოვის მასში ხარვეზებს.

ვფიქრობ დაგარწმუნეთ, რომ პოლიტიკური დებატების ფორმატში რეზულუცია დაკონკრეტებას საჭიროებს მტკიცებითი გუნდის მხრიდან. ვინ-რო პრობლემას ყოველთვის მოეძებნება რეალური და განხორციელებადი გამოსავალი. ამ ასპექტს კიდევ ერთი საგულისხმო მხარე აქვს. უარმყოფელმა გუნდმა წინასწარ არ იცის, რა ვიწრო პრობლემას შესთავაზებს მას მტკიცებითი გუნდი, ამიტომ უარყოფა ყოველთვის უშუალოდ თამაშის დროს ყალიბდება. ამით დებატი უფრო ინტენსიური, დაძაბული ხდება, მოდებატები კი თამაშის პოლიტიკის, ანუ სტრატეგიის და ტაქტიკის შექმნის პროცესში იყენებენ მთელ თავის ინტელექტუალურ და შემოქმედებით პოტენციალს.

წარმოგიდგენთ მაგალითს, სადაც ნათლად ჩანს, როგორი ფორმით შეიძლება ჩამოყალიბდეს რეზოლუცია ფართო თემიდან და შემდეგ როგორ დავიწროვდეს თვით რეზოლუცია.

**თემა:** ადამიანთა უფლებები

**რეზოლუცია:** საქართველოში ადამიანთა უფლებები უნდა იყოს დაცული

**დავიწროებული რეზოლუციის მაგალითები:**

- ბავშვთა უფლებები უნდა იყოს დაცული;
- ქალთა უფლებები უნდა იყოს დაცული;
- უმცირესობათა უფლებები უნდა იყოდ დაცული;
- პატიმართა უფლებები უნდა იყოს დაცული;
- ემიგრანტების უფლებები უნდა იყოს დაცული;
- ლტოლვილთა უფლებები უნდა იყოს დაცული;

თავის მხრივ, დავიწროებული რეზოლუციების, კიდევ უფრო მეტად და-კონკრეტებაა შესაძლებელი, მაგალითად:

- საქართველოში ბავშვთა უფლებები სასწავლო დაწესებულებებში უნდა იყოს დაცული;
- საქართველოში ბავშვთა უფლებები, სასჯელალსრულების დაწესე-ბულებებში უნდა იყოს დაცული;
- ბავშვთა უფლებები უნდა იყოს დაცული მასმედიაში გაშუქების დროს და ა.შ.

თამაშისათვის მოდებატეების მომზადების პირველ ეტაპს მოსწავლეებ-ისათვის საკამათო თემის გაცნობა და მასზე მუშაობა წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც მოდებატეები გაეცნობიან მომავალი თამაშის რეზოლუციას, მთელი ძალისხმევა მისი ზოგადი ანალიზისა და დეფინიციების შემუშავე-ბას მოხმარდება. რეზოლუციაზე მუშაობა შემდეგი მიმართულებით წარ-იმართება:

- დეფინიციების მოძებნა;
- ინფორმაციის გაცვლა;

ასოციაციური თემების იდენტიფიკაცია (სემანტიკური რუკა)


მიუხედავად იმისა, რომ დეფინიციების შემუშავებისას სასურველია რეზოლუციის ტერმინების ლექსიკონისეული განსაზღვრებებით განმარტე-ბა, მაინც შესაძლებელია, ბავშვებთან ერთად ჩამოაყალიბდეს ამა თუ იმ ტერმინის დეფინიცია, არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე. ამ საქმი-ანობის შესრულება დაეხმარება მოდებატეებს, საკამათო რეზოლუციას შეხედონ უკვე კონკრეტული სადებატო თემის კუთხით, რომელზეც უნდა შემუშავდეს პორბლემის გადაჭრის პოზიცია.

ამის შემდეგ, კლუბის წევრ მოსწავლეებთან უნდა გაიცვალოს აღნიშ-ნული რეზოლუციის გარშემო. ამ დროს თითოეული მოდებატე შეძლების-დაგვარად წარმოადგენს საკამათო თემასთან დაკავშირებულ საინფორმა-ციონ ხასიათის მოსაზრებებს, არგუმენტებს, ფაქტებსა თუ სტატისტიკურ მონაცემებს. ურჩიეთ ბავშვებს, რომ ჩაინირონ მათვის მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია.

სემანტიკური რუკის შედგენის საწყის ეტაპზე უნდა მოხდეს საკვანძო სიტყვის არჩევა, ან სიტყვათა შეთანხმება, რომელიც გამომდინარეობს რე-ზოლუციიდან და დაფიქსირდება დაფის ცენტრში. შემდეგ, მოსწავლეებმა უნდა მოიგონონ ამ საკვანძო სიტყვასთან ასოცირებული დაახლოებით 6 -7 ტერმინი, რომელიც დაინირება დაფის ცენტრში უკვე დაფიქსირებული სიტყვის გარშემო. ბავშვები შეეცდებიან ამ ტერმინებთან ასოცირებული სიტყვების მოგონებას, რომელებიც გადავა დაფაზე. აღნიშნული პროცე-სის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. მოდებატეებს განემარტებათ, რომ სემანტიკური რუკის შედგენის შედეგად მიღებული ტერმინები გახლავთ

სწორედ ფაქტებისა და დამამტკიცებელი მასალების ძიების მიმართულების განმსაზღვრელი ათველის წერტილი. სწორედ ამ ტერმინების გარშემო წარიმართება საუბარი დებატების დროს და აღნიშნული სიტყვების გარშემო იქნება საჭირო უფრო მეტი და უფრო ღრმა ცოდნის არსებობა.

სემანტიკური რუკა დაახლოებით ასე გამოიყურება:



## **სავარჯიშო № 2 „პრობლემების შერჩევა“**

მასალები: სადებატო რეზოლუციების ჩამონათვალი ყოველ მონაწილეზე:

- მთავრობამ უნდა აღმოფხვრას კორუფცია;
- საზოგადოებამ უნდა იზრუნოს გარემოს დაცვაზე;
- საზოგადოებამ უნდა დაიცვას ბავშვები ძალადობისაგან;
- საქართველოში კვლავ უნდა გატარდეს განათლების რეფორმა;
- სახელმწიფო უნდა შეებრძოლოს ნარკომანიას;
- სახელმწიფო უნდა მოაგვაროს შავი ბაზრის პრობლემები;
- სახელმწიფო უნდა მოაგვაროს პროსტიტუციის პრობლემა;
- სახელმწიფო უნდა დაიცვას სოციალურად დაუცველთა ინტერესები;
- საზოგადოებამ უნდა იზრუნოს ქალთა უფლებების დაცვაზე;
- საზოგადოებამ უნდა იზრუნოს კულტურის ძეგლთა დაცვაზე;
- მთავრობამ მხარი უნდა დაუჭიროს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგეს;
- სეპარატიზმი უნდა შეიზღუდოს;
- უმცირესობათა უფლებები უნდა იყოს დაცული;
- გლობალურმა საზოგადოებამ თავიდან უნდა აიცილოს ეკოლოგიური კატასტროფა;
- მსოფლიო ერებმა არ უნდა დაუშვან მესამე მსოფლიო ომი;
- მსოფლიოში უნდა შეწყდეს ეთნიკური დაპირისპირებები.

### **1 ეტაპი – 10 წუთი**

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე აუდიტორია იყოფა მცირე ჯგუფებად (სასურველია 2-2 მონაწილე). თითოეულ გუნდს ეძლევა განსახილველად თითო-თითო რეზოლუცია. ათი წუთის განმავლობაში მონაწილეებმა უნდა მოიფიქრონ მოცემულ ერთ რეზოლუციასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემა.

### **2 ეტაპი – 20 წუთი**

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე ყოველი ჯგუფის ერთი წარმომადგენელი 2 წუთის განმავლობაში წარადგენს თავისი რეზოლუციის პრობლემების ჩამონათვალს და შეეცდება ახსნას, თუ რატომ შეაჩერა ყურადღება ამ პრობლემებზე.

### **3 ეტაპი – 10 წუთი**

სავარჯიშოს მესამე ეტაპზე დებატების მწვრთნელი განიხილავს თითოეულ ვარიანტს, გააკეთებს კომენტარს. მწვრთნელი სთხოვს მოდება-ტექნიკებს მასალები შეინახონ შემდეგი შეხვედრისათვის.

### III გაკვეთილი

#### მტკიცებითი პოზიცია

- პრობლემა, მისი პარამეტრები და ძირითადი მახასიათებლები – 25 წთ.
- სავარჯიშო „პრობლემის არჩევა“ – 60 წუთი.

#### პრობლემა, მისი პარამეტრები და ძირითადი მახასიათებლები

მას შემდეგ, რაც მოდებატები მოცემულ რეზოლუციასთან დაკავშირებით მოიძიებენ პრობლემათა ფართო სპექტრს და სადებატოდ აირჩივენ ერთ-ერთს, მათ ნათლად უნდა დაასაბუთონ, რომ წარმოდგენილი პრობლემა იწვევს გარკვეულ ზიანს. ამიტომ, არსებულ მდგომარეობაში საჭიროა ცვლილების შეტანა.

თუ მტკიცებითი გუნდი ვერ მოახერხებს იმის დასაბუთებას, რომ პრობლემით გამოწვეული ზიანი იმდენად დიდი და პროგრესირებადია, რომ უმოქმედობით არსებული მდგომარეობა უფრო დამძიმდება და პრობლემაც უფრო გაღრმავდება, მაშინ ამ გუნდს გაუჭირდება არსებულ მდგომარეობა-ში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის დამტკიცება. ამის გარეშე კი არც ერთი გეგმა არ იქნება ღირებული, ვინაიდან თითოეულ ცვლილებას თან ყოველთვის გარკვეული ხარჯი ახლავს (არა მხოლოდ მატერიალური). თუ მტკიცებითი გუნდი ვერ დაასაბუთებს ცვლილებების შეტანის რეალურ საჭიროებას, მის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი არგუმენტი შეუსაბამო და ალოგიკური იქნება. ხოლო იქ, სადაც რეალურად არსებობს პრობლემა, ცვლილებაც ლოგიკურად საჭიროა.

მტკიცებითმა გუნდმა უნდა დაანახოს ოპონენტს, რომ პრობლემა არა-მარტო არსებობს, არამედ იგი ძალზე სერიოზულია. ამისათვის მტკიცებით გუნდს დასჭირდება ფაქტები და სტატისტიკური მონაცემები. ამგვარ მტკიცებულებებში აშკარა უნდა იყოს, რომ პრობლემა ეხება ხალხის მნიშვნელოვან რაოდენობას, მისი უარყოფითი გავლენა კი იმდენად სერიოზულია, რომ თუკი იგი არ გადაიჭრა, არსებული მდგომარეობა (სტატუს-კვო) მომავალში უფრო მასშტაბური გახდება, ან უფრო ღრმად გაიდგამს ფესვებს.

მტკიცებითი გუნდი უნდა მოერიდოს ისეთი პრობლემის შერჩევას, რომლის გადაწყვეტაც არ საჭიროებს ზედმეტ ძალისხმევას. არსებობს ისეთი რეალობა, რომელიც მართალია დღესდღეობით არასახარბიერობა, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია, მაგრამ არსებულ პირობებში, დროის გარკვეულ მონაკვეთში მდგომარეო-

ბა თავისთავად გამოსწორდება, ზიანიც თანდათანობით შემცირდება და პრობლემაც აღარ იარსებებს. თუკი მოდებატები მტკიცებით პოზიციაში უნებლიერ ამგვარი სპეციფიკის პრობლემას დასახავენ, მაშინ უარმყოფელ პოზიციაში მოთამაშე გუნდს ძალიან გაუადვილდება იმის დამტკიცება, რომ ამგვარი პრობლემის გადაჭრაზე, გამოსავლის პოვნაზე, გეგმების დამუშავებაზე და გეგმების განხორციელებაზე სულ არ ღირს ადამიანთა რესურსების და მატერიალური თანხების დახარჯვა. ეს ზედმეტია, ვინაიდან პრობლემა თვითონ გადაჭრის თავის თავს დროთა განმავლობაში. მაშასადამე მასზე ყურადღების შეჩერება სულაც არ არის საჭირო. არის შემთხვევები, როდესაც მტკიცებითი გუნდი აირჩიეს პრობლემას, რომელიც თავისი სპეციფიკით მიეკუთვნება გადაუჭრელ პრობლემათა რიცხვს. რაც იმას ნიშნავს, რომ პრობლემა ნამდვილად არის, იგი საკმარისად სერიოზული და მოცულობითია, დიდია ზიანიც და არსებული მდგომარეობა ნამდვილად საჭიროებს შეცვლას, მაგრამ მისი შეცვლა, პრობლემის აღმოფხვრა ან საერთოდ მასთან ბრძოლა უშედეგო იქნება. მაშ, რა აზრი აქვს ისეთ პრობლემაზე ყურადღების შეჩერებას, რომელიც არ აღმოიფხვრება და ყოველთვის პრობლემად დარჩება, ყოველთვის იარსებებს? ამ შემთხვევაში, უარმყოფელ გუნდს არ გაუჭირდება იმის დამტკიცება, რომ არ ღირს დროის დაკარგვა და ხარჯის გაწევა ისეთი პრობლემის მოგვარებაზე, რომელიც მოუგვარებელ პრობლემათა ჯგუფს მიეკუთვნება.

მოდებატებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ პრობლემა ნამდვილად იყოს კავშირში რეზოლუციასთან, ანუ სრულიად შეესაბამებოდეს მას. მაგალითად, რეზოლუციაში: – „მთავრობამ უნდა დახვეწოს განათლების სისტემა“, პრობლემა ბევრია – გადატვირთული პროგრამები, მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია და ა.შ. მაგრამ რომ ვისაუბროთ იმ მასწავლებლების ხელფასების გაზრდაზე, რომლებმაც მიაღწიეს საპენსიონ ასაკს და ხელფასთან ერთად პენსიასაც იღებენ, ალბათ, რეზოლუციასთან შეუსაბამო გამოვა.

### **სავარჯიშო №3 „პრობლემის არჩევა“**

მასალები:

პოლიტიკური დებატების ფორმატში „პრობლემის“ ძირითადი პარამეტრები და მახასიათებლები.

პრობლემა უნდა იყოს:

- აშკარა;
- ნათელი;
- გასაგები;
- ნაცნობი;
- აქტუალური;
- უნდა შეესაბამებოდეს რეზოლუციას;

- პრობლემაში უნდა ჩანდეს ცვლილებების შეტანის აუცილებლობა;
- პრობლემა უნდა იყოს საკმარისად მოცულობითი, ანუ ეხებოდეს ხალხის მნიშვნელოვან რაოდენობას;
- არ უნდა განეკუთვნებოდეს მოუგვარებელ პრობლემათა კატეგორიას;
- არ უნდა განეკუთვნებოდეს ისეთ პრობლემათა კატეგორიას, რომელ-იც თვითონ აგვარებს თავის თავს.

### **1 ეტაპი – 20 წუთი**

სავარჯიშოს დაწყების წინ მონაწილეებს ვყოფთ მცირე ჯგუფებად (სასურველია 2-2 მონაწილედ), თითოეულ ჯგუფს ვურიგებთ ცალკეულ ფურცელზე ამობეჭდილ „პრობლემის“ პარამეტრების და ძირითადი მახასი-ათებლების ჩამონათვალს. წამყვანი სთხოვს მონაწილეებს, Ⅱ გაკვეთილზე სავარჯიშო №2-ის შესრულების დროს მიღებული მასალები გამოიყენონ, ანუ ის პრობლემები, რომლებიც გამოიმუშავეს წინა შეხვედრაზე. მონაწი-ლეებმა 15 წუთის განმარვლობაში უნდა გამოარჩიონ 3 პრობლემა და დაწ-ერონ დასაბუთება, რატომ მიაჩნიათ, რომ მათ მიერ შერჩეული პრობლემე-ბი შესაბამება „პრობლემის“ ძირითად პარამეტრებსა და მახასიათებლებს.

### **2 ეტაპი – 20 წუთი**

მეორე ეტაპზე გუნდებმა ერთმანეთის მონაცვლეობით ორწუთიან გამოსვლაში უნდა წარმოადგინონ მათ მიერ გამორჩეული პრობლემა და დაასაბუთონ მისი შესაბამისობა ზემოთ ჩამოთვლილ ყველა პარამეტრსა და მახასიათებლებან.

### **3 ეტაპი – 20 წუთი**

მესამე ეტაპზე დებატების მწვრთნელი ათი წუთის განმავლობაში გააკეთებს მოკლე კომენტარს და განიხილავს გუნდების მიერ არჩეული პრობლემების შესაბამისობას „პრობლემის“ პარამეტრებთან და ძირითად მახასიათებლებთან. ამ სავარჯიშოს შესრულების შედეგად, მოდებატეები გაიგებენ, მოცემული რეზოლუციის მიხედვით, რა პარამეტრებით და კრი-ტერიუმებით უნდა შეარჩიონ პრობლემები.

## IV გაკვეთილი

### მტკიცებითი პოზიცია

- პრობლემის განსაზღვრა – 25 წთ.
- სავარჯიშო „შევიმუშაოთ პრობლემა“ – 60 წთ.

### პრობლემის განსაზღვრა

დებატების პოლიტიკური ფორმატის ძირითადი პრინციპი ლოგიკაა. ამ თავში ჩვენ უნდა გავყვეთ ლოგიკას და მისი მეშვეობით შევეცადოთ ისე საფუძვლიანად წარმოვაჩინოთ პრობლემა, რომ ამოვწუროთ მასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი.

იმისათვის, რომ პრობლემა ამომწურავად იყოს წარდგენილი, პირველ რიგში, მტკიცებითმა გუნდმა თავისი გამოსვლების ფროს დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს პრობლემის განმარტებას და მის ახსნას.

პრობლემის განმარტებისათვის შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ დეფინიციები და ალვნიშნოთ პრობლემის ზოგადი მნიშვნელობა. ამის შემდეგ კი ყველაზე ეფექტური იქნება პრობლემიდან გამომდინარე არსებული მდგომარეობის აღწერა. იმისათვის, რომ სტატუს-კვო (არსებული მდგომარეობა) იყოს უფრო დამაჯერებელი, სასურველია მოვიყვანოთ კონკრეტული ფაქტები, დავანახოთ მსაჯს და ოპონენტებს, რომ პრობლემა რეალურად არსებობს და ის არ არის ფანტაზიის ნაყოფი. უმჯობესია, ხაზი გავუსვათ იმას, რომ არსებობს სტატისტიკა, რომელიც ამტკიცებს ამგვარი ფაქტების დიდ რაოდენობას. მაშასადამე, პრობლემა მოცულობითა და მნიშვნელოვანი რაოდენობის ადამიანებს ეხება. კიდევ უფრო დამაჯერებელი და ეფექტური იქნება, მტკიცებითმა გუნდმა ისაუბრებოს იმ მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე, რომლებიც არსებულ მდგომარეობაში ჯერ არ ფიქსირდება, მაგრამ აუცილებლად გაჩნდება, თუკი პრობლემა არ მოგვარდება. ამ შემთხვევაში კარგია აღინიშნოს დინამიკა, აღინეროს პროცესის განვითარება, მდგომარეობის თანდათანობითი გაუარესება. აქაც მნიშვნელოვანია ფაქტებისა და სტატისტიკის მოშველიება.

პრობლემის განსაზღვრის, მისი ახსნის და მნიშვნელოვანების ჩვენების შემდეგ, მტკიცებითმა გუნდმა უნდა დაგვანახოს პრობლემის არსებობის მიზეზი. ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია მოკლედ მიმოვიხილით მძიმე ისტორიული მემკვიდრეობა, კანონების დაუხვეწაობა ან მოუქნელობა. შეგვიძლია განვიხილოთ ეკონომიკური ასპექტები, რომლებიც პრობლემების გამომწვევ მიზეზებზე მოქმედებენ.

ყველაზე კარგი იქნება პრობლემის არსებობის მიზეზის, საფუძველის გამოძიება ანუ იმის დადგენა, თუ კონკრეტულად, რატომ ვერ ჭრის პრობლემას ამჟამინდელი პოლიტიკა.

თუ მტკიცებითი გუნდი განიხილავს პირველ შემთხვევას, მაშინ მან უნდა გამოიძიოს ის კონკრეტული გზები და ნაბიჯები, რომელსაც დგამს მთავრობა პრობლემის გადასაწყვეტად, შემდეგ კი დაადგინოს, რატომ არ არის ეფექტური მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები.

მეორე შემთხვევა გულისხმობს, რომ მთავრობა საერთოდ თავისი ყურადღების და ინტერესების მიღმა ტოვებს პრობლემას და, მაშასადამე, აუცილებელია შემუშავდეს და გატარდეს სათანადო პოლიტიკა, რომელიც აღმოფხვრის პრობლემას. პრობლემის არსებობის მიზეზს დებატების პოლიტიკურ ფორმატში ბრალს ვუწოდებთ.

როდესაც მტკიცებითი გუნდი პრობლემის გამომწვევ მიზეზებსა და, აგრეთვე, პრობლემის გადაუჭრელობის მიზეზებზე გვესაუბრება, მას შეუძლია დააკონკრეტოს, თუ ვის მიუძღვის ამაში ბრალი. მაგალითად, მთავრობას, რომელიც სათანადო ყურადღებას არ აქცევს პრობლემას, მას არ აქვს ბერკეტები, იგი უძლურია, ან არასწორ პოლიტიკას ატარებს. მნიშვნელოვანია დავანახოთ მოსწავლეებს, რომ ბრალის დაფიქსირების დროს ისინი თვითონ არ გამოვიდნენ ბრალმდებლის როლში და ზედმეტად არ გაამახვილონ ყურადღება ბრალის მატარებელ სუბიექტზე ან ობიექტზე.

#### **სავარჯიშო № 4 „პრობლემის განსაზღვრა“**

##### **1 ეტაპი – 20 წუთი**

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე აუდიტორია იყოფა 4 ჯგუფად. თითოეულ ჯგუფს სამუშაოდ ვთავაზობთ ერთ რეზოლუციას. სავარჯიშოს გასაადვილებლად მონაწილეებს ვურიგებთ ბლანკებს, სადაც აღნიშნულია ის ძირითადი აქცენტები, რაზეც უნდა გაამახვილონ ყურადღება მოდებატეებმა პრობლემის განსაზღვრების დროს. სურვილის მიხედვით, შეუძლიათ გამოიყენონ ბლანკი №1 და შეავსონ იგი, რაც გაუადვილებს მათ მოხსენების სტრუქტურული წყობის დაცვას.

##### **2 ეტაპი – 20 წუთი**

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე გუნდები სამი წუთის განმავლობაში წარადგენენ თავიანთ პრობლემებს.

##### **3 ეტაპი – 20 წუთი**

სავარჯიშოს დასრულებისას მწვრთნელი აკეთებს სრულფასოვან კომენტარს დაფაზე წარმოებული ჩანაწერის მიხედვით. ამ სავარჯიშოს შესრულების შემდეგ მონაწილეები ისწავლიან, ამომწურავად წარმოაჩინონ დასახული პრობლემა.

## ბლანკი №1

პრობლემის განსაზღვრა

- პრობლემის განმარტება -----  
-----  
-----
- არსებული მდგომარეობის დაფიქსირება (მოდებატემ რეალურად უნდა დაგვანახოს კონკრეტული პრობლემით გამოწვეული არსებული მდგომარეობა, რათა შემდგომ დაასაბუთოს არსებულ მდგომარეობაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა) -----  
-----  
-----
- -----  
-----  
-----
- პრობლების მნიშვნელოვნების წარმოჩენა -----  
-----  
-----  
-----
- პრობლემის არსებობის მიზეზი, საფუძველი (რამ გამოიწვია პრობლემა)  
-----  
-----  
-----  
-----
- რატომ ვერ გადაიჭრა პრობლემა დღემდე (ამჟამად არსებული პოლიტიკა ვერ ჭრის პრობლემას, ან საერთოდ არ არსებობს სათანადო პოლიტიკა. ვის მიუძღვის ბრალი ამ პრობლემის წარმოშობაში)  
-----  
-----  
-----
- პრობლემის გადაუჭრელობის შემთხვევაში მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების განხილვა. -----  
-----  
-----

## მტკიცებითი პოზიციის ფორმირება

### V გაკვეთილი

#### მტკიცებითი პოზიცია

- გამოსავალი და მისი ეტაპები – 25 წთ.
- სავარჯიშო „გეგმის შემუშავება“ – 35 წთ.

#### გამოსავალი და მისი ეტაპები

დებატების პოლიტიკური ფორმატის ძირითადი უპირატესობა ისაა, რომ მოდებატებს ევალებათ არა მხოლოდ პრობლემის მოძიება და ახსნა, არამედ მის გადასაჭრელად გზების ძიება. მტკიცებით გუნდს მთელი თამაშის განმავლობაში მოუწევს იმის დასაბუთება, რომ მათ მიერ შემოთავაზებული გეგმა თუ გამოსავალი არის ის ერთადერთი რეალური გზა, რომელიც გადაჭრის პრობლემას და დადებით შედეგებსაც მოიტანს.

პრობლემის გადასაჭრელად მტკიცებით გუნდს შეუძლია გამოიყენოს ორი მეთოდი.

ერთი მეთოდი ითვალისწინებს დასმული პრობლემის გადაჭრის კონკრეტული, მეტიოდ ჩამოყალიბებული, ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარებული და დეტალურად გათვლილი გეგმის შემუშავებას. მეორე მეთოდი კი გულისხმობს არსებული პრობლემის გადაჭრას ერთგვარი გამოსავლით, რომელიც განაცხადის სახით იქნება ჩამოყალიბებული. გუნდები, რეზოლუციისა და პრობლემის სპეციფიკიდან გამომდინარე, თვითონვე ირჩევენ, რა მეთოდი აჯობებს ამა თუ იმ შემთხვევაში. უარმყოფელი გუნდისთვის ეს ასპექტიც მოულოდნელია. უარმყოფელი გუნდი მხოლოდ და მხოლოდ თამაშის მსვლელობაში იგებს, თუ რა პრობლემა დასვა მტკიცებითმა გუნდმა და რა მეთოდი აირჩია ამ პრობლემის მოგვარებისათვის. ლოგიკურია, რომ უარმყოფელი გუნდი ადეკვატურად დაუპირისპირდება თითოეულ მეთოდს.

#### გამოსავალი გეგმით

მტკიცებითი გუნდის გეგმა წარმოადგენს იმ მეთოდს, რომლითაც მას სურს პრობლემის გადაჭრა.

იბადება კითხვა: რამდენად დეტალური უნდა იყოს გეგმა? რაც უფრო რთულია პრობლემა, მით უფრო რთულია მისი გადაჭრა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მტკიცებითი გუნდის პირველ მომხსენებელს მხოლოდ 6 წუთი აქვს მთელი ქეისის წარმოსადგენად და ეს დრო არ იქნება

საკმარისი რთული, მრავალი პუნქტისგან შემდგარი გეგმის წარმოსადგენად. პირველმა მომხსენებელმა უნდა წარმოადგინოს გეგმის მონახაზი (30 წამის – 1 წუთის განმავლობაში) და უნდა იყოს მზად, პასუხი გასცეს კონკრეტულ შეკითხვებს დეტალებთან დაკავშირებით ჯვარედინი დაკითხვის დროს. მტკიცებითი გუნდის მეორე მომხსენებელი კი საუბრობს დეტალებზე.

გეგმაზე მუშაობის დროს, მოდებატებებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ელემენტები და პასუხი გასცენ შეკითხვებს:

ვინ განახორციელებს გეგმას?

რა გაკეთდება ამ გეგმით?

როგორ გადაიდგმება დაგეგმილი ნაბიჯები?

რამდენი ფული, დრო და მუშახელი დაიხარჯება გეგმის განხორციელებაზე?

### ვინ?

ზოგიერთ შემთხვევაში, მოქმედების სუბიექტი შეიძლება განსაზღვრული იყოს რეზილუციაში (მაგალითად: გაერომ უნდა გააფართოვოს კულტურული უფლებების დაცვა), მაგრამ ზოგჯერ მტკიცებითმა გუნდმა უნდა წარმოგვიდგინოს ის სუბიექტი რომელიც განახორციელებს მათ მიერ შერჩეულ პოლიტიკას. სუბიექტი, დაკავშირებული უნდა იყოს განსაზღვრულ პრობლემასთან. მტკიცებითმა გუნდმა უნდა შეარჩიოს ისეთი სუბიექტი, რომელიც რეალურად შეძლებს თავი გაართვას გეგმით გათვალისწინებულ ორნისძიებებს. ასე რომ, ხშირ შემთხვევებში, როდესაც საქმე გვექნება კონკრეტულ სახელმწიფო ორგანიზაციან, მოქმედების სუბიექტი იქნება ამ სახელმწიფოს მთავრობა, ხოლო თუ საერთაშორისო პრობლემებს შევეხებით, ეს მოვალეობა დაეკისრება გაეროს ან რომელიმე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციას.

მოქმედების სუბიექტის შერჩევისას, უმჯობესია დავკონკრეტდეთ, თუ მთავრობის ან გაეროს რომელ ინსტიტუტზე გვაქვს საუბარი, მაგალითად: რომელიმე სამინისტრო, ან ორგანიზაცია და ა.შ. მტკიცებითმა გუნდმა შესაძლებელია გადაწყვიტოს ახალი სუბიექტის შექმნა პრობლემის გადასაჭრელად. ამ შემთხვევაში, მტკიცებითმა გუნდმა საკითხის ძალიან ღრმა და საფუძვლიანი კვლევა უნდა ჩაატაროს, ვინაიდან ახალი ინსტიტუტის შექმნას დამატებითი დრო და ფინანსები ესაჭიროება (ამასთანავე, ექსპერიმენტი ყოველთვის საჭიროა).

## რა?

მტკიცებით გუნდს შეუძლია, ერთ წინადადებაში გადმოსცეს გეგმის არის ან კონკრეტული ნაბიჯები, მაგრამ ორივე შემთხვევაში მათ წინასწარ გათვალისწინებული უნდა ჰქონდეთ დეტალები, რომელთა წარმოსადგენად დროს არ დახარჯავენ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებენ.

## როგორ?

მტკიცებითი გუნდისთვის არ არის საკმარისი ჩამოაყალიბოს – რას გააკეთებენ? მათ უნდა ახსნან, თუ როგორ განახორციელებენ ამ ყოველივეს და რეალურად შეაფასონ არსებული მდგომარეობა. გეგმა არ უნდა იყოს ზღაპრული და იდეალური. გეგმა უნდა ითვალისწინებდეს იმ წინააღმდეგობების გადალახვასასაც, რომელიც მას განხორციელების პროცესში შეხვდება.

## რამდენი?

თითოეული ცვლილება გარკვეულ ხარჯთან არის დაკავშირებული და მტკიცებითმა გუნდმა ეს არ უნდა დაივიწყოს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მტკიცებითმა გუნდმა გეგმის დეტალური ბიუჯეტი უნდა წარმოადგინოს, მან უბრალოდ უნდა აღნიშნოს, თუ რა თანხებზეა საუბარი და რისთვისაა ისინი საჭირო. კარგი იქნება, თუ ხაზს გაუსვამენ იმ დეტალსაც, თუ როგორ მოხდება ამ თანხების მოპოვება.

თანხების წარდგენის დროს მნიშვნელოვანია, რომ მტკიცებით გუნდს კარგად ჰქონდეს გააზრებული, რამდენად გამართლებულია ამ თანხების დახარჯვა კონკრეტულ პრობლემაზე. თუ მატერიალური ხარჯი იქნება იმდენად დიდი, რომ გამოიწვევს ზარალს, მაშინ ამგვარი ფინანსური გეგმა გაუმართლებელია. უარმყოფელ გუნდს ეძლევა საშუალება, ადვილად დაასაბუთოს, რომ პრობლემა შეიძლება გადაიჭრას სხვა გეგმით, უფრო ნაკლები დანახარჯებით. უნდა აღინიშნოს ისიც, თუ რა რესურსები დაიხარჯება მთლიანად (მაგ: დროის, ადამიანების) ამ გეგმის განხორციელებისას.

## **სავარჯიშო № 5 „გეგმის შემუშავება“ მასალები:**

### **ჩინეთი საღეჭი რეზინის წინააღმდეგ იპრძვის პრობლემა:**

ჩინელების მხრიდან საღეჭი რეზინის ათვალწუნების მიზეზი არის ის, რომ გასული წლის ეროვნული დღესასწაულს დროს პეკინის ტიანანმენის მოედანზე, რომელიც ჩინეთის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად ითვლება, ტურისტებმა 600 ათასი საღეჭი რეზინი გადააგდეს. საღეჭი რეზინისა-გან დაბინძურებული მოედნის განმენდა პეკინის ხელისუფლებას 120 ათა-სი დოლარი დაუჯდა. მხოლოდ ტურისტები როდი არიან ჩინეთის საღეჭი რეზინით დაბინძურების მთავარი მიზეზი. ქვეყანაში, სადაც 1,3 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს, ყოველწლიურად 20 მილიარდი საღეჭი რეზინი იყიდება. ჩინეთის მთავრობა შეშფოთებულია ამ პრობლემით, მაგრამ ასეთი სახ-ის გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ, ვერანაირ ეფექტურ ზომებს ვერ ატარებს.

#### **1 ეტაპი – 30 წუთი**

დებატების მწვრთნელი აუდიტორიას ყოფს 3-4 ჯგუფად და ურიგებს მასალებს, რათა მონაწილეები გაეცნონ პრობლემას და ოცდაათი წუთის განმავლობაში მოიფიქრონ გამოსავალი და შეიმუშაონ გეგმა, რომელიც გადაჭრის არსებულ პრობლემას.

#### **2 ეტაპი – 20 წუთი**

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე გუნდები წარადგენენ თავიანთ გეგმებს ხუთწუთიანი მოხსენების სახით.

#### **3 ეტაპი – 20 წუთი**

დებატების მწვრთნელი დაწვრილებით განიხილავს თითოეული გუნდის მიერ შემოთავაზებულ გეგმას, აღნიშნავს დადებით მხარეებს და შეცდომებს. სავარჯიშოს შესრულების დროს მონაწილეები გაივარჯიშებენ პრობლემის გადამჭრელი გეგმების შემუშავებაში და აითვისებენ გეგმის სტრუქტურას.

იმისათვის, რომ მოდებატებს გაუადვილდეთ სავარჯიშოს შესრულება, წარმოგიდგენთ საგანგებოდ შემუშავებულ ბლანკს, რომელიც მკაფიოდ გვიჩვენებს გეგმის სტრუქტურას:

## **ბლანკი №2**

ვინ განახორციელებს გეგმას? (მოდებატემ უნდა წარმოადგინოს ის სუბიექტი, რომელიც განახორციელებს გეგმას)

---

---

---

---

რა კეთდება ამ გეგმით ?

---

---

---

---

ნაბიჯი I

---

---

---

---

ნაბიჯი II

---

---

---

---

ნაბიჯი III

---

---

---

---

ნაბიჯი IV

---

---

---

---

როგორ განხორციელდება თითოეული ნაბიჯი?

---

---

---

---

რამდენი ფული, დრო და ადამიანური რესურსი დაიხარჯება გეგმის განსახორციელებლად?

---

---

---

---

## VI გაკვეთილი

### მტკიცებითი პოზიცია

- უპირატესობები და მათი ფორმირება – 50 წთ.
- სავარჯიშო „იპოვოთ უპირატესობები“ – 30 წ

### უპირატესობები და მათი ფორმირება

მტკიცებითმა გუნდმა, ჯერ კიდევ გეგმის შემუშავებისას, ძალიან მკაფიო წარმოლგენა უნდა იქონიოს იმ კონკრეტულ შედეგებზე, რაც გეგმის განხორციელებას მოყვება. თავისი პოზიციის წარდგენისას მტკიცებითი გუნდის პირველმა მომხსენებელმა გარკვეული დრო უნდა გამოყოს იმისათვის, რათა დაასაბუთოს, რომ მის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკა სტატუს-კვოზე უკეთესია. პირველ რიგში, მტკიცებითი გუნდი ასაბუთებს იმას, რომ მათი გამოსავალი ერთადერთი გზაა პრობლემის აღმოსაფხვრელად, მაგრამ წარმატებულად ჩაითვლება მხოლოდ და მხოლოდ ის გეგმა, რომელსაც აქვს შედეგი. ლოგიკურია, თუ მტკიცებითმა გუნდმა ვერ დაასაბუთა, თუ როგორ შეცვლის არსებულ მდგომარეობას უკეთესობისაკან მათი გამოსავალი, მაშინ მთელ მათ ძალისხმევას აზრი ეკარგება.

მტკიცებითი გუნდის პირველმა წარმომადგენელმა თავისი მოხსენების ბოლო წუთები უნდა დაუთმოს იმ უპირატესობების აღნიშვნას, რაც გეგმის განხორციელების შემთხვევაში აუცილებლად მიიღება. უპირატესობებში მკაფიოდ და ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული და ხაზგასმით აღნიშნული ყველა ის დადებითი შედეგი, რაც გეგმის განხორციელებას მოყვება. მტკიცებითმა გუნდმა უნდა დაგვანახოს კავშირი უპირატესობებსა და პრობლემას შორის, ვინაიდან შესაძლებელია გეგმის განხორციელებით მართლაც მივიღოთ რამდენიმე დადებითი შედეგი, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. მთავარია, შედეგმა აღმოფხვრას დასმული პრობლემა.

წარმოვიდგინოთ, რომ სასწორის ერთ მხარეს დავდეთ გეგმა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა სირთულე (გეგმის განხორციელებისათვის საჭირო გარკვეული საფასური, მცდელობა, ხელმძღვანელობა, კაპიტალი, რისკი, ადამიანური რესურსები, დრო. გეგმის განხორციელებისას ამოქმედდება ბერკეტები); სასწორის მეორე მხარეს კი მოვათავსეთ უპირატესობები. მტკიცებითმა გუნდმა ნათლად უნდა დაანახოს ოპონენტებს და მსაჯს, რომ უპირატესობები იმდენად მნიშვნელოვანია და იმდენად საფუძვლიანად ცვლის სტატუს-კვო – ს რომ გეგმის განხორციელებით მიღებული უპირატესობები (შედეგები) ნამდვილად გადაწონის იმ სირთულეებს, რომლებიც გეგმის განხორციელების პროცესს ახლავს თან.

მტკიცებითმა გუნდმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ შემო-თავაზებული ცვლილებები უფრო მეტ უპირატესობებს მოიცავს, ვიდრე ზიანს და, საბოლოო ჯამში, სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას. უპირატესობების შედარება ზიანთან ან სტატუს-კვოსთან მტკიცებით გუნდს უთუოდ სარგებლობას მოუტანს და უფრო დამაჯერებელს გახდის მის გა-მოსვლას.

გეგმის განხორციელების შემდეგ მიიღება დამატებითი უპირატესო-ბები, ანუ ის დადებითი შედეგები, რომლებიც თავიდან არ იყო გათვალ-ისწინებული. მტკიცებითმა გუნდმა ეს აუცილებლად უნდა დააფიქსიროს. დამატებითი უპირატესობები შეიძლება გაჩნდეს უნებლიერ გეგმის განხ-ორციელების პროცესში, ან გეგმის დასრულების შემდეგ. შესაძლებელია, დადებითი შედეგები არც უკავშირდებოდეს პრობლემას, მაგრამ აღმოფხ-ვრას რაღაც სხვა პრობლემები და ხარვეზები. ეს ყოველივე გეგმას კიდევ ერთ დადებით ქულას შემატებს.

განვიხილოთ მაგალითი:

პრობლემის განსაზღვრა: – ბრიტანეთში არსებული ლიბერალური სამი-გრაციო კანონის გამო, უამრავი ადამიანი ცდილობს ამ ქვეყანაში მოხვე-დრას იმ იმედით, რომ აქ საიმედო თავშესაფარს იპოვიან. მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა და ბრიტანეთმა ერთიანი ძალებით გადაკეტეს „ლა მანშზ“ არალეგალების სატარანზიტო მიმოსვლა და საფრანგეთმა „სანგატეში“ მათი ბანაკი დახურა, არალეგალთა ტალღა ბელგიას მიაწყდა. კერძოდ კი, პატარა საპორტო ქალაქ „ზეპრიუგ“-ს. გასულ წელს ზეპრიუგის პორტის გავლით ბრიტანეთსა და ირლანდიაში ტვირთის 90% შევიდა. შესაბამისად, გაიზარდა ტვირთში დამალული არალეგალების რიცხვიც. 2003 წელს ორ-ჯერ მეტმა არალეგალმა გადალახა ბელგიის საზღვარი, ვიდრე 2002 წელს.

ბელგიის მთავრობა შეშფოთებულია, რდგანაც მას არ აქვს რეალური შესაძლებლობა, მხოლოდ საკუთარი ძალებით გამოავლინოს არალეგალები ტვირთის ასეთ კოლოსალურ მოცულობაში.

## გამოსავალი – გეგმა

ვინ? – ბრიტანეთმა უნდა აიღოს თავის თავზე ამ პრობლემის მოგვარება, ვინაიდან:

- ის რომ ქალაქ ზეპრიუგს მიაწყდა არლეგალთა თითქმის 80%, ბრიტა-ნეთის ბრალია. კერძოდ, მისი ლიბერალური კანონების;
- ბრიტანეთის ინტერესებშია საზღვარზე არალეგალების დაკავება;
- ბრიტანეთი, რომელიც ბელგიაზე მდიდარია, ვალდებულია გაიღოს თანხები თავისივე პრობლემის მოსაგვარებლად.

## **რა?**

- ბრიტანეთმა იაპონიისაგან უნდა შეისყიდოს ახალი ელექტრონული სისტემა, – დეტექტორი, რომელსაც შეუძლია კონტეინერებში და-მალული ადამიანების აღმოჩენა მათი გულისცემის მიხედვით.
- ბრიტანეთმა უნდა მიაწოდოს აღნიშნული მოწყობილობა ზებრიუგის საბაჟოს და დადოს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ბელგიის მხარე ვალდებული იქნება, გამოიყენოს ეს ხელსაწყო და მისი დახ-მარებით გამოავლინოს და დააკავოს არალეგალები. მეორე მხრივ, ბრიტანეთი ხელსაწყოების ტექნიკურ პრობლემებზე აგებს პასუხს და გაიღებს თანხებს მებაჟეების გადამზადებისათვის.
- ზებრიუგის საბაჟოს თანამშრომლებმა უნდა მიიწვიონ იაპონელი ექსპერტები და, გადამზადების კურსების საშუალებით, შეისწავლონ მოწყობილობა და აიმაღლონ კვალიფიკაცია.

## **რამდენი?**

მოწყობილობის საერთო რაოდენობის ღირებულება, დაახლოებით 1,5 მილიონი დოლარი.

ხელსაწყოების შესყიდვისა და მათი შეკეთების ხარჯს მთლიანად გაიღებს ბრიტანეთი, ხოლო გადამზადების კურსების ხარჯსა და იაპონელი ექსპერტების პონორარს ბელგიისა და ბრიტანეთის მხარეები გაინაწილებენ.

## **უპირატესობები**

- ქ. ზებრიუგის მებაჟეები, ადვილად და სწრაფად იპოვიან ტვირთში არალეგალებს;
- არალეგალები, რომლებსაც არანაირი შესაძლებლობა არ ექნებათ, შეუმჩნევლად გადალახონ საზღვარი, შეეცდებიან უცხო ქვეყანაში შელ-წევის ლეგალური გზები იპოვნონ;
- ქალაქ ზებრიუგს მოეხსნება დიდი პრობლემა – არალეგალების ქალაქში მოზღვავება;
- ბრიტანეთს არ დასჭირდება საკუთარი ლიბერალური საიმიგრაციო კანონების შეცვლა.

## **დამატებითი უპირატესობები**

- სხვა ქვეყნები გადმოიღებენ ბელგიის გამოცდილებას;
- შეიზღუდება კორუფცია, რომელიც დაკავშირებულია საბაჟოზე არალეგალური გზით ადამიანთა გატარებასთან.

## **დასკვნა:**

შემუშავებული გეგმა რეალისტური და შედეგიანია, ხოლო მისი შესრულება არ არის ძალიან რთული. უპირატესობები გვიჩვენებს, რომ შედეგები იმდენად კარგია, ნამდვილად ღირს ამ გეგმის ცხოვრებაში გატარება. გეგმის განხორციელების შემდეგ, მივიღებთ ისეთ უპირატესობებს, რომელებიც აღმოფხვრიან ამ პრობლემას. მაშასადამე, გეგმა მიაღწევს მიზანს.

ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ მტკიცებით გუნდს მთელი თავისი ქეისის წარდგენის დროს იმდენად ბევრი რამ აქვს სათქმელი, რომ მოცემულ დროში საფუძვლიანი მოხსენების გაკეთება თითქმის შეუძლებელია (6 წთ. – პირველ მომხსენებელს, ხოლო დანარჩენ ორს 5-5 წუთი). სწორედ ამიტომ, გუნდმა უნდა შეარჩიოს ინფორმაციის გადმოცემის სტრატეგია, რათა გამოსვლები იყოს თანმიმდევრული, შეთანხმებული და დამაჯერებელი. პირველმა მომხსენებელმა უნდა წარმოადგინოს გუნდის პიზიციის მხოლოდ მონახაზი. მის ფუნქციებში არ შედის დამამტკიცებელი მასალისა და გეგმის დეტალების წარმოჩენა, ამიტომაც მომხსენებელმა ამაზე დრო არ უნდა დახარჯოს. მასალისა და მაგალითების მოყვანა შეუძლია მეორე მტკიცებითს თავის გამოსვლაში, ან ჯვარედინი დაკითხვისას, მაშინ, როცა მოწინააღმდეგე გუნდი რაიმე კონკრეტულ ინფორმაციას მოითხოვს.

## **სავარჯიშო №6 „უპირატესობები“**

### **1 ეტაპი – 10 წუთი**

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე მოდებატეები იყოფიან მცირე ჯგუფებად და მეხუთე გაკვეთილზე შესრულებული სავარჯიშოს საფუძველზე (სავარჯიშო 5.) შეიმუშავებენ უპირატესობებს მწვრთნელის მიერ შესწორებული გეგმის მიხედვით.

### **2 ეტაპი – 20 წუთი**

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე გუნდების წარმომადგენლები 3 წუთის განმავლობაში წარადგენენ უპირატესობებს. მწვრთნელი დეტალურად განიხილავს გუნდების მოხსენებებს ყოველი გამოსვლის შემდეგ;

## VII გაკვეთილი

### მტკიცებითი პოზიცია

- მეორე სახის გამოსავალი – 10 წთ.
- სავარჯიშო „ვიპოვოთ გამოსავალი და უპირატესობები“ – 70 წთ.

### მეორე სახის გამოსავალი

როდესაც წინა გაკვეთილებზე საუბარი იყო გამოსავალზე, იმთავითვე ნახსენები იყო, რომ პრობლემის გადასაჭრელად მტკიცებით გუნდს შეუძლია გამოიყენოს ორი მეთოდი. ერთი – ვრცელი, დეტალური გეგმის წარდგენა. მეორე კი შედარებით უფრო მარტივი გზა. ეს არის მკაფიოდ და ლაკონურად (შესაძლებელია სულაც ერთი წინადადების სახით) ჩამოყალიბებული გამოსავალი, რომლის წარდგენას 10-15 წამი მოხმარდება.

ამ შემთხვევაში, გამოსავალი იძენს რეზოლუციის ფორმას, რომელსაც აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე. გამოსავალი ისეთი ღირებულებების მატარებელია, რომელიც სადავო შეიძლება გახდეს. გამოსავლის დადებითი მხარეების დასაბუთება მოუწევს სწორედ მტკიცებით გუნდს. მტკიცებითი გუნდის მოვალეობაა, დასაბუთოს, რომ მისი გამოსავლის/ განაცხადის დადებითი მხარეები იმდენად მნიშვნელოვანია და ისე საფუძვლიანად აღმოფხვრას პრობლემას, რომ ნამდვილად გადაწონის იმ უარყოფით მომენტებს, რომლებიც შესაძლებელია გაჩნდეს კიდეც გამოსავლის განხორციელების პროცესში.

მტკიცებითმა გუნდმა თავისი გამოსავლის დასამტკიცებლად უნდა შეიმუშაოს რამდენიმე არგუმენტი. ეს არგუმენტები, ერთი მხერივ, უნდა იყოს გამოსავლის განხორციელების შედეგი, მეორე მხერივ კი, პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს პრობლემას, მკაფიოდ აჩვენებდეს, რომ თითოეული არგუმენტით აღმოიფხვრება პრობლემის რომელიმე ძირეული საკითხი.

თითოეული არგუმენტი მკაფიოდ უნდა იყოს ფორმირებული და გავრცებილი. არგუმენტები უნდა გამყარდეს და დასაბუთდეს, როგორც ლოგიკური მსჯელობით, ასევე მტკიცებულებებით.

პრობლემის გადაჭრის პირველ ეტაპზე მოდებატები შეიმუშავებენ გეგმას, შემდგომ კი უპირატესობებით ასაბუთებენ ამ გეგმის ღირებულებას, ანუ წარმოგვიდგენენ არგუმენტაციას, თუ რატომ არის მათი გეგმა კარგი. ასევეა პრობლემის გადაჭრის მეორე გზაშიც. მოდებატებს ევალებათ. განაცხადის სახით ჩამოყალიბებულ გამოსავალს მოუძებნონ შესაბამისი არგუმენტები, ანუ იგივე უპირატესობები. მეორე შემთხვევაში, მოდებატეებმა გაცილებით მეტი დრო უნდა დაუთმონ უპირატესობების და არგუმენტაციის დამტკიცებას, ვიდრე თვით გამოსავლის წარდგენას.

როდესაც მოდებატეთა გუნდი ირჩევს პრობლემის გადაჭრის მეორე სტრატეგიას და გეგმის ნაცვლად გვთავაზობს მოკლედ ფორმირებულ გამოსავალს, შემდეგ კი უპირატესობებით, არგუმენტებით განმარტავს ამ გამოსავლის დადებით მხარეებს – მტკიცებით გუნდს არ სჭირდება დასაბუთება, რომ გამოსავალი უსათუოდ, რეალურად განხორცელდება. მტკიცებითი გუნდი ამბობს: „კარგი იქნება, გამოსავალი განხორციელდება“ . . . ასეთი სტარატეგიის დროს არ არის განსაზღვრული გამოსავლის არც ერთი კონკრეტული ნაბიჯი და, რაც მთავარია, ის არ პასუხობს შეკითხვებს – როგორ? და რამდენი?

მტკიცებითი გუნდის ამ სტრატეგიას საერთაშორისო დებატების საზოგადოება ფიატს უწოდებს.

## სავარჯიშო № 7 „ვიპოვოთ გამოსავალი“

### 1 ეტაპი – 10 წუთი

დებატების მწვრთნელი აუდიტორიას ყოფს 4-5 ჯგუფად. თითოეულ გუნდს შესთავაზებს 3 განსახვავებულ პრობლემას. გუნდებმა 10 წუთში უნდა მოიფიქრონ თითოეულ პრობლემასთან დაკავშირებული რამდენიმე გამოსავალი.

### 2 ეტაპი – 15 წუთი

მეორე ეტაპზე გუნდები სამ-სამი წუთის განმავლობაში წარადგენენ თავიანთ 3 გამოსავალს.

### 3 ეტაპი – 10 წუთი

დებატების მწვრთნელი დაფაზე ჩამონერს გუნდების მიერ შემუშავებულ ყველა გამოსავალს. გაიმართება დისკუსია, რომლის დროსაც გუნდები შეიმუშავებენ სამივე პრობლემასთან დაკავშირებულ ერთ ყველაზე ოპტიმალურ გამოსავალს.

### 4 ეტაპი – 15 წუთი

სავარჯიშოს მეოთხე ეტაპზე თითოეულმა გუნდმა თხუთმეტი წუთის განმავლობაში უნდა შეიმუშაოს და განავრცოს რამდენიმე არგუმენტი, რომელიც დაასაბუთებს იმას, თუ რატომ არის კარგი მათი გამოსავალი.

### 5 ეტაპი – 20 წუთი

თითოეულ გუნდს მოხსენებისათვის გამოეყოფა 3 წუთი. ყოველი გუნდის გამოსვლის შემდეგ, დებატების მწვრთნელი განიხილავს გუნდების მიერ შემუშავებულ არგუმენტებს.

## **უარმყოფელი პოზიციის ფორმირება**

### **VIII გაკვეთილი**

#### **უარმყოფელი პოზიცია**

- უარმყოფელი გუნდის მოვალეობები და სტრატეგია – 10 წთ.
- უარმყოფისა და აღდგენის სტრატეგიები – 10 წთ.
- ცვლილება არ არის საჭირო – პრობლემა არ არსებობს – 10 წთ.
- სავარჯიშო „პრობლემის უარმყოფა“ – 60 წთ.

#### **უარმყოფელი გუნდის მოვალეობები და სტრატეგია**

პოლიტიკური ფორმატის დებატებში უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ფაქტორი – ლოგიკური აზროვნებაა. თუ მტკიცებითი გუნდის მოვალეობებში შედის პრობლემის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ მისი ეფექტური წარდგენა, ამ პრობლემის გადასაჭრელი გზების პოვნა და, ბოლოს, უპირატესობების საშუალებით გამოსავლის ვარგისიანობის დასაბუთება, ლოგიკურია, რომ საპირისპირო მხარემ უნდა შეარჩიოს ყოველი კონკრეტული თამაშისთვის გამოსადეგი ეფექტური სტრატეგია და თამაშის დასაწყისში დასახულ პოლიტიკას ბოლომდე მიყვეს.

მტკიცებითი გუნდის მიერ შემოთავაზებული ცვლილებების საწინააღმდეგოდ, უარმყოფელმა გუნდმა თავისი პირველი მოხსენების წინ მოსაფიქრებელ დროში უნდა შეარჩიოს სამი ძირითადი სტრატეგიიდან ერთ-ერთი: უარმყოფელმა გუნდმა ან უნდა დაასაბუთოს, რომ: ცვლილება არ არის საჭირო, ან ცვლილება არ გაამართლებს, ან ცვლილება საზიანოა.

პირველი სრტატეგიის შემთხვევაში უარმყოფელი ასაბუთებს, რომ პრობლემა ან საერთოდ არ არსებობს და ამიტომ მას არც მოგვარება და არც არსებულ მდგომარეობაში ცვლილებები სჭირდება, ან რომ პრობლემა ცვლილებების გარეშეც მოგვარდება.

მეორე სტრატეგიის შემთხვევაში, უარმყოფელი ასაბუთებს, რომ შემოთავაზებული ცვლილება არ გაამართლებს, ვინაიდან არასწორად არის არჩეული მოქმედების სუბიექტი, ან არსებულ ვითარებაში და პირობებში გეგმა თუ განხორციელდება, იგი შედეგს ვერ გამოილებს, ან გეგმის შესრულება შეყოვნდება და დროში გაიწელება.

უარმყოფელი გუნდი ირჩევს სტრატეგიას, რომლის მიხედვითაც ასაბუთებს, რომ გეგმა საზიანოა. მან უნდა დაამტკიცოს, რომ გეგმის განხორციელების შემთხვევაში შეიქნება სერიოზული მორალური წაკლოვანებები, რეალური ზიანი, საფრთხე. შეიძლება შემუშავდეს ისეთი თეორია, რომლის მიხედვითაც, თუ გეგმას ერთი ჯგუფი შეასრულებს, მას კარგი შედეგი ექნება, მაგრამ თუ იმავეს სხვა გაიმეორებს, შეიძლება ეს საზიანო გამოდგეს.

არსებობს ჯაჭვური რეაქციის თეორია, რომელიც ამ შემთხვევაში ხშირად გამოიყენება და ამტკიცებს, რომ მოქმედებას აუცილებლად მოჰყვება მეორე, მესამე და ა.შ. ნაბიჯი, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ უარეს პრობლემებამდე მიგვიყვანს.

უარმყოფელმა გუნდმა წინასწარ არ იცის, თუ რა პრობლემაზე შეაჩერებს არჩევანს მტკიცებითი გუნდი და რომელ კონკრეტულ პოლიტიკას მიერმარობა. მიუხედავად ამისა, უარმყოფელი გუნდის წარმატების საწინდარი სადებატო საკითხების ირგვლივ მასალების საფუძვლიანი შესწავლა, შემდეგ კი მტკიცებითი გუნდის შესაძლო პოზიციის უარყოფაა. ამისათვის უარმყოფელმა შეიძლება გამოიყანოს ოპონენტების მიერ შემოთავაზებული ლოგიკური სტრუქტურა: პრობლემა, ბრალი, გეგმის ელემენტები (ვინ? რა? როგორ? რამდენი?) და ბოლოს – უპირატესობები.

დებატების მოსაგებად უარმყოფელმა გუნდმა უნდა მოიგოს მტკიცებითის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკის ერთ-ერთი ელემენტი. სწორედ ეს არის პოლიტიკური დებატების ლოგიკური არსი.

## უარყოფისა და აღდგენის სტრატეგიები

უარმყოფელმა გუნდმა მტკიცებითი მხარის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკის ერთ-ერთი ელემენტი უნდა მოიგოს. ეს სრულიად ლიგიკურია, ვინაიდან, თუ უარმყოფელი დაამტკიცებს, რომ პრობლემა არ არსებობს, მაშასადამე, ცვლილებებიც არ არის საჭირო და მტკიცებითი მხარის მიერ შემუშავებულ გამოსავალზე ან უპირატესობებზე გადასვლა და მათი უარყოფა სრულიად ზედმეტია. ამ შემთხვევაში, უარმყოფელმა გუნდმა თამაშის მიმდინარეობის მანძილზე მთელი თავისი ყურადღება, დრო და ინფორმაცია უნდა დახარჯოს იმის მტკიცებაზე, რომ ცვლილება არ არის საჭირო. მტკიცებითმა გუნდმა მთელი თამაშის განმავლობაში უნდა აღადგინოს თავისი პრობლემა და დაასაბუთოს, რომ ცვლილებების გატარება აუცილებელია.

თუ უარმყოფელი გუნდი ჩათვლის, რომ პრობლემა წამდვილად საჭიროებს მოგვარებას, მაგრამ გზები, რომლებიც დასახა მტკიცებითმა მხარემ და გეგმა, რომელმაც უნდა გადაჭრას პრობლემა – არ ვარგა, მაშინ უარმყოფელმა პრობლემის მოკლე მიმოხილვის შემდეგ, უნდა დაასაბუთოს, რომ ამგვარი გეგმა არ გაამართლებს. ან მოქმედების სუბიექტი არ არის სწორად განსაზღვრული, ან შემოსატანია ახალი კონტრგეგმა, რომელიც უკეთ გადაჭრის პრობლემას. აქაც მოქმედებს ის მარტივი ლოგიკა, რომ თუკი უარმყოფელმა გუნდმა აირჩია გამოსავლის, გეგმის უარყოფის სტრატეგია, მაშინ მან აღა უნდა დახარჯოს დრო უპირატესობების უარყოფაზე.

ანალოგიურად, თუ უარმყოფელმა გუნდმა მიზნად დაისახა იმის დამტკიცება რომ „გამოსავლით“ არამარტო არ მიიღწევა დადებითი შედეგები, არამედ შეიძლება საზიანოც კი გამოდგეს გეგმის განხორციელება და შესაბამისად, პრობლემა არ გადაიჭრება, მაშინ გეგმის ნიუანსზე ყურადღების

შეჩერება და დროისა და ენერგიის დახარჯვა არ ღირს.

მტკიცებითი მხარე ყოველთვის უნდა მიყვეს უარმყოფელის ლოგიკას და ალადგინოს სწორედ ის პუნქტი, რომელსაც შეეხო იპონენტი გუნდი.

მტკიცებითი გუნდი პრობლემის აღმოსაფხვრელად მარტივი ტიპის გა-მოსავალს ირჩევს, ანუ ლაკონურად ფორმირებული განაცხადი შემოაქვს, იგი არგუმენტებით ამტკიცებს თავის პოზიციას. უარმყოფელი გუნდი ლოგიკური მსჯელობით და ფაქტებით უნდა დაუპირისპირდეს ამ არგუ-მენტს. ეფექტური იქნება კონტრარგუმენტების შემოტანა. ამ შემთხვევაში, მტკიცებითი და უარმყოფელი გუნდების შერკინება სხვადასხვა ფასეუ-ლობისა და ღირებულების იდეათა და მოსაზრებათა შეჯახებით განხორ-ციელდება.

## პრობლემა არ არსებობს

ერთ-ერთი სტრატეგიაა, რომელიც შეიძლება აირჩიოს უარმყოფელმა გუნდმა, არის იმ ფაქტის დამტკიცება, რომ მტკიცებითის მიერ წამოჭრილი პრობლემა ან საერთოდ არ არსებობს, ან არც იმდენად სერიოზულია, რო-გორც ამას იპონენტი ამტკიცებს. იმისათვის, რომ უარმყოფელმა ამგვარი სტრატეგიით სერიოზულად შეძლოს წამოჭრილი პრობლემის უარყოფა, მას ეს პრობლემა წინასწარ საფუძვლიანად უნდა ჰქონდეს შესწავლილი. უშუალოდ თამაშის დროს უარმყოფელმა ყურადღებით უნდა მოისმინოს და საგულდაგულოდ ჩაიწეროს მტკიცებითის მიერ წამოჭრილი პრობლემის განსაზღვრება. შემდეგ კი ეჭვის ქვეშ დააყენოს, სწორად არის თუ არა წარმოჩენილი სტატუს-კვო, ხომ არ არის იგი გაზვიადებული ან, იქნებ, სულაც არ შეეფერება სიმართლეს. უარმყოფელმა უნდა დასვას კითხვას: „რეალურია თუ არა ის უარყოფითი შედეგები, რომლებსაც მტკიცებითი გუნდი უქადის საზოგადოებას პრობლემის გადაუქრელობის შემთხვევაში“? მნიშვნელოვანია, რომ უარმყოფელმა გუნდმა ყურადღება მიაქციოს, რამ-დენად სწორად არის დაფიქსირებული პრობლემის გამომწვევი მიზეზები და არის თუ არა პრობლემა საკმარისად მოცულობითი იმისათვის, რომ მასზე ღირდეს ყურადღების შეჩერება.

პირველ უარმყოფელს თავის გამოსვლაში მოუწევს უტყუარი ფაქტებისა და სტატისტიკური მასალის მოშველიება. მხოლოდ გახმაურებული მონაცემებისა და ავტორიტეტული ექპერტების აზრზე დაყრდნობით შე-ძლებს უარმყოფელი გუნდი იმის დამტკიცებას, რომ პრობლემა არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მასზე ღირდეს დროისა და რესურსების დახ-არჯვა. უარმყოფელმა გუნდმა იმდენად საფუძვლიანად და დამაჯერებლად უნდა წარმოადგინოს ყოველივე ეს, რომ მას ამისათვის შესაძლებელია დასჭირდეს საკუთარი გამოსავლის სრული დრო. მომხსენებელს თამამად შეუძლია დახარჯოს მთელი ეს დრო მხოლოდ პრობლემის უარყოფაზე, ვინაიდან ლოგიკურია, რომ გეგმაზე და უპირატესობებზე გადასვლა მას

სულ არ მოუწევს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უარმყოფელმა გუნდმა წინასწარ არ იცის, რა პრობლემას წამოჭრის მტკიცებითი გუნდი, პირველი მტკიცებითის გამოსვლის შემდეგ, მოსაფიქრებელი დროის მსვლელობისას, კარგად უნდა აწონ-დაწონოს საკუთარი შესაძლებლობები. უარმყოფელმა მხარემ სწრაფად უნდა გაარკვიოს აქვს თუ არა საფუძვლიანად შესწავლი-ლი ის კონკრეტული პრობლემა, რომელიც მტკიცებითმა წამოჭრა და აქვს თუ არა იმდენად სერიოზული უარმყოფელი მასალა, რომ ღირდეს ამგვარი სტრატეგიით თამაშის წაყვანა. თუ უარმყოფელ გუნდს პრობლემის პუნ-ქტებთან დაკავშირებით სერიოზული მონაცემები და დასკვნები არ გააჩნია, მაშინ ყურადღების გადატანა სჯობს გამოსავალსა და უპირატესობებზე.

## სავარჯიშო №8 „პრობლემის უარყოფა“

### 1 ეტაპი – 20 წუთი

აუდიტორია იყოფა ოთხ ჯგუფად და ურიგდებათ მასალა, სადაც წარ-მოდგენილია ერთი პრობლემა და მასთან დაკავშირებული ურთიერთსა-პირისპირო მოსაზრებები. კენჭისყრის მიხედვით, ჯგუფებს გაუნანილდებათ ფუნქციები. ამგვარად, ჩამოყალიბდება I მტკიცებითი ჯგუფი. I უარმყოფე-ლი ჯგუფი, II მტკიცებითი ჯგუფი, III უარმყოფელი ჯგუფი, ყველა მონაცილე გაეცნობა მასალას და მოახდენს ამ მასალის დიფერენცირებას იმის მიხედ-ვით, თუ მასალის რა პუნქტები ამტკიცებენ პრობლემის არსებობას და რა პუნქტები უარყოფენ მას.

### 2 ეტაპი – 20 წუთი

სავარჯიშოს მეორე ეტაპი მთლიანად დაეთმობა თამაშს. I მტკიცებითი გუნდი ორი წუთის განმავლობაში წამოჭრის პრობლემას და აკეთებს მის ზოგად მონახაზს, I უარმყოფელი უარყოფს პრობლემას სამი წუთის გან-მავლობაში, II მტკიცებითი ფაქტებზე დაყრდნობით, ისევ აღადგენს პრობ-ლემას, ხოლო II უარმყოფელი გუნდი კვლავ უარყოფს მას. უარყოფა და აღდგენა ამ თამაშში ფაქტებზე დაყრდნობითა და ლოგიკური დასკვნების საფუძველზე უნდა შედგეს.

### 3 ეტაპი – 20 წუთი

სავარჯიშოს მესამე ეტაპზე დებატების მწვრთნელი გააკეთებს კო-მენტარებს, აღნიშნავს შეჯახებებს და დააფიქსირებს, ზუსტად უპირისპ-ირდებოდნენ თუ არა გუნდები ერთმანეთს და რა შეცდომები დაუშვეს. ამ სავარჯიშოს დახმარებით, მოდებატეები სწავლობენ, როგორ დაუპირისპ-ირდნენ პრობლემას. მუშაობენ მასალებზე და გაივარჯიშებენ დებატების თამაშის ტექნიკაში. ეს სავარჯიშო ითვალისწინებს მომხსენებელთა პასუხ-ისმგებლობის უკეთ გაგებას.

## **IX გაკვეთილი**

### **პრობლემის უარყოფა**

- არსებული მდგომარეობა თვითონ გადაჭრის პრობლემას – 10 წთ.
- მტკიცებითმა გუნდმა არასწორად განსაზღვრა ბრალი – 10 წუთი.
- გეგმის უარყოფა – 30 წთ.
- სავარჯიშო: „პრობლემის უარყოფა“ – 60 წთ.

### **არსებული მდგომარეობა თვითონ გადაჭრის პრობლემას**

უარმყოფელმა გუნდმა თამაშის პროცესში შესაძლებელია დაინახოს, რომ მტკიცებითის პრობლემა ისეთი პრობლემების კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც არსებულ სისტემაში უკვე ზის. პრობლემა განეკუთვნება იმ კომპლექსს, რომელიც მთავრობის მიერ უკვე დაფიქსირებულია და ზომებიც მიღებულია. ამდენად, ცალკე მასზე ყურადღების შეჩერება და ზედმეტი ხარჯების გაღება არ არის მიზანშეწონილი. უარმყოფელმა გუნდმა ფაქტებზე დაყრდნობით უნდა დაამტკიცოს, რომ თუკი იქნება დრო და მოვლენები არსებულ პირობებში განვითარდება, მაშინ მთავრობის პოლიტიკა თვითონ გადაჭრის პრობლემას და იგი აღარ იარსებებს. თუკი უარმყოფელი გუნდი გადაწყვეტს იმის დამტკიცებას, რომ ცვლილება არ არის საჭირო, ჯერ უნდა დაეთანხმოს, რომ პრობლემა მართლაც არსებობს და, თანაც, ძალზედ სერიოზული და კვლავ აღადგინოს საკუთარი პრობლემა.

### **მტკიცებითმა გუნდმა არასწორად განსაზღვრა ბრალი**

მტკიცებითი გუნდი, პრობლემის განსაზღვრისას, მიზეზებთან ერთად ასახელებს იმას, თუ ვისი ან რისი ბრალია პრობლემის წარმოქმნა. თავისთავად, ეს პუნქტი თითქოს არც ისე მნიშვნელოვანია, რომ უარმყოფელმა მასთან დაპირისპირება გადაწყვიტოს, მაგრამ არსებობს გარკვეული შემთხვევები, როდესაც პრობლემის გადაჭრის გზა გაამართლებს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალი სწორად არის განსაზღვრული.

### **გეგმის უარყოფა**

პოლიტიკური დებატების ფორმატში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არსობრივი საკითხია, – მტკიცებითი გუნდის მიერ პრობლემის გადაჭრის გზებისა და მეთოდების შეთავაზება. უარმყოფელი მხარეც სწორედ ამ პუნქტისაკენ მიმართავს თავის ყურადღებას და ცდილობს ეჭვი შეიტანოს პრობლემის გადაჭრის გზებსა და მეთოდებში.

როდესაც მტკიცებითი გუნდი ირჩევს გამოსავლის იმ ტაქტიკას, სადაც გაცემულია პასუხები კითხვებზე ვინ? რა? როგორ? რამდენი? სთავაზობს პრობლემის გადაჭრას კონკრეტული გეგმით, – ლოგიკურია, რომ უარმყოფელი გუნდი იერიშს სწორედ ამ საკვანძო საკითხებზე მიიტანს.

უარყოფის სტარატეგიაში მთავარია, რომ უარმყოფელმა გუნდმა მტკიცებით პოზიციაში ხარვეზი იპოვოს იქ, სადაც ეს ხარვეზი ნამდვილად არის და შემდგომ მთელი თამაშის განმავლობაში არ გადაუხვიოს დასახულ გზას.

უარმყოფელმა გუნდმა უნდა მოახერხოს მტკიცების პოზიციაში გამოსავლის სუსტი მხარეების სწორად და ზუსტად დანახვა, შემდეგ კი მათი ლოგიკურად და არგუმენტირებულად უარყოფა. ამისათვის უარმყოფელმა გუნდმა უნდა დაინახოს, ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან რომელი ეს-ადაგება მტკიცებითის მიერ წარმოდგენილ გეგმას.

- გეგმა აპსურდულია და ფანტაზიის ნაყოფია;
- არსებულ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამართლებრივ ფონზე გეგმა ვერ განხორციელდება;
- გეგმის სხვადასხვა ნაბიჯი, ანუ გეგმის შესრულების ეტაპები არ შეესაბამება ერთიმეორეს და ურთიერთგამომრიცხავია;
- გეგმის განხორციელების შემთხვევაში, მას არ ექნება სამართლებრივი შედეგი, ანუ იგი არ შეცვლის სტატუს-კვოს უკეთესობისაკენ;
- გეგმის განხორციელებას მოჰყვება გარკვეული დადებითი შედეგები, მაგრამ პრობლემა მაინც არ გადაიჭრება;
- გეგმის განხორციელების შემთხვევაში, სახეზე გვაქვს ზიანი და გეგმა გააუარესებს ისედაც ცუდ მდგომარეობას (ამ სტრატეგიის გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია ჩანდეს მიზეზშედეობრივი კავშირი ფაქტებს შორის);
- გეგმა მომავალში რაღაც ქმედებას გამოიწვევს, რომელიც ნეგატიურ შედეგს მოიტანს;
- გეგმის დანხარჯები არ ამართლებს (გეგმის განხორციელებისთვის იმდენი ხარჯია განეული, რომ სახეზე გვაქვს მატერიალური ზარალი, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ გადაწონის სტატუს-კვოს. ანუ არ ღირს ასეთი გზით პრობლემის გამოსწორება);
- გეგმა იმდენად ფართო და მასშტაბურია, იმდენად მოცულობითია, რომ მისი შესრულება გაძნელდება. გეგმის თითოეული ნაბიჯის შესრულება კიდევ დამატებით გეგმებს მოითხოვს;
- არასწორად არის განსაზღვრული მოქმედების სუბიექტი;
- მტკიცებითის მიერ შემოთავაზებული გეგმა სტატუს-კვოს ნაწილია, ანუ ამგვარი გეგმა უკვე ხორციელდება.

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები დაეხმარება უარმყოფელს ყოველი თამაშისთვის მოსარგები ინდივიდუალური უარყოფის ტაქტიკა შეარჩიოს. დებატების ხელოვნებაში ცნობილია, რომ ურყევი პოზიცია არ არსებობს. ნებისმიერ, ყველაზე იდეალურ გეგმასაც კი მოეძებნება სუსტი მხარეები. მთავარია მოდებატებმა კარგად გაიგონ ოპონენტების პოზიცია და სწრაფად მოახდინონ რეაგირება მოწინააღმდეგის მიერ დაშვებულ შეცდომებზე.

როდესაც უარმყოფელი გუნდი ჩამოაყალიბებს თავის სტრატეგიას, ლოგიკურია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საკმაოდ დანაწევრებული ხასიათის რამდენიმე პუნქტი გაერთიანდება და უარყოფის ძლიერ ბირთვს შექმნის.

უარმყოფელ გუნდს შეუძლია შეარჩიოს უარყოფის მისთვის სასურველი და მოსახეხებელი ნებისმიერი სტრატეგია, მაგრამ ყველაზე უფრო ეფექტური სტრატეგია ის იქნებოდა, თუ უარმყოფელი შეძლებდა იმის დამტკიცებას, რომ მტკიცებითის მიერ შემოთავაზებული გეგმა გამოიწვევს ზიანს. როდესაც მტკიცებითი გუნდი წარმოადგენს გეგმით მიღწეულ შედეგებს და უპირატესობებს, რა თქმა უნდა, კარგი იქნება უარმყოფელის მხრიდან იმის დასაბუთება, რომ ამ გეგმით ეს უპირატესობები არ მიიღწევა და პრობლემა არ გადაიჭრება. მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ეფექტური იქნება, თუკი უარმყოფელი გეგმის ნაკლოვანებებთან ერთად დაგვანახებს ზიანს, რომელიც მოყვება გეგმის განხორციელებას. ანუ უპირატესობების ნაცვლად, სახეზე გვექნება ზარალი და სტატუს-კვო არამათუ გაუმჯობესდება, არამედ გაუარესდება, პრობლემა კი უფრო ღრმა და მაშტაბური გახდება.

## სავარჯიშო №9 „გეგმის უარყოფა“

### 1 ეტაპი – 40 წუთი

სავარჯიშოს დაწყების წინ მონაწილეებს ვთხოვთ, რომ ჩამოაყალიბონ გუნდები ისე, როგორც ეს სავარჯიშო №5 შესრულებისას იყო ჩამოყალიბებული. გავიხსენოთ, რომ ამ გუნდებმა სავარჯიშო №5 შესრულების დროს შეიმუშავეს გეგმა, რომელიც შემდგომ დახვეწეს. სავარჯიშოს პირველ ეტაპზე გუნდები წარადგენენ თავიანთ გეგმებს სამწუთიანი მოხსენებების სახით. ოპონენტი გუნდები გააკეთებენ ჩანაწერებს, რომლის საფუძველზეც 20 წთუის განმავლობაში შეიმუშავებენ გეგმის უარყოფის სტრატეგიას და ჩამოაყალიბებენ უარმყოფელ პოზიციას.

### 2 ეტაპი – 20 წუთი

სავარჯიშოს მეორე ეტაპზე გუნდები წარადგენენ უარმყოფელ პოზიციას. დებატების მწვრთნელი დაფაზე შეასრულებს ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც ყოველი გამოსლის შემდეგ დეტალურად განიხილავს თითოეულ გამოსვლას.

## X გაკვეთილი

### ქეისის ძირითადი ნაწილის აღდგენა

- გეგმის აღდგენა – 20 წუთი.
- სავარჯიშო „გეგმის უარყოფა და აღდგენა“ – 60 წუთი.

### გეგმის აღდგენა

დებატების ტექნიკაში, უარყოფის სტრატეგიის შერჩევას და განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თუმცა გადამწყვეტია ის, თუ რამდენად სწორად შეძლებს მტკიცებითი გუნდი თავისი შერყეული პოზიციის აღდგენას. წინა თავებში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მტკიცებითმა გუნდმა უნდა აღადგინოს სწორედ ის პუნქტები, რასაც უარმყოფელი მხარე შეეხო. გადამწყვეტი ფაქტორი კი მკიცებითი პოზიციის აღდგენაში საკუთარ გეგმასთან დაკავშირებული ინფორმაციის ღრმა შინაარსობრივი გაგება და კონკრეტული ფაქტების, მაგალითების ფლობაა. მტკიცებით გუნდს არამარტო ძირეულად უნდა ჰქონდეს გააზრებული საკუთარი გეგმის ესა თუ ის ნიუანსი, არამედ მან უნდა შეძლოს დაასაბუთოს მიზეზშედეგობრივი დამოკიდებულება თავისი გეგმის ამა თუ იმ ნაბიჯსა და შედეგს შორის.

მტკიცებითმა მხარემ წინასწარ უნდა გააანალიზოს საკუთარი გეგმის სუსტი მხარეები და სადავო საკითხები და შეეცადოს, წინასწარ გათვალის, რა პუნქტებთან დაკავშირებით შეეცდება უარმყოფელი მხარე დაპირისპირებას. მტკიცებითმა მხარემ თამაშის პროცესში კარგად უნდა მოუსმინოს უარყოფას და სწორად შეაფასოს უარმყოფელის არგუმენტები თავისი გეგმის შედეგებთან დაკავშირებით. ამვე დროს, მტკიცებითი მხარე უნდა ყველანაირად შეეცადოს, რომ დებატები ძირითადად მიმართოს შედეგებზე და უპირატესობებზე.

თუ მტკიცებითმა მხარემ მოახერხა უარმყოფელი გუნდის მიერ გეგმის ხარვეზებისაკენ ან გეგმის უარყოფითი შედეგებისაკენ მიმართული ტაქტიკის შემობრუნება და საკუთარი გეგმების დადებითი შედეგებისა და უპირატესობებისაკენ მსჯელობის გადატანა, მაშინ იგი უკეთეს ვითარებაში დააყენებს საკუთარ პოზიციას. ეს კი ნიშნავს, რომ მტკიცებითი მხარე შეძლებს საკუთარ უპირატესობებთან დაკავშირებული დამატებითი დამამტკიცებელი მასალის გამოყენებას.

მტკიცებითმა გუნდმა ჯერ კიდევ თამაშისათვის მომზადების დროს უნდა ეცადოს ყველა იმ შესაძლო ზიანის გამოვლენა, რაც კი შეიძლება წარმოიქმნას გეგმის შესრულების შედეგად, შემდეგ კი შეადაროს ეს ზიანი უპირატესობებს და გააანალიზოს შეძლებს თუ არა უპირატესობები ზიანის გადაწოვას. პოზიციის ამგვარი მომზადება უთუოდ სარგებლობას

მოუტანს მტკიცებით გუნდს და უფრო დამაჯერებელს გახდის სპიკერთა გამოსვლებს. მტკიცებითმა გუნდმა თავის ბოლო გამოსვლაში ყურადღება აუცილებლად უნდა გაამახვილოს სწორედ იმაზე, რომ შემოთავაზებული ცვლილებები უფრო მეტ უპირატესობებს მოიცავს, ვიდრე ზიანს და საბოლოო ჯამში ეს ცვლილებები სარგებლობას მოუტონს საზოგადოებას.

მტკიცებითი გუნდის კიდევ ერთი სტრატეგიული სვლაა იმ მეთოდის გამოყენება, როცა მტკიცებითი მხარე თვითონ დაასწრებს უარმყოფელს თავისივე გეგმის შესაძლო ნაკლოვანებების დაფიქსირებას და წინასწარ შესთავაზებს ამ ნაკლოვანებების გამაბათილებელ არგუმენტებსა თუ მაგალითებს. ამ გზით მტკიცებითი გუნდი აპნევს უარმყოფელს, ხელიდან აცლის არგუმენტებს, რომლებიც მას ჯერ არცყი გამოუყენებია და უჩვენებს მსაჯს, თუ რა წინდახედული გუნდია და უმტკიცებს საკუთარი გეგმის სიძლიერეს, მისი საუკეთესო მხარეების უფრო დამაჯერებლად წარმოდგენით. ამ სტრატეგიის გამოყენების დროს მტკიცებითი მხარე უნდა იყოს მეტად ფრთხილი, ვინაიდან თუ მტკიცებითი გუნდის წარმომადგენელი დაიბნა, ეს ჩანაფიქრი შეიძლება თავისივე საწინააღმდეგოდ შემოტრიალდეს. უარმყოფელმა მხარემ შეიძლება ხელში ჩაიგდოს მტკიცებითის გეგმის სუსტი მხარეების მნიშვნელოვანი მონაცემები, დაუმატოს საკუთარი ფაქტები და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ყოველივე ეს.

## სავარჯიშო №10 „გეგმის უარმყოფა და აღდგენა“

### 1 ეტაპი – 20

სავარჯიშოს დაწყებისას აუდიტორიას ვყოფთ მცირე ჯგუფებად და ვურიგებთ წინასწარ მომზადებულ გეგმას, რომელსაც აქვს ხარვეზები. გუნდებმა 15 წუთის განმავლობაში უნდა შეიმუშავონ გეგმის უარმყოფის სტრატეგია და უარმყოფელი პოზიცია.

მასალები:

**რეზოლუცია :** საქართველოში ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი უნდა განვითარდეს.

**პრობლემა :** არსებული სასამართლო სისტემა ვერ უზრუნველყოფს უდანაშაულო პირთა გამართლებას.

**გამოსავალი :**

**ვინ?**

მოქმედების სუბიექტი – იუსტიციის სამინისტრო

## **რა? და როგორ?**

- მთავრობამ უნდა შემოიღოს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ყველა კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებაში შემუშავებული იქნება კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით უნდა შეირჩნენ ნაფიცი მსაჯულები.
- უნდა შეიქმნას კონსულტანტთა სამსახური, რომელიც შეარჩევს ნაფიც მსაჯულებს ყოველი კონკრეტული სასამართლო პროცესისათვის.
- ნაფიცი მსაჯულები პროცესის დროს უნდა იყვნენ იზოლირებულნი, რათა არ მოხდეს მათზე ზენოლა. ამისათვის სასამართლოსთან უნდა მოეწყოს სასტუმრო.
- ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება უნდა იყოს ერთსულოვანი, ამისათვის პარლამენტმა დამატებითი ცვლილებები უნდა შეიტანოს კანონში.

## **ხარჯი :**

- იმ პირთა სიის შედგენას რომლებიც შეესაბამებიან მსაჯულის პოზიციას – 30 000 ლარი (ხარჯები გადანაწილდება ტექნიკურ პერსონალზე, საკომუნიკაციო საშუალებების დანახარჯებსა და სხვა ტექნიკურ ხარჯებზე).
- სიის მიხედვით არჩეული პირებისათვის უწყებების გაგზავნის ხარჯები – 10 000 ლარი (საკომუნიკაციო და ტექნიკური ხარჯები).
- პოტენციური ნაფიცი მსაჯულებიდან მიუკერძოებელ პირთა შერჩევის ხარჯები – 120 000 ლარი წლიურად. (თანხები დაიხარჯება კონსულტანტების მომზადებაზე და მეცნიერულ გამოკვლევებზე, რომელთა მიხედვითაც შეირჩევიან პირუთვნელი ნაფიცი მსაჯულები).
- ნაფიც მსაჯულთა დაკომპლექტება და ხელფასები და დღიური ხარჯები, სასტუმროს მშენებლობა – 150000 ლარი

### **1. ეტაპი – 20 წუთი**

გუნდები 4 წუთიანი მოხსენების საშუალებით ახდენენ გეგმის უარყოფას. მწვრთნელი განიხილავს ყოველი გუნდის მოხსენებას.

### **2. ეტაპი – 20 წუთი**

სავარჯიშოს მესამე ეტაპზე მწვრთნელი თავად გამოდის უარმყოფელი პოზიციის დასაცავად და საუბრობს იმ სტრატეგიებზე რომელთა გამოყენებაც შეიძლებოდა უარყოფის დროს. მოდებატეები აკეთებენ მწვრთნელის გამოსვლის ჩანაწერს, რათა სავარჯიშოს შემდგომ ეტაპზე მოახდინონ ქეისის აღდგენა ამ მასალასთან მიმართებაში.

დებატების მწვრთნელი განმარტავს, რომ:

- სწორედ აქ დგება ის გადამწყვეტი მომენტი, როდესაც უარმყოფელმა

გუნდმა უნდა გამოავლინოს საკითხის ღრმა წვდომა, ცოდნა და თავისი არგუმენტების დასამტკიცებლად მოიყვანოს არაერთი ფაქტი. თუ მოძებატეები არ არიან კარგად გათვითცნობიერებული იმ საკითხში, რა საკითხზეც მიდის დისკუსია, ვერავითარი რიტორიკული ან სტილისტური ხრიკი ვერ შეავსებს ფაქტების ნაკლებობას.

- ზემოთ წარმოდგენილ გეგმასთან დაკავშირებით მტკიცებითი გუნდისათვის მომგებიანი იქნებოდა ყურადღების გამახვილება იმ საკითხებზე რამდენად შესაძლებელია და რეალურია არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებაში მიუკერძოებელი მსაჯულების პოვნა და როგორია ძვირად ანაზღაურებადი კონსულტანტების როლი მსაჯულთა შერჩევის პროცესში.
- უარმყოფელი გუნდის წარმომადგენლებმა უნდა აღნიშნონ, რომ მართალია მსაჯულთა შერჩევა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე დემოკრატიულია, მაგრამ არსებობს ბევრი ფაქტი, როდესაც მსაჯულთა გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენდა მათი რასობრივი, სქესობრივი, სექსუალური, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება (მაგ: 1994 წ. მენენსების საქმე, 1992 წ. როდნი კინგის საქმე, 1992წ. ლემრიკ ნელსონის საქმე და ა.შ. – ფაქტები უნდა იყოს გაშიფრული). ანუ დასკვნა ასეთია: თუკი არსებობს ფაქტები, რომელთა მიხედვით მსაჯულები თავიანთი რასობრივი თუ სქესობრივი კუთვნილების გამო უშვებენ შეგნებულ თუ უნებლიერ შეცდომებს, მაშასადამე, უპირატესობების ნაცვლად გვექნება ზიანი. პროცენტულად შეიძლება გაიზარდოს დამნაშავეთა უსაფუძვლოდ გამართლების რიცხვი.
- ამავე დროს უარმყოფელებს შეუძლიათ მოიყვანონ ფაქტები. პერსონალურ ტრამვებთან დაკავშირებულ საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებები უფრო ემოციებს ეფუძნება ვიდრე ფაქტებს. (მაგ: 1994წ. ნიუ-მექსიკოში მაკდონალდსის დაჯარიმება 3 მილიონი დოლარით)
- უარმყოფელ გუნდს შეუძლია აგრეთვე გაამახვილოს ყურადღება იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა სისტემა კეთილშობილურ პრინციპებს ეფუძნება, ზოგჯერ შეიძლება მოხდეს ამ სისტემის ბოროტად გამოყენება. მაგალითად ეს ეხება კონსულტანტებს, რომლებიც სხვადასხვა მეცნიერული მეთოდით არჩევენ ნაფიც მსაჯულებს. კონსულტანტის მომსახურებით უფლება აქვს ისარგებლოს არა მხოლოდ დაცვის მხარეს, არამედ პროკურორსაც. კრიტიკოსები ევროპაში თვლიან, რომ ნაფიც მსაჯულთა მეცნიერული შერჩევა საფრთხეს უქმნის სისტემის არსს, რადგან ორივე მხარე ცდილობს შეარჩიოს მისთვის უფრო სასურველად მიკერძოებული მსაჯულები, ვიდრე პირუთვნელნი. ეს პრობლემა განსაკუთრებით მნვავდება, როდესაც მხოლოდ ერთ მხარეს აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი კონსულტანტების დასაქირავებლად, შედეგად ამ მხარეს შეუძლია მიიღოს განსახილველად საქმისადმი სიმპათიით

განწყობილი მსაჯულებით დაკომპლექტებული ჟიური.

- უარმყოფელ მხარეს შეუძლია ხაზი გაუსვას კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, – რამდენად ესმით და ასრულებენ ნაფიცი მსაჯულები იმ სამართლებრივ ინსტრუქციებს, რომლებსაც მათ მოსამართლე აძლევს. პრობლემას ქმნის ისიც, რომ ეს ინსტრუქციები დაწერილია მეტისმეტად რთულ იურიდიულ ენაზე, რაც უმეტესობისათვის რთულად აღსაქმელია.
- საინტერესო იქნება უარმყოფლი გუნდის მხრიდან უურადღების შეჩერება ნაფიც მსაჯულთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე პროცესის მსვლელობის დროს. თუკი ნაფიც მსაჯულებს არ ექნებათ უფლება, მთელი სასამართლო პროცესის განმავლობაში წავიდნენ სახლში. მართალია იზოლირების მიზანია, მოარიდონ ნაფიცი მსაჯულები მედიის ზეგავლენას, რამაც შესაძლოა, ააცდინოს მსაჯულების გადაწყვეტილება იმ რეალობას, რომელიც მხარეთა ჩვენებებს ეფუძნება, მაგრამ იზოლაციას აქვს უარყოფითი მხარეებიც: ის ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს ნაფიც მსაჯულებზე და მათ ციხეში ყოფნის განცდა ეუფლებათ.
- უარმყოფელ გუნდს შეუძლია ხარვეზი იპოვოს გეგმის იმ პუნქტში, სადაც ნახსენებია, რომ მსაჯულების გადაწყვეტილება ერთსულოვანი უნდა იყოს. ვთქვათ, რომ ჟიური ვერ იღებს ერთსულოვან გადაწყვეტილებას. ასეთ ჟიურის ჩიხში შესულს უწოდებენ. ასეთი პროცესი შეიძლება გაიწელოს და დიდ მატერიალურ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული. კარგია, თუ უარმყოფელი მხარე აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ნაფიც მსაჯულებს არ გააჩნდეთ უნარი, სათანადოდ გაიგონ რთულ საქმეებზე მიცემული ექსპერტული ჩვენებები. თეორიულად ნაფიც მსაჯულებს აქვთ საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილება, რათა სათანადოდ აღიქვან პროცესზე განსახილველი საკითხები. პრაქტიკაში კი ისინი შესაძლოა ვერც შეძლებენ ისეთი საკითხების გადაწყვეტას, რაც მათვის საკმაოდ უცხოა.
- ბოლოს, კარგი იქნება, თუკი უარმყოფელი გუნდი მოიყვანს კონკრეტულ სტატისტიკას იმის შესახებ, რომ იკლო მოსამართლეთა ნდობამ ნაფიც მსაჯულთა მიმართ, რომ ბოლოდროინდელმა პროცესებმა ა.შ.შ-ში წარმოშვა ეჭვი, რომ ნაფიც მსაჯულთა ჟიური არ ცნობს მძიმე დამნაშავეებად მკვლელებს მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილით დასჯის მიმართ პროტესტის გამოხატვის მიზნით.
- დასკვნის სახით კი უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ნაფიც მსაჯულთა სისტემა დემოკრატიული და ჰუმანურია, იგი არ იძლევა გარანტიას რომ გადაწყვეტილებები სწორად იქნება მიღებული. სახეზე გვექნება აშკარა ზარალი, რომელიც გადაწონის მთელ რიგ უპირატესობებს. არსებული მდგომარეობა კი კიდევ უფრო დამძიმდება და გამწვავდება.

თავისი მოხსენების შემდეგ მწვრთნელი დაავალებს მოდებატეებს სამკაციანი გუნდების ჩამოყალიბებას და წინამდებარე მასალებზე დაყრდნობით მომავალ გაკვეთილამდე აღდგენის გეგმების მოიფიქრებას.

## უარყოფა და აღდგენა

### XI გაკვეთილი

#### ოპონირება

- კონტრგეგმის შემოტანა – 15 წუთი
- მოქმედების სუბიექტზე მიმართულიკონტრ-გეგმა – 15 წუთი
- გეგმის აღდგენა კონტრ-გეგმის შემოტანის შემთხვევაში – 15 წუთი
- სავარჯიშო „კონტრ-გეგმის შემოტანა“ – 60 წუთი

#### კონტრგეგმის შემოტანა

უარყოფელი გუნდის მეორე ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგია შეიძლება გახდეს კონტრ-გეგმის შემოტანა. აქამდე უარყოფელი გუნდის სტრატეგია მთლიანად მიმართული იყო მტკიცებითის მიერ შემოთავაზებული გეგმის უარყოფაზე. ანუ უარყოფელი არ ეთანხმება ოპონენტს იმ მეთოდებსა და გზებში, რა მეთოდებითაც მტკიცებითი აპირებს სისტემაში ცვლილებების განხორციელებას. პოლიტიკური ფორმატის დებატებში უარყოფელებს ასევე შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ გეგმა, რომელსაც ოპონენტები გვთავაზობენ, არ არის პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალება და შემოგვთავაზონ პრობლემის გადაჭრის საკუთარი გზა.

კონტრ-გეგმის შემოტანასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. მისი შემოტანა მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გუნდმა განახორციელა თითქმის იდეალური უარყოფა, გამოიყენა მაგალითები, დასვა რიტორიკული შეკითხვები, იმსჯელა ლოგიკურად და წარმოადგინა ძლიერი არგუმენტაცია. ყოველივეს მოხერხება და ამავდროულად საკუთარი კონტრ-გეგმის შემოტანა 6 წუთში თითქმის შეუძლებელია. ხოლო თუკი უარყოფა არ იქნება სრულყოფილი, კონტრ-გეგმის შემოტანა ყოველგვარ აზრს კარგავს. არის შემთხვევები, როდესაც მოდებატები, საკუთარი კონტრ-გეგმის ეფექტურად წარდგენის მიზნით, სასწრაფოდ ეთანხმებიან პრობლემას, ერთი-ორი სიტყვით მიმოიხილავენ მტკიცებითის გეგმას და გადადიან საკუთარი გეგმის (კონტრ-გეგმის) წარდგენაზე და დასაბუთებაზე. ასეთი თამაში უინტერესო და აბსურდული ხდება. გამოდის, რომ უარყოფელი გუნდი პოზიციას უცვლის მტკიცებითს, რომელსაც შემდგომ უარყოფელის გეგმის გაბათილება უწევს. ასეთი კერძო შემთხვევების დროს მტკიცებითი მხარე არ უნდა შეცდეს და გამოსვლების დროს უმეტესი ნაწილი კვლავ თავისი პოზიციის უპირატესობის მტკიცებას უნდა დაუთმოს და არა კონტრ-გეგმის უარყოფას. ასე რომ, უმეტეს შემთხვევაში კონტრ-გეგმის შემოტანა არ არის ლოგიკური და მომგებიანი.

თუკი უარყოფელი გუნდი მაინც გადაწყვეტს კონტრ-გეგმის შემოტა-

ნას, ეს უნდა გააკეთოს პირველი უარმყოფელის გამოსვლაში, რათა მტკიცებით გუნდს შესაძლებლობა მიეცეს, ეფექტურად გასცეს პასუხი უარმყოფელის წინადადებას.

პირველი, რაც უნდა გვახსოვდეს ასეთი სტრატეგიის არჩევისას, არის ის, რომ კონტრ-გეგმა უნდა იყოს გეგმის აბსოლუტურად საწინააღმდეგო მოქმედება და გამორიცხავდეს ამ ორის ერთდროულად განხორციელებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უარმყოფელმა გუნდმა უნდა შემოგვთავაზოს ისეთი კონტრ-გეგმა, რომელიც ვერ განხორციელდება მაშინ, როდესაც ცხოვრებაში გატარდება მტკიცებითის მიერ შემოთავაზებული წინადადება. ანუ ორივე გეგმა ერთდროულად ვერ განხორციელდება იმიტომ, რომ ლოგიკურად ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ.

მნიშვნელოვანი ისაა, რომ უარმყოფელის მიერ შემოთავაზებული გეგმა მნიშვნელოვნად უნდა განსხვავდებოდეს მტკიცებითი გუნდის მიერ შემუშავებული გეგმისგან – ახალი გეგმა არ უნდა იყოს ძველი გეგმის გაუმჯობებული, მცირეოდენი ცვლილების შემტანი ვარიანტი.

თუ ორი გეგმა უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი – მარტივად თუ ვიტყვით, თუ მტკიცებითი გუნდი ამტკიცებს, რომ რაღაც საკითხი არის „კარგი“. უარმყობელმა აუცილებლად უნდა ამტკიცოს, რომ ეს არის „ცუდი“ და არა ის, ცრომ შეიძლება რაღაც ამაზე უკეთესი ან შედარებით კარგი იყოს. თუ ასე არ მოხდება მტკიცებითს ექნება შანსი, გამოიყენოს უარმყოფელის კონტრ-გეგმა, „მიიტაცოს“ ის და გააუმჯობესოს თავისი პოზიცია.

მაგალითად:

რეზოლუცია: სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს განათლების მაღალი დონე უმაღლეს სასწავლო დანერგებულებებში.

პრობლემა: უცხო ენების სწავლების მეთოდები უმაღლეს სასწავლებებში არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

გამოსავალი:

- უნდა გამოვავლინოთ ის პროგრამები რომლებიც თანამედროვე სტანდარტების მიხედვით ცვლილებებს საჭიროებს.
- უცხო ენების სწავლების თანამედროვე მიდგომების შემუშავებისა და კვალიფიცირებული პედაგოგიური შემადგენლობის დასაკომპლექტებლად სპეციალისტები და პედაგოგები ყოველწლიურად მივავლინოთ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში.

კონტრგეგმა:

უარმყოფელ გუნდს შეუძლია დაასაბუთოს, რომ რეფორმის გატარებისთვის და უცხოური თანამედროვე მეთოდებისათვის არ არის საჭირო ამდენი ადამიანის საზღვარგარეთ გაგზავნა. გაცილებით უფრო იაფი და ეფექტური იქნება, უცხოელი სპეციალისტების წელიწადში რამდენჯერმე მოწვევა და ფართო აუდიტორიაზე გათვლილი ტრენინგების საქართველოში ჩატარება.

ერთი შეხედვით, უარმყოფელი გუნდის მიერ შემოთავაზებული კონტრ-გეგმა ნამდვილად მოსაწონია, ნამდვილად არ არის გამორიცხული უფრო კარგი შედეგის მიღწევა და სახსრების დაზოგვაც მომგებიანი იქნება სახელმწიფოსთვის. მაგრამ ეს გეგმა სრულიად არ გამორიცხავს მტკიცებითის გეგმას. სავსებით შესაძლებელია ამ ორი გეგმის შეთავსება, ანუ ქართველი ლექტორების საზღვარგარეთ გაგზავნა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ამავე დროს, უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანა. ასე რომ, უარმყოფელის კონტრ-გეგმა ასეთი სახით არ მიიღება.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ კონტრ-გეგმა არ წარმოადგენს სტატუს-ავოს ნაწილს. ანუ კონტრ-გეგმა მნიშვნელოვნად უნდა განსხვავდებოდეს იმ გეგმებისგან, რაც უკვე ხორციელდება პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით.

## მოქმედების სუბიექტზე მიმართული კონტრ-გეგმა

ერთი, რაც ყველა გეგმას საერთო აქვს, არის ის, რომ მათ ჰყავთ მოქმედების სუბიექტი, ანუ შემსრულებელი. განსაზღვრული სუბიექტის შემთხვევაში, უარმყოფელს შეუძლია დაუპრისპირდეს მტკიცებითს სწორედ ამ პუნქტზე. მაგ: თუ მტკიცებითი გუნდი გვთავაზობს, რომ ა.შ.შ.-მ უნდა უზრუნველყოს ცენტრალური ამერიკის ბავშვები უფასო პრეპარატებით მაღარის სამკურნალოდ, ოპზიციას შეუძლია დაამტკიცოს, რომ ასეთი ქმედების განხორციელება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოვალეობაა და არა ა.შ.შ.-სი.

ერთი შეხედვით, თითქოს, ეს ორი გეგმა ერთმანეთს არ გამორიცხავს, მაგრამ საჭიროა გავიხსენოთ, რომ უარმყოფელმა გუნდმა უნდა გაამართოს თავისი არჩევანი და დაასაბუთოს რამდენიმე მიზეზის არსებობა, რომ-ლითაც მტკიცდება, რომ ა.შ.შ. არ არის საუკეთესო მოქმედების სუბიექტი მტკიცებით გეგმის განხორციელებისათვის. ა.შ.შ.-ს ხშირად გამოუყენებია მსგავსი ჰუმანიტარული ქმედებები, მაგრამ იყენებდა ა.შ.შ.-ში აკრძალულ მედიკამენტებს. უარმყოფელი გუნდი ასე დაასაბუთებს, რომ მტკიცებითის მოქმედების სუბიექტის მონაწილეობა ამგვარ საქმეში დიდ რისკთან და ხიფათთან არის დაკავშირებული.

იმის შემდეგ, რაც უარმყოფელი გუნდი განახორციელებს შეტევას, საჭიროა, რომ მან თავისი შემოთავაზებული მოქმედების სუბიექტი დაამტკიცოს. მაგ: „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას აქვს დიდი ხნის გამოცდილება ჰუმანიტარულ და მედიკამენტებთან დაკავშირებულ საქმიანობაში. მათ, ამავე დროს, საერთაშორისო რესურსების მოზიდვისა და მოხალისეთა მოძიების უფრო ფართო შესაძლებლობები აქვთ. ამ მხრივ ა.შ.შ. შედარებით შეზღუდულია“

ამგვარად, უარმყოფელი დაანახებს მსაჯს, რომ მტკიცებითის გეგმა დიდ ხარვეზს შეიცავს, ხოლო მოქმედების სუბიექტზე გათვლილი კონტრ-გეგმა გაცილებით უფრო კარგი და ქმედითია.

## გეგმის აღდგენა კონტრ-გეგმის შემოტანის შემთხვევაში

როდესაც უარმყოფელი გუნდი გადაწყვეტს, მტკიცებით გუნდს კონტრ-გეგმით დაუპირისპირდეს, იგი საკმაოდ რთული ამოცანის წინასე აყენებს საკუთარ თავს. გაცილებით რთულია, დაანახო მსაჯს მტკიცებითის მიერ შემოტანილი გეგმის ყველა უარყოფითი მხარე და, ამავე დროს, დაამტკიცო, რომ კონტრ-გეგმა გეგმაზე გაცილებით უკეთესია. მით უმეტეს, რომ მტკიცებითი პოზიციის კარგი უარყოფით, კონტრ-გეგმის გარეშეც შეიძლება თამაშის მოგება.

მტკიცებითი გუნდი, რომელიც ისმენს საკუთარი გეგმის უარყოფას და ამავე დროს იგებს, რომ ოპონენტებმა კონტრ-გეგმაც შემოიტანეს, არ უნდა დაიბნეს. პირიქით, ასეთ შემთხვევაში, იგი დროის რეგლამენტის მხრივ მომგებიან პოზიციაშიც კი არის. მთავარია, მტკიცებითმა გამოიყენოს ეს მომგებიანი პოზიცია და არ მოიხიბლოს კონტრ-გეგმის უარყოფით. არ დახარჯოს ამაზე ბევრი დრო.

კონტრ-გეგმის შემოტანის შემთხვევაში, მტკიცებით გუნდს ახალი ასპარეზი ეხსნება სწორედ თავისი გეგმის დასაბუთების მიმართულებით. მტკიცებითი გუნდის მეორე მომხსენებელს შანსი ეძლევა, საფუძვლიანად წარმოაჩინოს გეგმის დეტალები და დამატებიც მასალა და მოახმაროს ეს ყოველივე იმას დასაბუთებას, რომ გეგმა ნამდვილად ღირებულია, რომ მას გააჩნია ბევრი უპირატესობა და ის ბევრად სჯობს კონტრ-გეგმას. მტკიცებით გუნდს არ ევალება კონტრ-გეგმის დეტალური გარჩევა და საფუძვლიანი უარყოფა. მტკიცებითმა მხოლოდ უნდა შეძლოს კონტრ-გეგმის რამდენიმე ხარვეზის დაჭრა და მისი შედარება საკუთარი გეგმის უპირატესობებთან.

მოქმედების სუბიექტზე მიმართული კონტრ-გეგმის შემოტანის შემთხვევაშიც, მტკიცებითმა მხარემ საფუძვლიანად უნდა აღადგინოს საკუთარი გეგმის მოქმედების სუბიექტი. მტკიცებითმა გუნდმა ყურადღება უნდა გაამახვილოს სწორედ იმ პუნქტზე, რომლისკენაც არის მიმართული უარმყოფელის იერიში. ამიტომ თავისი გამოსვლების ძირითადი დრო მტკიცებითმა მომხსენებლებმა სწორედ თავისი მოქმედების სუბიექტის კომპეტენტურობაზე, მიუკერძოებლობაზე, სიძლიერეზე თუ სხვა პრიორიტეტებზე საუბარში უნდა დახარჯოს. ამისთვის მტკიცებითი გუნდი კარგად უნდა ერკვეოდეს ამ საკითხში და ფლობდეს საფუძვლიან ინფორმაციას საკუთარი მოქმედების სუბიექტის საქმიანობისა და შესაძლებლობების ირგვლივ.

### სავარჯიშო: №11 „კონტრ-გეგმის შემოტანა“

მიზანი: მონაწილეები კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე ისწავლიან გეგმის შემუშავებას, კონტრ-გეგმის შემოტანას და მის უარყოფას.

მასალები:

**რეზოლუცია:** ადამიანთა უფლებები საქართველოში უნდა იყოს და-ცული

### **პრობლემა:** ოჯახური ძალადობა წინააღმდეგ

ოჯახური ძალადობა, როგორც ასეთი, ქართულ სივრცეში მხოლოდ ქალზე მამაკაცის ძალადობად აღიქმება, ისიც – გაჭირვებით. ქვეყანაში, სადაც ქალისადმი პატივისცემა მამაკაცის ერთ-ერთ მთავარ თვისებად ითვლება, ასეთ რამეს დღესაც ძნელად იჯერებენ; დღესაც – იმიტომ, რომ ჩვენს სინამდვილეში არსებობს ოჯახები, სადაც ძალადობენ არამარტო ქალებზე – ცოლებზე, დედებზე, დებზე, არამედ – შვილებზეც. არიან თუ არა ეს უკანასკნელნი ძალადობის უშუალო მსხვერპლნი, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს – სხვის მიმართ განხორციელებული ძალადობის უურება მათში ადამიანობის გრძნობას, პიროვნებას ანგრევს, გამომდინარე აქედან ყველა შედეგით. ამიტომ უნდა გახდეს ოჯახური ძალადობის მსხვერპლზე ზრუნვა საერთო ზრუნვის საგანი. იმან, რომ საქართველოს ასეთი მსხვერპლი სხვებზე ნაკლები ჰყავს, ამ პრობლემაზე თვალი არ უნდა დაგვახუჭინოს; სხვაგვარად აგრესის დაძლევა ჩვენს საზოგადოებას გაუჭირდება.

ოჯახური ძალადობა არის განმეორებადი და ხშირი ციკლი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური შეურაცხყოფისა, რომელ-საც ოჯახის ერთი წევრი ახორციელებს მეორეზე კონტროლისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად – ასეთია ოფიციალური განმარტება. მეცნიერებმა, ადვოკატებმა და პრაქტიკოსებმა ცნეს, რომ ადამიანის უფლებების სამართალი განივრცობა ისეთ პირადულ სფეროზე, როგორიც არის ოჯახური ძალადობა. ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი, რომელნიც გამოსავალს უკვე ვეღარ ხედავენ, რომელთაც საკუთარი თავის რწმენა აღარ გააჩნიათ და სირცხვილისა და ბრალეულობის განცდით იტანჯებიან, ხშირ შემთხვევაში შველასაც კი აღარ ითხოვენ.

მათ, ვისაც ასეთი რამ საქართველოში შემთხვევია და დახმარების პოვნის სურვილიც გასჩენია, 2001 წლიდან მოყოლებული დღემდე, შეეძლოთ არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარის“ იმედი ჰქონდათ. ოჯახური ძალადობის ამსახველი სტატისტიკა ჩვენს ქვეყანაში მეტ-ნაკლებად დაფიქ-სირებული რომ არის და ტაბუდადებული ოჯახური უსიამოვნო ამბებიც, შეძლებისდაგვარად რომ გვარდება, ამ ორგანიზაციის დამსახურებაა.

„საფარში“ დასაქმებული ფსიქოთერაპევტები და ფსიქოლოგები, ძალადობის მსხვერპლთა დასახმარებლად ფსიქოსოციალურ და სამედიცინო რეაბილიტაციას სრულიად უფასოდ და ანონიმურობის სრული დაცვით ატარებენ. სატელეფონო და კაბინეტური კონსულტაციების, ფსიქოთერაპიული, სამედიცინო და მედიკამენტური დახმარების გარდა, განსაკუთრე-

ბულად ტრავმირებული ქალებისათვის, „საფარმა“ 2001 წელს, პირველად საქართველოში, სპეციალური ანონიმური თავშესაფარი დააარსა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალის დასაცავად, რომელსაც ფიზიკურ, სექსუალურ და ფსიქოლოგიურ შეურაცხყოფას საკუთარი შვილი აყენებდა. ეს თავშესაფარი დღესაც არსებობს. პაციენტი იქ სამი თვის განმავლობაში რჩება. ფსიქოლოგიურ კონსულტაციებთან ერთად, მას, მოძალადესთან დაბრუნების შემთხვევაში, თავდაცვის მეთოდებსაც ასწავლიან.

ინტენსიურ ფსიქოლოგიურ დახმარებასთან ერთად ხერხდება მცირებიულეტიანი სამედიცინო დახმარებაც. ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ადამიანებს ხშირად სჭირდებათ ასეთი დახმარება, ვინაიდან უმეტეს ნაწილს რეპროდუქციული ჯამრთელობის დაზიანება აქვთ. თავშესაფარი არ არის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ნევროზული სტაციონარი – აյ რეაბილიტაციის კურსს გადიან ის ადამიანები, რომლებიც კონკრეტულად ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გახდნენ. თავშესაფარში ერთდროულად ხუთ ქალ შეუძლია ცხოვრება და რეაბილიტაციის გავლა.

დაარსებიდან დღემდე „საფარი“ ოჯახური ძალადობისა პრობლემასა და ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოებაზე ორი ძირითადი მიმართულებით – ძალადობის პრევენციისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის გზით მუშაობს. პრევენციულ ღონისძიებათა ნუსხაში შედის საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლება, ძალადობის შედეგების და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ მისი ინფორმირება და პროფესიონალთა სწავლება.

ფსიქოლოგიურ, სოციალურ და სამედიცინო რეაბილიტაციურ ღონისძიებებთან ერთად „საფარი“ ითვალისწინებს ინდივიდუალურ წყვილებთან ოჯახურ და, ზოგ შემთხვევაში, ჯგუფურ სესიებს. აღსანიშნავბია, რომ სატელეფონო და კაბინეტური კონსულტაციები ხორციელდება როგორც მსხვერპლთან, ასევე ე.წ. აგრესორთან.

## 1 ეტაპი – 30 წუთი

სავარჯიშოს დაწყებისას მონაწილეები იყოფიან მცირე ჯგუფებად და ეცნობიან მასალას. მასალაში აღნიშნული საქმიანობის და ფაქტების საფუძველზე შეიმუშავებენ მოქმედების გეგმას. ამის შემდეგ გუნდები შეიმუშავებენ საკუთარ პოზიციას კონტრ-გეგმის სახით, იმავე პრობლემასთან მიმართებაში.

## 2 ეტაპი – 30 წუთი

სავარჯიშოს შესრულების მეორე ეტაპზე გუნდები 4 წუთიანი მოხსენების სახით წარადგენენ საკუთარ კონტრ-გეგმებს. დებატების მწვრთნელი კი გააკეთებს კომენტარებს და ახსნის, რომელი გუნდის კონტრ-გეგმა შეესაბამებოდა უფრო მეტად იმ კრიტერიუმებს, რომლებიც გაკვეთილის დასაწყისში იყო განხილული.

## XII გაკვეთილი

### დებატი უპირატესობებზე

- პირველი ტიპის გამოსავლის უპირატესობების უარყოფა – 10 წუთი
- სავარჯიშო: „უპირატესობების უარყოფა“ – 60 წუთი

### პირველი ტიპის გამოსავლის უპირატესობების უარყოფა

როგორც ვიცით, მტკიცებითი გუნდი თავისი პოზიციის წარდგენისას გარკვეულ დროს უთმობს იმ უპირატესობების აღნიშვნას, რაც გეგმის განხორციელების შემთხვევაში აუცილებლად მიიღება. ანუ უპირატესობებში ჩამოყალიბებულია ყველა ის დადებითი შედეგი, რაც მოყვება გეგმის განხორციელებას. უპირატესობების ჩამოყალიბება მტკიცებით გუნდას ჭირდება იმისათვის, რომ გაამართლოს თავისი გამოსავალი.

შესაბამისად, უარმყოფელ გუნდს შეუძლია თავისი უარყოფის სტრატეგია მიმართოს იმის დასამტკიცებლად, რომ მტკიცებითი გუნდის მიერ წარმოდგენილი გეგმა შესაძლებელია თავისი იდეებით და სხვადასხვა ქმედებით არ არის ცუდად მოფიქრებული და ჩამოყალიბებული, მაგრამ ეს გეგმა ვერ გამოიღებს იმ შედეგებს, რისი იმედიც აქვს მტკიცებით მხარეს და მტკიცებითის მიერ ჩამოთვლილი უპირატესობები ვერ შეცვლის არსებულ მდგომარეობას.

თუკი უარმყოფელი მხარე პირველი მტკიცებითი მომხსენებლის გამოსავლის შემდეგ გადაწყვეტს, იერიში მიიტანოს უპირატესობების პუნქტზე, მას მოუწევს შემდეგი საკითხების გაანალიზება მოსამზადებელი დროის განმავლობაში.

### სავარჯიშო №12 „უპირატესობების უარყოფა“

ამ სავარჯიშოს მსვლელობა განსხვავდება ჩვენ მიერ უკვე შემოთავაზებული სავარჯიშოების მსვლელობისაგან და უფრო დისკუსიის ხასიათს ატარებს.

მონაწილეები სხდებიან მრგვალი მაგიდის პრინციპით. დებატების მწვრთნელი მთავარი მომხსენებლის როლში გამოდის. განხილული იქნება ოთხი თემა. ყოველი თემის წარდგენის შემდეგ აუდიტორიას ექნება უფლება, დასვას კითხვები. ყველა მონაწილეს ექნება უფლება, 30 წამის განმავლობაში ერთხელ დასვას კითხვა. პასუხისათვის მომხსენებელს (მწვრთნელს) ასევე 30 წამი ეძლევა.

მომავალში სპიკერის როლში კარგია, თუ თვითონ მოდებატეები გამ-

ოვლენ. ასევე ეფექტურია, თუ გამომსვლელს ექნება მიკროფონი, რომელსაც კითხვის დასმის დროსაც გამოიყენებენ მოდებატები. მიკროფონის ფაქტორი უფრო ოფიციალური და ორგანიზებული გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს.

ჩვენ ვისაუბრეთ იმაზე, რომ მოზარდებისათვის თავისუფალი და პოზიტიური გარემოს შექმნას დებატების სწავლების დროს მნიშვნელოვანი როლი ენტება, თუმცა, ასეთი იმიტირებული საჯარო დისკუსიების ტიპის გაკვეთილების მოწყობა ასევე მნიშვნელოვნად მოქმედებს მოზარდების განვითარებაზე.

### მსვლელობა – 60 წუთი

სადისკუსიო მასალები:

- გეგმის განხორციელების შემთხვევაში, ნამდვილად მიიღება დადებითი შედეგები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის რომ აღმოიფხვრას პრობლემა.
- 

მაგალითი:

თუკი მტკიცებითი გუნდის პრობლემაა ნარკოტიკების რაოდენობის მოზღვავება საქართველოში და გეგმა ითვალისწინებს თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებზე კონტროლის გაძლიერებას დამატებითი საკონტროლო პუნქტების გახსნით, რომლებიც კონკრეტულად ნარკოტიკების გამოვლენის სპეციფიკაზე იმუშავებენ, – უარმყოფელს შეუძლია თქვას რომ ეს ქმედება შედეგს ნამდვილად გამოიღებს და ნარკოტიკების შემოსვლა ამ გზით შეიზღუდება; მაგრამ ეს უპირატესობა არ არის საკმარისი, იგი ვერ აღმოფხვრის პრობლემას და ვერ გააუმჯობესებს სტატუს-კვოს, ვინაიდან ნარკოტიკები რუსეთიდან დიდი რაოდენობით შემოდის და იმის შემდეგ, რაც საქართველო გაამკაცრებს კონტროლს თურქეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის საზღვრებზე, რუსეთის საზღვრის გავლით უფრო გაიზრდება ნარკოტიკების შემოტაბები. ასე რომ, პრობლემა მაინც გადაუჭრელი დარჩება.

- გეგმასა და უპირატესობებს შორის არის მიზეზშედეგობრივი კავშირი. განვიხილოთ მაგალითი:

დავუშვათ, რომ მტკიცებითი გუნდი საშუალო სკოლაში ცოდნის დონის ამაღლების პრობლემას აგვარებს გეგმით, რომლის ერთ-ერთი პუნქტია ყველა კლასში წელიწადში ორჯერ, სემესტრის ბოლოს შემაჯამებელი გამოცდების ჩატარება. უარმყოფელს შეუძლია დაასაბუთოს, რომ ცოდნის დაბალი დონე არის სასწავლო პროგრამების შეუსაბამობების, არაეფექტური სწავლების მეთოდებისა და სახელმძღვანელოების დაუხვენაობის ბრალი. ამიტომ გამოცდების ხშირი ჩატარება არ გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს და არ აამაღლებს ცოდნის დონეს. ეს მხოლოდ მოსწავლეთა ორგანიზებულობის და პასუხისმგებლობის განვითარებას შეუწყობს ხელს. ეს,

რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ პრობლემა მაინც გადაუჭრელი დარჩება.

- მტკიცებითმა მხარემ ჩამოაყალიბა ისეთი ხასიათის უპირატესობა, რომელიც, სიკეთის გარდა, შეიძლება ზიანის მომტანიც იყოს.

განვიხილოთ მაგალითი:

დავუშვათ, მტკიცებითი გუნდი წამოაყენებს პრობლემას – მოსახლეობის უსაფრთხოება უნდა იყოს დაცული და შეიმუშავებს გეგმას, რომლის მიხედვით, ნებისმიერ ჯანსაღი ფსიქიკის და არანასამართლევ ადამიანს უფლება ექნება ატაროს გაფორმებული იარაღი თავდაცვის მიზნით. ხოლო უპირატესობაში ჩამოყალიბებული იქნება, რომ ბოროტმოქმედები, რომლებსაც არ ეცოდინებათ, აქვს თუ არა მოქალაქეს იარაღი, მოერიდებიან ადამიანზე თავდასხმებს და ძარცვას. უარმყოფელს შეუძლია დაეთანხმოს, რომ გარკვეული ლოგიკა არის ამ უპირატესობაში, მაგრამ, ამავე დროს, თავდამსხმელი, რომელსაც ეცოდინება, რომ მოქალაქეს შესაძლებელია იარაღი ჰქონდეს, შეეცდება თავდასხმა რამდენიმე დამნაშავესთან ერთად განახორციელოს და თვითონ დაასწროს მოქალაქეს იარაღის გამოყენება. ანუ ძარცვას შეიარაღებული თავდასხმები დაემატება, რაც გააუარესებს კრიმინოგენულ სიტუაციას.

- მტკიცებითმა მხარემ ჩამოაყალიბა უპირატესობები, რომლებიც მომავალში რამოდენიმე ნეგატიურ შედეგს გამოიწვევს.

განვიხილოთ მაგალითი:

დავუშვათ, მტკიცებითი გუნდი ნარკობიზნესის პრობლემას აგვარებს გეგმით, რომელიც ითვალისწინებს, საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 50 აფთიაქში ლეგალურად დაიშვას გარკვეული ნარკოტიკების გაყიდვა. უპირატესობებში კი ჩამოყალიბებულია, რომ ნარკოტიკების მომხმარებლები, შავი ბაზრის ნაცვლად, ნარკოტიკს აფთიაქში ოფიციალურად შეიძენენ და აღარ ისარგებლებენ ნარკოვაჭრების მომსახურებით. უარმყოფელ გუნდს შეუძლია დაასაბუთოს, რომ ნარკოტიკების ლეგალიზაცია პროვოცირება იქნება იმ პირებისათვის, რომლებიც ადრე არ ხმარობდნენ ნარკოტიკებს, ვინაიდან კანონმორჩილები არიან. თუ უარმყოფელი გუნდი ასეთ ლოგიკას გაჰყება, მას არ გაუჭირდება იმის დასაბუთება, რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი გაიზრდება, ხოლო შავი ბაზარი მაინც იარსებებს. იქ გაიყიდება ის ნარკოტიკი, რომელიც არ იქნება ლეგალიზებული.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უარმყოფელ გუნდს შეუძლია უპირატესობების უარყოფის ნებისმიერ ერთ ტაქტიკას მიმართოს, ან სულაც ყველა ერთად გამოიყენოს იმისდა მიხედვით, თუ როგორ განვითარდება თითოეული კონკრეტული თამაში. აქაც ისევე, როგორც უარყოფის სხვა სტრატეგიებში, მნიშვნელოვანია თანმიმდევრულობა. უარმყოფელი გუნდის სამიერე სპიკერი ერთი მიმართულებით უნდა უტევდეს მტკიცებითის უპირატესობებს. რა თქმა უნდა, აქაც უდიდესი მნიშვნელობა ფაქტებისა და

მაგალითების გამოყენებას ენიჭება.

იმისათვის, რომ მტკიცებითმა გუნდმა შეძლოს თავისი უპირატესობების აღდენა, მან კარგად უნდა გაიაზროს სტრატეგია, რომლითაც უპირისპირდება უარმყოფელი გუნდი. დავუშვათ, უარმყოფელი მხარე ასაბუთებს, რომ გეგმის ერთ-ერთი შედეგი, უპირატესობის ნაცვლად, ზიანის მომტანი იქნება. მტკიცებითმა მხარემ არ უნდა დახუჭოს თვალი ამაზე და არ უნდა გადაიტანოს ყურადღება სხვა უპირატესობებზე, არ უნდა დაკარგოს დრო იმის დასაბუთებაზე, რაზეც მაინცდამაინც არ ედავებიან. მტკიცებითმა სწორედ ის უპირატესობა უნდა წამონიოს წინა პლანზე, რომელზეც მოხდა დაპირისპირება და მთელი დრო, ენერგია და ცოდნა დახარჯოს იმის დასამტკიცებლად, რომ ზიანი არ იქნება და დაასაბუთოს, როგორ აიცილებს იგი ნეგატიურ შედეგს.

### XIII გაკვეთილი

#### დებატი უპირატესობებზე

- როგორ დავუპირისპირდეთ მეორე ტიპის გამოსავალს – 20 წუთი.
- სავარჯიშო – „მარტივი ტიპის უპირატესობების უარმყოვა“. – 40 წუთი.

#### როგორ დავუპირისპირდეთ მეორე ტიპის გამოსავალს

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარლ პოპერის დებატები პოლიტიკური ელემენტებით ითვალისწინებს ორი ტიპის გამოსავალს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოდებატეებს შეუძლიათ განსაზღვრული პრობლემის გადასაჭრელად შეიმუშაონ გეგმა, ან წარმოადგინონ ერთიანი რამდენიმე წინადადებით ჩამოყალიბებული გამოსავალი, რომელიც კარლ პოპერის დებატების რეზოლუციას დაემსგავსება.

უარმყოფელ გუნდს, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც შეუძლია დაუპირისპირდეს პრობლემას, თუმცა, როგორც წესი, დაპირისპირება ხდება იმ უპირატესობებზე, რომლებსაც ჩამოთვლის და განავრცობს მტკიცებითი გუნდი. ასე რომ, მტკიცებითი გუნდის პირველი მომხსენებლის გამოსვლის შემდეგ შეიძლება დაიწყოს ტიპური კარლ პოპერის სახელობის დებატე, ანუ დებატი ღირებულებებზე. უარმყოფელი შეუდგება არგუმენტების გაპათილებას, მტკიცებითი მათ აღდგენას და ა.შ. ამ შემთხვევაში გამოსავალი იმგვარი ღირებულებების მატარებელია, რომელიც სადაც შეიძლება გახდეს. მტკიცებითი გუნდი დაასაბუთებს თავისი გამოსავლის დადებით მხარეებს, უარმყოფელი კი შეეცდება, ეჭვი შეიტანოს იმაში, თუ რამდენად დადებითია გამოსავლის დამამტკიცებელი არგუმენტები და რამ-

დენად ამართლებენ ისინი გამოსავალს. მარტივად რომ ვთქვათ, უარმყოფელმა გუნდმა უნდა უარყოს გამოსავალი მისი უპირატესობების (არგუმენტების) უარყოფის გზით. ბოლოს კი დასკვნის სახით გააანალიზოს მტკიცებითის გამოსავლის უპირატესობების კავშირი პრობლემასთან.

**განვიხილოთ მაგალითი:**

**რეზოლუცია:** სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

**პრობლემა:** სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მძიმე ავადმყოფების უფლებების დაცვა. თავისუფლებები, რომელსაც ნეგატიური უფლებებსაც უწოდებენ, სახელმწიფოს პასიურობასაც გულისხმობს. როდესაც ვამბობთ, რომ მე მაქვს რომელიმე თავისუფლება, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არ აქვს უფლება, უხეშად ჩაერის ჩვენს პირად ცხოვრებაში და ინდივიდუალურ ქმედებებში, თუ ეს არ უქმნის საფრთხეს გარშემო მყოფთ. სიტყვის ან სინდისის თავისუფლება უკრძალავს ხელისუფლებას ამ საკითხებში ჩარევას. სიცოცხლის უფლების ამგვარი გაგება ნიშნავს, რომ ჩემი სიცოცხლე ჩემს ხელშია და მისი წარმევის უფლება არავის აქვს, ჩემ გარდა. სერიოზული პრობლემები მაშინ იჩენს თავს, როდესაც საქმე სიცოცხლის დასაწყისთან გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ მედიცინამ არნახულ წარმატებას მიაღწია, ზოგიერთი პაციენტი განწირულია. ვინაიდან ექიმი ვალდებულია, ბოლომდე იბრძოლოს ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, იგი ახანგრძლივებს მის ტანჯვას. ათასობით ადამიანი მსოფლიოში სასიკვდილოდ არის განწირული, შეგუებულია კიდეც ამას, მიჯაჭულია საწოლზე, საშინლად იტანჯება ტკივილებისაგან და სიკვდილზე ოცნებობს. ასეთი ადამიანისთვის სიცოცხლეს აზრი აღარ აქვს. იგი იტანჯება მორალურად და ფიზიკურად, მაგრამ მას არ აქვს უფლება, გაინთავისუფლოს თავი ტანჯვისაგან. დღეს საქართველოში ადამიანს აქვს უფლება, უარი თქვას მეურნალობაზე, მაგრამ ექიმის ჩარევით თავისი სიცოცხლის მოსწრაფების უფლება არ გაჩნია. რაც ადამიანის სიცოცხლის თავისუფლების უფლებას ლახავს.

### **მეორე ტიპის გამოსავალი:**

საქართველოში ევთანაზია უნდა დაკანონდეს.

### **უპირატესობები:**

- ევთანაზიის დაკანონება ადამიანს ტანჯვისაგან ათავისუფლებს.

ევთანაზიის პრაქტიკა ზოგ ქვეყანაში ფართოდაა დანერგილი და წახალისებული სახელმწიფოს მიერ. ზოგან ევთანაზიის შესაძლებლობის თითოეულ შემთხვევას სასამართლო განიხილავს და გასცემს, ან არ გასცემს ნებართვას. ჰოლანდიაში ექიმებს უფლება აქვთ, ტანჯვისაგან გაანთავისუფლონ ავადმყოფი. ყოველი ოცდამეტუთე უკურნებელი სენით დაავადებული ჰოლანდიელი, რომელიც სახლში ხვდება სიკვდილს, სამედიცინო დახმარებ-

ის ამ უკიდურეს ფორმას მიმართავს. ევთანაზიის შემთხვევები ჰოლანდიაში დღითი დღე მატულობს. მოსახლეობა მიეჩვია იმ აზრს, რომ დამოუკიდებლად შეუძლია საკუთარი ბედის განსაზღვრა. ჰოლანდიაში ჩამოყალიბებულია “ევთანაზიის საზოგადოება”, რომელიც მიიჩნევს, რომ სახელმწიფო იცავს ადამიანის სიცოცხლის თავისუფლების უფლებას, როდესაც მომაკვდავს ეხმარება, განთავისუფლდეს ტანჯვისაგან.

- პასიური ევთანაზიის უფლება ხელს შეუწყობს დონორი ორგანოების მოპოვებას.

დღეს სამედიცინო ტექნიკა და ინტენსიური თერაპიის მეთოდები იმდენად განვითარდა, რომ აპარატებს, რომლებიც ორგანიზმის ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ, პრაქტიკულად შეუზღუდავად შეუძლიათ, გადასწიონ სიკვდილის დადგომის მომენტი. იმ პაციენტების სიცოცხლე, რომლებიც ვერასდროს გამოვიდნენ კომის მდგომარეობიდან, აზრს კარგავს. აპარატის გამორთვის გზით პაციენტი უმტკივნეულოდ დატოვებს ამ ქვეყანას, მისი ჯანმრთელი ორგანოები კი სხვა ადამიანებს სიცოცხლეს შეუნარჩუნებენ.

მტკიცებითი გუნდის მიერ შემოთავაზებული ამგვარი ქეისის შემთხვევაში, უარყოფილ გუნდს შეუძლია დაუპირისპირდეს თვით ევთანაზიის იდეას და განაცხადოს, რომ ადამიანის სიცოცხლის თავისუფლების დაცვა სახელმწიფოს მხრიდან ევთანაზიის დაკანონების გზით არ არის გამართლებული და თუ ევთანაზია დაკანონდება, მას ექნება იმდენი უარყოფითი შედეგი, რომ უპირატესობები ამ უარყოფითი მომენტებით გადაიწყება.

კონკრეტულად, უარმყოფელს პირველ უპირატესობასთან დაკავშირებით შეუძლია თქვას, რომ ისეთი ქვეყნები, როგორიც არის ა.შ.შ. და გერმანია, ევთანაზიას არ ამართლებენ და მიიჩნევენ, რომ ეს სახელმწიფოს მიერ დაკანონებული ავადმყოფი ადამიანის სიკვდილით დასჯას წარმოადგენს. ექიმი კი ჯალათს ემსგავსება. არსებობს ბევრი პრეპარატი, რომელიც შეუმსუბუქებს ადამიანს ტანჯვას.

შეიძლება ხელისუფლებას ჰქონდეს უფლება, ძალაუფლება მისცეს ადამიანთა ერთ ჯგუფს (ამ შემთხვევაში, ექიმებს) მეორე ჯგუფის (პაციენტების) მოსაკლავად. ამიტომ ევთანაზიასთან მიმართებაში სიცოცხლე სწორედ რომ თავისუფლებაა, რადგან თავად სახელმწიფო არ უნდა იყოს მკვლელი. ამგვარად, ევთანაზიის ნებისმიერი ფორმით ლეგალიზება დანაშაულია.

მეორე უპირატესობას უარმყოფელი შეიძლება დაუპირისპირდეს მორალური თვალსაზრისით და თქვას, რომ რომის პაპი სასტიკი წინააღმდეგია ევთანაზიის. იგი აცხადებს, რომ “ერთი ადამიანის მოკვდინების ხარჯზე არ შეიძლება მეორე ადამიანს მივანიჭოთ სიცოცხლე”. რომის პაპმა ხაზი გაუსვა აგრეთვე, რომ სამედიცინო მუშაკების ვალდებულებაა ადამიანის სიცოცხლის დაცვა.

გერმანიაში ევთანაზია ადამიანის სიცოცხლის უფლების შელახვად ითვლება ვინაიდან მოწყალების გაღების მიზნით მკვლელობა გერმანელი ხალხ-

ის ცნობიერებაში თეთრხალათიანი ნაცისტების თვითნებისას უკავშირდება, რომელთაც ჰქონდათ იმის გადაწყვეტის უფლება, თუ ვინ უნდა იცოცხლოს და ვინ არა. ამგვარი დაპირისპირების შემთხვევაში, მტკიცებით და უარმყოფელ გუნდებს შორის წარიმართება კამათი იმის თაობაზე თუ რამდენად არის გამართლებული და მისაღები ევთანაზის დაკანონება. როგორც ვიცით, მტკიცებითი გუნდის ამგვარ სტრატეგიას ფიატი ეწოდება, რაც ნიშნავს „დაე იყოს, ასე“, ანუ დავუშვათ ასეა. კონკრეტულად რომ ვიმსჯელოთ, მტკიცებითი გუნდი, რომელიც თავის გამოსავალში განაცხადებს, რომ საქართველოში ევთანაზია უნდა დაკანონდეს, არ ასაბუთებს, თუ როგორ მოხდება ევთანაზის დაკანონება, ან რეალურია თუ არა საერთოდ ამგვარი კანონის შემოღება, ეყოლება თუ არა ამ კანონს მონინაალმდეგები პარლამენტში და სხვა. მტკიცებითი უბრალოდ ამბობს, ეს ასე უნდა მოხდეს და ეს კარგი იქნება. ამიტომაც უარმყოფელი გუნდი კარგად უნდა გაერკვეს მტკიცებითის ქეისის თავისებურებებში და დაუპირისპირდეს არა გამოსავალსა როგორც რაღაც განუხორციელებელს, არამედ უარყოს ეს გამოსავალი მისი შედეგების გაბათილებით, ანუ მის უპირატესობებთან დაპირისპირებით.

განვიხილოთ მაგალითი:

თუკი მტკიცებითი გუნდის გამოსავალია ის, რომ ამერიკის ყველა შტატში უნდა გაუქმდეს სიკვდილით დასჯა, ამ შემთხვევაში, მტკიცებით გუნდს არ აინტერესებს პრეზიდენტის ან კონგრესის პოზიცია. მთავარია ის, მისაღებია თუ არა თვით იდეა სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით. ამიტომაც უარმყოფელი არ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ეს გამოსავალი განუხორციელებელია იმიტომ რომ, გარკვეული შტატები წინაალმდეგობას გაუწევენ ამგვარ რეფორმას, ხოლო კონგრესი არ მიიღებს ამ კანონს და ა.შ. უარმყოფელი უბრალოდ ისაუბრებს, რომ თუკი სიკვდილით დასჯა გაუქმდება ყველა შტატში, ეს გამოიწვევს უარყოფით შედეგს, მაგალითად დაუსჯელობის სინდრომის გაღვივებას, დანაშაულებათა რიცხვი ზრდას, შურისძიების ფაქტებს დაზარალებულთა მხრიდან და ა.შ.

### სავარჯიშო №13 „მარტივი ტიპის უპირატესობის უარყოფა“

მასალები:

**რეზოლუცია:** სოფლის მეურნეობა საქართველოში უნდა განვითარდეს დავიზროვებული რეზოლუცია: საქართველოში მევენახეობა წამყვანი დარგი უნდა გახდეს.

**პრობლემა:** ქართული ვაზის გენოფონდი, როგორც მსოფლიო გენოფონდის ღირსეული შემადგენელი ნაწილი, მთელ მსოფლიოშია აღიარებული. ამის ერთ – ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა მისი ფიქსაცია პარიზის ვაზის გენეტიკური რესურსების კატალოგში. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ვაზის და ღვინის სამშობლოში ვაზი კვდება, ღვინო კი ირყვნება.

ექსპერტები ასე ფიქრობენ – რომელი ვაზის სამშობლოზე და აკვანზეა

საუბარი, როცა ახლად გაშენებულ ვენახებში საფერავსა და მწვანეს ვა-ქირულად და შანიძე (უჯიშო ვაზი ჰიბრიდი) ჭარბობს და ამ ჰიბრიდებიდან მიღებული ლვინოები „ეინდმარაულად“ და „ახაშენად“ იყიდება?

გერმანული საკონსულტაციო კომპანია „გიზ“ – ის კონსულტანტებმა, რომლებმაც ჩვენი დავადებული ვენახებიც დაათვალიერეს და ყოველგვარი სამარკო და არასამარკო ლვინო იგემეს, ლიად განაცხადეს: – „გაჩუმდით მაინც“. . . ? 5 და 10 საუკუნის წინ რა კულტურა გქონდათ, ამაზე საუბარი სხვა სფეროა, დღეს კი მევენახეობა-მეღვინეობაში ხმაც არ ამოგელებათ“.

მტერმა რომელიც ისტორიულ წარსულში მხოლოდ გარკვეული ხნით გვი-პყრობდა, დღეს საკუთრივ ჩვენში გადმოინაცვლა და თითქმის სამუდამოდ შეგვიპყრო. იმას, რაც დღევანდელ მევენახეობა-მეღვინეობაში ხდება, შეიძლება, როგორც კულტურული, ასევე ეკონომიკური თვითმკვლელობა ვუწოდოთ.

დღეს ბოთლში ჩასხმული ნახევრად ტკბილი ლვინოების 99% უჯიშო ყურძენზეა დამზადებული. შეიძლება ითქვას, ვაქირულამ მთელი ქართული მეღვინეობა წალეკა, არადა, ჩვენთვის ვაზი კულტურული ფასეულობაა და ამ მხრივ მართლაც იშვიათი მემკვიდრეობა გვერგო. ქართული ვაზის ნაყოფს ან თუნდაც ფოთოლს ერთიც რომ დახედო მასში საუკუნეები იგრძნობა, თითქოს, წარსულში იყურები და მთელ ისტორიას ხედავ.

## 1 ეტაპი – 20 წუთი

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე აუდიტორია დაიყოფა მცირე ჯგუფებად, ჯგუფების წევრები გაეცნობიან მასალებს და შეიმუშავებენ გამოსავალს და უპირატესობებს.

## 2 ეტაპი – 25 წუთი

თითოეული გუნდი წარადგენს მტკიცებით ქეისს (პრობლემა, გამოსავალი, უპირატესობები) 5 წუთის განმავლობაში. ყოველ გუნდს სავარჯიშოს მსვლელობაში ეყოლება თავისი ოპონენტი გუნდი, რომელიც ჩაიწერს მთელს მოხსენებას.

## 3 ეტაპი – 30 წუთი

სავარჯიშოს მესამე ეტაპზე გუნდები დაუპირისპირდებიან უპირატესობებს სამი წუთის განმავლობაში, ხოლო მტკიცებით მხარეს მოთამაშე გუნდები კვლავ აღადგენენ თავანთ არგუმენტებს, ასევე სამი წუითს განმავლობაში.

## 4 ეტაპი – 25 წუთი

სავარჯიშოს მეოთხე ეტაპზე დებატების მწვრთნელი დეტალურად განხილავს შეჯახების არებს, განმარტავს გუნდების შეცდომებს და მის-ცემს მითითებებს.

## XIV ჯვარედინი დაკითხვა და მომხსენებელთა პასუხისმგებლობები

- ჯვარედინი დაკითხვის მიზნები და ხერხები – 20 წუთი
- სავარჯიშო „ჯვარედინი დაკითხვა“ – 40
- მომხსენებელთა მოვალეობები და მსაჯობა – 20 წუთი

### ჯვარედინი დაკითხვის მიზნები და ხერხები

პოლიტიკურ დებატებში, ისევე, როგორც პოპერის ფორმატში, თამაშის მსვლელობისას იმართება ოთხი ჯვარედინი დაკითხვა, რომელიც სამი წუთის განმავლობაში გრძელდება. აქაც პირველი ჯვარედინი დაკითხვა იმართება მესამე უარმყოფელ და პირველ მტკიცებით მომხსენებელს შორის. ვინაიდან პოლიტიკური დებატები ტაქტიკური თამაშია, პირველ ჯვარედინი დაკითხვას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ პუნქტის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს უარმყოფელმა გუნდმა, მტკიცებითი პოზიციის რომელ ელემენტს შეარჩევს უარყოფისათვის.

როგორც ვიცით, ჯვარედინი დაკითხვის შედეგად მიღებულ სასურველ პასუხს აუცილებლად იყენებს შემდეგი გამომსვლელი. უარმყოფელ გუნდს უნდა ახსოვდეს, რომ პირველი უარმყოფელის გამოსვლაში გაცხადებული ტაქტიკა მთელი თამაშის განმავლობაში არ უნდა შეიცვალოს. საკმარისია გუნდმა რომელიმე შემდგომ გამოსვლაში გადაუხვიოს უარყოფის თავიდან არჩეულ მეთოდს, რომ მისი დაპირისპირების სიმძაფრე და ეფექტურობა დაიკარგება. ამიტომაც უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ უარმყოფელმა მხარემ პირველ ჯვარედინ დაკითხვაში დასვას რაც შეიძლება უფრო მეტი კითხვა მტკიცებითი პოზიციის ყველა პუნქტთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, კარგი იქნება მოსაფიქრებელი დროის ეფექტური გამოყენება. თუკი გუნდს წინასწარ ექნება შემუშავებული გარკვეული სტრუქტურა, მას არ გაუჭირდება, მცირე დროის განმავლობაში დასვას საინტერესო კითხვები და მიღოს სასურველი პასუხები.

ჩვენ შემოგთავაზებთ იმ სავარეულო მიმართულებებს, რაზეც უნდა დაფიქრდეს უარმყოფელი გუნდი პირველი მტკიცებითი მომხსენებლის გამოსვლის პროცესში და პირველი ჯვარედინი დაკითხვის წინ მოსაფიქრებელ დროს:

- სწორად განმარტა თუ არა ოპონენტმა პრობლემა და რამდენად კავშირშია იგი რეზოლუციასთან.
- არის თუ არა კავშირში სტატუს-კვო დასმულ პრობლემასთან.
- გვისაბუთებს თუ ვერა კონკრეტული ფაქტებით ოპონენტი სტატუს-კვოში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას.

- რამდენად მნიშვნელოვანა პრობლემა და ღირს თუ არა საერთოდ მასზე დროის, ენერგიის, ადამიანური და მატერიალური რესურსების დახარჯვა. არსებობს კი რეალური სტატისტიკა, რომელიც გვისაბუთებს დასმული პრობლემის მნიშვნელოვანებას?! ანუ ხომ არ არის პრობლემა ფანტაზიის ნაყოფი?
  - თვითონვე ხომ არ გადაჭრის სტატუს-კვო პრობლემას. იქნებ, არსებულ პოლიტიკაში უკვე არის ჩადებული ისეთი პროგრამა, რომელიც ეხება დასმულ პრობლემას? მაშინ შესაძლებელია პრიბლემა სტატუს-კვოს ნაწილი გახდეს. ამ შემთხვევაში, დებატი დაუშვებელია.
  - იქნებ პრობლემა საერთოდაც ვერ გადაიჭრება?!
  - სწორედ განსაზღვრა თუ არა მტკიცებითმა გუნდმა ბრალი?
  - სწორედ არის თუ არა განსაზღვრული მოქმედების სუბიექტი.
  - რა როლი ეკისრება კონკრეტული მოქმედების სუბიექტს და არის თუ არა კავშირი მოქმედების სუბიექტის კომპეტენციასა და გეგმის განხორციელების პროცესს შორის.
  - გადაჭრის თუ არა გეგმა პრობლემას.
  - შესრულებადია თუ არა ეს გეგმა არსებულ ვითარებაში.
  - რა წინააღმდეგობებს წააწყდება გეგმა.
  - მოაქვს თუ არა გეგმას ზიანი.
  - რა ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს გეგმის განხორციელებას.
  - ხორციელდება თუ არა უკვე ამგვარი გეგმა, ანუ ხომ არ არის მტკიცებითის მიერ შემოთავაზებული გეგმა სტატუს-კვოს ნაწილი.
  - არის თუ არა გეგმის პუნქტებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი.
  - არის თუ არა ფაქტებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი.
  - მიიღება კი შემოთავაზებული გეგმიდან ყველა ის უპირატესობა, რაც ჩამოთვალა მტკიცებითმა მხარემ?
  - გადაწინის თუ არა უპირატესობები იმ ზიანს რომელიც შეიძლება წარმოიქმნას გეგმის შესრულების შემთხვევაში.
  - ის უპირატესობები, რონლებიც გეგმის შედეგად მიიღება, აღმოფხვრიას თუ არა პრობლემას, ანუ მიღებული უპირატესობები იქნება თუ არა იმის გარანტია, რომ სტატუს-კვო უკეთესობისაკენ შეიცვლება.
- იმის შემდეგ, რაც უარმყოფელი მხარე მსგავს საკითხებს განიხილავს, გუნდის წევრებმა სწრაფად უნდა მოიფიქრონ მტკიცებითის ქეისიდენ გამომდინარე კონკრეტული კითხვები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამი წუთის განმავლობაში უარმყოფელმა მხარემ მოასწოროს ოპონენტის მოხსენების ყველა ელემენტის გამოძიება ზოგადად, ხოლო ყველაზე სუსტ პუნქტთან დაკავშირებით რამდენიმე კონკრეტული კითხვის დასმაც და პასუხის მოსმენაც.
- ამის შემდეგ უაემყოფელ გუნდს კიდევ ერთხელ ექნება საშუალება, დაფიქრდეს, მტკიცებითი მხარის რომელ პუნქტში აღმოჩენილი ხარვეზები

არის მეტად მნიშვნელოვანი და ამის მიხედვით ააგოს უარყოფის სტრატეგია.

მეორე ჯვარედინ დაკითხვას, რომელსაც აწარმოებს უარმყოფელი მხარე, უფრო კონკრეტული მიზნები აქვს. ამ დროისათვის უარყოფის პოლიტიკა უკვე შერჩეულია და გუნდები მტკიცებითი პოზიციის მხოლოდ ერთ პუნქტზე კამათობენ. ლოგიკურია, რომ უარმყოფელი გუნდის მეორე ჯვარედინი დაკითხვა მთლიანად მიმართულია ამ პუნქტის სუსტი მხარეების მხილებისაკენ. ამისათვის უარმყოფელმა მხარემ მეორე მტკიცებითი მომხსენებლის გამოსვლაში უნდა ეძიოს ფაქტებსა და დასკვნებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების უზუსტონები და ლოგიკურ მსჯელობაში დაშვებული ხარვეზები. ჯვარედინი დაკითხვა მშვენიერი საშუალებაა ყოველივე ამის დასადგენად.

მტკიცებითი გუნდის მიერ ჩატარებულ ორივე ჯვარედინ დაკითხვას ერთი და იგივე მიზანი აქვს. მტკიცებითმა გუნდმა დასმული კითხვისა და მიღებული პასუხების ხარჯზე თავისი პოზიციის რეაბილიტაცია უნდა მოახდინოს. მნიშვნელოვანია, რომ კითხვები დაისვას იმ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რაზეც მოხდა შეჯახება უარმყოფელი გუნდის მხრიდან.

ჯვარედინ დაკითხვას აქვს რამდენიმე მეთოდი და პრინციპი, რომელთა გამოყენება და დაცვა ეხმარება მოთამაშეს სასურველი პასუხის მიღებაში. ამ ასკითხებზე საუბარი ჩვენ უკვე გვქონდა წიგნის პირველ ნაწილში. ამიტომ ამ თემაზე ამჯერად არ შევჩერდებით. ალვინიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ჯვარედინი დაკითხვა არ იმართება მსაჯისათვის. მას მხოლოდ და მხოლოდ მოთამაშეებისათვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა და ამ საკითხის ტექნიკური დახვენა დებატის დროს ნამდვილად მოუტანს წარმატებას ნებისმიერ გუნდს.

#### სავარჯიშო №14 „ჯვარედინი დაკითხვა“

მასალები:

სავარჯიშო №13 – ის მასალები და მოდებატეთა მიერ შემუშავებული ქეისები

1 ეტაპი – 10 წუთი

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე აუდიტორიას ვყოფთ ორკაციან გუნდებად, პრინციპით ერთი ერთის წინააღმდეგ. მონაწილეებს ვავალებთ, ინდივიდუალურად შეიმუშაონ რაც შეიძლება მეტი კითხვა.

2 ეტაპი – 30 წუთი

ჯვარედინი დაკითხვისათვის თითო დაპირისპირებულ წყვილს ეძლევა 6

წუთი. მათ რიგრიგობით უნდა დაუსვან ერთმანეთს კითხვები და გასცენ სა-თანადო პასუხები. კითხვა-პასუხი უნდა მიმდინარეობდეს დინამიკურად და ორგანიზებულად. დებატების მნვრთნელი თვალყურს ადევნებს ჯვარედინ დაჯითხვას და ახელს უწყობს მოდებატეებს, მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები.

### **მომხსენებელთა მოვალეობები და მსაჯობა**

ჩვენი წიგნის მეორე ნაწილი დაეთმო კარლ პოპერის დებატების შესწავ-ლას, რომელიც „პოლიტიკური ელემენტებით“ დებატების სახელით არის ცნობილი. ეს ფორმატი, როგორც ადრე აღვნიშნეთ, თავისი სტრუქტურით, პოპერის დებატების იდენტურია. ერთმანეთს კვლავ ეჯიბრერება სამი მოთ-ამაშისაგან შემდგარი ორი გუნდი – მტკიცებითი და უარმყოფელი. მომხსენ-ებელთა გამოსვლების თანმიმდევრობა და დროის რეგლამენტი, ჯვარედინი დაკითხვა და მოსაფიქრებელი დრო პოლიტიკურ ფორმატში არ იცვლება. მსაჯსაც ამ ფორმატში იგივე ფუნქციები აკისრია.

პოლიტიკურ დებატებში მსაჯი, რა თქმა უნდა, ადევნებს თვალყურს წესების დაცვას, გამოსვლების თანმიმდევრობას, მაგრამ მაინც ამ ფორ-მატში ყველაზე მთავარია ის, თუ რამდენად ლოგიკური იყო გუნდის მსჯელობა. მსაჯის ძირითადი მოვალეობები კი კვლავ თამაშის წაყვანა და დროის დანიშვნა, ჩანაწერის გაკეთება, ბიულეტენის შევსება, გამარჯვე-ბულის გამოვლენა, თამაშის განხილვა და ინდივიდუალური კომენტარების გაკეთება რჩება. ისევე, როგორც პოერის დებატებში, გადაწყვეტილებას მსაჯები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და შეუთანხმებლად იღებენ. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ დებატების თამაშის შესახებ გადაწყ-ვეტილების მისაღებად არ არსებობს ერთადერთი და სწორი გზა, საერთოა მხოლოდ კრიტერიუმები: ლოგიკური მსჯელობა, არგუმენტაცია, ანალიზი, ეფექტური პრეზენტაცია, ორგანიზებულობა, დამამტკიცებელი მასალა, გუნდური თამაში, მომხსენებელთა მოვალეობების შესრულება, ოპონენტის პატივისცემა.

## საპარლამენტო დებატები

საპარლამენტო დებატების სატრენინგო მასალები 1999 წლიდან ფონდ „ლია საზოგადოება საქართველოს“ კარლ პოპერის დებატების პროგრამის საშუალებით ქართულ ენაზე არის თარგმნილი, თუმცა, არც ერთ ოფიციალურ გამოცემაში არ არის დაფიქსირებული. საპარლამენტო დებატების სწავლებისათვის საჭირო მასალები საერთაშორისო დებატების ასოციაცია IDEA – ს მიერ არის მოწოდებული.

### საპარლამენტო დებატები საქართველოში

#### პრიტანული სტილი

მსოფლიოში გავრცელებულია ფორმალური დებატების სხვადასხვა სტილი: კარლ პოპერის და პოლიტიკური დებატები, რომელიც ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ ჩვენს სახელმძღვანელოში, ასევე, საპარლამენტო დებატები, ლინკოლნ-დუგლასის დებატები, და ა.შ.

ამჯერად, ყურადღებას შევაჩირებთ საპარლამენტო დებატებზე, რომელიც გამოიყენება მთელი მსოფლიოს სტუდენტების მიერ და სათავეს ბრიტანული თანამეგობრობის ქვეყნებში იღებს. არსებობს საპარლამენტო დებატების ორი განსხვავებული სტილი: ამერიკული და ბრიტანული. მათ შორის ყველაზე დიდი განსხვავება არის ის, რომ ამერიკულ ფორმატში მონაწილეობას იღებს ორი გუნდი, ხოლო ბრიტანულ ფორმატში – ოთხი. ერთ პოზიციას ამტკიცებს ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გუნდი. მაშასადამე, ორი მთავრობა – გამხსნელი და დამასრულებელი, იცავს რეზოლუციას და ასევე ორი ოპოზიცია – გამხსენელი და დამასრულებელი, უარყოფს მას. თუმცა, თამაშში იმაჯვებს ერთი გუნდი და არა რომელიმე მხარე. ამიტომ, თითოეული გუნდი ცდილობს, უფრო დამაჯერებლად წარსდგეს მსაჯების წინაშე და ამით აჯობოს როგორც მის მომხრე, ასევე მოწინააღმდეგე გუნდებს.

თამაშს უძლვება პალატის სპიკერი, რომელიც მსაჯის ფუნქციასაც ასრულებს. მსაჯთა რიცხვი შეზღუდული არ არის, ხოლო პალატის სპიკერი კი ყოველთვის ერთია.

წესი ბევრი არ არის, თუმცა, არსებობს უამრავი სტრატეგია, რომელიც საინტერესო იქნება როგორც გამოცდილი მოდებატებისათვის, ასევე დამწყებთათვის.

### საპარლამენტო დებატების პრიტანული სტილის წესების მიმოხილვა

პრიტანული სტილის საპარლამენტო დებატებში ოთხი გუნდი კამათობს რეზოლუციაზე – ორი ერთ მხარეს, ორი კი – მეორე მხარეს. თითოეული გუნდი ორი წევრისაგან შედგება და თითოეული წევრი თამაშის განმავლობაში სიტყვით ერთხელ გამოდის. მაშასადამე, სულ გვაქვს რვა მოხსენება. ყველა გამოსვლა დროში შეზღუდულია და ხუთი წუთი გრძელდება. გუნდების სახელწოდებები და მათი შემადგენლობა შემდეგნაირია:

### **გამხსენლი მთავრობა:**

“პრემიერ-მინისტრი” ან “მთავრობის პირველი წევრი”;

“პრემიერ-მინისტრის მოადგილე” ან “მთავრობის მეორე წევრი”;

### **გამხსენლი ოპოზიცია:**

“ოპოზიციის ლიდერი” ან “ოპოზიციის პირველი წევრი”;

“ოპოზიციის ლიდერის მოადგილე” ან “ოპოზიციის მეორე წევრი”;

### **დამასრულებელი მთავრობა:**

“მთავრობის წევრი” ან “მთავრობის მესამე წევრი”;

“მთავრობის ორგანიზატორი” ან “მთავრობის მეოთხე წევრი”;

### **დამასრულებელი ოპოზიცია:**

“ოპოზიციის წევრი” ან “ოპოზიციის მესამე წევრი”;

“ოპოზიციის ორგანიზატორი” ან “ოპოზიციის მეოთხე წევრი”;


მომხსენებლები შემდეგი თანმიმდევრობით გამოდიან:

1. პრემიერ-მინისტრი
2. ოპოზიციის ლიდერი
3. პრემიერ-მინისტრის მოადგილე
4. ოპოზიციის ლიდერის მოადგილე
5. მთავრობის წევრი
6. ოპოზიციის წევრი
7. მთავრობის ორგანიზატორი
8. ოპოზიციის ორგანიზატორი

ოთახი, სადაც მიმდინარეობს დებატი, დაახლოებით ასე გამოიყურება:

**პალატის**

**სპიკერი**



<b>ო.ლ.</b>		<b>პ.პ.</b>
<b>ო.ლ.პ.</b>		<b>პ.პ.პ.</b>
<b>ო.ნ.</b>		<b>პ.ნ.</b>
<b>ო.ო.</b>		<b>პ.ო.</b>

**მსაჯები**

აღსანიშნავია, რომ ერთ მხარეზე მოთამაშე ორი გუნდი დამოუკიდებლად თამაშობს. ისინი ერთმანეთთან არც წინასწარ და არც თამაშის განმავლობაში არაფერზე არ თანხმდებიან; თუმცა, რაღა თქმა უნდა, თამაშის

განმავლობაში მათ უნდა იზრუნონ იმაზე, რომ ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ ჩავარდნენ და მხოლოდ იმას დაუპირისპირდნენ, რასაც მოწინააღმდეგე მხარეზე მოთამაშე გუნდები ამტკიცებენ.

თამაშის შემდეგ, მსაჯები გუნდებს ანიჭებენ რანგებს. გუნდი, რომელიც მიიღებს პირველ რანგს, გამარჯვებულია; შესაბამისად, მეორე რანგიანი გუნდი მეორე ადგილზეა და ა.შ. გარდა რანგებისა, გუნდებსაც და მომხსენებლებსაც ენერებათ ინდივიდუალური ქულები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თამაშს უძლვება პალატის სპიკერი, რომელიც მომხსენებლებს წარადგენს აუდიტორიის წინაშე და სთხოვს სიტყვით გამოსვლას. გამოსვლის დაწყებიდან ერთი წუთის შემდეგ და მის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე პალატის სპიკერი ერთხელ აკაკუნებს, ხოლო დროის ამონურვის შემდეგ ის ორჯერ დააკაკუნებს – ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომხსენებელს ეძლევა 15-30 წამი აზრის დასამთავრებლად, ხოლო თუკი მან 30 წამის გასვლის შემდეგაც განაგრძო საუბარი, მაშინ პალატის სპიკერი მას სთხოვს დაჯდომას.

გამოსვლებს შორის მოსაფიქრებელი დრო არ არსებობს.

მომხსენებლები მიმართავენ არა ერთმანეთს, არამედ პალატის სპიკერს.

მსაჯობის კრიტერიუმი მარტივია – ყველაზე დამაჯერებელი გუნდი იმარჯვებს.

რეზოლუცია თამაშის დაწყებამდე 15 წუთით ადრე ცხადდება.

საპარლამენტო დებატის ბრიტანული სტილის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია: რეზოლუცია, დეფინიცია, პოზიცია და მანერა.

## რეზლუცია

რეზოლუცია დებატებში უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ის არის საკამათო თემა. თუმცა, გუნდები როგორც წესი, აკეთებენ რეზოლუციის დეფინიციას და ამ გზით მას კონკრეტულ საკითხამდე ავიწროებენ.

პირობითად რეზოლუციები შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს: ვიწრო, შედარებით ფართო და ფართო რეზოლუციები.

მაგალითად, რეზოლუცია “ამ პალატას სურს ყველა სახის ნარკოტიკების ლეგალიზაცია” ვიწრო რეზოლუციაა. ამ სახის რეზოლუციის დავიწროება თითქმის შეუძლებელია და დეფინიციასა და რეზოლუციას შორის განსხვავება მხოლოდ რამდენიმე სიტყვაში შეიძლება იყოს.

ფართო რეზოლუციის მაგალითებია: “ამ პალატას სჯერა, რომ ცვლილების დროა”; “ამ პალატას სჯერა, რომ ცხრაჯერ უნდა გაზომო და ერთხელ უნდა გაჭრა” და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, ყველაფერი დამოკიდებულია დეფინიციაზე. მსგავსი რეზოლუციის პირდაპირ გაგება წამგებიანია. ამ დროს უმჯობესია წინასწარ მომზადებული საკითხის “მორგება” რეზოლუციასთან. ახალბედა გუნდები ხშირად იბნევიან და ამიტომ დებატიც უფრო უინტერესო ხდება. გამოცდილი გუნდები კი ასეთ შემთხვევებს თავიანთ

სასარგებლოდ იყენებენ და თამაშში მაქსიმალურად კონკრეტული დეფინიცია შემოაქვთ.

რეზოლუციის მესამე სახეა შედარებით ფართო რეზოლუცია. მაგალითად: „ამ პალატას სჯერა, რომ ევროპა უნდა შეიზღუდოს“; „ეს პალატა გმობს წარმატებულ სახელმწიფოებს“ და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, მთავრობას ეძლევა საშუალება, აირჩიოს დეფინიცია, მაგრამ ისე, რომ რეზოლუციის მთავარ არსს არ სცილდებოდეს. პრინციპში, მთავრობას ამ დროსაც შეუძლია რეზოლუციას წინასწარ მომზადებული საკითხი „მოარგოს“, მაგრამ, რა თქმა უნდა ეს ამ შემთხვევაში უფრო რთული იქნება

## დეფინიცია

დეფინიცია არის რეზოლუციის მნიშვნელოვანი სიტყვების განმარტება და რეზოლუციასთან დაკავშირებული რომელიმე საკითხის წამოჭრა და გამოყოფა.

პრემიერ-მინისტრი თავისი გამოსვლის დასაწყისშივე წარმოადგენს დეფინიციას.

დეფინიცია უნდა იყოს:

1. მჭიდროდ და ლოგიკურად დაკავშირებული რეზოლუციასთან – ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერმა საღად მოაზროვნე ადამიანმა უნდა შეძლოს ამ კავშირის დანახვა.
2. კარგი საკამათო. თუკი თქვენ თვითონ ვერ ხედავთ თქვენი დეფინიციის გამაბათილებელ არგუმენტებს, ასეთი დეფინიციის შეთავაზება უსამართლობაა. დეფინიცია არ უნდა იყოს თავისთვად ცხადი და მისალები. მას უნდა გააჩნდეს ორივე მხარე – დადებითი და უარყოფითი.
3. თანამედროვე – ანუ, დეფინიციაში არ უნდა იყოს საუბარი წარსულზე ან შორეულ მომავალზე. შინაარსობრივად ის აწმყოში მიმდინარე მოვლენებს უნდა ეხებოდეს. სასურველია, დეფინიცია არ წარმოადგენდეს Status Quo-ს, მაგრამ ის პრობლემა, რომელზეც დეფინიციაშია საუბარი, დროული უნდა იყოს.
4. სამართლიანად ვიწრო. დეფინიციამ დებატი ისე არ უნდა შეზღუდოს, რომ საუბარი იყოს რომელიმე განსაკუთრებულ გეოგრაფიულ ან პოლიტიკურ პუნქტზე, რომლის შესახებ ცოდნა არ მოეთხოვება დებატის მონაწილეს. მაშასადამე, სპეციფიკური ცოდნის გამოყენება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. მაგალითად, მოთამაშეს არ შეუძლია საუბარი დაიწყოს თავის მშობლიურ სოფელში არსებულ პრობლემებზე მაშინ, როცა, არათუ ამ პრობლემებზე, არამედ ამ სოფლის შესახებაც კი არავის სმენია.

## დეფინიციაზე შედავება

თუკი დეფინიცია არ აკმაყოფილებს რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტს, ოპოზიციის ლიდერს შეუძლია დაუპირისპირდეს მას. მან გარკვევით

უნდა განაცხადოს, რომ ის არ ეთანხმება დეფინიციას და უნდა შეცვალოს ის ალტერნატიული დეფინიციით.

ჩვეულებრივ, გამხსნელი მთავრობის მიერ შემოთავაზებული დეფინიცია ყოველთვის მისალებია, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა.

მაშინ, როცა გამხსნელი მთავრობის დეფინიცია შეუსაბამოა და მას გამხსნელი ოპოზიცია შეცვლის ალტერნატიული დეფინიციით, დამასრულებელმა მთავრობამ შეიძლება წარმოადგინოს ისეთი პოზიცია, რომელიც შეესაბამება არა გამხსნელი მთავრობის მიერ წარმოდგენილ დეფინიციას, არამედ გამხსნელი ოპოზიციის დეფინიციას.

თუკი გამხსნელმა ოპოზიციამ მთავრობის დეფინიცია კვლავ უაზრო და შეუსაბამო დეფინიციით შეცვალა, დამასრულებელ მთავრობას შეუძლია, კვლავ შეედავოს დეფინიციაზე გამხსნელ ოპოზიციას და შეცვალოს ის ალტერნატიული დეფინიციით.

თუკი დამასრულებელი მთავრობის ალტერნეტიული დეფინიცია კვლავ შეუსაბამოა (მაშინ, როცა გამხსნელი მთავრობის და გამხსნელი ოპოზიციის დეფინიციები ასევე შეუსაბამო იყო), დამასრულებელ ოპოზიციას შეუძლია დაუპირისპირდეს დამასრულებელი მთავრობის დეფინიციას და თავისი ალტერნატიული დეფინიცია შემოიტანოს. თუმცა, პრაქტიკაში ასე არასდროს ხდება.

დამასრულებელი გუნდების პირველმა მომხსენებლებმა უნდა გააფართოვონ შემოთავაზებული დეფინიცია. ამის გაკეთება შესაძლებელია საკითხისადმი სხვა მხრიდან მიღებომით. მომხსენებლებმა არ უნდა გაიმეორონ წინა გუნდების არგუმენტაცია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთ მხარეზე მოთამაშე გუნდები ერთმანეთს უნდა დაუპირისპირდნენ. პირიქით, ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. დეფინიციის გაფართოება (ახალი არგუმენტაციის შემოტანით) არ უნდა სცილდებოდეს უკვე დასმული საკითხის საზღვრებს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას.

## პოზიცია

პოზიცია არის მოხსენების შინაარსი. ის წარმოადგენს იმ არგუმენტების ერთობლიობას, რომლებსაც მომხსენებული იყენებს აუდიტორიისა და მსაჯების დასარწმუნებლად.

პოზიცია მოიცავს არამარტო ძირითად არგუმენტებს, არამედ მსჯელობას, მაგალითებს, ფაქტებს, პუნქტებს “ინფორმაციისათვის“. აქ იგულისხმება როგორც ის მასალა, რომელსაც რაიმეს დასამტკიცებლად ვიყენებთ, ასევე ის მასალა, რომლითაც რაიმეს უარვყოფთ.

## პოზიციის ელემენტები:

პოზიცია უნდა იყოს მართებული, შესაბამისი და ლოგიკური. არგუმენტები ჩამოყალიბებულ უნდა იქნას ლოგიკურად და გასაგებად. თითოეულ მათგანს უნდა გაუკეთდეს თავისი დასკვნა. პოზიცია მჭიდრო კავშირში უნდა იყოს საკამათო თემასთან.

ერთ მხარეზე მოთამაშე ორი გუნდის პოზიცია უნდა იყოს ერთმანეთ-თან დაკავშირებული შინაარსობრივად და, რაც მთავარია, არ უნდა მოი-ცავდეს წინააღმდეგობებს.

## მანერა

მანერაში იგულისხმება პრეზენტაცია. ეს არის სიტყვით გამოსვლის სტილი და სტრუქტურა.

### სტილის ელემენტები:

სტილის ელემენტებში შედის: თვალებით კონტაქტი, ხმის მოდულაცია, ჟესტიკულაცია, სასაუბრო ენა, ჩანაწერების გამოყენება და სხვა ელემენტები, რომლებიც გავლენას ახდენს პრეზენტაციის ეფექტურობაზე.

თვალებით კონტაქტის დროს, მომხსენებელი უფრო გულწრფელი ჩანს და, აქედან გამომდინარე, მისი საუბარი უფრო დამაჯერებელია.

ხმის მოდულაცია მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მომხსენებელს ეძლევა საშუალება, ინტონაციის მეშვეობით ხაზი გაუსვას მნიშვნელოვან არგუმენტებს და ამით უფრო მიიზიდოს აუდიტორიის ყურადღება. აქ იგ-ულისხმება საუბრის ტონი, სიმაღლე, ხმა, პაუზების გამოყენება და ა.შ.

მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების გასამახვილებლად ასევე დიდ როლს თამაშობს ჟესტიკულაცია, თუმცა ხელების გადაჭარბებული ქნევა არ არის სახარბიელო, ვინაიდან საზოგადოების ყურადღება გადავა ჟესტიკულაციაზე და არა გამოსვლის შინაარსზე.

სასაუბრო ენა უნდა იყოს გასაგები და მარტივი. მომხსენებლები, რომლებიც ზედმეტად მაღალფარდოვნად საუბრობენ, ასევე დაკარგავენ აუდიტორიის ყურადღებას.

ჩანაწერების გამოყენება ნებადართულია, მაგრამ მომხსენებლები ბოლომდე ჩანაწერებს არ უნდა დაეყრდნონ, რადგან ამით ვერ გამოიყენებენ მანერის სხვა ელემენტებს.

### სტრუქტურის ელემენტები:

სტრუქტურის ელემენტებში შედის: მომხსენებლის გამოსვლის სტრუქტურა და გუნდის პოზიციის სტრუქტურა.

პრეზენტაცია ეფექტური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პოზიცია ორგანიზებულად იქნება ჩამოყალიბებული.

თითოეული მომხსენებლის სიტყვა:

1. უნდა მოიცავდეს: შესავალს, დასკვნას და არგუმენტებს.
2. უნდა იყოს დროში კარგად განაწილებული.

## პუნქტი ინფორმაციისათვის

პუნქტი “ინფორმაციისათვის” არის შეკითხვა ან კომენტარი, რომელიც შეთავაზებულია გამომსვლელისადმი ოპონენტი გუნდების რომელიმე

წევრისაგან. როდესაც ერთ-ერთი გუნდის მომხსენებელი სიტყვით გამოდის, სხვა გუნდის მომხსენებელს შეუძლია კითხვით მიმართოს მას. ამის გასაკეთებლად, ის უნდა ადგეს და მიუთითოს, რომ მას სურს შეთავაზოს პუნქტი „ინფორმაციისათვის“, შემდეგი სიტყვის წარმოთქმით: „ინფორმაციისათვის“. გამომსვლელს შეუძლია მიიღოს ან არ მიიღოს პუნქტი. თუკი ის გადაწყვეტს, რომ პუნქტი მიიღოს, ის უბრალოდ მისცემს მომხსენებელს სიტყვის უფლებას და ეტყვის: „გისმენთ“ ან „მიღებულია.“ ამ დროს დასმული შეკითხვა ან გამოთქმული კომენტარი 15 წამზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს. ეს დრო შედის გამომსვლელისათვის განკუთვნილ დროში. თუ პუნქტი უგულებელყოფილია, გამომსვლელს შეუძლია უთხრას ოპონენტს, რომ „პუნქტი არ არის მიღებული“, ან, უბრალოდ, ხელით ანიშნოს მას, რომ დაჯდეს. მომხსენებელი უნდა გაჩუმდეს და თავისი ადგილი დაიკავოს. ეს არ არის უზრდელობა. გამომსვლელს ასევე შეუძლია განაცხადოს, რომ ის პუნქტს ცოტა ხანში, აზრის დამთავრებისთანავე მიიღებს.

პუნქტი „ინფორმაციისათვის“ გამოიყენება რამდენიმე მიზნით:

1. რათა დასვათ ისეთი შეკითხვა, რომელზეც მომხსენებელს ჰასუხის გაცემა გაუჭირდება.
2. რათა მიუთითოთ წინააღმდეგობა ოპონენტთა არგუმენტებში. მაგალითად, თუკი გამომსვლელი აშკარად ეწინააღმდეგება იმას, რაც მისმა კოლეგამ განაცხადა.
3. რათა გამომსვლელს მოსთხოვოთ კონკრეტული ფაქტის მოყვანა, ან მოყვანილი ფაქტის წყაროს დასახელება.
4. რათა წინასწარ ათქმევინოთ ყველაფერი. სათანადო კითხვაზე ჰასუხის გასაცემად, შეიძლება გამოსვლელს იმის თქმაც მოუხდეს, რაზე საუბარსაც შემდგომ გამოსვლებში გეგმავდა.
5. რათა ჩართოთ მცირეოდენი იუმორი თამაში.

როგორც ხედავთ, პუნქტი „ინფორმაციისათვის“ საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს თამაშის მსვლელობაში. არსებობს რამდენიმე რჩევა პუნქტების მიღებასთან და ჰასუხის გაცემასთან დაკავშირებით:

- არასდროს მიიღოთ სამ პუნქტზე მეტი და ორ პუნქტზე ნაკლები ერთ გამოსვლაში.
- პუნქტებს ნუ მიიღებთ ერთი და იმავე მომხსენებლისაგან, ასევე იგნორირებას ნუ გაუკეთებთ კონკრეტულად რომელიმე მომხსენებლის პუნქტებს.
- როდესაც განიხილავთ ისეთ არგუმენტს, რომელიც შედარებით სუსტია, ამ დროს პუნქტს ნუ მიიღებთ, თორემ ეს პუნქტი შეიძლება თქვენი არგუმენტისთვის „საბედისწერო“ აღმოჩნდეს. დაიცადეთ, სანამ უფრო ძლიერი არგუმენტების განხილვაზე გადახვალთ.
- თუ თქვენი ოპონენტები ჩუმად სხედან და თქვენ განიხილავთ ისეთ არგუმენტს, რომელზეც, დარწმუნებული ხართ, რომ ვერავინ შემოგე-

დავებათ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ჭკვიანური ტაქტიკა და თქვათ: “მე სიამოვნებით მივიღებდი ჩემი ოპონენტებისაგან პუნქტს “ინფორმაციისათვის”, თუკი ისინი შეძლებენ ახსნან რატომ. . . .“. ოპონენტ გუნდებს ორი გზა რჩებათ – პირველი: შეეცადონ გიპასუხონ და მეორე: რეაგირება არ მოახდინონ. ორივე ვარიანტი თქვენს წისქვილზე ასხამს წყალს. ამავდროულად, ეს პუნქტი მიღებული პუნქტების სიაში შევა და თქვენ გაცილებით უფრო რთულ პუნქტებს აიცილებთ თავიდან.

- თუკი თქვენ პუნქტი მიიღეთ და შეკითხვაც მოისმინეთ, მას იგნორება არავითარ შემთხვევაში არ გაუკეთოთ. წინადადება: “ამაზე პასუხს მოგვიანებით გაგცემთ“ – ხალხს ალიზიანებს, მაშინაც კი როცა ეს სიმართლეა. წინადადება: “მე ამაზე უკვე ვისაუბრე“ – არ არის დამაკმაყოფილებელი პასუხი.

ასევე, არსებობს რჩევები პუნქტის შეთავაზებასთან დაკავშირებით:

- წინასწარ მოამზადეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი შეკითხვა. არ არის აუცილებელი, რომ ყოველი მათგანი გამოიყენოთ.
- გახსოვდეთ, თუკი თქვენი პუნქტი შედგება სამზე მეტი წინადადებისაგან, ეს უკვე არის არა პუნქტი “ინფორმაციისათვის“, არამედ მოხსენება. სანამ წამოდგებოდეთ, წინასწარ განსაზღვრეთ თქვენი პუნქტი, ის უნდა იყოს მაქსიმალურად ლაკონური.
- დააფასეთ, როდესაც თქვენ მოგეცემათ კითხვის დასმის უფლება და ეს შანსი ჭკვიანურად გამოიყენეთ. ნუ დასვამთ უმნიშვნელო კითხვებს.
- თუკი თქვენ მოფიქრებული გაქვთ შესანიშნავი არგუმენტი, რომლის წარდგენასაც თქვენს გამოსვლაში აპირებთ, ნუ გამოიყენებთ მას შეკითხვის დასმის დროს. ამით თქვენ მხოლოდ გააფრთხილებთ ოპონენტს, რაზე აპირებთ საუბარს და საშუალებას მისცემთ მას, წინასწარ გაგიბათილოთ არგუმენტი.
- ჩაიწერეთ ოპონეტის პასუხები თქვენს შეკითხვებზე. მან შეიძლება მოულოდნელად მოუფიქრებელი პასუხი გაგცეთ და შემდგომში წინააღმდეგობაში ჩავარდეს თავის კოლეგასთან.

## მომხსენებელთა პასუხისმგებლობები

თითოეულ მომხსენებელს თავისი მოვალეობები აკისრია, რომელთა პირნათლად შესრულება დიდი წარმატების საწინდარია.

თუმცა, გარდა ინდივიდუალური პასუხისმგებლობებისა, არსებობს ვალდებულებები, რომელთა შესრულება ყველა მომხსენებელს თანაბრად ევალება.

## **პრემიერ-მინისტრი**

პრემიერ-მინისტრი გამოსვლას რეზოლუციის გამოცხადებით იწყებს და გვთავაზობს ამ რეზოლუციის დეფინიციას. მაგრამ დეფინიციის მხოლოდ გამოცხადება არ კმარა, აუცილებელია, პრემიერ-მინისტრმა დაანახოს მსაჯებსა და ოპონენტებს კავშირი რეზოლუციასა და მის მიერ წარმოდგენილ დეფინიციას შორის. აგრეთვე, პრემიერ-მინისტრმა ნათლად უნდა ახსნას დეფინიციაში ნაგულისხმევი პრობლემა და შემდეგ დაიწყოს არგუმენტების მოყვანა. ამ შემთხვევაშიც, რასაკვირველია, მხოლოდ მოყვანა არ კმარა, საჭიროა არგუმენტების გავრცობა და გამყარება.

მნიშვნელოვანი და ყურადსალებია ის, რომ დეფინიცია და არგუმენტაცია, რომელიც მოჰყავს პრემიერ-მინისტრს, უცვლელი რჩება თამაშის პოლომდე და ამიტომაც საჭიროა, მოხსენება გაკეთდეს ყველასათვის ნათლად და გასაგებად.

პრემიერ-მინისტრმა ასევე უნდა ისაუბროს შედეგებზე და თავისი არგუმენტაცია უნდა წარმოადგინოს გლობალურ ასპექტში. დასკვნის სახით, პრემიერ-მინისტრმა უნდა შეაჯამოს საკუთარი გამოსვლა და მოკლე მიმოხილვა გაუკეთოს მას.

## **ოპოზიციის ლიდერი**

ოპოზიციის ლიდერი თავის გამოსვლას მთლიანად პრემიერ-მინისტრის გამოსვლას უპირისპირებს. ის, როგორც წესი, მთავრობის მიერ შემოტანილ დეფინიციას ეთანხმება, თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში (როცა ცხადია, რომ დეფინიცია არ არის ლოგიკურ კავშირში რეზოლუციასთან და ა.შ.), მას შეუძლია ალტერნატიული დეფინიცია შემოიტანოს.

ოპოზიციის ლიდერი ხაზს უსვამს პრემიერ-მინისტრის სისუსტეებს და საკითხს თავის სასარგებლოდ წარმოაჩენს. მან პრემიერ-მინისტრის მიერ მოყვანილი არც ერთი არგუმენტი უპასუხოდ არ უნდა დატოვოს. მას ასევე შეუძლია, წარმოადგინოს კონტრ-არგუმენტები.

ოპოზიციის ლიდერის მიერ შერჩეული სტრატეგია ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან მას ემყარება ოპოზიციის ორივე გუნდის შემდგომი გამოსვლები.

## **პრემიერ-მინისტრის მოადგილე**

პრემიერ-მინისტრის მოადგილის გამოსვლა გამხსნელი მთავრობის ბოლო გამოსვლაა, ამიტომ ის გარკვეულწილად ანალიზსაც უნდა მოიცავდეს. თუმცა, მისი მთავარი მოვალეობაა პერმიერ-მინისტრის მიერ მოყვანილი არგუმენტების გავრცობა და დამამტკიცებელი მასალის გამოყენება.

პრემიერ-მინისტრის მოადგილეს თამაშში ახალი არგუმენტების შემოტანაც შეუძლია, თუმცა, სასურველია, რომ მათი რიცხვი 1-2-ს არ აღემატე-

ბოდეს, რადგან მას ისედაც ბევრი საკითხის განხილვა ევალება. აღსანიშნავია, რომ მისი ახალი არგუმენტაცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პრემიერ-მინისტრის მიერ მოყვანილ არგუმენტაციას, პირიქით, ახალი და ძველი არგუმენტები “ლოგიკურ ჯაჭვს” უნდა ქმნიდნენ.

პრემიერ-მინისტრის მოადგილემ მთავრობისა და ოპოზიციის მიერ წარმოდგენილი პოზიციები ერთმანეთს უნდა შეადაროს ისე, რომ ხაზი გაუსვას საკუთარი პოზიციის უპირატესობებს და ოპოზიციის პოზიციის უარყოფით მხარეებს. აյ მთავარია მსჯელობა, დამატებიცებელი მასალის მოშველიება და ოპონენტების პოზიციაში “შეცდომების აღმოჩენა“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრემიერ-მინისტრის მოადგილის გამოსვლით მთავრდება გამხსენლი მთავრობის სიტყვით გამოსვლები, ამიტომაც, მომხსენებელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ პალატის სპიკერსა და მსაჯებს კარგად დაამახსოვროს საკუთარი გუნდი, ეს კი იოლი როდია: მის გამოსვლას კიდევ ხუთი გამოსვლა მოსდევს.

### ოპოზიციის ლიდერის მოადგილე

ოპოზიციის ლიდერის მოადგილე 15 წუთის მანძილზე თვალყურს ადევნებდა თამაშს. შესაბამისად, იგი უფრო მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე მისი თანაგუნდელი. მან ძალ-ლონე არ უნდა დაიშუროს იმისათვის, რომ თამაშის პირველ ნახევარს თავისი გუნდის სასარგებლო ანალიზი გაუკეთოს.

ოპოზიციის ლიდერის მოადგილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა, გააკეთოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის მიერ მოყვანილი არგუმენტაციის უარყოფა და გაბათილება. მან ასევე უნდა შეადაროს პრემიერ-მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის მოადგილის გამოსვლები და თუკი მათში რაიმე წინააღმდეგობებს წააწყდება, ამაზე აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება თავის გამოსვლაში.

ოპოზიციის ლიდერის მოადგილემ, თავისი გამოსვლის დასრულების შემდეგ, ჯერ არ იცის, თუ რას იზამს დამასრულებელი მთავრობა და დამასრულებელი ოპოზიცია, მაგრამ, ამ ეტაპზე, სასურველია, მან ის მაინც იცოდეს, რომ მისი გუნდი პირველ ადგილზეა და გამხსენლი მთავრობის პოზიცია მთლიანად უარყოფილია.

### მთავრობის წევრი

მთავრობის წევრის გამოსვლით იწყება თამაშის ახალი ეტაპი, რომელიც მან თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს. მთავრობის წევრის მოვალეობებში იმ არგუმენტების აღდგენაც შედის, რომლებიც გამხსენლმა ოპოზიციამ გამხსნელ მთავრობას გაუქათილა.

მთავრობის წევრმა თამაშში სიახლეები უნდა შეიტანოს. მიუხედავად იმისა, რომ ერთ პოზიციას ორი გუნდი იცავს, დებატში მხოლოდ ერთი

გუნდი იმარჯვებს, ამიტომ დამასრულებელმა მთავრობამ თავისი ინდივიდუალური წვლილი უნდა შეიტანოს თამაშში.

მთავრობის წევრმა უნდა გააფართოოს გამხსნელი მთავრობის მიერ შემოთავაზებული დეფინიცია. ამის გაკეთება შესაძლებელია ახალი არგუმენტების შემოტანით და საკითხისადმი სხვა მხრიდან მიდგომით. მაგალითად, თუკი გამხსნელი მთავრობის არგუმენტებში აქცენტი გადატანილი იყო პოლიტიკურ ასპექტებზე, მთავრობის წევრს შეუძლია თამაშმი ეკონომიკური ასპექტები შემოიტანოს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის წევრი აგრძელებს გამხსნელი მთავრობის მიერ შემოტანილი პოზიციის მტკიცებას, მან იგივე არ უნდა გაიმეოროს. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთავრობის წევრი გამხსნელ მთავრობას უნდა დაუპირისპირდეს, პირიქით, ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. დეფინიციის გაფართოება (ახალი არგუმენტაციის შემოტანით) არ უნდა სცილდებოდეს უკვე დასმული საკითხის საზღვრებს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას. დეფინიციის გაფართოება ასევე არ ნიშნავს ალტერნატიული ან მეორე დეფინიციის შემოტანას, ან კიდევ ზოგადად, მთავარ რეზოლუციაზე კამათის დაწყებას.

## ოპოზიციის წევრი

ოპოზიციის წევრი, მთავრობის წევრის მსგავსად, ახალი იდეებითა და არგუმენტებით აგრძელებს თამაშს. ამ შემთხვევებში, ოპოზიციის წევრი თავის არგუმენტაციას, ფაქტებსა და მოსაზრებებს მთლიანად მთავრობის წევრის გამოსვლას უპირისპირებს.

ოპოზიციის წევრის უარყოფა და კონტრ-არგუმენტები უნდა განსხვავდებოდეს გამხსნელი ოპოზიციის უარყოფისაგან.

ოპოზიციის წევრის მთავარი მოვალეობა მთავრობის პოზიციის უარყოფაა, მაგრამ მისთვის ძალიან მომგებიანი იქნება პარალელურად ოპონენტების შეცდომებზე თამაში. თუკი გამხსნელი მთავრობისა და დამასრულებელი მთავრობის გამოსვლები ერთ “ლოგიკურ ჯაჭვს” არ ქმნიდნენ, თუკი მათში ადგილი ჰქონდა აზრობრივ შეუთანხმებლობებს, ოპოზიციის წევრმა ეს შეცდომები აუცილებლად უნდა აღნიშნოს.

ოპოზიციის წევრი განაგრძობს გამხსნელი ოპოზიციის სტრატეგიას, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისი დამოუკიდებელი არგუმენტაციაც შემოაქვს თამაშში. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ დამასრულებელმა ოპოზიციამ თავისი სიტყვა თქვას დებატში და მსაჯებს დაუმტკიცოს, რომ საუკეთესოა.

## მთავრობის ორგანიზატორი და ოპოზიციის ორგანიზატორი

მთავრობის ორგანიზატორი და ოპოზიციის ორგანიზატორი თამაშს ას-

რულებენ. ამიტომ, ეს გამოსვლები უმნიშვნელოვანესია. მათი უმთავრესი მოვალეობაა მთელი თამაშის ანალიზის გაკეთება. ამ გამოსვლებში ახალი არგუმენტების წარმოდგენა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, თუმცა, ახალი ფაქტებისა და მაგალითების გამოყენება დასაშვებია.

ანალიზის გაკეთების დროს, მომხსენებლებმა აუცილებლად უნდა წარმოაჩინონ ძირითადი განსხვავებები ორ პოზიციას შორის და დაამტკიცონ, თუ რითა ერთი პოზიცია მეორეზე უკეთესი. მათ უნდა გაამახვილონ ყურადღება შეჯახებებზე და წარმოაჩინონ თავიანთი უპირატესობები.

ბოლო გამოსვლებისათვის განკუთვნილი 5 წუთი ვერანაირად ვერ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ განხილულ იქნას თამაშის დროს წამოჭრილი ყველა საკითხი. ამ დროს მომხსენებლებმა ორგანიზება უნდა გაუკეთონ მნიშვნელოვან პუნქტებს და დაალაგონ ისინი ლოგიკური თანმიმდევრობით.

## ოპოზიციის ძირითადი სტრატეგია

სახელიდანაც ნათელია, რომ ოპოზიციის ძირითადი მიზანია დაუპირისპირდეს მთავრობის მიერ შემოტანილ ქეისს.

დებატებში არსებობს რამდენიმე სტრატეგია, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ საწყის ეტაპზე.

1. პირდაპირი უარყოფა (პუნქტების მიხედვით)
2. სტრუქტურული ოპოზიცია (გამოიყენოთ მთავრობის სტრუქტურა მათ წინააღმდეგ)
3. შეაფასოთ მთავრობის უპირატესობები
4. გამოიცანით მომავალი არგუმენტები
5. შემოინახეთ არგუმენტები შემდეგი გამოსვლისთვის (თუ ეს შესაძლებელია)

შეგიძლიათ მიმართოთ პირდაპირ სტრატეგიას, ანუ, გაყვეთ მთავრობის მიერ შემოთავაზებულ საზს, რიგრიგობით უარყოთ არგუმენტები და დაუპირისპირდეთ პრობლემის გადაჭრის გზებს. თუმცა, ამ დროს უნდა გაითვალისწინოთ, რომ კარგი მთავრობა ყოველთვის წინასწარ ფიქრობს ოპოზიციაზე და მზად აქვს პასუხები ლოგიკურად სადაც საკითხებზე.

ასევე შეგიძლიათ აირჩიოთ უარყოფის ირიბი გზა და დაფიქრდეთ, პრიველ რიგში, შემოთავაზებულ პრობლემაზე, ცვლილების საჭიროებასა და სხვა შესაძლო გამოსავალზე. ამ შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ მოიფიქროთ რაღაც განსხვავებული, მოულოდნელი და საინტერესო, შემოაბრუნოთ გეგმა თქვენს სასარგებლოდ ან “მიიტაცოთ” მთავრობის გეგმა და დაუმატოთ თქვენს შემოთავაზებას.

ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენ უნდა დასახოთ თამაშის დაცვითი ან შეტევითი სტრატეგია. დაცვითი სტრატეგიის შემთხვევაში, თქვენ ცდილობთ

დაანახოთ მსაჯს, თუ რატომ არ უნდა წააგოთ ეს რაუნდი. შეტევითი თამაშის შემთხვევაში, თქვენ უნდა დაუმტკიცოთ მსაჯს, თუ რატომ გეკუთვნით ამ რაუნდში გამარჯვება.

გახსოვდეთ, რომ ძირითადად ქეისები არის ცვლილების შესახებ. როგორც ოპოზიციას, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი სტრატეგია შემოთავაზებული ცვლილების საწინააღმდეგოდ.

ყველაზე ხშირად გამოიყენება სამი სტრატეგიიდან ერთ-ერთი:

1. ცვლილება არ არის საჭირო
2. ცვლილება არ გაამართლებს
3. ცვლილება საზიანოა

პირველ შემთხვევაში, თქვენ უნდა დაამტკიცოთ, რომ პრობლემა ან საერთოდ არ არსებობს და ამიტომ მას არც მოგვარება და არც არსებულ მდგომარეობაში ცვლილებები სჭირდება, ან რომ პრობლემა ცვლილების გარეშეც მოგვარდება (ნებისმიერი მიზეზით, მაგ. დრო, სიტუაცია, ა.შ.).

მეორე შემთხვევაში აუცილებელია წარმოადგინოთ კარგი დასაბუთება იმისა, რომ შემოთავაზებული ცვლილება არ გაამართლებს არსებულ დროს ან შემოთავაზებულ სიტუაციაში.

მესამე შემთხვევაში საჭიროა ცვლილების განხორციელების შემთხვევაში სერიოზული მორალური, ხარისხობრივი ან რაოდენობრივი ნაკლოვანებების წარმოჩენა და რეალური ზიანის ან საფრთხის ჩვენება.

ამ შემთხვევაში შეგიძლიათ გამოიყენოთ თეორია, რომლის მიხედვითაც, ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ განხორციელების შემთხვევაში, გარკვეული ცვლილება სასარგებლოა, მაგრამ თუ იმავეს სხვა გაიმეორებს, შეიძლება ეს საზიანო გამოდგეს.

არის ასევე ჯაჭვური რეაქციის თეორია, რომელიც ამ შემთხვევაშიც ხშირად გამოიყენება და ამტკიცებს, რომ ამ მოქმედებას აუცილებლად (ან შესაძლებელია) მოჰყვეს მეორე, მესამე და ა.შ. ნაბიჯი, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ უარეს პრობლემებამდე მიგვიყვანს.

## **უარყოფის/გაბათილების დროს გამოსაყენებელი სასარგებლო სტრუქტურა**

- ისინი ამტკიცებენ, რომ.....
- მაგრამ.....
- რადგან.....
- ამიტომაც.....

ეცადეთ სრულად უპასუხოთ არგუმენტებს და მიჰყეთ მთავრობის მიერ შემოთავაზებულ თანმიმდევრობას.

## გაპათილებისას

- ყურადღება მიაქციეთ იმას, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის არგუმენტი ქვის და რამდენად მნიშვნელოვანია იგი ამ შემთხვევაში.
- მეტი დრო დაუთმეთ მნიშვნელოვან არგუმენტებს და ეცადეთ, შეამციროთ მათი მნიშვნელობა რაოდენობრივად ან ხარისხობრივად.
- შეეცადეთ შემოაბრუნოთ ოპონენტის არგუმენტები თქვენს სასარგებლოდ ან მათი არგუმენტები – მათსავე საწინააღმდეგოდ.
- „გამოუვალ მდგომარეობაში“ უპასუხეთ ამ არგუმენტს.

## ოპოზიციის გაძლიერებული სტრატეგია

ოპოზიციის გაძლიერებული სტრატეგია შედგება ძირითადად “უარყოფითი მხარეებისა” და კონტრ-გეგმებისაგან.

“უარყოფითი მხარე” არის მიზეზობრივი არგუმენტი, რომელიც ამტკიცებს, რომ გეგმა ან ქეისი გამოიწვევს ცუდ შედეგს. ამ სტრატეგიის გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია ჩანდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ფაქტებს შორის.

როდესაც თქვენ გაუწევთ ოპოზიციას მთავრობას, დასვით შეკითხვა, “რატომ არ განხორციელებულა ეს გეგმა აქამდე?” ეს დაგეხმარებათ უკეთესი, რეალური არგუმენტების შემუშავებაში.

კარგია, თუ თქვენ შეძლებთ და შეადარებთ ერთი და იმავე საზომით გასაზღვრულ სიკეთეებს, მაგალითად, დანახარჯების უპირატესობებში იპოვით უარყოფით მხარეებს და დაუპირისპირდებით ისევ დანახარჯი თანხის რაოდენობით და არა, მაგალითად, უსაქმოდ დარჩენილი ხალხის რიცხვით. ასეთ შემთხვევაში, ნაკლებია ზერელე დაშვების შანსი და თქვენი მსჯელობა უფრო მყარი და თანამიმდევრული იქნება.

უარყოფითი მხარეების წარმოჩენისას, ეცადეთ, დახატოთ რაც შეიძლება ხასხასა სურათი მსაჯებისათვის, იმის შესახებ თუ რა შეიძლება მოხდეს მთავრობის გეგმის განხორციელების შემთხვევაში. ასე თქვენი გამოსვლა უფრო ეფექტური და დასამახსოვრებელი იქნება.

მეორე და ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგია არის კონტრ-გეგმის შემოტანა.

პირველი, რაც აუცილებლად უნდა გვახსოვდეს ასეთი სტრატეგიის არჩევისას არის ის, რომ კონტრ-გეგმა უნდა იყოს გეგმის აბსოლუტურად საწინააღმდეგო მოქმედება და გამორიცხავდეს ამ ორის ერთდროულად განხორციელებას. ანუ ორი გეგმა უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი. მარტივად თუ ვიტყვით და დავარქმევთ, რომ მთავრობა ამტკიცებს, რომ რაღაც საკითხი არის “კარგი”, ოპოზიციამ აუცილებლად უნდა ამტკიცოს, რომ ეს არის “ცუდი” და არა ის, რომ შეიძლება რაღაც ამაზე უკეთესი ან

შედარებით კარგი იყოს. თუ ასე არ მოხდება, მთავრობას ექნება შანსი. გამოიყენოს თქვენი გეგმა და “მიიტაცოს” ის და გააუმჯობესოს თავისი პოზიცია.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ კონტრ-გეგმა უნდა იყოს ცალკე აღებულ გეგმაზე უკეთესი და არ უნდა წარმოადგენდეს არსებული მდგომარეობის ნაწილს.

მოდით, განვიხილოთ ერთი ჩვეულებრივი სიტუაცია ყოველდღიური ცხოვრებიდან, სადაც ჩვენ ყოველ წუთს ვიყენებთ კონტრ-გეგმებს.

დავუშვათ, თქვენ ხართ ბიბლიოთეკაში მეგობართან ერთად და გინდათ გამოიტანოთ წიგნი, მეგობარი ამბობს: მოდი, დღეს ეკონომიკის სახელმძღვანელო გამოვიტანოთ.

თქვენ: არა, მოდი, მაგის მაგივრად ქიმიის წიგნი ავიღოთ.

ეს უკვე კონტრ-გეგმაა, რადგან თქვენ გამოიყენეთ არჩევანი “ერთი მეორის მაგივრად“.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ადვილია, თქვენ გააგრძელოთ საუბარი და მეგობარმა შემოგთავაზოთ ორივეს გამოტანა.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დათანხმდით, მისი კონტრ-გეგმა ჩაიშალა. უკეთ რომ ვთქვათ, მან არ გამორიცხა პირველი გეგმა და რადგან თქვენ მისი იდეა “აიტაცეთ”, ეს თქვენი გეგმის ნაწილი გახდა.

ასე რომ არ მოხდეს, მან ნათლად უნდა წარმოაჩინოს თუ რატომ არის საჭირო მაინცადამაინც მისი გეგმის განხორციელება.

ამისათვის შეგიძლიათ ორი ხერხი გამოიყენოთ:

- დაამტკიცოთ, რომ ქიმიის წიგნის გამოტანა ცუდი აზრია (აქ შეგიძლიათ მოიტანოთ არგუმენტები, რომ ჯერ გამოცდა შორსაა, რომ ქიმია ეკონომიკაზე ნაკლებად საინტერესოა თქვენთვის, რომ ქიმიის მეცადინეობა ეკონომიკის ჩათვლას ვერ მიგალებინებთ, ა.შ.);

ან

- დაამტკიცოთ, რომ თქვენი კონტრ-გეგმა არის კარგი აზრი (შეგიძლიათ დაეყრდნოთ მოსაზრებას, რომ პრაქტიკაში ეკონომიკა უფრო გამოგადგებათ, ვიდრე ქიმია; აუცილებელია ეკონომიკის დღეს მეცადინეობა, რადგან ხვალ ჩათვლაა; ან რომ მხოლოდ ეკონომიკა გჭირდებათ, რადგან თქვენ საერთოდ არ სწავლობთ ქიმიას).

ყველა ამ არგუმენტის მიზანი ერთია – დაამტკიცოს, რომ გეგმა არ არის საჭირო და რომ საჭიროა კონტრ-გეგმის განხორციელება.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, კონტრ-გეგმა უნდა გამორიცხავდეს გეგმის განხორციელებას.

## არსებობს ანალიზის გაკეთების რამდენიმე ხერხი:

### 1. დაჯგუფება

თამაშში წამოჭრილი საკითხების დაჯგუფება სამოთხოების შეიძლება. აჩვენეთ, რომ თქვენი ოპონენტების მთელი არგუმენტაცია დადგინდება ან ორ ძირითად იდეამდე, რომელიც თქვენ შეგიძლიათ ადვილად უარყოთ.

### 2. არჩევითობა

აირჩიეთ შეტევის მიმართულება, დრო არ დაკარგოთ და იგნორირება გაუკეთეთ მეორესარისხოვან არგუმენტებს, გადადით უშუალოდ დებატების ცენტრისკენ.

### 3. მიმოხილვები

მიმოხილვები არის საშუალება, რათა ორგანიზაცია გაუკეთოთ თამაშში წამყვანი თემებისა და ფასეულობების ირგვლივ წარმოშობილ შეჯახებებს. მიუთითეთ ძირითად საკითხებზე, იმაზე, თუ როგორ გაავრცო ისინი ორივე მხარემ და იმაზე, თუ რატომ იყო თქვენი გუნდი ყველაზე ძლიერი. მიუთითეთ კონფლიქტის არებზე, ეს არის ის სპეციფიკური პუნქტები, რომლებთან დაკავშირებითაც წარმოიშვა შეჯახებები.

### 4. დიქოტომიები

ეს მეთოდი საშუალებას აძლევს გამომსვლელს, შეადაროს მთავრობის გეგმის მიხედვით მსოფლიოს პედი იპოზიციის გეგმის მიხედვით მსოფლიოს პედი. ისევ და ისევ მოიტანეთ კონტრასტული შედარება, რომელიც ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რისი თქმაც გსურთ. ეს არის ეფექტური, მკვეთრი და უბრალო გზა, რათა საინტერესოდ მიუთითოთ კონფლიქტის ძირითად არებზე. დიქოტომიები აგრეთვე საშუალებას აძლევს გამომსვლელს, შექმნას ნათელი სურათი მოსალოდნელი უბედურებისა, რაც ოპონენტების გეგმის შესრულებას მოყვება, და სურათი იმ საყოველთაო პედნიერებისა, რასაც გამომსვლელი თავისი გუნდის მიერ შემოთავაზებული გეგმის შესრულების შემთხვევაში გვპირდება.

აუცილებელი არ არის, მთავრობის ან ოპოზიციის ორგანიზატორმა კონკრეტულად რომელიმე შემოთავაზებული ხერხით იხელმძღვანელოს ანალიზის გაკეთების დროს. დასაშვებია რამდენიმე ხერხის გაერთიანება, ან საკუთარი ტაქტიკის შემუშავება.

## რჩევები

- დაუპირისპირდით იდეებს და არა პიროვნებებს.
- გახსოვდეთ, თუკი რეალურ სიტუაციასა და გამოყენებულ ანალოგიას შორის არსებობს განსხვავება, მაშინ ანალოგია გამოუსადეგარია.
- ცნობილ ადამიანთა მოსაზერებების გამოყენება არგუმენტებში, რა თქმა უნდა, სასურველია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ორი ათასი წლის წინ მცხოვრები ადამიანის აზრი ყოველთვის სწორია, ამიტომაც არგუმენტის მხოლოდ ასეთ მოსაზრებაზე დაყრდნობა არ არის მიზანი.
- არასდროს მოიყვანოთ მაგალითი საკუთარი გამოცდილებიდან.
- მოსაზრების “პოპულარობა” არ ნიშნავს მის სისწორეს. მხოლოდ იმიტომ, რომ მოსახლეობის 90% რაღაცას “ასე” მიიჩნევს, არ ნიშნავს, რომ “ეს მართლაც ასეა”.
- სტატისტიკა, რომელსაც გამოიყენებთ, აუცილებლად დაუკავშირეთ არგუმენტს.
- მსაჯებს მოსწონთ გუნდური მუშაობა. შეიმუშავეთ მარჯვე სტრატეგია და გაყავით გუნდის პოზიცია ორივე გამომსვლელისათვის თანაბრად. ეს ისე უნდა გააკეთოთ, რომ პირველმა მომხსენებელმა თქვას ყოველივე, რასაც მეორე მომხსენებელი იტყვის და მეორე შეეხოს ყველაფერს, რაც პირველმა თქვა.
- გამოსვლა დაასრულეთ ეფექტურად. გააკეთეთ დასკვნა. სასურველია, ამისთვის წინასწარ მოემზადოთ.
- გამოიყენეთ რაც შეიძლება მეტი პუნქტი “ინფორმაციისათვის”. მიიღეთ მხოლოდ ორი ან სამი.
- კარგად გაიაზრეთ თქვენი პოზიცია.
- თქვენი ოპონენტების პოზიციაში აღმოაჩინეთ წინააღმდეგობები.
- არასდროს წაიკითხოთ წინასწარ მომზადებული ტექსტი.
- არასდროს გამოიყენოთ “ცრუ” ფაქტები.
- ყურადღება მიაქციეთ პრეზენტაციას.
- არასდროს გაუკეთოთ იგნორირება თქვენს კოლეგას.
- არასდროს დაამთავროთ გამოსვლა დროზე ადრე.

## **მსაჯობა**

კონკურენტუნარიანი დებატის მიზანია დარწმუნება. ამ დარწმუნების ობიექტია მსაჯი.

მსაჯობა, ალბათ, ყველაზე ძნელი და საკამათო საკითხია დებატებში. კარგმა მსაჯმა უნდა დაივიწყოს ყველა თავისი პირადი აზრი და შეხედულება და შეაფასოს დებატები მხოლოდ თამაშის დროს მოსმენილი მსჯელობიდან გამომდინარე.

მსაჯი უნდა იყოს ობიექტური, კარგი მსმენელი, კარგი მასწავლებელი და ა.შ.

მსაჯობის ძირითადი კრიტერიუმი მარტივია: დამაჯერებლობა. თუმცა, მაინც გამოვყოფთ იმ საკითხებს, რასაც მსაჯმა ყველაზე დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს:

1. არგუმენტაცია და ანალიზები;
2. ორგანიზებულობა;
3. უარყოფა;
4. სტილი და რიტორიკა;
5. ეფექტური იუმორი;
6. დამამტკიცებელი მასალა;
7. პუნქტი “ინფორმაციისათვის”;
8. გუნდური მუშაობა.

## **მსაჯის ძირითადი მოვალეობებია:**

1. წარუძღვეს თამაშს, თუკი ის პალატის სპიკერია;
2. გააკეთოს თამაშის სრული და საფუძვლიანი ჩანაწერი;
3. არ ჩაერიოს თამაშში;
4. არ დასვას შეკითხვები, ან არ მოითხოვოს რაიმეს ახსნა-განმარტება;
5. თამაშის შემდეგ სხვა მსაჯებთან ერთად განიხილოს დებატი;
6. მიანიჭოს გუნდებს რანგები;
7. დაუწეროს გუნდებს ქულები;
8. დაუწეროს მომხსენებლებს ინდივიდუალური ქულები;
9. გააკეთოს თამაშის ზეპირი კომენტარები;
10. შეავსოს ბიულეტენი;

მსაჯი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე, თუმცა, სასურველია თამაშს სამი მსაჯი მაინც ესწრებოდეს.

თამაშის შემდგომ მსაჯებმა უნდა მოილაპარაკონ საპოლოო გადაწყვეტილების თაობაზე და საერთოდ, მათ უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან. რა თქმა უნდა, მსაჯებს შორის შეიძლება გაჩნდეს აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა, მათ უნდა იმსჯელონ და მიაღწიონ კონსენსუსს.

## **რანგების მინიჭება**

მსაჯები გუნდებს ანიჭებენ რანგებს. გამარჯვებული გუნდი იღებს პირველ რანგს, მეორე ადგილზე გასული გუნდი მეორე რანგს და ა.შ.

თუკი მოთამაშეები დიდი დროით (მაქსიმუმ 10 წუთით) დააგვიანებენ დებატზე, ან თუკი რომელიმე გუნდის წევრი შეურაცხყოფას მიაყენებს სხვა მოდებატეს მისი რელიგიის, სქესის, რასის, ფერის, ეროვნების და სხვ. გამო, გუნდს ავტომატურად ენერება მეოთხე რანგი.

მსაჯები უნდა შეთანხმდნენ რანგებთან დაკავშირებით. თუკი მათ მაინც გაუჭირდებათ კონსენსუსის მიღწევა, რანგები იწერება მსაჯთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით. ხოლო იქ, სადაც უმრავლესობა არ არსებობს, ამ საკითხს პალატის სპიკერი გადაწყვეტს.

## **ქულების დაწერა გუნდებისათვის**

ქულები იყოფა ხუთ კატეგორიად: A, B, C, D და E კატეგორიებად:

**A**

**180-200**

შესანიშნავი და უნაკლო გუნდი. ასეთ დონეს ალბათ მხოლოდ ნახევარფინალებში ან ფინალში თუ შეხვდებით.

**B**

**160-179**

საშუალოზე კარგი გუნდი. მოთამაშეები აშკარად ძლიერები არიან და ძალიან ცოტა სისუსტე აქვთ.

**C**

**140-159**

საშუალო გუნდი. გუნდს გააჩნია იმდენივე უპირატესობა, რამდენიც სისუსტე.

**D**

**120-139**

საშუალოზე ნაკლები გუნდი. მას ბევრი სისუსტე აქვს.

**E**

**100-119**

ძალიან სუსტი გუნდი. მას საერთოდ არ გააჩნია უპირატესობები.

**ქულების დაწერა ინდივიდუალური მომხსენებლებისათვის  
ქულები კვლავ ხუთ კატეგორიად იყოფა:**

**A**

**90-100**

შესანიშნავი და უნაკლო მომხსენებელი. ასეთ დონეს, ალბათ, მხოლოდ ნახევარფინალებში ან ფინალში თუ შეხვდებით.

**B**

**80-89**

საშუალოზე კარგი მომხსენებელი. ის აშკარად ძლიერია და ძალიან ცოტა სისუსტე გააჩნია.

**C**

**70-79**

საშუალო მომხსენებელი. მას გააჩნია იმდენივე უპირატესობა, რამდენიც სისუსტე.

**D**

**60-69**

საშუალოზე ნაკლები მომხსენებელი. მას ბევრი სისუსტე აქვს.

**E**

**50-60**

ძალიან სუსტი მომხსენებელი.

აუცილებელი არ არის, ყველა მსაჯმა ერთი და იგივე ქულა დაწეროს. მთავარია თითოეული მომხსენებლისადმი ან გუნდისადმი დაწერილი ქულები ერთ კატეგორიას წარმოადგენდეს. მაგალითად ერთსა და იმავე მომხსენებელს ერთი მსაჯი 95, ხოლო მეორე 86 ქულას ვერ დაუწერს, ვინაიდან ეს ქულები სხვადასხვა კატეგორიას განეკუთვნება.

ასე რომ, მსაჯები, გარდა რანგებისა, ქულების კატეგორიებზეც უნდა შეთანხმდნენ.

ყოველივეზე შეთანხმების შემდეგ მსაჯები ავსებენ ბიულეტენს, რომელიც ასე გამოიყურება:

### **ზეპირი კომენტარები**

მსაჯთა თათბირის და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მსაჯები აკეთებენ ზეპირ კომენტარებს.

კომენტარს აკეთებს ან პალატის სპიკერი, ან ის მსაჯი, რომელსაც პა-

ლატის სპიკერი ჩათვლის საჭიროდ.  
კომენტარების დროს:

1. უნდა გამოცხადდეს გუნდების რანგები.
2. განხილულ იქნას თამაში და დასახელდეს გადაწყვეტილების მიზეზები.
3. კომენტარი გაუკეთდეს ყველა გუნდს და შეძლებისდაგვარად ყველა მომხსენებელს.

ზეპირი კომენტარები უნდა გაგრძელდეს მაქსიმუმ 10 წუთს. მოდება-ტექნიკის შეუძლიათ კითხვები დაუსვან მსაჯებს, თუმცა, ეს უნდა მოხდეს ძალიან ზრდილობიანად. მსაჯსა და მოდებატექნიკის შორის დებატი არ უნდა გაჩაღდეს.

**საპარლამენტო დებატები  
მსაჯის ბიულეტენი**

მსაჯი: .....

რაუნდი: ..... ოთახი: ..... დრო: .....

რეზოლუცია: .....

გამსსნელი მთავრობა: .....					გამსსნელი ოპოზიცია: .....				
პრემიერ-მინისტრი . . . . .					ოპოზიციის ლიდერი: . . . . .				
პრემიერ-მინისტრის მოადგილე . . . . .					ოპოზიციის ლიდერის მოადგილე: . . . . .				
	პოზიცია (50)	მანერა (50)	ჯამი (100)	რანგი (1-8)		პოზიცია (50)	მანერა (50)	ჯამი (100)	რანგი (1-8)
პ.მ.					ო.ლ.				
პ.მ.მ.					ო.ლ.მ				
კომენტარები:					კომენტარები:				
გუნდის რანგი:					გუნდის რანგი:				
დამასრულებელი მთავრობა: .....					დამასრულებელი ოპოზიცია: .....				
მთავრობის წევრი: . . . . .					ოპოზიციის წევრი: . . . . .				
მთავრობის ორგანიზატორი: . . . . .					ოპოზიციის ორგანიზატორი: . . . . .				
	პოზიცია (50)	მანერა (50)	ჯამი (100)	რანგი (1-8)		პოზიცია (50)	მანერა (50)	ჯამი (100)	რანგი (1-8)
გ.ნ.					ო.ნ.				
გ.ო.					ო.ო.				
კომენტარები:					კომენტარები:				
გუნდის რანგი:					გუნდის რანგი:				

## დასასრულისათვის

სახელმძღვანელო მიზნად ისახავს, დაეხმაროს დებატების ტრენერებს ორგანიზებულად და პროფესიულად წარმართონ დებატების სწავლება. მთავარი რჩევა, რომელიც გვინდა ყველას გავუზიაროთ:

- დებატებს მოზარდები ყველაზე კარგად დებატებით სწავლობენ. შეეცადეთ ხშირად მოაწყოთ დებატების თამაში. ამხანაგური თა- მაშები კლუბის წევრებსა თუ სხვა კლუბებს შორის მნიშვნელოვნად აუმჯობესებს თამაშის ხარისხს. მოზარდებს ეძლევათ სტიმული მომა- ვალი დებატებისათვის უფრო სრულყოფილი პოზიციები მოამზადონ. ხშირად მოაწყვეთ ლია კარის დღე, მოიწვიეთ დებატებზე, სხვა მასწავ- ლებლები, ადმინისტრაციის წევრები, მშობლები.
  - წაახალისეთ დებატკლუბის წევრები. მოაწყვეთ ექსკურსიები, საჯარო დებატები, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან.
- ყველაზე ეფექტური კი დებატებით მოზარდების დაინტერესებისა და ტექნიკის დახვენის თვალსაზრისით არის დებატების ტურნირების მოწ- ყობა. შეჯიბრის სულისკვეთება და გუნდების ინტენსიური თამაში მნიშ- ვნელოვნად ავითარებს მოზარდების პიროვნულ და ინტელექტუალურ შესა- ძლებლობებს.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ФОРМАТ ДЕБАТОВ КАРЛА ПОППЕРА С ЭЛЕМЕНТАМИ ПОЛИТИЧЕСКОГО КЕЙСА. Е.Г.Калинкина, С.А.Наумов. 2002
2. Driscoll William. Joseph P. Zompetti Discovering the world through debate for debaters, coaches and judges, 2003.
3. Парламентские дебаты: путеводитель для студентов, знакомых с форматом дебатов Карла Поппера. Арло Девлин-Браун. [http://www.experiment.lv/rus/debate/mat/par\\_book.htm](http://www.experiment.lv/rus/debate/mat/par_book.htm)
4. კონსტრუქციული დებატები. ნინო ბერიშვილი, თინათინ ცერცვაძე, კონსტანტინე მაღრაძე, ნათია ფირცხალავა. „საგანმანათლებლო დებატების ასოციაცია“ 2006 წ.
5. საგანმანათლებლო დებატები, სახელმძღვანელო სკოლის მასწავლებლებისათვის. კონსტანტინე მაღრაძე, ნინო ბერიშვილი, თინათინ ცერცვაძე. „საგანმანათლებლო დებატების ასოციაცია“. 2009 წ.